

ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი

International Center for Georgian Language

**Anthony D. Smith**

# **NATIONALISM**

*Theory, Ideology, History*

Translated into Georgian by **Mary Chkhartishvili**

Georgian Text Editor **Rusudan Amirejibi–Mullen**

Tbilisi

2004

ენტონი დ. სმითი

## ნაციონალიზმი

თეორია, იდეოლოგია, ისტორია

თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა  
ქართული ტექსტის რედაქტორი რუსულან ამირეჯიბი-მალენი

თბილისი

2004

წიგნი ცნობილი თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერის ენტონი დ. სმითის ნაშრომის ნაცორნალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია ქართულ თარგმანს წარმოადგენს, რომელშიც საკითხისადმი საკუთარ ეთნოსიმბოლისტურ მიღებას სმითი პარადიგმების სახით სისტემატიზებულ ალტერნატიულ თვალსაზრისთა ფონზე გადმოსცემს. ქართულ თარგმანს წინ უძღვის ავტორის მიერ სპეციალურად მისთვის დაწერილი შესავალი. მთარგმნელის წინასიტყვაობაში კი ამ თარგმანთან დაკავშირებით საუბარია თეორიული სოციოლოგიური ლიტერატურის ქართულად გადმოდების პროცესზე. წიგნი განკუთვნილია ეთნიკური და ნაციონალური კვლევებით დაინტერსებული მკითხველისათვის: მეცნიერებისათვის, პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისათვის, სტუდენტებისათვის.

გამოცემის ხარჯები გაიღო  
**ქართული ენის საერთაშორისო ცენტრმა**

წიგნი გამიზნეულია, როგორც საჩუქარი კონფერენციის ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა მონაწილეებისათვის

The book is Georgian translation of the *Nationalism. Theory, Ideology, History* by the eminent contemporary British scholar Anthony D. Smith presenting his own ethno-symbolist account against the background of historiography on subject systematized as paradigms. The Georgian edition is introduced by Smith. In the translator's preface problems dealed with rendering of theoretical sociological literature into Georgian is outlined in connection with present translation. The book is intended for readers interested in ethnic and national studies: academics, policymakers, representatives of the media, students.

Publication is provided with the financial support of the  
**International Center for Georgian Language**

Book is a gift for the participants at the conference on  
**National and Religious Identities**

## მთარგმნელის წინასიტყვაობა

ენტონი დევიდ სმითი, თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერი, ეთნიკური ჯგუფების და ნაციონალიზმის ურთიერთდაპავმირებული ფენომენების დასავლეთში ფართოდ აღიარებული მკვლევარია. მეცნიერის პირადად გაცნობის და მასთან უშეალო აკადემიური კონტაქტების საშუალება მომეცა 2001 და 2003 წლებში დიდ ბრიტანეთში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას. გარდა ამისა, მე მქონდა ბეჭინიერება თვალყური მედევნებინა პროფესორ სმითის მუშაობისათვის ასპირანტებთან ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლაში (ევროპის ინსტიტუტი, სამთავრობო დეპარტამენტი) და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევის ახორციელებისათვის (რომლის წევრი მეცა ვარ) სემინარზე (2003 წლის 4 მაისი) მისი თანდასწრებით წამეკითხა მოხსენება ქართული იდენტობა: განვითარების საფეხურები.

როდესაც პროფესორ სმითს გავუზიარე ჩემი სურვილი შევდგომოდი მისი ნაშრომების ქართულად თარგმანს, მან (როგორც იგი თავადაც მიუთითებს შესავალში) ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის გადასადგმელად ორი წიგნი შემირჩია. მათ შორის ერთ-ერთია წინამდებარე თარგმანი. წიგნი წარმოადგენს როგორც თავად სმითის თვალსაზრისის, ასევე საკითხებზე არსებული უმთავრესი ლიტერატურის სისტემატიზებულ გადმოცემას.

ცხადია, თანამედროვე დასავლერი თეორიული ლიტერატურის ქართულად თარგმნის იდეა სპონსორულად, დიდ ბრიტანეთში კოლეგებთან შეხვედრის შედეგად, არ გამჩენია. ამ საქმისათვის ხელის მოყიდების აუცილებლობაში თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაზე დაკვირვებამ დამარტინუნდა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალიან ბევრი კონკრეტული ხასიათის გამოკვლევა და დასკვნა, როგორც წესი, ისინი არ არიან სათანადოდ კონტექსტუალიზებული, არ ხდება მოპოვებული ფაქტების ზოგადსოციოლოგიური მიმართებების და განზომილებების ფიქსირება, არ არსებობს ისტორიული და კულტურული რეკონსტრუქციის არავითარი მეთოდოლოგიური კონცეფცია, არავითარი თეორიული ჩარჩო. ამ მიზეზით ვერ

პოულობს საქართველოს ისტორიის ფაქტები ასახვას კაცობრიობის ისტორიაში. ამის თვალსაჩინო მაგალითი თუნდაც ეს წიგნია: თეორიული დებულებების საილუსტრაციოდ მოყვანილ მრავალ მაგალითს შორის ქართულს ვერ შეხვდებით.

აღნიშნულის მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის. თითქე ჩამოსათვლელია დასავლეთევროპულ ენებზე შესრულებული ქართველოლოგიური გამოკვლევები. ენობრივი ბარიერის გამო ქართველ საქციალისტთა უმეტესობა კონკრეტული ისტორიული აღწერებისას არ (და ვერ) ითვალისწინებს თანამედროვე თეორიულ ლიტერატურას და თავადაც კარგავს დასავლელ საქციალისტ მკითხველს. შექმნილი ვითარებიდან გამოსვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დასავლური თეორიული სოციოლოგიური ლიტერატურის ქართულად თარგმნამ გეგმაზომიერი და პერმანენტული ხასიათი მიიღოს. მითუმეტეს, რომ თარგმნა ყოველთვის იყო ქართული კულტურის განვითარების ქმედითი საშუალება. ძველ საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობა საპატიოდ, საზოგადოებრივად უადრესად მნიშვნელოვანად ითვლებოდა. თარგმანი ხელს უწყობდა არა მარტო ახალი იდეების შემოტანას, არამედ სააზროვნო ინსტრუმენტარიუმის დახვეწასაც. იგი ქართული ენის განვითარებისათვის უდიდეს სტიმულს წარმოადგენდა. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა, სურვილმა იმისა, რომ ჩემი მცირეოდენი წვლილი შემეტანა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების გადაჭრაში, გადამაწყვეტინა და გამაბედინა ხელი მომეკიდა ისეთი როლი და საპასუხისმგებლო საქმისათვის, როგორიცაა თანამედროვე ინგლისური ენიდან თეორიული ხასიათის ნაშრომის ქართულად გადმოღება.

წინამდებარე გამოკვლევაში წარმოდგენილი ყველა თვალსაზრისი შესაძლოა თანაბრად მისაღები არ აღმოჩნდეს ქართველი საქციალისტებისათვის. მიუხედავად იმისა, გაიზიარებენ თუ არა თავად სმითის თუ მის მიერ განხილულ სხვა აგტორთა მიღებომებს, მე დრმად ვარ დარწმუნებული, ეს წიგნი უნდა წაიკითხონ ქართველმა პუმანიტარებმა თუ სოციალურ მეცნიერებათა საქციალისტებმა. ხომ აუცილებელია, რომ საკითხებს ვსვამდეთ და ვწყვეტდეთ იმ მნიშვნელოვანი გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ნაციონალური განვითარების ისტორიის კვლევაში უკვე

დაგროვილია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. პირადად მე ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის, ეთნიკური ერთობების (ეთნიკური) და ნაციების შესახებ სმითის თვალსაზრისი კარგად დასაბუთებულად და პრაქტიკული ისტორიოგრაფიული საქმიანობისათვის ნაყოფიერად მიმაჩნია. კერძოდ, ჩემთვის მისაღებია, რომ ნაციონალიზმში მეცნიერი არც აბსოლუტურ ბოროტებას ხედავს, არც აბსოლუტურ სიკეთეს, უდგება მას ყოველგვარი (ეთნიკური თვალსაზრისით) შეფასების გარეშე, როგორც კანონზომიერ საზოგადოებრივ მოვლენას, რომელიც არსებობდა, არსებობს და, საფიქრებელია, რომ მომავალშიც იარსებებს. მართებულად მიმაჩნია, აგრეთვე, თვალსაზრისი თანამედროვე ნაციების კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური სახის ხანგრძლივი ეთნიკური განვითარების შედეგად ჩამოყალიბების შესახებ, მათი ეთნიკური ფესვებისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება, ხოლო თავად ეთნიკურობის უპირატესად სუბიექტური ფაქტორების, კერძოდ, ერთობის წევრთა პრეფერენციების სიბრტყეში გააზრება.

წინამდებარე წიგნი სმითის ფუნდამენტური ვრცელი გამოკვლევების მოკლე ვერსიაა. კარგია, რომ სმითის ნაშრომებიდან პირველ რიგში სწორედ ის მიეწოდება ქართველ მკითხველს: მას შეუძლია დაგვეხმაროს საკითხის არსში ერთბაშად გავერკვეთ. მაგრამ რამდენადაც ეს წიგნი მოსახერხებელია მკითხველისათვის, როგორც ვრცელი კონცეფციის მოკლედ გადმოცემა, იმდენად როგორია მთარგმნელისათვის. იმ ობიექტურ სირთულეებს, რაც ახლავს სამეცნიერო ტექსტის გრამატიკულად სრულიად განსხვავებული ინგლისური ენიდან ქართულად გადმოდებას, ემატება ავტორის უაღრესად შემჭიდროებული სტილის მიზეზით გამოწვეული სირთულეები. მე ვცდილობდი რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავი დედანთან როგორც აზრის, ისე ავტორის თხრობის მანერის გადმოცემის თვალსაზრისით. ყველაფერ ამის ქართულ ყალიბში ჩამოსხმა კი ქართული თარგმანის რედაქტორის – რუსუდან ამირეჯიბ-მალქის დამსახურებაა.

თარგმანთან დაკავშირებულ ყველა პრობლემაზე, ბუნებრივია, წინასიტყვაობაში ვერ მივუთითებ. მხოლოდ რამდენიმე ფაქტთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო მოკლე შენიშვნა. კერძოდ, შევეხები ცნებებს, რომლებიც უთარგმნელად იქნა დანარჩუნებული; რომლებიც ითარგმნა, მაგრამ განმარტებას საჭიროებს ქართული ეკვივალენტის

არჩევანი; ავტორის თავისებური გადმოცემის მანერის მიმანიშნებელ ცალკეულ შემთხვევებს; ქართულისათვის ერთგვრად ხელოვნურ ზოგ გამოიტქმას.

მკითხველის გაკვირვება შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ ნაციონალიზმის შესახებ დაწერილი წიგნის ქართულ თარგმანში ტერმინ ერს პრაქტიკულად ვერ შეხვდებით. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი წარმოადგენს უცველეს, დიდი შინაგანი რესურსის მქონე ქართული ტერმინს, რომლის უზოგადესი მნიშვნელობა არის ადამიანთა კრებული (ჩვენ-ჯგუფი). შეა საუკუნებში იგი უმთავრესად სოციალური აზრის მატარებელი იყო, ეთნიკური ჩვენ-ჯგუფის ადსანიშნავად კი სხვა სიტყვები გამოიყენებოდა, მაგალითად, ნათესავი. ერთს ეთნიკური ჩვენ-ჯგუფის მნიშვნელობით გამოყენება XIX საუკუნიდან დაიწყეს. მან ფაქტობრივად სრულიად ჩაანაცვლა ძველ საქართველოში ეთნიკური ჩვენ-ჯგუფის აღმნიშვნელი ყველა სხვა ტერმინი. ეს ქართველური ჩვენ-ჯგუფის წევრთა მიერ ჯგუფური კავშირების ხასიათის გააზრებაში თვისებრივად ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. ერთი, ისევე როგორც ნათესავი, კოლექტივს აღნიშნავდა, მაგრამ მისგან განსხვავებით, ერთი გენეტური ერთიანობა, როგორც ჩვენ-ჯგუფის არსებობის საფუძველი, აქცენტირებული არ იყო (თუმც, ცხადია, არც გამოირიცხებოდა). ამავე საუკუნიდან დაიწყო ერთს გამოყენება ევროპული ნაციის შესატყვისად. თუმც არც დღეს და მითუმეტეს არც მაშინ, ისინი აზრობრივ ზუსტად არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს (რაზედაც ყურადღება უკვე იყო გამახვილებული ქართველოლოგიურ სპეციალურ ლიტერატურაში). სწორედ ამიტომ, გაუგებრობის და ყოველგვარი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, გადავწყვიტე კონკრეტულად ამ წიგნის (რომელიც ტერმინების დეფინიციებს უთმობს საგანგებო ყურადღებას) ქართულ თარგმანში დედნისეული *nation* კველგან ნაციად გადმომედო. მითუმეტეს, რომ ქართულს არც ის და არც მისგან წარმომდგარი ტერმინი ნაციონალიზმი ეუცხოება. ამ დარგის მეორე უმთავრესი ცნებაც ეთნიკური შეუძლებელია გადმოქართულდეს და ეს, კვიქრობ, არავისთვის საპამათო არ არის. თუ უფრო ზოგადად მივუდგებით საკითხს, შეიძლება ითქვას, რომ ქართულში უცხო ტერმინების დამკვიდრებას არ უნდა ვუფრთხოდეთ და უკელატრისათვის ქართული შესატყვისების ძიებამ ზედმეტად არ უნდა გაგვიტაცოს (ილია: ‘ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს,

თუ არ აამაღლებს'). თარგმანმა რომ თვალსაწიერი გაგვიფართოს, მისი კითხვისას ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ის თეორიები, რომლებიც არაქართულ სამყაროში წარმოიშვა, ახალია არა მარტო აზრობრივად, არამედ უცხო და ახალია ენობრივი ინვენტარითაც.

იდენტობა (*identity*), ისევე როგორც ნაცია, ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და ზოგადად იგივეობას ნიშნავს. თუმცა ამ წიგნის გაცნობის შემდეგ მკითხველი თავადაც დარწმუნდება, რომ ეს სულაც არაა საკმარისი იდენტობის, როგორც სოციოლოგიური ტერმინის, განმარტებისათვის. ამიტომაც შევიკავე თავი ქართული ეკვივალენტით მისი შეცვლისაგან. ასევე უთარგმნელად ვტოვებ სმითის მიერ გამოყოფილი პარადიგმების სახელწოდებებს პრიმორდიალიზმს, პერენიალიზმს, მოდერნიზმს: *primordial* – თავდაპირველი, საწყისი, პირველქმნილი; *perennial* – მუდმივი, განგრძობადი, უჭირობი; *modern* – თანამედროვე, ახალი. აღნიშნულმა სიტყვებმა, როგორც ტერმინებმა, სრულიად სპეციფიკური შინაარსი შეიძინა, რასაც, ცხადია, ჩვეულებრივი ლექსიკონი, რომლიდანაც ზემოთ მოხმობილი განმარტებებია ამოკრებილი, ვერ ასახავს.

ასევე გადავწყვიტე არ მეცადა ქართული ეკვივალენტი გამომექმნა სიტყვისათვის *vernacular*, რომელიც ზემოდასახელებულთა მსგავსად თავად ინგლისურს ლათინურიდან აქვს ნასესხები. იგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება: მშობლიური, ხალხური, ადგილობრივი ენა, დიალექტი. ეთნიკური და ნაციონალური კვლევების კონტექსტში კერძაკულური ენა ნიშნავს ეთნიკური ერთობის ენას ნაციონალური სტანდარტიზებული ენის წარმოქმნამდე. ქართულში სოციალური განვითარების ამ ნიუანსის აღმინშვნელი ტერმინი აქამდე შემოტანილი არ ყოფილა. ამის მიზეზი, ვფიქრობ, ორია: ქართულმა, რომელიც თავიდანვე წარმოადგენდა ლიტურგიის ენას, ადრევე მიაღწია საქმაოდ მაღალი ხარისხის სტანდარტიზებას და ამიტომაც ქართულ ცნობიერებაში ენის განვითარების ისეთი მკაფიო ტეხნილი, როგორიც დასავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის ნაციონალურ სტანდარტიზებულ ენაზე გადასვლის ფაქტი იყო, არ დაფიქსირებულა, ყოველ შემთხვევაში, იგი აღარ გვახსოვს. ნაწილობრივ კი, აღნიშნული ვითარება აისხნება იმით, რომ თეორიული ხასიათის ეთნიკური და ნაციონალური კვლევები

ჩვენში თითქმის არ წარმოებს და ამ მიზეზით სპეციალური ტერმინის საჭიროებაც არ წარმოშობილა.

აგრეთვე არ ვთარგმნი სიტყვას *loyalty* – ლოიალობა, რომელიც ძველი ფრანგულიდან არის ინგლისურში შესული. იგი უკვე საქმაოდ გავრცელებულია ქართულ სინამდვილეში სოციოლოგიურ სპეციალურ ლიტერატურაში თუ კოველდღიურ სიტყვასხმარებაში. სამწუხაროდ, ხშირად არასწორადად გაგებული, როგორც რადაცისადმი, რბილი, ერთგვარად უპრიციპო, დამოკიდებულება. სინამდვილეში კი ლოიალობა ნიშნავს ერთგულებას, უმეტესად პოლიტიკური აზრით, ანუ ერთგულებას სახელმწიფო ინსტიტუციების და პოლიტიკური ხელისუფლების მიმართ.

ინგლისურ ენაში დამკვიდრებულ იმ უცხო სიტყვებს შორის, რომლებიც მე ქართულად ვთარგმნე, პირველ რიგში აუცილებელია განმარტების მიცემა *civic* მნიშვნელობისათვის. ეს ლათინურიდან მომდინარე სიტყვაა და, ზოგადი აზრით, ქალაქთან დაკავშირებულს ნიშნავს. მისი ქართული ზუსტი შესატყვისებია საქალაქო ან სამოქალაქო. ამ სიტყვებმა ქართველ მკითხველს შეიძლება ასოციაციები აღუძრას სპეციფიკურად ქალაქის მოწყობასთან დაკავშირებულ მოვლენებთან ან სამხედროებისაგან განსხვავებულ პიროვნებებთან. ამ უკანასკნელთ კი ინგლისური განსხვავებული ფორმით (*civil*) გადმოგვცემს. რამდენადაც წიგნში საუბარია ნაციონალიზმის ტიპზე, რომელიც ნაციას ინსტუტუციონალურ ლიტიალობაზე დაფუძნებულ მოქალაქეთა ერთობად განიხილავს (სისხლით ნათესაობის პრიციპით შეკრული ერთობისათვის დამახასიათებელი ეთნიკური ნაციონალიზმის საპირისპიროდ), ქართული თარგმანის რედაქტორთან საკითხის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, გადავწყვიტე *civic* გადმომედო როგორც მოქალაქეობრივი, თუმც ადრე, ზოგი კოლეგის მსგავსად, *civic* ნაციონალიზმთან კავშირში ვთარგმნიდი, როგორც სამოქალაქოს (ქართულში უკვე ფართოდ დამკვიდრებული სამოქალაქო საზოგადოების ანალოგით).

რაც შეეხება სიტყვას *public*, მე იგი ვთარგმნე სიტყვით საჯარო. ჩვეულებრივ იგი გვევლინება კულტურის მსაზღვრელად და კულტურის სახელმწიფოს მიერ მართულ სტანდარტიზებულ თანამედროვე ტიპს აღნიშნავს. მხოლოდ განათლებასთან წყვილში მაქს მე ეს სიტყვა ნათარგმნი, როგორც სახალხო, რადგან ქართული სინამდვილისათვის

ტერმინ *სახალხო* განათლების გამოყენებას საქმაოდ მყარი ტრადიცია აქვს. სხვა შემთხვევებში *სახალხო* ან *ხალხური* წინამდებარე თარგმანში შეესატყვისება სიტყვას *popular*. ამ ლათინურიდან მომდინარე სიტყვას ინგლისურში ქართულისათვის დამახასიათებელი დადებითი კონტაცია (ფართოდ ცნობილობა და მიღებულობა) არ გააჩნია. იგი ხალხში გავრცელებულობაზე მიუთითებს, რაც გარკვეულ კონტექსტებში ნიშნავს, რომ საქმე ეხება არა მაღალ, ელიტარულ კულტურას, არამედ მასობრივი მოხმარების, და ამიტომ მდარე კულტურის ტიპს.

ქართულ პოლიტიკურ და სოციოლოგიურ ლექსიკაში დამკვიდრებულია სიტყვა თვითგამორკვევა. მისი ეკვივალენტი ინგლისურ ენაში არის *self-determination*. მაგრამ სმითი ადამიანთა ერთობებზე მარტო მათ მიერ პოლიტიკური ფორმის მიღების შემთხვევაში არ ლაპარაკობს, ხშირად მხედველობაში კულტურული ასპექტები აქვს და ამიტომ თვითგამორკვევის სემანტიკური გელს არაპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვების მთელ სპექტრს იყენებს. ბუნებრივია, მე შევეცადე არ გამედარიბებინა დედნის აზრი, რის გამოც თვითგამორკვევის გვერდით გამოვიყენე ისეთ სიტყვები, როგორიც არის თვითგამოხატვა, თვითგანხაზრა, თვითცნობიერება, თვითცნობა. ყველა ეს სიტყვა კომპოზიტია და მის პირველ ნაწილს თვითი წარმოადგენს. მართალია, ქართულში ეს სიტყვა ბოლო დრომდე ცალკე არ იხმარებოდა (თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ შემთხვევებს), მაგრამ ვფიქრობ, მისი დამკვიდრება ინგლისური *self* შესატყვისად აუცილებელია (თვითობა – *selfhood*). ტერმინი შეობა, რომელიც ზოგჯერ იმავე აზრით გამოიყენება, ასევე ხელოვნურია, თანაც ადამიანთა ერთობასთან მიმართებაში აშკარად არაზუსტიც, რომ ადარაფერი ვთქვათ, იმაზე, რომ მას ერთგვარი ყოველდღიური ენის ელიტერიც დაკრავს. ეს წიგნი კი მეცნიერულია და, შესაბამისად, მისი ქართული თარგმანის ენას ვფიქრობ, უნდა ეტყობოდეს განსხვავებულობა ყოველდღიური ქართულისაგან.

დასავლეთში ეთნიკური და ნაციონალური კვლევების გაინტენსიურება უმთავრესი ფენომენების უფრო ნიუანსური წედომის საშუალებას იძლევა. ამიტომ მეცნიერების აღნიშნული სფეროსათვის უცხო არაა ახალ ტერმინთა შემოგება, მკელი სიტყვებისათვის ახალი შინაარსის მინიჭება, თავისებური სამეცნიერო ჟარგონის გაჩენა და ა.შ. სასურველია,

ეს ქართველმა მკითხველმაც იგრძნოს. ზოგიერთი, ერთი შეხედვით, არაბუნებრივი თუ მოულოდნელი სიტყვის თარგმანში გამოყენებაც ამით არის განპირობებული. კერძოდ, მკითხველი გადააწყდება ქართულისათვის დღემდე უცნობ სიტყვას ნაციალურულა (nationhood). ეთნიკური და ნაციონალური კვლევების სფეროში მეცნიერული დისკურსის ქართულ ენაზე სრულყოფილად წარმოდგენისათვის ამ ტერმინის გამოყენებაც აუცილებელად მეჩვენება.

ამავე მოსახრებით, ე.ი. ქართული სამეცნიერო ენის გამდიდრების სურვილით, კელმძღვანელობდი, როცა ფრაზაში *core concept* სიტყვას *core* აზრობრივი ეკვივალენტი კი არ გამოვუძებნე, არამედ ზუსტად ვთარგმნე, როგორც ბირთვი, რის შედეგად მივიღეთ კომპოზიტი ბირთვი-ცნება, რომელიც, ვფიქრობ, თეორიული მეცნიერული აზრის გადმოცემისათვის ძალზე მოსახრენებელია.

მკითხველი შეხვდება არაერთ მოულოდნელ ფრაზას, რომელიც, ერთი შეხედვით, არასრულყოფილი თარგმნის შედეგად შეიძლება მოეჩვენოს. უფრო დაკვირვებით წაკითხვის შემდეგ კი, რა თქმა უნდა, კველაფერი გასაგები გახდება. მაგრამ მე მაინც თავიდანვე შევეცდები სიცხადის შეტანას ზოგიერთ ახალ ტერმინთან დაკავშირებით. აგრარულ-წიგნიერი (*agro-literary*) ნაციონალიზმის ცნობილი მკვლევრის გელნერის მიერ შემოტანილი ცნებაა. იგი პრეინდუსტრიული საზოგადოების კულტურაზე მიუთითებს. თვითოვივეობრივი (*self-same*) ერთობა კი იმ დებატების ანარეკლია, რომელიც ერთი და იმავე სახელის მატარებელი ერთობების შინაგანი არსის ცვლილება-უცვლელობის თაობაზე მიმდინარეობს. სწორედ ამ საკითხისადმი განსხვავებული პოზიცია წარმოადგენს ნაციონალიზმისა და ნაციონის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორს. გადასადნობი ქვაბი (*melting pot*) იმ დოქტრინის აღმნიშვნელი ხატოვანი გამოთქმაა, რომლის მიხედვითაც, ამერიკული იდენტობა ამერიკაში მცხოვრები ეთნიკური და ნაციონალური ერთობების შერწყმით უნდა ჩამოყალიბებულიყო. წიგნში ნახავთ სიტყვას *aspirant community*, რომელიც მე ჩვენში არსებული რეალიების გათვალისწინებით მაძიებელ ერთობად ვთარგმნე. აქ ის ფაქტია აქცენტირებული, რომ ადამიანთა ერთობები ნაციის სტატუსის მაძიებელი არიან.

იმისათვის, რომ მეგრძნობინებინა სმითის გადმოცემის და მსჯელობის თავისებური სტილი, შეგნებულად დავინარჩუნე

რამდენიმე, ქართულისათვის ერთგვარად ხელოვნური მომენტი. ასეთია, მაგალითად, ფენომენების არსობრივი დახასიათებისას მრავლობითის გამოყენება: ნაციური და ეთნიკური არის განხილვის საგანი და არა ნაცია და ეთნიკ. დავინარჩუნე, აგრეთვე, დედნისეული სტილი პარაგრაფების სათაურების ერთი ნაწილის არასრული კითხვითი ფრაზის სახით გაფორმებისა. ავტორი მკაფიოდ არ აყალიბებს ამ კითხვებს, ისინი თითქოს დაეჭვების ფიქრებია, და არა დასმული შეკითხვები. არცთუ იშვიათად, დედანში გვხდება გამოთქმები ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ ენებზე. მე ისინიც უცვლელად გადმოვიტან, როგორც ასევე ავტორის სტილის თავისებურებაზე მიმანიშნებელი ფაქტები. ვფიქრობ, მათი უმრავლესობა მკითხველისათვის სავსებით გასაგებია, თუ არადა, მათი შინაარსის გაგება შესაბამისი ლექსიკონების დახმარებით არავითარი სირთულე არ იქნება. რაც შეეხება საკუთარ სახელებს, მე მათთან დაკავშირებით ვცდილობდი დამეცვა ერთი პრინციპი: ისინი ინგლისურად გამოთქმის მიხედვით გადმომეცა, თუ ამაში არ მზღვდავდა უკვე დამკაიდრებული დაწერილობის ტრადიცია.

თარგმანზე მუშაობისას თავიანთი სასარგებლო რჩევებით დიდი დახმარება გამიშვიერ მარკ მალენმა და ლევან ჩხარტიშვილმა, რისთვისაც ორივეს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

მიუხედავად იმისა, რომ მეც და ქართული გამოცემის რედაქტორსაც ძალისხმევა არ დაგვიშურებია, რომ მკითხველს შინაარსობრივად ადეკვატური და სტილისტურად გამართული ტექსტი მიეღო, ცალკეული ხარვეზებისაგან ეს გამოცემა, რა თქმა უნდა, დაზღვეული ვერ იქნება. ყველა საქმიანი შენიშვნა დიდი მადლიერებით იქნება მიღებული.

### მარიამ ჩხარტიშვილი

## **Introduction for Georgian Edition**

As a country of ancient culture and traditions Georgia has always attracted the attention of western scholars. Modern Georgia is a subject of their interest as well. However the information one can find in the relevant literature is still scanty. The topics according to which historical descriptions or generalizations are usually arranged are sometimes disappointing for they ignore the theoretical achievements of modern social sciences. This prevents one from going deeper in perceiving the rich historical heritage of the country associated with the *Golden Fleece* and the *Lord Tunic* and modern Georgian state born as a result of the *Rose Revolution*. The reason for this undoubtedly lies in the long isolation of Georgian academics from western colleagues, in the fact that during the many years of Marxian social science, they practically had no alternative.

When in the last year Professor Mary Chkhartishvili approached to me concerning the translation of my books into Georgian I chose for this purpose two of my recent publications: *Nationalism. Theory, Ideology, History* and *The Nation in History. Historiographical Debates about Ethnicity and Nationalism*. The first of these is a present volume. This book aims to provide a short introduction to the concept of nationalism. My purpose throughout is twofold: in the first place, to outline the key debates in the field as clearly as possible, and, second, to offer my own ethno-symbolic account.

I should like to record my gratitude to Professor Mary Chkhartishvili for her effort in translating my book. My thanks also to the Director of the International Center for Georgian Language, Mrs. Rusudan Amirejibi-Mullen, who being a professional linguist took the trouble of editing the Georgian text.

I was told that the present publication is designed as a gift for the participants at the conference on *National and Religious Identities*. I salute them and would be indeed very happy if the translation will help Georgian academics and students in their professional activities.

**Anthony D. Smith**

## შესავალი ქართული გამოცემისათვის

საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, ყოველთვის იპყრობდა დასავლელი მეცნიერების ყურადღებას. თანამედროვე საქართველოც მათი ინტერესის საგანს წარმოადგენს. თუმცა ინფორმაცია, რომლის მოძიებაც შეიძლება შესაბამის ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ძალზედ მწირია. თემები, რომელთა გარშემოც, ჩვეულებრივ, თავს იყრის ისტორიული აღწერილობანი თუ განზოგადებანი ზოგჯერ იმედგაცრუებას იწვევს, რადგანაც მათში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სოციალური მეცნიერების თეორიული მიღწევები. ყოველივე ეს ხელს უშდის იმ ქვეყნის უმდიდრესი ისტორიული მემკვიდრეობის ლრმა წვდომას, რომელიც ოქროს ხაწმისთან, უცლის კართაძ და კარდების რევოლუციაში ნაშობ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოსთან ასოცირდება. ამის მიზეზი, უეჭველია, დასავლელ კოლეგათაგან ქართველი მეცნიერების ხანგრძლივი იზოლაცია, ის ფაქტია, რომ მრავალი წლის განმავლობაში მათთვის არ არსებობდა მარქსისტული სოციალური მეცნიერების რაიმე აღტერნატივი.

როცა გასულ წელს პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა მომმართა ჩემი წიგნების ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით, ამ მიზნისათვის ორი ბოლოდროინდელი პუბლიკაცია შევურჩი: ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია და ნაცია ისტორიაში. ისტორიოგრაფიული დებატები ეთნიურობისა და ნაციონალიზმის შესახებ. წინამდებარე ტომა პირველი მათგანია და მიზნად ისახავს ნაციონალიზმის კონცეფციის მოკლე მიმოხილვას. მე ორგაზო ამოცანა დავისახე: პირველი, შეძლებისდაგვარად, სრულად გადმოვცე ამ დარგში მიმდინარე კამათის ძირითადი არსი; და მეორე, მკითხველს საკუთარი ეთნოსიმბოლისტური თვალსაზრისი შევთვავზო.

მადლიერება მინდა გამოვხატო პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილისადმი წიგნის თარგმანზე გაწეული ძალისხმევისათვის. აგრუთვე მადლობა მინდა გადაეცებადო ქართული ენის საერთაშორისო ცენტრის დირექტორს ქალბატონ რუსუდან ამირეჯიბ-მალენს, რომელმაც, როგორც პროფესიონალმა ლინგგისტმა, თავს იდო ქართული ტექსტის რედაქტირება.

როგორც შევტევე, ეს კუბლიკაცია კონფერენციის ურთვეული და სარწმუნოებრივი იდენტობა მონაწილეობა საჩუქრად არის გამიზნული. მე მივესალმები მათ და ნამდვილად ბედნიერი ვიქენები, თუ ეს თარგმანი ქართველ მეცნიერებსა და სტუდენტებს მათ პროფესიულ საქმიანობაში წაადგება.

ენტონი დ. სმითი

## შინაარსი

---

	<i>წინახიზუგაობა</i>	18
	<i>შესავალი</i>	21
<b>1</b>	<b>ცნებები</b>	<b>26</b>
	‘ნაციონალიზმის’ მნიშვნელობები	26
	განმარტებები	31
<b>2</b>	<b>იდეოლოგიები</b>	<b>46</b>
	ფუნდამენტური იდეალები	49
	ბირთვი-ცნებები	55
	ნაციონალიზმი, როგორც კულტურა და რელიგია	62
	ვოლუნტარიზმი და ორგანიციზმი	65
	‘ეთნიკური’ და ‘მოქალაქეობრივი’ ნაციონალიზმები	69
<b>3</b>	<b>პარადიგმები</b>	<b>74</b>
	მოდერნიზმი	76
	პერენიალიზმი	81
	პრიმორდიალიზმი	84
	ეთნოსიმბოლიზმი	91
	დასკვნა	96
<b>4</b>	<b>თეორიები</b>	<b>98</b>
	იდეოლოგია და ინდუსტრიალიზმი	98
	გონება და ემოცია	106
	პოლიტიკა და კულტურა	113
	კონსტრუირება და რეინტერპრეტაცია	119
	დასკვნა	129

<b>5</b>	<b>ისტორიანი</b>	<b>130</b>
	‘დიდი ნაციები’, პატარა ეთნიკური	131
	ნაციები ნაციონალიზმამდე	136
	ნაციები ანტიკურ ეპოქაში?	148
	ნაციები ისტორიაში: ალტერნატიული ოვალსაზრისი	154
	დასკვნა	167
<b>6</b>	<b>პერსპექტივები</b>	<b>170</b>
	მზარდი ნაციონალიზმი	170
	ნაცია-სახელმწიფოს დასასრული?	173
	პიძრიდული იდენტობანი?	178
	ნაციონალიზმის გაქრობა?	182
	მომხმარებელი საზოგადოება	184
	გლობალური კულტურა?	187
	ინტერნაციონალიზებადი ნაციონალიზმი	190
	არათანაბარი ეთნოისტორიები	194
	საკრალური საფუძვლები	197
	დასკვნა	201
	<i>შენიშვნები</i>	203
	<i>დამოწმებანი</i>	224

## წინასიტყვაობა

---

ეს წიგნი ნაციონალიზმის ცნების განმარტების მოკლე შესავალს წარმოადგენს. იგი მიზნად ისახავს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მკითხველს ამ საკითხის გარშემო არსებული დიდი სამეცნიერო ლიტერატურის მიგვარი კრიტიკული სინთეზი შესთავაზოს, რომლის ფოკუსშიც მოქცეულია მხოლოდ თეორიული ნაშრომები, და არა ემპირიული გამოკვლევების მთელი კორპუსი. ჩემი ძირითადი ამოცანაა ნაციონალიზმის ცნების სხვადასხვა თეორიული, იდეოლოგიური და ისტორიული ასპექტი და ამ სფეროში საკითხის განმარტებების ძირითადი პარადიგმები განვიხილო.

ეს უცილობლად გულისხმობს მომდევნო თავებში იდეოლოგიად, მოძრაობად და სიმბოლურ ენად გაგებული ‘ნაციონალიზმიდან’ უურადდების გადატანას მისი მიმართების ობიექტისაკენ – ‘ნაციოსაკენ’, რომელიც საკამათო ცნებაა და გაიაზრება, როგორც ერთობის ფორმა და ინსტიტუციონალური ქცევა. პრაქტიკაში ეს ორი კონცეფცია ჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, და, ჩემი ღრმა რწმენით, თავიდან უნდა ავიცილოთ მათი შერწყმა, ვინაიდან შესაძლებელად მიმაჩნია განვასხვავოთ ნაციის კატეგორიის სხვადასხვა ფორმა ნაციონალიზმის იდეოლოგიის გამოჩენამდეც და ამ უკანასკნელის წარმოშობის არეალის მიღმაც.

მე არა მაქვს პრეტენზია ამგვარ მოკლე წიგნში რაიმე ამომწურავი განმარტება წარმოვადგინო. იმულებული გავხდი უგულებელმეყო და გამომტოვებინა ზოგიერთი სფერო. ისეთ საკითხებთან დაკავშირებული დებატებისათვის, როგორიცაა ლიტერალიზმი და ნაციონალიზმი, გენდერი და ნაცია, მკითხველს ვთხოვ შესაბამის დარგებში უკვე არსებულ ფართო ლიტერატურას მიმართოს, ხოლო ჩემი ზოგადი მსჯელობებისათვის ნაციონალიზმი და მოდერნიზმი იხილოს. გარდა ამისა, თუმცა წიგნის საერთო ორგანიზება და გადმოცემის სტილი ჩემი, როგორც ნაციებისა და ნაციონალიზმის თაობაზე მიმდინარე დებატების აქტიური

მონაწილის, შეხედულებებს ასახავს, ამ დებატების მიმართულებათა აღწერისას, განსაკუთრებით მეოთხე თავში, ჩემი უპირველესი საზრუნავი იყო, რაც შეიძლება, ნაკლები ადგილი დამეტმო საგანზე საქუთარი შეხედულებებისათვის. მიუხედავად ამისა, მეხუთე თავში მაინც შევეცადე ნაციის ალტერნატიული ისტორიის მონახაზი მომეცა. იმედი მაქვს ერთგვარი წარმოდგენა შევქმენი იმ ვნებათადელვასა და სირთულებზე, რაც გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ სფეროში მიმდინარე დებატებს ახლდა თან, და ამავე დროს შევძელი წარმომედგინა მკაფიო ჩარჩო, რომელიც ნაციონალიზმის კვლევაში შეტანილი სხვადასხვა წვლილის იოლად აღქმას გახდიდა შესაძლებელს.

მსურს მადლობა მოვახსენო ჯონ ტომსონს და გამომცემლობა პოლიტის, რომლებმაც მოხვევს მეოთანამშრომლა სოციალური მეცნიერების საკვანძო ცნებების სერიასთან და სიიტა პერსუდს ტექსტის ხელნაწერის გადაბეჭდვაში გაწეული დახმარებისათვის. თუმცა ყოველ შეცდომასა და ხარევზე, ისევე როგორც აქ გამოთქმულ შეხედულებებზე, პასუხისმგებლობა მთლიანად მე მეკისრება.

**ენტონი დ. სმითი**

ლონდონის ეკონომიკის სკოლა

შენ დაასახლე ყოველი კაცი თავის ადგილას,  
სირიისა და ნუბიის ქვეყნებში, ეგვიპტის მიწაზე,  
შენ მოეც მათ ყოველივე, რაც საჭიროა:  
ყველას აქვს საკვები, და მისი სიცოცხლის დრო მითვლილი.  
მათი ენები განსხვავებულია მეტყველებისას,  
ისევე როგორც მათი ბუნება;  
რადგან შენ განასხვავე უცხო ხალხები.

...

ყველა შორეულ უცხო ქვეყანას შენვე მიანიჭე სიცოცხლე,  
რადგან შენ დაამკვიდრე ზეცაში ნილოსი,

...

ნილოსი ზეცაშია, ის უცხო ხალხებისთვისაა ...

(*პირველი ავტორი*)

## შესავალი

---

ეს მოქლე წიგნი მიზნად ისახავს ნაციონალიზმის ცნება იმ მკითხველებსა და სტუდენტებს წარმოუდგინოს, რომლებისთვისაც აღნიშნული სფერო უცნობია. წიგნი ფოქუსირებულია ნაციონალიზმზე, უპირველეს ყოვლისა, როგორც იდეოლოგიაზე, მაგრამ, აგრეთვე, როგორც სოციალურ მოძრაობასა და სიმბოლურ ენაზე, და მის მნიშვნელობებს, ნაირსახეობებს და წყაროებს იკვლევს. ეს გარდაუგლად მოითხოვს ნაციონალიზმთან დაკავშირებული ისეთი ცნებების განხილვასაც, როგორიცაა ნაცია, ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური სახელმწიფო. ამის შედეგია, რომ წინამდებარე ნაშრომის ჩარჩოები ფართო და უცილობლად დისციპლინათაშორისია: კერძოდ, იგი იყენებს ისეთ დისციპლინებს როგორებიცაა ისტორია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები და გარკვეულწილად ანთროპოლოგია; ამ უკანასკნელს იმდენად, რამდენადაც ეთნიკურობის მომიჯნავე სფეროც საჭიროებს გარკვეულ უურადღებას, რადგანაც ეთნიკური იდენტობანი და საზოგადოებანი ნაციებისა და ნაციონალიზმის ისტორიული და სოციალური ფონის დიდ ნაწილს შეადგენს, რისი ჩვენებაც, იმედია, შევძელი.

ამ თემის მნიშვნელოვნება არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს მასში, ვინც ოდნავ მაინც იცნობს 1989 წელს ბერლინის კედელის დაცვის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. მხოლოდ რამდენიმე იმ მრავალ საერთაშორისო კრიზისთაგან, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განვითარდა, არ შეიცავდა ეთნიკური სენტიმენტისა და ნაციონალისტური მისწრაფებების ძლიერ კომპონენტს, ზოგიერთი კი (მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი იუგოსლავია, კავკასია, ინდოეთის ნახევარკუნძული და ახლო აღმოსავლეთი) საერთოდაც ამგვარი გრძნობების და მისწრაფებების შედეგად გაჩადდა და კიდევ განისაზღვრა მათთვის. ესენი ყველაზე მწვავე და ძნელად დასამორჩილებელი,

შეწირულ სიცოცხლეთა თუ რესურსების თვალსაზრისით ყველაზე ძვირადდირებული კონფლიქტები აღმოჩნდა, ყველაზე შეუვალი მთავრობათა და სხვათა მცდელობებისათვის გაეთავისებინათ შესაბამისი მხარეების ინტერესები, და ყველაზე მეტად სმენადახშული მეგობრებისა და მტრების თხოვნების თუ მუქარების მიმართ.

მაგრამ საგანეთო სტატიების სათაურების, კონფლიქტებისა და ‘ცხელი’ ნაციონალიზმით გამოწვეული ძალადობის მათეული აღწერილობების გარდა, ჩვენ საერთაშორისო ურთიერთობების უფრო სტაბილურ და წყალობად მიჩნეულ სტრუქტურასაც ვხდებით, რომელიც აყალიბებს და მიმართულებას აძლევს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს. ეს არის ის, რაც ხშირად ‘ნაციათა მსოფლიოდ’ იწოდება. ამ ფრაზის ქვეშ იგულისხმება არა ნაციებისა და ნაცია-სახელმწიფოების არსობრივი კონკრეტულობა, არამედ, უმეტესწილად, პოლიტიკური რუპა და ინსტიტუციონალური და ემოციური ჩარჩო, რომლის შიგნით და რომლის მეშვეობითაც პიროვნებები, მოვლენები და ცვლილებათა უფრო ფართო პროცესები თავიანთ კვალს ტოვებენ და წვლილი შეაქვთ უკვე გამოკვეთილ გარდაქმნებზე, აგრძელებენ თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებას. მაიკლ ბილიგი (Billig 1995) ამ რუპას და ამ ჩარჩოს ყოველდღიურ, ‘ბანალურ’ ნაციონალიზმს უწოდებს, ნაციონალიზმს, რომელიც ბუნებრივად არის ჩაქსოვილი ცხოვრებასა და პოლიტიკაში, მარად ჩვენთან მყოფი და ოდნავ შესამჩნევი, იგი მსგავსია იმ ‘დროშისა, რომელიც არ ფრიალებს’.

მაგრამ ნაციონალიზმის მნიშვნელოვნება მხოლოდ პოლიტიკის სფეროთი არ შემოიფარგლება. მას კულტურული და ინტელექტუალური შინაარსიც აქვს, რადგან ჩვენს მსოფლიერებას და სიმბოლოთა სისტემას ‘ნაციათა მსოფლიო’, განსაზღვრავს. მე არ ვამტკიცებ, რომ ნაციონალიზმს რამდენადმე მნიშვნელოვანი ხარისხის ინტელექტუალური თანმიმდევრულობა ან თუნდაც ფილოსოფიასთან კავშირის ის ტრადიცია მოეპოვება, რომელიც ლიბერალიზმისა და სოციალიზმისათვისაა დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმს აკლდა დიდი მოაზროვნები, მან, ან უმჯობესია ვთქვათ, ნაციის ცნებამ, მრავალი გავლენიანი ინტელექტუალი მიზიდა: მწერლებმა, მსახიობებმა, კომპოზიტორებმა,

პედაგოგებმა – პერდერიდან, ბურკედან, რუსოდან მოყოლებული და დოსტოევსკით, სიბელიუსით, დიეგო რივერათი, იკალიოთ დამთავრებული – დიდი ენერგია შეალიეს საკუთარი ნაციების იდენტობებისა და სახეების აღმოჩენასა და წარმოჩენას.

ნაციისა და, შესაბამისად, ნაციონალიზმის კულტურული და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა უფრო ღრმაც კია. ნაციონალიზმის საყოველთაოობა, გავლენა, რომელიც აქვს მას დღეს სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანზე, ცხადყოფს მის უნარს აღანთოს ‘ხალხი’, გამოძახილი პქონდეს მათში და ისინი იმდაგვარად გარემოიცვას, როგორაც ეს ადრე მხოლოდ რელიგიას შეეძლო. ეს მიუთითებს ნაციონალიზმის ენასა და იდეოლოგიაში სიმბოლური ელემენტების როლის, ნაციის და მის მიმართ განხორცილებული ქმედებების შესახებ დისკურსის მორალური, რიტუალური თუ ემოციური ასკექტებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის აუცილებლობას. არ არის საკმარისი, რომ კონკრეტული ნაციონალური (ნაციონალისტური) დისკურსი გარკვეულ პოლიტიკურ აქტორებს ან სოციალურ ჯგუფებს დავუკავშიროთ, მაშინაც კი, როცა პირველს უკანასკნელთა სოციალური პოზიციდან და მათი მასასიათებლების მეშვეობით განვიხილავთ. ნაციონალიზმს თავისი საკუთარი წესები, რიტმი, მასსოვრობანი აქვს, რომელიც მათ მატარებელ პიროვნებათა ინტერესებს უფრო მეტადაც კი აყალიბებენ, ვიდრე თავად ისინი მოხაზავენ მათ კონტურებს, მოსავენ რა მათ თვალსაჩინო ‘ნაციონალისტური’ პოლიტიკური ფორმით და წარმართავენ რა მათ კარგად ნაცნობი ნაციონალური მიზნებისაკენ.

ნაციონალიზმის სწორედ ეს წესები, რიტმები და მასსოვრობანი არის ის, რასაც მე კონკრეტულად შევეხები ამ წიგნში. ისინი ქმნიან ხიდს ძალის პოლიტიკასა და სოციალურ ინტერესებს, გარე სამყაროსა და ნაციას, მისთვის დამახასიათებელი ცნებების, სიმბოლოების და ემოციების შიდა სამყაროს შორის. თავის მხრივ, ამგვარი მიდგომა განაპირობებს იმ მეთოდს, რომლის საშუალებითაც გაგებ დასაბუთებას ამ წიგნში. ეს არგუმენტაცია უტრიალებს ამ დარგის საფუძველშივე მდგრად უმთავრეს გაგებით ‘პარადიგმებს’ და იმ პოლიტიკურ, ისტორიოგრაფიულ და სოციოლოგიურ დებატებს, რომელთაც ისინი საწვავით ამარაგებენ. ეს დებატები დიფუზიური და ფართო დიაპაზონის

მქონეა. ისინი არათუ ნაციონალიზმის კონკურენტი იდეოლოგიებს, არამედ ცალკეული თეორიების შეჯახებასაც კი არ შეეხება. ისინი მოიცავენ უმთავრეს ტერმინებთან დაკავშირებულ უკიდურეს წინააღმდეგობებს, ნაციის სხვადასხვა, ურთიერთისაგან ძალიან დაშორებულ ისტორიებს და საპირისპირ შეხედულებებს ‘მერმისის საგანთა ფორმებზე’.

ამ დებატთაგან და განსხვავებათაგან თითოეული ცალკეული განხილვის დირსია. ისეთი საკანონო ცნებების და ტერმინების განმარტებათა მიმოხილვის შემდეგ, როგორებიცაა ‘ეთნიკ’, ‘ნაცია’, ‘ნაციონალიზმი’ და ‘ნაციონალური სახელმწიფო’, საკუთარ გზას გავიკვლევ ამ დანაღმულ ველზე და განვიხილავ ნაციონალიზმის იდეოლოგიას, უფრო ზუსტად, იდეოლოგიებს, განსაკუთრებით კი, ‘ორგანიცისტულ’ და ‘ვოლუნტარისტულ’ მიღებებს შორის მიმდინარე დებატებს და შევეხები საკამათო საკითხს ნაციონალიზმის ‘ბირთვი-დოქტრინის’ თაობაზე.

მესამე თავი საკითხების განმარტებას და ‘მოდერნისტულ’ და სხვა მიღებებს შორის ძირითად გამჟღვის მსჯელობას ეძღვნება. შესაბამისად, ამ თავში მიმოიხილება ახსნის ოთხი უმთავრესი პარადიგმის – მოდერნიზმის, პრიმორდიალიზმის, პერენიალიზმის და ეთნოსიმბოლიზმის ძირითადი თავისებურებანი, გამოიკვეთება მათი თეორიული ურთიერთმიმართება. მეოთხე თავი ამ დისკუსიას იმის ჩვენებით აგრძელებს, რომ დარგში მიმდინარე ძირითადი თეორიული დებატები ნაციებისა და ნაციონალიზმის წარმოშობისას იდეოლოგიის როლზე, რაციონალურ არჩევანზე, თანამედროვე სახელმწიფოსა და სოციალურ აგებულებაზე ამ ოთხი პარადიგმიდან მომდინარეობს და ავლენს მათ შესაბამის ძალასა და საზღვრულობას.

მეხუთე თავში ნაჩვენებია ‘ნაციის ისტორიების’ – ახალის, შუასაუკუნოებრივისა და ძველის – მიმართება კონკრეტული თეორიებისა და მათი უმთავრესი პარადიგმებისადმი. ამის შემდეგ მოხმობილია არგუმენტები ეთნოსიმბოლისტური ინტერპეტაციის სასარგებლოდ, რომელიც თანამედროვე ნაციებს წინარე ხანის ეთნიკულ მიებით, სიმბოლოებით, მასხვრობებით, დირექტულებებით და ტრადიციით აკავშირებს. ბოლო თავში განხილულია ნაციების და ნაციონალიზმის პერსპექტივა ეთნიკური აღორმინების, გლობალიზაციისა და მზარდად პიბრიდული იდენტობების ‘პოსტმოდერნისტულ’ ეპოქაში, და, აგრეთვე, ნაციებისა და

ნაციონალიზმის მომავლის პოსტმოდერნისტული და კონსტრუქტიონისტული გაგებების და პულტურული ეთნოსიმბოლისტური ინტერპრეტაციების სარგებლიანობა.

მთელ წიგნს ორი მიზანი გამსჭვალავს: პირველ რიგში, მე ვცდილობ ამ სფეროში მიმდინარე დებატები, შეძლებისდაგვარად, მკაფიოდ წარმოვადგინო. მეორეს მხრივ, მკითხველს ვთავაზობ საკუთარ ეთნოსიმბოლისტურ თვალსაზრისს. ცხადია, ეს არ არის იოლი ამოცანა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ მიღვომას მე განსხვავებული პოზიციებიდან ვაყალიბებ (და ვიცავ), გაცნობიერებული მაქს, რომ საჭიროა ამ შეზღუდულ მოცულობაში, რაც შეიძლება, მეტი ალტერნატიული თეორია და ინტერპრეტაცია მოვიცვა, უზრუნველვყო მკითხველი საჭირო ინფორმაციითა და არგუმენტებით იმისათვის, რათა მას საშუალება მიეცეს თავად განსაჯოს. ამისთვის კი ვცდილობ სრულყოფილად წარმოვაჩინო ნაციებისა და ნაციონალიზმის ფენომენებთან დაკავშირებული უთანხმოებანი მეცნიერთა შორის. ამ საკამათო სფეროში პრობლემების გადაჭრის და კონსენსუსის მიღწევის იოლი გზა არ არსებობს, მაგრამ დდესდევობით ჩვენ მეტ ინფორმაციას ვფლობთ კამათსა და უთანხმოებაში სხვადასხვა ფაქტორისა და განსაკუთრებული შემთხვევების როლის შესახებ. ეს კი საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად დავინახოთ სფერო და მისი პრობლემები და, შესაბამისად, მომავლის ამოცანებიც. ასეთი სულისკვეთებით ვთავაზობ წინამდებარე წიგნს ამ სფეროში დამწეულ.

## ცნებები

---

ერთადერთი თვალსაზრისი, რომელთან დაკავშირებითაც სპეციალისტებს შორის თანხმობა სუფექს, ის გახდავთ, რომ ‘ნაციონალიზმი’ საკმაოდ ახალი ცნებაა. მისი უადრესი, რამდენადმე მაინც სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობით ხმარება დაფიქსირებულია XVIII საუკუნის მიწურულს გერმანელი ფილოსოფოსის იოჰან გოტფრიდ ჰერდერისა და ფრანგი კონტრევოლუციონერი კლერიკალის აბატ ავგუსტინ დე ბარუელის შრომებში. ეს ცნება საკმაოდ იშვიათად იხმარებოდა XIX საუკუნეშიც. ‘ნაციონალიზმის’ (*nationalism*) პირველი გამოყენება ინგლისურად 1836 წელს, როგორც ჩანს, თეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა, კერძოდ, გარკვეული ნაციების დეთიორჩეულობის დოქტრინას აღნიშნავდა. აქედან მოყოლებული ჩნდება ტენდენცია მისი ნაციონალურ ეგოტიზმთან გაიგივებისა. მაგრამ, ჩვეულებრივ, უპირატესობა ნაციონალური თავდადების თუ ნაციონალური ინდივიდუალობის გამომხატველ სხვა ტერმინებს ენიჭებოდა, ისეთებს, როგორებიცაა ‘nationality’ და ‘nationalness’.<sup>1</sup>

### ‘ნაციონალიზმის’ მნიშვნელობები

რეალურად, მხოლოდ გასულ საუკუნეში შეიძინა ნაციონალიზმი მნიშვნელობათა ის დიაპაზონი, რომელთანაც ჩვენ დღეს მას ვაკავშირებთ. ნაციონალიზმის სიტყვასმარების უმნიშვნელოვანესი შემთხვევებია:

- (1) ნაციების ფორმირების ან ზრდის პროცესი;
- (2) ნაციისადმი კუთვნილების გრძნობა ან ცნობიერება;
- (3) ნაციის ენა და სიმბოლიზმი;
- (4) სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა ნაციის სახელით;

(5) ნაციის დოქტრინა ან იდეოლოგია, როგორც ზოგადი, ისე კერძო.

სიტყვახმარების ამ შემთხვევებს შორის პირველი – ნაციების ფორმირების პროცესი – ძალზე ზოგადია და ოვად მოიცავს იმ სპეციულური პროცესების რიგს, რომლებიც ნაციონალიზმის საგანს ხშირად ტერმინის სხვა, შედარებით ვიწრო, მნიშვნელობებით წარმოგვიდგენს. ამიტომაც უმჯობესია, რომ იგი შემდგომი მსჯელობისათვის შემოვინახოთ, როცა ტერმინი ‘ნაციას’ განვიხილავთ.

დანარჩენი ოთხი შემთხვევიდან მეორე – ნაციონალური ცნობიერება ან გრძნობა – სხვათაგან ფრთხილ გამოცალავებას საჭიროებს. ისინი, რასაკვირველია, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, მაგრამ სრულებითაც არ განაპირობებენ ერთომეორებს. ასე, მაგალითად, ადამიანს შეიძლება ნაციონალურობის დრმა შეგრძნება ჰქონდეს სიმბოლიზმის, ნაციის სახელით მოძრაობის ან იდეოლოგიის არარსებობის პირობებშიც. ეს იყო იმ რთული მდგრმარეობის მიზეზი, რომელშიც XVI საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა ნიკოლო მაკიაველი, როცა მისი მოწოდებანი იტალიულების მიმართ, რომ ჩრდილოელი ბარბაროსების წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ, რჩებოდა ხმად მღადადებლისა უდაბნოსა შინა. მეორე მხრივ, ჯგუფმა შეიძლება ნაციონალური ცნობიერების მაღალი დონე აჩვენოს, მაგრამ არ ჰქონდეს რაიმე ხელშესახები იდეოლოგია, რომ აღარაფერი ვთქვათ ნაციის სახელით წარმართულ პოლიტიკურ მოძრაობაზე. თუმცა, როგორც ჩანს, ჯგუფს მაინც უნდა მოეპოვებოდეს ნაციონალური სიმბოლოების და მითების გარკვეული რაოდენობა. კონტრასტი, ერთის მხრივ, ნაციონალიზმს, როგორც ორგანიზებულ იდეოლოგიურ მოძრაობასა და, მეორეს მხრივ, ნაციონალური კუთვნილების შედარებით დიფუზიურ გრძნობას შორის, საკმაოდ ნათელია და საშუალებას გვაძლევს ნაციონალური ცნობიერების თუ გრძნობის ცნებები ნაციონალიზმისაგან განცალკევებულად განვიხილოთ იმისდა მიუხედავად, რომ ხშირად პრაქტიკაში ისინი გარკმაული ხარისხით გადაფარავენ ურთიერთს.<sup>2</sup>

ამიტომ ტერმინით ნაციონალიზმი ამ წიგნში მისი გამოყენების უკანასკნელი სამი შემთხვევა აღინიშნება: ენა და სიმბოლიზმი, სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა და ნაციის იდეოლოგია. მაგრამ ამასთან ერთად, ის გარემოებაც უნდა

გავითვალისწინოთ, რომ თითოეული მათგანი მოცემული მოსახლეობის დიდ ნაწილში თუ არა, თავად ნაციონალისტებს შორის მაინც უქმედად, გარკვეული ღოზით ნაციონალური გრძნობის არსებობას გულისხმობს, რადგან იგი, როგორც წესი, მოსახლეობის უფრო აქტიური და ორგანიზებული სექტორების ბევრად უფრო დიდ, უფრო პასიურ და დანაწევრებულ სეგმენტებთან დაკავშირებას ემსახურება.

ნაციონალიზმი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, სხვებისაგან პრინციპულად არ განირჩევა ორგანიზების, მოქმედებების თუ ტექნიკის თვალსაზრისით, გარდა ერთი თავისებურებისა: ეს არის ყურადღების გამახვილება კულტურის სიმწიფესა და მის წარმოჩინებაზე. ნაციონალიზმის იდეოლოგია ნაციის კულტურაში ჩაღრმავებას მოითხოვს – ისტორიის ხელახალ აღმოჩენას, ადგილობრივი ენის აღორძინებას (ისეთი დისციპლინების მეშვეობით, როგორიცაა ფილოლოგია და ლექსიკოგრაფია), ლიტერატურის, განსაკუთრებით დრამისა და პოეზიის განვითარებას, ადგილობრივი ხელოვნებისა და ხელოსნობის, ასევე მუსიკის, მშობლიური ცეკვისა და ხალხური სიმღერების ადგენა-შენარჩუნებას. ამით აიხსნება, ის გარემოება, რომ ნაციონალისტურ მოძრაობებს სშირად თან სდევს კულტურული რენესანსები და კულტურული აქტიურობის ის მდიდარი მრავალფეროვნება, რომლის გამოწვევაც შეუძლია ნაციონალიზმს. ჩვეულებრივ, ნაციონალისტური მოძრაობა იწყება არა საპროტესტო შეკრებით, დეკლარაციით ან შეიარაღებული წინააღმდეგობით, არამედ ლიტერატურული საზოგადოებების შექმნით, ისტორიული კვლევით, მუსიკის ფესტივალებით და კულტურული უურნალებით – იმ სახის კულტურული ქმედებებით, რომელთაც მიროსლავ პროჩი აღმოსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმების აღმოცენებისა და გავრცელების პირველ, არსებით ფაზად მიიჩნევს. ამას შეგვიძლია დაგუმატოთ მრავალი მომდევნო ნაციონალიზმიც კოლონიურ აფრიკასა და აზიაში. შედეგად, ‘ჰუმანიტარი’ ინტელექტუალები – ისტორიკოსები და ფილოლოგები, მსახიობები და კომპოზიტორები, პოეტები, მწერლები და რეჟისორები დისპროპორციულად არიან წარმოდგენილნი ნაციონალისტურ მოძრაობებში და აღორძინებებში (Argyle 1969; Hroch 1985).<sup>3</sup>

მეტ ყურადღებას იმსახურებს ნაციონალიზმის ენა და სიმბოლიზმი და მათი გამომწვევი მიზეზები, რომელთა

განხილვასაც ამ წიგნში შეხვდებით. ნაციონალიზმის ენის ან დისკურსის სიმბოლიზმისგან განცალკევებით განხილვა მართებული არ იქნება, რადგანაც ისინი მეტად მჭიდროდ უკავშირდებიან ნაციონალიზმის იდეოლოგიას. მართლაც, ნაციონალიზმის საკვანძო ცნებათა თავისებური ენა აყალიბებს მისი ბირთვი-დოქტრინის შინაგან კომპონენტებსა და მისთვის დამახასიათებელ იდეოლოგიებს. ენას, ამ გაგებით, მე განვიხილავ მეორე თავში სათაურით იდეოლოგია.<sup>4</sup>

მეორეს მხრივ, ნაციონალიზმის სიმბოლიზმი დედამიწაზე იმდენად განმეორებადია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია მისი გამოცალკევება საკუთარი იდეოლოგიური ჩარჩოდან. ნაციონალური სიმბოლიზმი, რასაკვირველია, გამოირჩევა თავისი ობიექტის – ნაციის ყოვლისმომცველობით, ისევე როგორც, მისი დამახასიათებელი ნიშნების კონკრეტულობითა და ცხოველმყოფელობით. ყოველივე კოლექტივის თვითდასახელებით იწყება, რისი თვალსაჩინო მაგალითიც გახსლავთ უკანასკნელი პერიოდის დავა მაკედონიის სახელწოდების გარშემო. ნაციონალისტებისათვის, ისევე, როგორც ვერონას მოსისხლე ოჯახებისათვის, ვარდს სასიამოვნო სურნელი ვერ ექნებოდა, სხვა სახელი რომ რქმეოდა. თვითდასახელების შერჩევას ან წარსულიდან გადმოდებას შესაბამისი ჯგუფის წევრებში ნაციის განსაკუთრებულობის, პერიოზმის და ბედისწერის განცდის გადვიცების დანიშნულება აქვს. იგივე ვითარებაა ნაციონალურ დროშებთან და პიმნებთან დაკავშირებითაც: მათი ფერები, ფორმები და მოდელები, და მათი ლექსები და მუსიკა ნაციის განსაკუთრებულ თვისებებს წარმოაჩენს და მიზნად ისახავს მარტივი ფორმებისა და რიტმების საშუალებით მოცემულ მოსახლეობაში უნიკალური ისტორიის და/ან ბედისწერის ცხოველი შეგრძნების გამოწვევას. თითქმის უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ უცხო თვალისოფას მრავალ დროშას შორის სხვაობა მინიმალურია და, რომ პიმნთა ტექსტები თემატიკის ვიწრო დიაპაზონით ხასიათდება. სამაგიეროდ დიდი უურადღება ექცევა იმ მნიშვნელობათა პოტენციას, რომელიც ამგარი ნიშნების საშუალებით გადაეცემა ნაციის წევრებს. ის ფაქტი, რომ ყოველ ნაციას თავი მოაქვს საკუთარი დედაქალაქით, ნაციონალური კრებით, ნაციონალური ფულის მოჭრით, პასპორტებითა და საზღვრებით, ბრძოლებში დაღუპულთა მოსაგონარი ურთიერთმსგავსი ცერემონიებით, სამხედრო აღლუმების

რეკვიზიტებით და ნაციონალური ფიციოთ, ისევე როგორც  
მუსიკის, ხელოვნების, მეცნიერების ნაციონალური  
აკადემიებით, ნაციონალური მუზეუმებითა და ბიბლიოთებით,  
ნაციონალური ძეგლებით და ომში დაღუპულთა  
მემორიალებით, დღესასწაულებითა და უქმეებით თუ სხვ., და  
ის ფაქტიც, რომ ამგვარი სიმბოლოების ნაკლებობა დიდი  
ნაციონალური დეფიციტის ნიშანია, მიუთითებს: ნაციონალურმა  
სიმბოლიზმა საკუთარი არსებობა შეიძინა, რომელიც  
გლობალურ შედარებებს ეფუძნება და გამოკვეთს ნაციონალურ  
განსაკუთრებულობასა და ანალოგიურობას ვიზუალურ და  
სემანტიკურ ნაციათა მსოფლიოში'. ნაციონალურ სიმბოლოთა  
ერთობლიობა საზიარო მასსოფროების, მითებისა და  
ლირებულებულების მეშვეობით ნაციის შემოსაზღვრულობის  
ნათლად გამოხატვას, წარმოჩინებას და განმტკიცებას,  
აგრეთვე, მისი წევრების კონსოლიდაციას ემსახურება.<sup>5</sup>

ნაციონალურ სიმბოლიზმს ასევე ვერ განვიხილავთ  
ნაციონალიზმის იდეოლოგიის ცნებისაგან მოწყვეტით. ეს ჩვენი  
ტერმინის უკანასკნელ და უმთავრეს მნიშვნელობას  
წარმოადგენს. ნაციონალიზმის იდეოლოგია ძალას ანიჭებს და  
მიმართულებას აძლევს როგორც სიმბოლოებს, ისე  
მოძრაობებს. სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ამოცანები  
განისაზღვრება არა ქმედებებით ან პერსონალური  
შემადგენლობით, არამედ იდეოლოგიის ძირითადი იდეალებითა  
და პრინციპებით. ამგვარადვე, ნაციონალიზმისათვის  
დამახასიათებელი სიმბოლოები და ენა ფორმას იძენენ იმ  
როლის შესაბამისად, რომელსაც ისინი ნაციის იდეალების  
განვითარებასა თუ გამოღვიძებაში, ნაციონალური  
იდეოლოგიის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრისათვის  
ხელშეწყობაში ასრულებენ. მაშასადამე, ეს ის იდეოლოგიაა,  
რომელმაც ჩვენ უნდა უზრუნველგვეოს ტერმინის  
'ნაციონალიზმი' საწყისი სამუშაო განმარტებით, რამდენადაც  
მისი შინაარსი განისაზღვრება იმ იდეოლოგიებით, რომლებიც  
ნაციის საკუთარი ინტერესებისა და განზრახვების ცენტრში  
ათავსებენ და აცალკევებენ მას სხვა, მომიჯნავე  
იდეოლოგიებისაგან (იხ. Motyl 1999: თავი 5).

## განმარტებები

### ნაციონალიზმი

ნაციონალიზმის იდეოლოგია მრავალგვარად იყო განსაზღვრული, მაგრამ განმარტებათა უმრავლესობას ურთიერთგადაფარვა და საერთო თემები ახასიათებს. მთავარ თემას, რასაკვირველია, ნაციისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება წარმოადგენს. ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ნაციას თავისი იხტერესების ცენტრში აქცევს და ესწრაფვის ხელი შეუწყოს მის კეთილდღეობას. მაგრამ ეს განმარტება საკმაოდ ბუნდოვანია. განმარტებაში აუცილებელად უნდა გამოიკვეთოს და დაჯგუფდეს ის მთავარი ამოცანები, რომელთა სახელითაც ესწრაფვის ნაციონალიზმი ნაციის კეთილდღეობის ხელშეწყობას. ასეთი საზოგადო მიზანი სამია: ნაციონალური ავტონომიურობა, ნაციონალური ერთიანობა და ნაციონალური იდენტობა. ნაციონალისტის აზრით, ნაციის შენარჩუნებისთვის გარკვეულწილად სამიგე მათგანია აუცილებელი. აქედან გამომდინარე შევარჩიეთ ნაციონალიზმის შემდგენ სამუშაო განმარტება: ‘იდეოლოგიური მოძრაობა იმ მოსახლეობის ავტონომიურობის, ერთიანობის და იდენტობის მიღწევა-შენარჩუნებისათვის, რომელიც მისი ზოგიერთი წევრის მიერ განიხილება როგორც არსებული ან პოტენციური “ნაცია”’.

ეს არის სამუშაო განმარტება, დაფუძნებული თვითმარქვია ნაციონალისტთა წარმოსახვითი იდეალების საერთო ელემენტებზე და ამიტომაც იგი თავისი ხასიათით, ინდუქციურია. აშკარაა, რომ ის ამოკრებით, გამარტივებულად წარმოგვიდგენს ნაციონალისტთა იდეალებს, რის გამოც იძენს რადაც ზოგად, იდეალურ-ტიპურ ხასიათს. ეს განმარტება იდეოლოგიას მიზანმიმართულ მოძრაობასთან აკავშირებს, რადგან ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, სავალდებულოდ მიიჩნევს გარკვეული სახის ქმედებებს. მიუხედავად ამისა, მოძრაობის ამოცანებს იდეოლოგიის ბირთვი-ცნებები განსაზღვრავენ და მიჯნავენ მას სხვა სახის მოძრაობისაგან.

თუმცა, იდეოლოგიასა და მოძრაობას შორის მჭიდრო კავშირი არავითარ შემთხვევაში არ ავიწროებს ნაციონალიზმის ცნებას მხოლოდ დამოუკიდებლობის მაძიებელ მოძრაობებამდე. განმარტებაში ნახსენები სიტყვა “შენარჩუნებისათვის” აღიარებს ნაციონალიზმის მუდმივობას.

გავლენას იმ ნაციებში, რომლებიც დიდი ხანია არსებობენ და მათშიც, რომლებმაც ახლახან მიიღეს დამოუკიდებლობა. ამის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, როცა გვიხდება ნაციონალურ სახელმწიფოებში და მათ მთავრობებში ‘განახლებული ნაციონალიზმის’ ანალიზი ჩავატაროთ, როგორც ეს ჯონ ბრილიმ გააქვთა (Breuilly 1993).

ჩემს მიერ შემოთავაზებული განმარტება მოიცავს ‘ნაციის’ ცნებას, მაგრამ ის არ გულისხმობს, რომ ნაციები ‘მათ’ ნაციონალიზმებზე უწინარესად არსებობენ. სიტყვები ‘ან პოტენციური “ნაცია” ’ ხასს უსვამს ისეთ სიტუაცის, როდესაც აბსტრაქტული ‘ნაციის’ ზოგადი კონცეფციით შეიარაღებული ნაციონალისტთა მცირე ჯგუფი, ესწრაფვის ‘მიწაზე’ შექმნას კონკრეტული ნაცია. ჩვენ ხშირად კხვდებით ნაციონალიზმს ნაციების, მათი ნაციების, გარეშე, განსაკუთრებით, აფრიკისა და აზიის პოსტკოლონიურ ქვეყნებში. ასეთი ნაციონალიზმების მიერ დამოუკიდებლობის, ან უფრო ზოგადად, პოლიტიკურ მიზნების მიღწევა არაა შეზღუდული. ისინი, როგორც გნახავთ, კულტურისა და საზოგადოების მნიშვნელოვან სფეროებს მოიცავენ; კერძოდ, ნაციონალური იდენტობის იდეალი უკავშირდება კულტურულ საკითხებს, რომელთაც სხვა იდეოლოგიები უგულებელყოფენ. ყოველი ნაციონალიზმი მიზნად ისახავს მიაღწიოს ნაციონალური იდენტობის ამა თუ იმ დონეს, მაგრამ საბოლოოდ ისინი ყოველთვის უბრუნდებიან ნაციის იდეალს.<sup>6</sup>

## ეთნიკ და ნაცია

მაშ როგორდა განვმარტოთ ‘ნაციის’ ცნება? ეჭვგარეშეა, რომ ეს ყველაზე უფრო პრობლემატური და საჭიროოროტო ტერმინია ამ სფეროში. გახდებიან ისეთნიც, რომლებიც მის გარეშეც გავიდოდნენ ფონს. ჩარდაზ ტილი, ახასიათებს რა ნაციონალიზმს როგორც ‘პოლიტიკური ლექსიკონის ყველაზე გაუგმბარ და ტენდენციურ სტატიას’ (Tilly 1975: 6), ამჯობინებს ყურადღება სახელმწიფოზე გადაიტანოს, ე.ი. ცნებაზე, რომელიც თავადაც არ გახლავთ მარტივი. სულ ახლახან, როჯერს ბრუბეიკერმა ნაციის ცნების მატერიალიზების საფრთხეზე იმით მიგვითოთა, რომ ნაციებს შეხედა, როგორც ‘სუბსტანციურ, დროის გამოცდისადმი მედეგ, კოლექტივებს’. იგი ამტკიცებს, რომ ჩვენ უნდა ‘ვიფიქროთ ნაციონალიზმზე ნაციების გარეშე’ და შევხდოთ ‘ნაციებს

როგორც პრაქტიკის კატეგორიებს, nationhood, როგორც ინსტიტუციონირებად კულტურულ და პოლიტიკურ ფორმას, ხოლო nationness, როგორც გაუთვალისწინებელ ან შემთხვევით მოვლენას' (Brubaker 1996: 21).

ამ სიფრთხილეს ორგვარად შეიძლება გამოვეხმაუროთ. პირველი პასუხი ნაციონალისტური იდეოლოგიის წრის შიგნით მოქმედებს. ამ გაგებით, ნაციონალიზმი წინა პლანზე წამოსწევს ნაციის იდეით გამოწვეულ სახალხო სენტიმენტებს. ამ იდეოლოგიურ დისკურსში ნაცია განცდადი და ცოცხალი ერთიანობაა, ისაა, რაც მისი წევრებისაგან გარკვეული სახის ქმედებებს მოითხოვს. იგი ერთდროულად, ქცევითი კატეგორიაცაა და წარმოსახვითიც. აქედან გამომდინარე, ნაციის ‘სუბსტანციურობა’ და ‘დროში მედეგობა’ (ისევე როგორც სხვა სახის ერთობებში) განმეორებად შედეგებში არსებობს. ანალიტიკოსმა განცდილი რეალობა ნაციის გამოცალევებული ცნების მეშვეობით უნდა მიიღოს მხედველობაში, ისე რომ ამ უკანასკნელის მატერიალიზებას არ შეეცადოს.<sup>7</sup>

მეორე პასუხი უფრო ფართო პრობლემას უკავშირდება. თუკი ნაციის ცნება წინ უსწრებს ნაციონალიზმის იდეოლოგიას, მაშინ ჩვენ ადარ შეგვიძლია მისი, როგორც უბრალოდ ნაციონალისტური პრაქტიკის კატეგორიის, დასასიათება. ამასთანავე, თუ მსჯელობაში XVIII საუკუნის მიწურულს ნაციონალისტური იდეოლოგიების გამოწენამდე არსებულ ძველ ნაციებს ვეხებით, ნაციის ცნების ისეთი განმარტება დაგვჭირდება, რომელიც ნაციონალიზმის იდეოლოგიისაგან დამოკიდებულია, მაგრამ მას არ ეწინააღმდეგება. ეს არის ნაციონალიზმის კვლევის უდიდესი პრობლემა და გადაულიხავი მიჯნაც.<sup>8</sup>

ნაციას მრავალგვარად განმარტავენ, მათ შორის ‘ობიექტურ’ ფაქტორებზე, ენაზე, რელიგიასა და ტრადიციებზე, ტერიტორიასა და ინსტიტუციებზე დაყრდნობით, ისევე როგორც ‘სუბიექტურ’ ფაქტორებზე – დამოკიდებულებებზე, პერცეფციებზე, სენტიმენტებზე კურადღების გამახვილებით. ‘ობიექტური’ ფაქტორებია წამყვანი, მაგალითად, იოსებ სტალინისეულ განმარტებაში: ‘ნაცია არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, უკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა გულტურის ერთობა’ (Stalin 1973: 61). ნაციის ‘სუბიექტური’

განმარტების თვალსაჩინო მაგალითს ბენედიქტ ანდერსონთან ვხდებით: ‘ნაცია არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება, წარმოსახვითი ერთდროულად თვისებრივი შემოსაზღვრულობისა და სუვერენულობის თვალსაზრისით’ (Anderson 1991: 6).

ეჭვგარეშეა, რომ ეს განმარტებები ნაციის ცნების მნიშვნელოვანი ნიშნებს გამოყოფს, მაგრამ ორივეს შეიძლება შევედავოთ. რამდენადაც ‘ობიექტური’ განმარტებებს პირობითობა ახასიათებს, თითქმის ყოველთვის, და ზოგჯერ სრულიად განზრახულადაც, ისინი ნაციიბის სიიდან გამორიცხავენ ზოგიერთ ფართოდ აღიარებულ ნაციას. როგორც მაქს ვებერმა (Weber 1948) აჩვენა, ვერ ხერხდება წმინდა ‘ობიექტური’ კრიტერიუმების – ენა, რელიგია, ტერიტორია და ა.შ. – გავრცელება ზოგ ნაციაზე. ამის საპირისპიროდ ‘სუბიექტური’ დეფინიციები მეტისმეტად ზოგადად უდგებიან საკითხს. ნაციისა და ნაციონალური კუთხით გვიდების კრიტერიუმებად სენტიმენტების, ნებელობის, წარმოსახვის და პერცეფციის მიხნევით, ძნელი ხდება ნაციის გარჩევა სხვა სახის ერთობებისაგან, მაგალითად, ისეთებისაგან, როგორებიცაა რეგიონები, ტომები, ქალაქები სახელმწიფოები და იმპერიები, რომელთაც მსგავი სუბიექტური მახასიათებლები მოეპოვებათ.<sup>9</sup>

პრობლემა რომ ყველასათვის მისაღებად გადაიჭრას, უნდა შეირჩეს იმგვარი კრიტერიუმები, რომლებიც ობიექტურ საექტრსაც მოიცავს და სუბიექტურსაც. ამ სტრატეგიამ ბევრ საინტერესო და გამოსადევ განმარტებამდე მიგვიყვანა, თუმცა ვერ მივაღწიეთ სამეცნიერო კონსენსუსს. მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმეტესობა ორ საკითხში მაინც თანხმდება: ნაცია არ არის სახელმწიფო და ის არ არის ეთნიკური ერთობა.

ნაცია არ არის სახელმწიფო, რადგან სახელმწიფოს ცნება უბავშირდება ინსტიტუციონალურ ქმედებებს, მაშინ როცა ნაცია ერთობის ტიპს წარმოადგენს. სახელმწიფოს ცნება შეიძლება განიმარტოს, როგორც ავტონომიური ინსტიტუციების სიმრავლე, რომელიც გამოცალკევებულია სხვა ინსტიტუციებისაგან, და რომელიც ლეგიტიმურად ფლობს იძულებისა და ექსტრდიციის მონოპოლიას მოცემულ ტერიტორიაზე. ნაციის ცნებისათვის ეს ყველაფერი სრულიად უცხოა. ნაციები, როგორც კოქვით, აღიქმებიან როგორც ცოცხალი ერთობები, რომელთა წევრებსაც საზიარო აქვთ სამშობლო და კულტურა.

ნაცია არც ეთნიკური ერთობაა, რადგან, მიუხედავად ამ ფენომენთა მსგავსებისა (ორივე კოლექტიური კულტურული იდენტობებია), ეთნიკურ ერთობას, ჩვეულებრივ, არ ასასიათებს პოლიტიკური მიმართება და ბევრ შემთხვევაში მას არა აქვს საჯარო კულტურა და ტერიტორიული განზომილებაც კი არ გააჩნია, რადგანაც ეთნიკური ერთობისათვის არ არის აუცილებელი თავისი ისტორიული ტერიტორიის ფიზიკურად ფლობა, მაშინ, როდესაც ნაციას უნდა ეპავოს საკუთარი ტერიტორია იმდენ ხანს მაინც, რომ ნაციად ჩამოყალიბება, ნაციადყოფნა მოასწროს და აღიარება მოიპოვოს. გარდა ამისა, მას სჭირდება თვითგამორკვევა და საჯარო კულტურის განვითარება გარკვეულ ღონებდე. მეორეს მხრივ, როგორც ვნახეთ, ნაციისათვის აუცილებელი არ არის ჰქონდეს საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, არსებითია გარკვეული ზომის ავტონომიურობისაკენ სწრაფვა, რაც სამშობლო მიწის ფიზიკურ დაკავებას გულისხმობს.<sup>10</sup>

თუმცა პრაქტიკაში ნაციებსა და ეთნიკურ ერთობებს (ან, ფრანგული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ეთნიკებს) შორის არსებული გამყოფი ხაზი გამოკვეთილი არ არის, ჩვენ მაინც გვჭირდება მათ შორის აზრობრივი მიჯნის შენარჩუნება, როგორც ამას მართებულად ამტკიცებს დევიდ შილერი. ნაციის (ან მილერის ტერმინით ‘nationality’) მისეული განმარტება განმარტებათა სპექტრის სუბიექტური ბოლოსკენ იხრება (მისი გამოყენება შეიძლება ქალაქ-სახელმწიფოებისა და სატომო კონფედერაციების მიმართ), და ძალზედ აახლოებს ნაციის ცნებას ეთნიკური ერთობის ცნებასთან: ‘ნაცია არის საკუთარი განსხვავებული საჯარო კულტურის მქონე ერთობა, (1) ჩამოყალიბებული საზიარო რწმენითა და ურთიერთვალდებულებებით, (2) განფენილი ისტორიაში, (3) აქტიური თავისი ხასიათით, (4) დაკავშირებული გარკვეულ ტერიტორიასთან და (5) სხვა ერთობებთან’ (Miller 1995: 27). ეთნიკები ასევე საზიარო რწმენისა და ვალდებულებების საფუძველზე არიან ჩამოყალიბებულნი, აქვთ საზიარო მასსოვრობები და დროში განგრძობადობა, ჩაბმულნი არიან საერთო ქმედებებში, ჩვეულებრივ, უკავშირდებიან კონკრეტულ ტერიტორიას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ ფლობენ მას. უმთავრესი სხვაობა ისაა, რომ ეთნიკურ ერთობებს არა აქვთ საჯარო კულტურა. მიუხედავად ამისა, მილერის დეფინიცია ნაციის რამდენიმე მთავარ ატრიბუტს გამოკვეთს: კერძოდ, იმ ფაქტს, რომ ნაციები არიან ერთობები, რომ მათ აქვთ საზიარო

რწმენები ან მითები, რომ მათ აქვთ ისტორიები და რომ ისინი უკავშირდებიან გარკვეულ ტერიტორიებს. შეგვიძლია კი ამ დეფინიციის იმგვრი განვრცობა, რომ წინ წამოიწიოს როგორც დამთხვევები, ისე სხვაობები ნაციებსა და ეთნიკური შორის?

### ტაბულა 1.1 ეთნიკური და ნაციების ატრიბუტები

ეთნიკა	ნაცია
თვითდასახელება საერთო მითები წინაპრების შესახებ და ა.შ. საზიარო მასსოვრობა	თვითდასახელება საერთო მითები  საზიარო ისტორია
კულტურული ნიშანი კავშირი მშობლიურ მიწასთან სოლიდარობა (ელიტაში მაინც)	საერთო საჯარო კულტურა სამშობლოს ფლობა საერთო უფლება- მოვალეობანი ერთიანი ეკონომიკა

მე ნაციას განვსაზღვრავ როგორც ‘ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობას, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და უკულა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი’. თავის მხრივ, ეთნიკური შეიძლება განისაზღვროს, როგორც ‘ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელიც დაკავშირებულია სამშობლო მიწასთან, აქვს საერთო მითები წინაპრთა შესახებ, საზიარო მასსოვრობა, საზიარო კულტურის ერთი ან მეტი ელემენტი და გარკვეული ხარისხის სოლიდარობა ელიტის შიგნით მაინც’.<sup>11</sup>

ეს განმარტებები მივიღოთ სამუშაო განმარტებებად. ისინი, მომდინარეობენ რა ეთნიკური და ნაციების ელიტარული წევრების შესაბამისი რწმენებისა და სენტიმენტების სტილიზაციისაგან, ‘ნაციისა’ და ‘ეთნიკებ’ წმინდად იდეალური ტიპის რეალურად შემაჯამებელ აღწერას წარმოადგენენ და არ იძლევიან საერთო დენომინატორთა სიას. ამ მიზეზითაა, რომ ეს განმარტებები ავლენენ ტენდენციას გამოკვეთონ ნაციებისა და ეთნიკურის დამახასიათებელი ელემენტები და უმთავრესი განსხვავებანი მათ შორის. უფრო იოლად ეს შეიძლება გაკეთდეს ორივე სახის კოლექტიური

კულტურული იდენტობისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების გამოყოფით, იმგვარად, როგორც ეს ნაჩვენებია ტაბულაში 1.1. ის, რომ ეთნიკური ერთობები და ნაციები ერთი კატეგორიის ფენომენებია, კარგად ჩანს ტაბულის ზედა ნახევრში: ნაციებს ეთნიკებთან საზიარო ნიშნები აქვთ: კოლექტიური სახელი, საერთო მითები და საზიარო მასესოვრობა. მეორეს მხრივ, ჰქენდა ნახევარი აჩვენებს, რომ ნაციები ეთნიკებისაგან სხვაობენ ისეთი ატრიბუტებით, როგორიცაა წევრებისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი და ერთიანი ეკონომიკა. მეტიც, ნაციის იდეალურ ტიპს ახასიათებს სამშობლო მიწის დაკავება, მაშინ როცა ეთნიკურ ერთობები შეიძლება მხოლოდ სიმბოლურად უკავშირდებოდნენ თავიანთ ტერიტორიას. მსგავსად ამისა, სავალდებულო არაა, რომ ეთნიკებს პქნედეთ საჯარო კულტურა, საჭიროა მხოლოდ რამდენიმე საერთო კულტურული ელემენტის არსებობა. ეს შეიძლება იყოს ენა, რელიგია, ტრადიცია ან საზიარო ინსტიტუციები, მაშინ როცა საერთო საჯარო კულტურა ნაციების უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს. ამასთანვე კავშირში მესამე ატრიბუტიც: ეთნიკებში დადასტურებული მრავალფეროვანი ზეპირი ტრადიცია ნაციებში კოდიფიცირებული, სტანდარტიზებული ნაციონალური ისტორიით იცვლება.<sup>12</sup>

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნებოდა ამ სხვაობებში რაიმე საყოველთაო გვოლუციური თანმიმდევრობა დაგვენახა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თანამედროვე მსოფლიოში ვპოულობთ ეთნიკებს ნაციების გეერდით და მათ შიგნითაც. ის საკითხი მაინც ხომ უნდა დაისვას, თუ რამდენად შეიძლება პრემოდერნული ეპოქის ეთნიკებს შორის ზოგიერთის ნაციად მიჩნევა. ამას დაწვრილებით მოგვიანებით განვიხილავ. რაც ახლა შეიძლება ითქვას ის არის, რომ ეთნიკებს იდეალური ტიპი, თავისი შედარებით თავისუფალი ორგანიზაციით, უფრო ზოგადი ცნებაა, ხოლო ნაცია უფრო სპეციფიკურია; მაგრამ უფრო 'სპეციფიკურად' გადაქცევის შედეგად, ნაცია ხდება უფრო ინკლუზიური, უფრო კომპლექსური და ნაკლებად დაკავშირებული თავის წარმომშობ ეთნიკურ ბაზასთან იქაც კი, სადაც იგი ადრე არსებული ეთნიკებან არის წარმოშობილი. ამ პარადოქსის გასაღები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეთნიკურობასა და კულტურას, კულტურასა და პოლიტიკას შორის კავშირების ტრანსფორმაციაში მევს.

ყველაფერი ეს ძალზე აბსტრაქტული და ოეორიულია. იდეალური ტიპებიდან ემპირიულ შემთხვევებზე გადასცლისას ჩვენ მიახლოებებსა და გამონაკლისებს გადავაწყდებით. ამის კარგი მაგალითია ‘ნაცია-დიასპორა’. მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, ასეთი ფენომენი არ შეიძლება რომ არსებობდეს: ნაციას, როგორც დავინახეთ, უკავია სამშობლო, ეთნიკურისათვის მიწაზე მხოლოდ ოცნებაც საკმარისია. მაგრამ რა ვუკოთ იმ ერთობებს, რომელთაც პრეტენზია აქვთ ნაციებად იწოდებოდნენ, მაგრამ სომხებისა და ებრაელების მსგავსად, საუკუნეების მანძილზე დატრგული პქინდათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა? შეგვიძლია კი ჩვენ არგუმენტირებულად განვაცხადოთ, რომ ისინი აღარ არიან ნაციები, მაშინ, როცა მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ საჯარო რელიგიური კულტურები, საერთო უფლება-მოვალეობები და ახალი ეკონომიკური ნიშაც კი გამონახეს? ეს არის კითხვა, რომელიც ცალსახა პასუხის საშუალებას არ იძლევა და მიგვანიშნებს, რომ ეთნიკურისა და ნაციების გასარჩევად იდეალურ ტიპებს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ.<sup>13</sup>

გარდა ამისა, არსებობენ ‘პოლიეთნიკური ნაციებიც’, რომლებიც მოიცავენ ცალკეულ ეთნიკურებს, ამა თუ იმ მიზეზით ერთად შეკრებილთ, ან იძულებით ერთად მყოფთ, საერთო ისტორიის და პოლიტიკური მასესოვრობების მქონეთ. ბელგიაში, შვეიცარიასა და ესპანეთში ცალკეული ეთნიკური განაგრძოებები თანაარსებობას (ფედერალური) სახელმწიფოს შიგნით და მათ წევრებს პრეტენზია აქვთ, როგორც პერმო ეთნიკურ, ასევე საერთო-ნაციონალურ იდენტობაზე. შვეიცარიის შემთხვევაში, მაგალითად, ზოგიერთი ური ცდილობდა ბერნისაგან კანტონური დამოუკიდებლობისათვის მიეღწია, მაგრამ მათი მისწრაფებანი თვალსაჩინოდ იყო ზღვარდებული შვეიცარული ‘ნაციონალური იდენტობით’ და პოლიტიკური თვალსაწიერით. საზოგადოდ, შვეიცარიას შეუძლია იამაყოს გარკვეული საჯარო კულტურით, შემოსაზღვრული სამშობლო მიწით, ერთიანი ეკონომიკითა და მოქალაქეთათვის საერთო უფლება-მოვალეობებით, მაშინ როცა თვით იტალიურენოვან და ფრანგულენოვან კანტონებსაც კი რაღაც აქვთ აღებული *Innenschweiz* დამფუძნებელი მითებიდან და ძველი კონფედერაციის (*Eidgenossenschaft*) ისტორიული მასესოვრობებიდან. უფრო რთულად დგას საკითხი ესპანეთსა და ბელგიაში არსებულ ეთნიკურთან – ბასკებთან, კატალონიელებთან, ფლამანდრიელებთან – დაკავშირებით,

რომლებიც ასევე წარმოადგენენ ნაციებს ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების თუ ნაციადყოფნისაკენ მისწრაფების მიხედვით. შესაძლოა მათი მიჩნევა ‘ნაციებად ნაციების შიგნით?’ ფლამანდრიელი და კატალონიელი ნაციები ბელგიელ და ესპანელ ნაციებში? თუ უფრო მართებული და მისაღები იქნება მათზე ვისაუბროთ როგორც ნაციებზე ‘ნაციონალური სახელმწიფოს’ შიგნით? (იხ. Petersen 1975; Steinberg 1976).

### **ნაციონალური სახელმწიფო**

ეს იმათი პოზიციაა, ვინც ნაციის ცნების მკაცრად ეთნიცისტურ დეფინიციას მოითხოვს. ამ შემთხვევის კარგი მაგალითია უოლკერ კონორის იდეებით სავსე ნაშრომი. მკვლევრის აზრით, ნაციის და ნაციონალიზმის ცნებები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფოსა და პატრიოტიზმის ცნებებისაგან. ამგვარად, ბელგიელ და ესპანურ ‘პატრიოტიზმზე’ მან შეიძლება ოქას, რომ ეს არის ლიიალობა უფრო დიდი ტერიტორიული სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუციებისადმი და იგი ფლამანდრიულ და კატალონურ ‘ეთნონაციონალიზმებს’ დაუპირისპიროს; ამ უკანასკნელს კი ავტორი განმარტავს როგორც წინაპრებთან დამაკავშირებელ ფსიქოლოგიურ ჯაჭვს, რომელიც საბოლოო ჯამში ნათესაური სენტიმენტებიდან წარმოდგება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საერთო წარმომავლობის მითი არ შეესაბამება (როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე) რეალურ, ბიოლოგიურ წარმომავლობას. ამგვარივე ლოგიკით, კონორი ბრიტანულ სახელმწიფო პატრიოტიზმს განიხილავს, როგორც ინგლისურ, შოტლანდიურ და უელსურ ეთნონაციონალიზმებთან თანაარსებულს (Connor 1994: 102, 202).

მიუხედავად იმისა, რომ ანალიზისას ამგვარი მკვეთრი გამიჯვნა გასათვალისწინებელია, მე მას მხარს ვერ დაგუჭრ. ავილოთ უკანასკნელი მაგალითი: ინგლისელებს, პრაქტიკულად, ყოველთვის უჭირთ ‘საკუთარი’ ინგლისური ეთნონაციონალიზმის გარჩევა ბრიტანული პატრიოტიზმისაგან, რომელსაც ისინი ასევე საკუთრად მიიჩნევენ. ეს არაა უბრალოდ იმპერიალისტური რეფლექსი. ეს უფრო იმას ასახავს, თუ როგორ განიცდებოდა XVIII და XIX საუკუნეებში ინგლისური ეთნიკური ნაციონალიზმის ‘ბუნებრივი’ გაგრძელება – ბრიტანული პატრიოტიზმი, და თუ როგორ განიხილებოდა ბრიტანელი ნაცია ინგლისელების მიერ და არა

მცირერიცხოვანი შოტლანდიულების ('ჩრდილოელი ბრიტების'), ისევე როგორც სხვა ნაციების მიერ, რომლებიც ერთიანდებოდნენ, სახლებოდნენ რა გაერთიანებულ სამეფოში, მიუხედავად ინგლისელთა დომინანტობის მიმართ საგრძნობი და განუწყვეტელი წინააღმდეგობისა. თუ საბოლოოდ მაინც გერ მოხერხდა ერთიანი ბრიტანელი ნაციის ჩამოყალიბება, შესუსტდება თუ არა ბრიტანული ნაციონალიზმის წინააღმდეგობა ბრიტანული პატრიოტიზმის მიმართ (კონკრიტული გაგებით, ისინი ურთიერთდაპირისპირებულია)؟ (Kearney 1990: თავები 7–8; Colley 1992: თავი 1).<sup>14</sup>

მსგავსი კონცეპტუალური პრობლემები ჩნდება ფრანგულ შემთხვევასთან დაკავშირებითაც, სადაც ინგლის ან, სულ მცირე, აკულტურიზაციის პროცესი უფრო შორსაც კი ჩანს წასული. ბრეტონელები, ბასკები, ელზასელები და კორსიკელებიც კი (უმცირესობის გამოკლებით) შესაძლოა არც კი ესწრაფვოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, თუმცა მათ მოძრაობათა პერიოდული გამოვლინებები თვითგამორკვევის გარკვეულ სურვილს წარმოაჩენს, ყოველ შემთხვევაში, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში. მაგრამ სადღა რჩება ადგილი ფრანგობისათვის? შესაძლებელია დომინანტური ფრანგული ეთნონაციონალიზმი გამიჯნულ იქნას ასევე ჰებემონური ფრანგული სახელმწიფო პატრიოტიზმისაგან? როგორ შეგვიძლია პრაქტიკულად ურთიერთისაგან განვაცალევოთ ფრანგი ნაცია და საფრაგეთი, ნაციონალური სახელმწიფო, როცა ფრანგული ნაციონალიზმის ამდენი ძირითადი სიმბოლო პოლიტიკურია? (იხ. Gildea 1994).

უეჭველია, რომ გავლენიანმა ფრანგულმა მაგალითმა სული შთაბერა სახელმწიფოსა და ნაციის გაერთიანების ტენდენციას სხვა კონტექსტებშიც და ხელი შეუწყო 'ნაცია-სახელმწიფოს' ცნების პოპულარიზაციას. ამ შედგენილ ტერმინთან დაკავშირებით ორი პრობლემაა. პირველი მის ორ კომპონენტს შორის ურთიერთობას შეეხება. ძალზე ხშირად თეორეტიკოსები სახელმწიფოს დომინანტურად, ხოლო ნაციის ერთგვარად უმცროს პარტნიორად ან მსაზღვრელად მიიჩნევენ. ნაციის დინამიკას კი მცირე ყურადღება ეთმობა. რაც შეეხება ნაციონალიზმს, ის ფსიქოლოგიურ, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თანმდევ, ეპიფენომენად იქცევა. მეორე პრობლემა ემპირიული ხასიათისაა: როგორც ამას წინათ უოლკერ კონორმა მიუთითა, პრაქტიკაში იშვიათია

მონოლითური ‘ნაცია-სახელმწიფო’, როცა სახელმწიფო და ნაცია ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს, როცა მოცემულ სახელმწიფოში ზუსტად ერთი ნაცია და ერთი სახელმწიფო მოცემული ნაციისათვის; მსოფლიო სახელმწიფოების თითქმის 90% პოლიეთნიკურია და მათგან დაახლოებით ნახევარი სერიოზულადაა დანაწევრებული ეთნიკურად (Connor 1972; Giddens 1985: 216–220).

გარკვეული ვითარებების აღსაწერად, იქნებ სჯობდეს, უფრო ნეიტრალური ტერმინის შერჩევა, ისეთის როგორიცაა, მაგალითად, ‘ნაციონალური სახელმწიფო’. ეს არის ‘ნაციონალიზმის პრინციპებით დეგიტიმური სახელმწიფო, რომლის წევრებს გარკვეულწილად ახასიათებთ ნაციონალური ერთიანობა და ინტეგრაცია (მაგრამ არა კულტურული პომოგენურობა)’. ნაციონალური ერთიანობისა და ინტეგრაციის ცვლადად მიჩნევით ეს დეფინიცია თავიდან იცილებს ‘ნაციონალური არაშესატყვისობის’ პრობლემას, კერძოდ იმ ფაქტს, რომ ნაციათა და სახელმწიფოთა საზღვრები მსოფლიოში ბევრგან არ ემთხვევა ერთმანეთს. იმავე თვალსაზრისით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ‘სახელმწიფო-ნაციებზე’, როცა პოლიეთნიკური სახელმწიფოები ნაციადყოფნისაკენ მიისწრაფებიან და ცდილობენ, რომ თავადაც ერთიან (მაგრამ არა პომოგენურ) ნაციებად გადაიქცნენ ურთიერთშეწყობისა და ინტეგრირების გზით. ასეთია სიტუაცია აფრიკისა და აზიის რამდენიმე სახელმწიფოში. ისინი შეიქმნენ კოლონიური ტერიტორიებისაგან და დაინარჩუნეს კოლონიური საზღვრები და ინსტიტუციები (ხშირად ლინგვა ურანუაც ადმინისტრაციული მიზნებისათვის).<sup>15</sup>

### ნაციონალური იდენტობა

‘ნაციონალური იდენტობა’ ბოლო ტერმინია ნაციონალურ ფენომენებს შორის, რომლის განხილვაც მინდა შემოგთავაზოთ. მან არცოუ დიდი ხნის წინ მოიპოვა პოპულარობა, შეცვალა რა ადრინდელი ტერმინები – ‘ნაციონალური სასიათი’, და მოგვიანო ტერმინი ‘ნაციონალური ცნობიერება’, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა XVIII, XIX საუკუნეებში და XX საუკუნის დასაწყისში. გაუგებარია, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ეს ცვლილება. დღევანდელი დიდი ინტერესი იდენტობისადმი შესაძლოა თანამედროვე ინდივიდუალიზმის კოვლისმომცველი ტენდენციის

შემადგენელი ნაწილი იყოს; შეიძლება ის არეკლავდეს ადამიანთა შეშფოთებასა და გაუცხოებას განუწყვეტლივ ფრაგმენტირებად სამყაროში (იხ. Kemilainen 1964; Bhabha 1990: თავი 16).

ამ სფეროში არსებული სხვა ტერმინების მსგავსად, ‘ნაციონალური იდენტობა’ აღნიშნავს ორივეს, როგორც ნაციონალიზმის იდეოლოგიის ცენტრალურ იდეალს, ასევე ანალიტიკურ ცნებას. ნაციონალისტურ იდეალს მომდევნო თავში დავუბრუნდები. ამჯერად კი ამ, დღეს ფართოდ გავრცელებული, ცნების სამუშაო განმარტება მინდა წარმოგადგინო: ‘ნაციონალური იდენტობა არის ნაციის დამახასიათებელი მემკვიდრეობის შემადგენელ დირექტულებათა, სიმბოლოთა, მასსოვრობათა, მითთა, ტრადიციათა სახეების კვლავწარმოება და რეინტერპრეტაცია და ამ სახეებთან და მემკვიდრეობასთან (მისი კულტურული ელემენტებითურთ) ინდივიდების მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია’.

ამ განმარტებისათვის ორგარი ურთიერთმიმართებაა გადამწყვეტი: პირველი – ანალიზის კოლექტიურ და ინდივიდუალურ დონეებს შორის, და მეორე – იდენტობის მუდმივობასა და ცვალებადობას შორის. ძალიან ხშირად ერთი კომპონენტი მეორის ხარჯზე წინ წამოიწევა და თუ ნაციონალური იდენტობის ცნების აზრის ჩაწვდომა გვსურს, უნდა შევინარჩუნოთ მათ შორის წონასწორობა.

**იდენტობის დონეები.** დღეს ბევრს საუბრობენ ეთნიკურ და ნაციონალურ იდენტობათა ‘სიტუაციურ’ ხასიათსა და თანამედროვე მსოფლიოში ‘შულტიიდენტობების’ მრავალრიცხოვნობაზე. ამ მოდური თვალსაზრისის მიხედვით, ჩვენი იდენტიფიცირება ხდება კოლექტივების მთელ მრავალფეროვნებასთან – ოჯახთან, სქესის კატეგორიასთან, რეგიონთან, პროფესიულ ჯგუფთან, პარტიასთან და ეთნიურთან. სიტუაციის მიხედვით, ძალიან იოლად შეგვიძლია ერთი იდენტობიდან მეორეში გადასვლა. ერთსა და იმავე დროს ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ცოლები ან ქმრები, ქრისტიანები ან მუსულმანები, სპეციალისტები ან მუშები, ისევე როგორც გარკვეული რეგიონების და ეთნიკური ერთიანობის წევრები. ასე რომ, თითოეულ ჩვენთაგანს მრავალგვარი იდენტობა აქვს, ვიწრო თჯახური წრით დაწყებული და ისეთი უფართოესი წრით დამთავრებული, როგორიცაა კაცობრიობა. ამას გარდა, თავისუფალ საზოგადოებაში ბევრი ამ იდენტობათაგანი

მზარდად სიმბოლური და შერჩევითი ხდება (იხ. Gans 1979; Okamura 1981; Hall 1992; Eriksen 1993).

მაგრამ ეს კოლექტიური იდენტობების მხოლოდ ინდივიდუალური წევრების პოზიციიდან დანახვაა. აღნიშნული იდენტობანი შეიძლება კულტურულ კოლექტივებად, ზოგჯერ კი ისეთ ერთიანობებად მივიჩნიოთ, რომლებიც ხასიათდებან საზიარო მახსოვრობებით და მითებით, საერთო ლირებულებებით და სიმბოლოებით. ანალიზისას ხშირად ხდება ამ ორი დონის – ინდივიდუალურისა და კოლექტიურის, აღრევა. ამიტომ საჭიროა მათი გამიჯვნა. თუმცა კულტურული კოლექტივები და ერთობები ინდივიდუალური წევრებისაგან შედგება, ისინი საზიარო თვისებების მქონე ერთად მცხოვრებ წევრთა უბრალო ნაკრებად არ უნდა მივიჩნიოთ. ამ კოლექტიურ იდენტობაში ძალზე ბევრი საზიარო დირებულება, ნორმა, მახსოვრობა და სიმბოლოა. ამავე დროს მოცემული ერთობისა თუ კოლექტიური იდენტობის ნიშნების ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია წინასწარ განვსაზღვროთ ინდივიდუალური წევრების ქმედებანი და განწყობანი; ამგვარ ანალიზს რაიმეს თქმა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ წევრების განწყობების და აკრძალვების კონტექსტის შესახებ. ამიტომაც გვესახება მნიშვნელოვნად კოლექტიური იდენტობის ანალიზის ეს ორი დონე ერთმანეთისაგან განცალკევებულად დავინარჩუნოთ (იხ. Scheuch 1966).

ძალზე თვალსაჩინოა ის შემთხვევა, როცა კოლექტიური იდენტობა კულტურულ ელემენტებს ეფუძნება, როგორც ხდება კასტების, ეთნიკური ერთობების, რელიგიური დენომინაციებისა და ნაციების შემთხვევაში. კოლექტიური იდენტობის ისეთი ტიპები, როგორებიცაა კლასები და რეგიონები, როგორც ინტერესთა ჯგუფები ისე მოქმედებები და ამის გამო მიზნის მიღწევის შემდგომ იოლად ქრებიან; კულტურული კოლექტივები კი სტაბილურია, მათი შემაღებელი ბაზისური კულტურული ელემენტები – მახსოვრობანი, ლირებულებანი, სიმბოლოები, მითები და ტრადიციები – მეტ მედეგობასა და ურთიერთბმის უნარს ავლენენ; ისინი კოლექტიური მუდმივობისა და განსაკუთრებულობის განმეორებად ელემენტებს წარმოადგენენ. ეს ელემენტები ხორციელდება ისეთ დირებულებებში, როგორებიცაა კოლექტიური ხსოვნა გმირობებსა და სახელოვან წინაპრებზე, დირსებასა და სამართლიანობაზე; საკრალური სიმბოლოები, საკვები, ტანისამოსი და ემბლემები; მითები წარმოშობაზე,

განთავისუფლებაზე, რჩეულობაზე; ტრადიციები და წეს-ნებულებები, რიტუალები და გენეალოგია. ამ შემთხვევებში კოლექტიური კულტურული ელემენტები განსაკუთრებულად გამოკვეთილია, დროში გამძლეა და ინდივიდიუალური იდენტიფიკაციის საკითხებისაგან დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვს.<sup>16</sup>

ამით აიხსნება ჩემს მიერ შემოთავაზებული სამუშაო განმარტების ორი ნაწილის არსებობაც: პირველი მათგანი კულტურული განგრძობადობის და ცვალებადობის მექანიზმებს კოლექტიურ დონეზე განსაზღვრავს, მეორე კი თავის ფოკუსში ინდივიდუალური წევრის კოლექტივთან ურთიერთობას აქცევს.

**განგრძობადობა და ცვალებადობა.** ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნას, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობანი ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული ან სტატიკური არიან. ეს ძალიან შორსაა სინამდვილისაგან. მართალია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქს ქმნილებებთან, რომლებიც დროის ხანგრძლივ მონაკვეთში არსებობენ, მაგრამ არ არიან მუდმივნი. კულტურული იდენტობანი და ერთობები ისევე ექვემდებარებიან ცვლილებას, როგორც ყველაფერი სხვა და ეს ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც თანდათანობითი და კუმულაციური, ასევე უეცარი და არაგანგრძობადი. კულტურულ იდენტობათა ერთადერთ განმასხვავებელს დანარჩენი სახის კოლექტიური იდენტობებისაგან კულტურულ ცვლილებათა რიტმების საზოგადოდ უფრო დაბალი სიჩქარე და მეტი ხანგრძლივობა წარმოადგენს, რაც მოითხოვს კიდეც *longue durée* ანალიზის მეთოდებს.<sup>17</sup>

ამიტომაცაა, რომ შემოთავაზებული განმარტებები ნაციის განსაკუთრებული მემკვიდრეობის შემადგენელი დირექტულებების – მასსიურობათა, სიმბოლოთა, მითებისა და ტრადიციების სახეთა – ‘რეინტერპრეტაციის’ პროცესებს მიემართება. დღისათვის ჩვენთვის ნაწილობრივ ცნობილია, თუ როგორ იცვლება ნაციონალური იდენტობის კომპონენტები. მაგრამ ეს არის პროცესი, რომელსაც, როგორც გარეშე მოვლენას თუ კოლექტიური ტრადიციების ახლებური გაგების ენერგიული წახალისების მიზნით განხორციელებულ ჯგუფშიდა გადაწყობას, ყველა თაობაში აქვს ადგილი. ‘ეთნოსიმბოლისტური რეორგანიზაციის’ ეს პროცესი მოიცავს ადრე არსებული ლირებულებების, სიმბოლოების,

მახსოვრობების და მათ მსგავსთა ხელახალ სელექციას, კომბინაციას და კოდიფიკაციას, ისევე როგორც ყოველი თაობის მიერ ახალი კულტურული კლემენტების შემატებას. ამგვარად, ნაციონალური იდენტობის ბრძოლების, განთავისუფლებისა და თავგანწირვის ფაქტებით აღსაგეს ჰეროიკული' ხედვა (რაც ტიპურია ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული ნაციებისა ან 'სახელმწიფო-ნაციებისათვის') მომდევნო თაობაში შესაძლოა შეცვალოს ნაციონალური იდენტობის უფრო დია, პრაგმატულმა და უტილიტარულმა ვერსიამ, რომელშიც ხაზი ექნება გასმული ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, გერგილიანობა, ორგანიზაციული წვევები და ტოლერანტული დამოკიდებულება მრავალფეროვნებისადმი, თემები, რომელთა კვალმა შეიძლება ნაციის ისტორიაში ალტერნატიულ ეთნიკურ ტრადიციებამდე მიგვიყანოს.

აქედან ცხადია, რომ ცვალებადობა ნაციონალური იდენტობის განმარტებისაგან განუყრელია, თუმც ეს ისეთი ცვალებადობაა, რომელიც მოქმედებს მოცემული ნაციის კულტურისა და ტრადიციების, მისი განსაკუთრებული მექანიზმების მკაფიო პარამეტრების სიმრავლის შიგნით. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა, ვინაიდან იდენტობა გულისხმობს გარკვეული ზომის სტაბილურობას, იგივეობას დროში. ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მკაფიოდ მოხაზულ სახლვრებში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ცვლილება უეცარი და დამანგრეველია (მაგრამ მთლიანად არ სპობს ნაციას), ის წარმოშობს ახალ ელემენტებს, რომელთა კულტურული ათვისებაც ჯგუფის წევრობის გზითაა შესაძლებელი; რევოლუციებიც კი უბრუნდებიან იმას, რასაც ფუნქციონერები 'ცენტრალურ დირექტულებებს' უწოდებენ. იგივე ხდება ნაციების ტრანსფორმაციის დროსაც, და ეს საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ ნაციის შემქმნელი 'უოველდლიური პლებისციტი' მართლაც საგმარისია იმისათვის, რომ თაობიდან თაობამდე ერთსა და იმავე ნაციაზე ვიღაპარაკოთ.

## იდეოლოგიები

---

ხშირად ამბობენ, რომ ნაციონალიზმს, მის დოქტრინას რომ თავი გავანებოთ, არ გააჩნია ისეთი იდეოლოგია, სალაპარაკოდ რომ დირდეს. იგი მხოლოდ ჩანასახოვანი სენტიმენტების გროვას წარმოადგენს, რომელიც მეტ-ნაკლებად მაღალფარდოვანი რიტორიკითაა გადამუშავებული. ამის ალტერნატიულად, იმასაც აღნიშვნავენ, რომ ნაციონალიზმის ტიპთა მრავალრიცხოვნება არ იძლევა მათი გამოცალკევების და საყოველთაო, მწერლი იდეოლოგიის ჩამოყალიბების საშუალებას. საუკეთესო შემთხვევაში, ეს თვალსაზრისები, ნახევრადსიმართლეა. სხვა იდეოლოგიებთან შედარებით ნაციონალიზმი მართლაც შესაძლებელია, რომ ‘ფილოსოფიური სადატაციო და არათანამიმდევრულობითაც’ დახასიათდეს (Anderson 1991: 5), მაგრამ მასში იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ სენტიმენტები და რიტორიკა, როგორც ეს ელი კედურიმ (Kedourie 1960) (რომელსაც ვერ მივაძუთნებთ ნაციონალიზმის დამცველთა რიცხვს) დაგვანახა გერმანული რომანტიკული ნაციონალიზმის პერდერისეული და კანტისეული ფილოსოფიური პრინციპების ახალიზით. ნაციონალისტური იდეოლოგიებს კოლექტიური თვითმმართველობის, ტერიტორიული გამოლიანების და კულტურული იდენტობის გამოკვეთილი ამოცანები და ხშირად ამ მიზნების მიღწევის ნათელი პოლიტიკური და კულტურული პროგრამაც აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც არსებობს ნაციონალისტური იდეოლოგიის სხვადასხვა სახე (რელიგიური, სექულარული, კონსერვატული, რადიკალური, იმპერიული, სესეციური და ა.შ.) და თითოეული მათგანი ანალიზს მოითხოვს, ისინი მაინც აკლენენ საერთო საბაზისო ელემენტებს და მათზე ერთი და იგივე პოლომარკაა: ეს არის განსაკუთრებული სწრაფვა ნაციადყოფნისაკენ. აღნიშნული საერთო ელემენტები გამოარჩევს ‘ნაციონალიზმს’ სხვა მოძრაობებისა და

იდეოლოგიებისაგან; სხვადასხვაგვარი ნაციონალისტური იდეოლოგიების, მოძრაობების და სიმბოლოების საფუძველში ჩადებული ‘რწმენითი სისტემების’ გამოცალკევებით შეგვიძლია ზოგიერთი განმეორებადი ქცევაც ავხსნათ, რომელთაც ნაციონალისტურ მოძრაობებსა თუ ‘ქმედებებში’ ვაწყდებით.<sup>1</sup>

ნაციონალისტური რწმენითი სისტემის ეს საერთო ელემენტები, ძირითადად, სამი სახეობისაა:

- (1) ნაციონალისტების უმეტესობისათვის მისაღები ამოსავალი ბაზისური მტკიცებულებანი;
- (2) ზოგი ფუნდამენტური იდეალი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველ ნაციონალიზმშია წარმოდგენილი; და
- (3) რიგი საერთო წარმომავლობის ცნებებისა, რომლებიც უფრო კონკრეტულ მნიშვნელობას ანიჭებს ნაციონალიზმის ბირთვ-აბსტრაქციებს.

თითოეულს რიგრიგობით შევხები.

ნაციონალიზმის ბაზისური მტკიცებულებები სულ რამდენიმეა, მაგრამ ყოველი მათგანი დიდი ძალის მატარებელია. ისინი შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- (1) მსოფლიო იყოფა ნაციებად, რომელთაგანაც თითოეულს თავისი საკუთარი ხასიათი, ისტორია და ბედისწერა აქვს;
- (2) ძალაუფლების ერთადერთ წყაროს ნაცია წარმოადგენს;
- (3) ნაციისადმი ლოიალობა ყველა სხვა ლოიალობაზე უპირატესია;
- (4) იმისათვის, რომ თავისუფალი იყოს, ყოველი ინდივიდი ნაციას უნდა ეპუთვნოდეს;
- (5) ყოველი ნაციისათვის აუცილებელია სრული თვითგამოხატვა და ავტონომიურობა;
- (6) გლობალური მშეიღობა და სამართლიანობა ავტონომიური ნაციებისაგან შედგენილ მსოფლიოს საჭიროებს. (იხ. Kedourie 1960: 1; შდრ. A. D. Smith 1991: 74).

ამას შეიძლება ნაციონალიზმის ‘ბირთვი-დოქტრინა’ გუწიოდოთ. იგი სამყაროს ნაციონალისტური ხედვის ბაზისურ ჩარჩოს წარმოადგენს და ‘დამფუძნებელ მამათა’ – რუსოს,

კერდერის, ციმერმანის, ბურქას, ჯევერსონის, ფიხტესა და მაზინის – და მათ თანამედროვე მიმდევართა შეხედულებების მთავარი ელემენტების (იქნებ, უპანასენელი მტკიცებულებების გამოკლებით) ნაკრებს წარმოადგენს. ბირთვი-დოქტრინა ლოგიკურ საფუძველს უქმნის და იმპულსს ანიჭებს სხვადასხვა სახის ნაციონალისტურ მოქმედებებს და ნაციის იდეის გამოსახვისათვის საჭირო სიმბოლოებსა და ინსტიტუციებს. იგი მოიცავს არა მარტო პოლიტიკის, არამედ საზოგადოებისა და კულტურის სფეროებსაც; მასში ჩართულია როგორც ცალკეული ნაციების კულტურული პარტკულარიზმი, ასევე ‘ნაციათა მსოფლიოს’ უნივერსალური ხედვა.<sup>2</sup>

ერველი ნაცია როდი მოქმედებს ამ დოქტრინისათვის დამახასიათებელი იდეალების შესაბამისად. კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ნაციონალისტები ხშირად თავად ისე იქცვევიან, რომ უარყოფენ პირველი მტკიცებულებით გამოხატულ ‘ნაციათა მსოფლიოს’ ბაზისურ იდეას, თრგუნავენ რა სხვა ნაციების თვითგამოხატვას, ავტონომიურობას და თვითმყოფადობას, როცა მათი ინტერესები ან საკუთარი ნაციის გამოგონილი ინტერესები ამას მოითხოვს. ამგვარი ქცევით ისინი უარყოფენ და ამხობენ ნაციონალიზმის ბირთვ-დოქტრინას, რომელიც ხაზს უსვამს ნაციების საზღვრულობას და მოითხოვს სხვა ანალოგიური ნაციების არსებობის, მათი ინდივიდუალობის და უფლებების ექსპლიციტურ აღიარებას. როგორც ჯონ ბრილი მიუთითებს, პრაქტიკულად ბევრი ნაციონალისტი ისე მოქმედებს, თითქოსდა ეს იდეოლოგია მხოლოდ ერთ (მათ) ნაციას უკავშირდება, თეორიის ფარგლებში კი (და ზოგჯერ პრაქტიკულადაც, რისი მაგალითიცაა მაზინის ახალგაზრდა ეპრობა, რომელიც რამდენიმე ისეთ მოძრაობას მოიცავდა, როგორიც XIX საუკუნეში რესონაციმენტოს დროს მაზინისავე დაფუძნებული ახალგაზრდა იტალია იყო) მათთვის მისაღებია თეორიულად თანასწორუფლებიან შემოსაზღვრულ ნაციათა მსოფლიოს პოლიცენტრული ხედვა (Brewilly 1993; შესავალი).<sup>3</sup>

ინტელექტუალური კრიტიკა უფრო სერიოზულია. ნაციონალიზმს ხშირად საყვედუროებნ, რომ იგი საზოგადოებისა და პოლიტიკის შესახებ იდეებისა და რწმენების მხოლოდ შეზღუდულ სისტემას იძლევა და ამის შედეგია ის, რომ მისი მიზნების განხორციელებისათვის, რომლებიც ხშირად მიუღწეველიცაა, იძულებას უფრო მეტად მიმართავენ, ვიდრე დარწმუნებას. ეს იყო ელი კედურის

მხრიდან ნაციონალისტურ იდეოლოგიაზე, როგორც ქვეყნის სრულყოფის მიღწევისათვის ფუჭად მებრძოლ, დესტრუქციულ და კოლექტიური ნების გამომხატველ რევოლუციურ იდეოლოგიაზე, ადრინდელი შეტევის უმთავრესი ელემენტი. ახლახან ამ პოზიციამ გამოძახილი მაიკლ ფრიდენთან პპოვა, რომელიც ამტკიცებს, რომ საუკეთესო შემთხვევაში, ნაციონალიზმი მცირე ბირთვის მქონე 'ცუდად ცენტრირებული' იდეოლოგიაა, რომელთანაც პოლიტიკური ცნებების ვიწრო წრეა დაკავშირებული. ამიტომაცაა, რომ ნაციონალიზმი 'ცნებათა თავიდან განზრახ მოცილებითა და მათი ადგილწანაცვლებით მედიატორულად განაცალკევებს თავს ფართო იდეების მიმღები კონტექსტებისაგან' და, ამ მიზეზით, მოკლებულია უნარს 'შემოგვთავაზოს არგუმენტთა კომპლექსები, და ეს იმიტომ, რომ იდეათა ბევრი ჯაჭვი, რომელთა პოვნასაც ბუნებრივად მოველით საზოგადოსა და აბსტრაქტულიდან კონკრეტულისა და პრაქტიკულისაკენ, ბირთვიდან პერიფერიისაკენ შუალედში, ისევე როგორც პირუებული უბრალოდ არ არსებობს' (Freeden 1998: 750). ამის გამო ნაციონალური იდეოლოგია სტრუქტურულად უძლეურია დაუკავშირდეს ისეთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, როგორებიცაა სოციალური სამართლიანობა, რესურსების განაწილება ან კონფლიქტების მართვა. ფაქტობრივად, ხშირად ნაციონალიზმი სულაც არ არის ცალკე იდეოლოგია, იგი უბრალოდ ავსებს ძირითადი მიმართულების მიმცემ იდეოლოგიებს, ისეთებს, როგორებიცაა ლიბერალიზმი, სოციალიზმი და კონსერვატიზმი. ნაციადყოფნის იდეა შეიძლება ყოვლისმომცველი იყოს, მაგრამ შეიძლება უბრალოდ სხვა იდეოლოგიების 'სადღაც მნიშვნელოვნების მარგინალიის' მომიჯნავე მდებარეობაზე მიუთითებდეს (იქვე). ნაციონალიზმი საყოველთაო მნიშვნელობას მხოლოდ ეფემერულად იდენს – ნაციონალური მშენებლობის, კრიზისის, დაპყრობის, საგარეო საფრთხის, სადაც ტერიტორიის ან მტრულად განწყობილი შიდა ეთნიკური ან კულტურული ჯგუფის დომინანტურობის გაცნობიერებისას (Kedourie 1960; Freeden 1998).

### **ფუნდამენტური იდეალები**

რაღაც სიმართლე არის ამ მკაცრ კრიტიკაში, თუმცა ნაციონალიზმის კრიტიკოსთა მიერ წარმოდგენილი სურათი,

სულ მცირე, არასრულია. ნაციონალიზმის ბირთვი-დოქტრინა მარტოლენ ფართო და აბსტრაქტულ ჩარჩოს გვთავაზობს; იგი მეორადი ცნებებით და კერძო იდეებით უნდა შეივსოს, რომლებიც თითოეული ცალკეული ნაციონალური ერთობისათვის საეციფიკური იქნება. ასეთია, მაგალითად, შვეიცარული სახე ხალხისა, რომელიც საპუთარი (ალპური) ლანდშაფტით საზრდოობს, ანდა ნაციის, როგორც წამებული და აღმდგარი ქრისტეს, პოლონური იდეალი. ამიტომაა, რომ ნაციონალიზმი ხშირად ‘განუყრელია’ სხვა იდეოლოგიებისაგან და რწმენითი სისტემებისაგან და მათ იდეალებს და პოლიტიკას ნაციონალისტური მიზნებისაკენ წარმართავს, როგორც ‘ნაციონალ-კომუნიზმთან’ დაკავშირებით მოხდა პოსტ-სტალინისტურ ეპოქაში. ნაციონალიზმი ‘აგსებს’ სხვა იდეოლოგიებს თუ თავად ივსება მათით, მეორეხარისხოვანი საკითხია; ეს მიმართება ისტორიული კონტექსტის შესაბამისად იცვლება. ჩვენ ბირთვი-დოქტრინის იქითაც უნდა გავიხედოთ, რათა აღვიქვათ ნაციონალიზმის იმპორტის ფაქტი, რაც ერთობ განსხვავებულ სურათს იძლევა.<sup>4</sup>

ამ კრიტიკაზე, ფაქტობრივად, ორი სახის პასუხი არსებობს. პირველი შემდეგის ჩვენებაში მდგომარეობს: მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია ან, უფრო ზუსტად, რწმენითი სისტემა, ფილოსოფიური სიმწყობრის თვალსაზრისით ვერ უტოლდება სხვა, ‘ძირითადი მიმართულების მიმცემ’ პოლიტიკურ იდეოლოგიებს, კონცეპტუალურად იგი უფრო მდიდარია, ვიდრე ეს მის კრიტიკოსებს წარმოუდგენიათ. მეორე პასუხი კი იმის დასაბუთებაში მდგომარეობს, რომ ნაციონალიზმი შეიძლება დავინახოთ არა მხოლოდ როგორც რწმენითი სისტემა, არამედ როგორც კულტურის ფორმაც და რელიგიის ნაირსახეობაც; ეს ისაა, რაც ნაციონალიზმს მაკვიოდ მიჯნავს სხვა, ‘ძირითადი მიმართულების მიმცემი’ პოლიტიკური იდეოლოგიებისაგან და იმუნიტეტსაც გამოუმუშავებს მას წმინდა პოლიტიკური იდეოლოგიების მიმართებებისა და პრინციპების კუთხით კრიტიკისადმი.

გარკვეული დროით ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის, აღწერაზე შევჩერდეთ. როგორც წინა თავში ვნახოთ, სამი ფუნდამენტური იდეალი მომდინარეობს ბირთვი-დოქტრინიდან, და სწორედ ისინი აცხოველებენ ნაციონალიზმის იდეოლოგიურ მოძრაობას. ესენია: ნაციონალური ავტომობილური ნაციონალური ერთიანობა და

ნაციონალური იდენტობა. ასე თუ ისე, ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიური მოძრაობის, სპეციფიკური ამოცანები ამ სამი იდეალის გარიანტებს წარმოადგენს, და ამიტომაა, რომ ისინი ასე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნაციონალიზმის ჩემს მიერ ადრე წარმოდგენილ სამუშაო განმარტებაში, რომლის მიხედვითაც ეს ავტონომიურობის, ერთიანობისა და იდენტობის მიღწევაზე ორიენტირებული იდეოლოგიური მოძრაობაა იმ საზოგადოების შიგნით, რომლის ზოგიერთ წევრსაც მიაჩნია, რომ იგი რეალურად არსებულ ან პოტენციურ ‘ნაციას’ განტეულობა. მოდით, უფრო ახლოდან შევხედოთ ნაციონალიზმის ამ სამ იდეალს.

ბირთვი-დოქტრინის მოთხოვნაა, რომ ყოველ ნაციას სრული თვითგამოხატვის საშუალება და ავტონომიურობა ჰქონდეს. ავტონომიის ნაციონალისტურ იდეალს აქვს რამდენიმე ასპექტი. ზოგადად, ეტიმოლოგიურად ავტონომიურობა ნიშნავს თვითმმართველობას, შიდა კანონების ან რიგმების ქონას, საკუთარი შინაგანი ხმისათვის ყურის მიგდებას, გარედან რაიმე შევიწროების არარსებობას. ამას მივყავართ კოლექტიური ნების და ინდივიდუალობის რეალიზების მაძიებელი, საკუთარ კოლექტიურ ამოცანებსა და მოქმედებებზე პასუხისმგებელი კოლექტიური ‘მე’ ცნებასთან, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს გერმანელმა რომანტიკოსმა ინტელექტუალებმა. მაგრამ ავტონომიურობა, როგორც კოლექტიური ნების ნაციონალური თვითგამორკვევის და ნაციონალური თვითგამგებლობისათვის ბრძოლის შედეგი, შეიძლება ნიშნავდეს პოლიტიკურ თავისუფლებასაც და პოლიტიკურ თვითმმართველობასაც ხალხისა და ‘ხალხით’. ამგვარ ნაციონალურ თვითმმართველობას შეიძლება სრული, სუვერენული ტერიტორიული სახელმწიფოს ფორმა ჰქონდეს ან ხორციელდებოდეს არასრული კომუნალური ან ფედერალური თვითგამგებლობის ფორმით. მართლაც, მაქს ვებერმა დაასაბუთა, რომ ნორმალურ ვითარებაში ნაციები საკუთარ სახელმწიფოს საჭიროებენ: ‘ნაცია გრძნობისმიერი ერთობაა. ამ გრძნობათა ადეკვატური გამოხატვა კი მას საკუთარ სახელმწიფოში შეუძლია. აქედან გამომდინარე, ნაცია არის ერთობა, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ იხრება’ (Weber 1948).

მიუხედავად ამისა, ბევრი ნაციონალიზმი უფრო ნაკლებსაც სჯერდება, ზოგს კი, ესპანეთში კატალონიელთა მოძრაობის მსგავსად, არასრული ავტონომიაც აკმაყოფილებს.

არასრული ავტონომია, თავის მხრივ, სხვადასხვა სახისა და ხარისხისა, რელიგიისა და კულტურული თვითმმართველობის, სამართლებრივი ავტონომიას, კონტინუური ავტარქიის და პოლიტიკური ‘შიდა მმართველობის’ ჩათვლით. ეს უკანასკნელი შიდა თვითმმართველობას წარმოადგენს უფრო დიდ სახელმწიფოში, რომელიც საგარეო საქმეებზე და თავდაცვაზეა პასუხისმგებელი. აქ იგულისხმება, რომ ნაციონალური ავტონომია უნდა განსხვავდებოდეს სახელმწიფო სუვერენიტეტისაგან, რომელშიც ის ხშირად ერევათ (განსაკუთრებით ევროპის ფედერაციაში ნაციონალური სუვერენიტეტის დაკარგვის შესახებ მიმდინარე დებატებისას) და, რომ შესაძლებელია ავტონომიური ნაციების შეთავსებადობა გარკვეული სახის ფედერაციასთან.<sup>5</sup>

ავტონომიურობა ხშირად მჭიდროდა დაკავშირებული კოლექტიური ერთიანობის იდეასთან. ეს პირველად თვალსაჩინოდ გამოიხატა იაკობინელთა იდეალში: *la République, une et indivisible* და ამან მიგვიყანა შიდა საბაჟოების, ბარიერების და რეგიონალური ინსტიტუციებისა და კულტურების გაუქმებამდე საფრანგეთის რევოლუციის დროს. ცენტრალიზებული ეკონომიკისა და პოლიტიკური ტერიტორიის და ერთიანი საჯარო კულტურის შექმნით პატრიოტები იმედოვნებდნენ თითოეული ფრანგი მოქალაქის ახლადშობილი ფრანგული რესპუბლიკური ნაციისადმი მგზებარე თავგამოდებით განმსჭვალვას. მაგრამ ტერიტორიული გამოლიანება მიმართული იყო არა მხოლოდ შიდა დაყოფის, არამედ საფრანგეთის ‘ბუნებრივი საზღვრების’ მიღმა მყოფი გარეშე მტრების წინააღმდეგაც. სხვა, უფრო გვიანდელი ევროპული ნაციები, როგორიცაა იტალია, საბერძნეთი და გერმანია, ასევე იყვნენ ფოკუსირებული ტერიტორიისა და ეთნიკური ნათესაობის საკითხებზე. მაგრამ ერთიანობისაკენ მათი ნაციონალისტური სკლა ეთნიკური სანათესაოს და, აგრეთვე, ‘ისტორიული’ მიწების (სადაც ისინი სახლობდნენ და რომელიც ჩამოშორებულ იქნენ ნაციონალური სამშობლო მიწისაგან დინასტიური ან ფეოდალური კატასტროფების შედეგად) ‘განთავისუფლებისა’ და ნაციის წიაღში მათი დაბრუნებისაკენ (ძალითაც, საჭირო შემთხვევაში) მიმართულ ირიდენტისტულ მოძრაობებსაც უწყობდა ხელს (იხ. Kohn 1967b; Horowitz 1992).<sup>6</sup>

ტერიტორიული ერთიანობა მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო ნაციის წევრთა გაცილებით მნიშვნელოვანი ხოციალური

და კულტურული გაერთიანებისაკენ. ამგვარი ერთიანობა პოლოგენურობაში არ უნდა აგვერიოს. ზოგიერთი მეცნიერის ბოლოებრობინდელი ანალიზის საპირისპიროდ, ერთიანობის ნაციონალისტური იდეალი ეძებს არა ‘ობიექტურ’, კულტურულ ერთგვაროვნებას, არამედ ოჯახებისა და ინდივიდების ნებელობებისა და სენტიმენტების სოციალურ და კულტურულ კავშირს. ნაციონალისტი არ მოიხოვს, რომ ყველა წევრი ერთნაირი იყოს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მათ შეიგრძნონ სოლიდარობის მძღვრი ჯაჭვის არსებობა და ამის გამო, ნაციონალურად მნიშვნელოვან ყველა საქმესთან დაკავშირებით, შეთანხმებულად იმოქმედონ. ამიტომა, რომ მიუხედავად ზოგიერთი, უმთავრესად გერმანელი, რომანტიკოსი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის (მაგალითად, ფიხტესა და მიულერის) სურვილისა ინდივიდუალური ნება ნაციონალური სახელმწიფოს კოლექტიურობაში ჩაეკარგათ, ნაციონალისტების უმეტესობა შეეცადა ინდივიდუალური მისწრაფებანი სიყვარულისა და მობის მქმედებით გაერთიანებინა და მხოლოდ ექსტრემალურ კოთარებაში დაქმორჩილებინა ისინი ნაციონალური ნებისათვის.<sup>7</sup>

მესამე – ნაციონალური იდენტობის იდეალი – ალბათ, ყველაზე უფრო მოუხელოებელია დაკვირვებისათვის. საზოგადოდ, იდენტობის ცნება აღნიშნავს ობიექტის ერთგვარობას დროთა მსვლელობაში, სპეციფიკური სტრუქტურის გამძლეობას სასრული პერიოდის განმავლობაში; და ეს კულტურულ იდენტობებსაც შეეხება. მაგრამ ნაციონალური იდენტობის იდეალი კოლექტიური ხასიათისადმი ინტერესით და მისი ისტორიულ-კულტურული კონტექსტით გამორჩევა. მათ თვისებათაგან პირველი პქონდა მხედველობაში რუსოს, როცა წერდა: ‘პირველი წესი, რომელსაც ჩვენ უნდა მიიღიოთ, არის ნაციონალური ხასიათი: ყოველ ხალხს აქვს ან უნდა პქონდეს ხასიათი; თუ ხალხს არა აქვს ხასიათი, პირველ რიგში მას ხასიათი უნდა შევუქმნათ’ (Rousseau 1915, II: 319, *Projet Corse*). იგი რჩევებს აძლევდა კორსიკელებს და პოლონელებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვითარებინათ მათ შესაბამისი ნაციონალური ტრადიციები და ცხოვრების სტილი და ამით შეენარჩუნებინათ თავიანთი ნაციების კოლექტიური ხასიათი. მეორე თვისება პერდერის ‘კულტურულ პოპულიზმში’ ვლინდება. ყოველ ნაციას, ამზადებდა იგი, აქვს თავისი განსაკუთრებული ნაციონალური ‘გენია’ (ეს ცნება უკვე პოპულარული იყო ისეთი მწერლების

წეალობით, როგორებიც იყვნენ ლორდი შაფტსბური, ვიკო და მონტესკიე), რომელსაც უნდა მიჰყეს. ამავე განწყობით არწმუნებდა პერდერი თავის თანამემამულე გერმანელებს, დაბრუნებოდნენ მშობლიური კულტურის ტრადიციებს და ლიტერატურულ გენიას: ‘მოდით, მივსდიოთ ჩვენს საქუთარ გზას... მოდით, ყოველმა კაცმა, როგორც შეუძლია ისე, თქვას ჩვენი ნაციის, ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი ენის ამბავი: ისინი ჩვენ გვეკუთვნის, ისინი თავად ჩვენა ვართ, და, დაე, ეს ვიტაროთ’ (Herder 1877–1913, ციტატისათვის იხ. Berlin 1976: 182). ქვემექსტი ისაა, რომ თითოეულ ნაციას შეესაბამება განსხვავებული ისტორიული კულტურა, აზროვნების, მოქმედების, კომუნიკაციის განსაკუთრებული წესი, რომელიც ყველა წევრისათვის (პოტენციურად მაინც) საზიაროა და უცხო მას არ და ვერ გაიზიარებს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ, სადაც ამგვარი განსხვავებული კულტურა ‘დაიგარგა’, ‘დავიწყებას მიეცა’ ან ‘დაიძირა’, იქ მისი პოვნა შესაძლებელია და უნდა მოვიძიოთ, გავისხმოთ და გავაცოცხლოთ. ნაციონალისტის ამოცანაა თავიდან აღმოაჩინოს თავისი ნაციის უნიკალური კულტურული გენია და ხალხს ავთენტური კულტურული იდენტობა აღუდგინოს; აი, როგორ ჩამოაქალიბა ეს დიდმა აფრიკელმა მწერალმა და განმანათლებელმა ედვარდ ბლაიდენმა აფრიკელ ხალხებთან მიმართებაში:

ყოველი ადამიანის, ყოველი რასის ვალია იბრძოლოს თავისი ინდივიდუალობისათვის, რათა შეინახოს და განავითაროს იგი. ამიტომ გიყვარდეს და პატივს სცემდე შენს რასას. იყავი ის, ვინცა ხარ, ისეთი, როგორიც ღმერთმა ინება. მას რომ არ სურვებოდა, არც შეგქმნიდა ამგვარს. ჩვენ არ ძალგვიძს რაიმე შევმატოთ მის ჩანაფიქრს. თუ შენ ის არა ხარ, ვინც ხარ, თუ შენ შენს პიროვნებაზე ამბობ უარს, აღარაფერი გრჩება, რომ მსოფლიოს მისცე. არავითარი სიამოვნება, არავითარი სარგებელი არაა შენგან, არაფერი გაგაჩნია ისეთი, რასაც შეუძლია მიიზიდოს და მოხიბლოს ადამიანი, რადგანაც, ინდივიდუალობის დათრგუნვით, დაკარგე შენი განსხვავებული ხასიათი. (Blyden 1893, ციტატისათვის იხ. Wilson 1969: 250).

ნაციონალური              ინდივიდუალურობის              ხაზგასმა  
გვეხმარება ავსენათ, თუ რატომაა ასე ხშირად ნაციონალიზმის

თანმხლები და მისი მასაზრდოებელი ინტელექტუალთა შრომა, რომლის მიზანიც ნაციის ‘ფესვებისა’ და ‘სასიათის’ მიკვლევაა ისეთი დისციპლინების მეშვეობით, როგორებიცაა ისტორია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა და ფოლკლორი. ეს დისციპლინები უზრუნველგვიყოფენ სათანადო ინსტრუმენტარიუმითა და კონცეპტუალური ჩარჩოთი იმის გამოსარგევად, თუ ‘ვინ ვართ’, ‘როდის დავიწყეთ’, ‘როგორ ვიზრდებოდით’ და ‘საით მივდივართ’; ზუსტად იმგვარი რომანტიკოსი ხელოვანნი და მწერლები, უურნალისტები და განმანათლებლები, როგორიც ბლაიძენია, უწყობენ ხელს ნაციონალური იდენტობის გამოსახულებებისა და სახეების გადმოცემასა და გავრცელებას.<sup>8</sup>

რასაკვირველია, კონკრეტულ ნაციონალიზმებში და სპეციფიკურ ისტორიულ მომენტებში ამ სამი იდეალიდან ხან ერთი გამოიკვეთება, ხან – მეორე. იქ, სადაც პოტენციურ ნაციას ავტონომიურობის ხარისხი აკლია, ან დანაწევრებულია, ან ვერ ახერხებს იდენტობის ნათლად გამოკვეთას, ნაციონალისტები შეეცდებიან სიტუაციას ნაციონალური ავტონომიის, გაერთიანების ან იდენტობის მიღწევის ან მისი განახლების ღონისძიებებით უწამდონ. შესაძლებელია ნაციონალიზმის ისეთ იდეოლოგიურ მოძრაობებს წავაწყდეთ, რომლებიც სამიერ იდეალის სრულად ასახვას ესწრაფვიან.

### ბირთვი-ცნებები

ავტონომიურობის, ერთიანობის და იდენტობის იდეალები უმაღლესი ღონის აბსტრაქციებს წარმოადგენენ და მათ დასაკავშირებლად პრაქტიკულ კულტურულ და პოლიტიკურ პროგრამებთან სხვა ბირთვი-ცნებები ხდება საჭირო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ავთენტურობა, განგრძობადობა, დირსება, ბედისწერა, მიჯაჭვულობა (‘სიყვარული’) და სამშობლო. თითოეული მათგანი ნაციის წარსული და ოწმყო მდგრმარეობის და მისი სანუკვარი მიზნების მიღწევის შეფასების კრიტერიუმებს გვაწვდის, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ისინი კონკრეტული ნაციონალიზმებით არც კი იყვნენ გამოწვეულნი, რაც შეიძლება გაუგებრობის და, საბოლოო ჯამში, კონფლიქტის მიზეზიც კი გახდეს (იხ. Gilbert 1998: თავი 1).

როგორც ვნახეთ, იმისათვის, რომ თავისუფალნი იყვნენ, ნაციებს, თვითგამოხატვა ესაჭიროებათ. მაგრამ რას

წარმოადგენს ეს ‘თვით’? ნაციონალისტისათვის ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ავთენტურობის ცნებაში შეიძლება იქნას მოძიებული. ‘ნამდვილად’ თავისთავად ყოფნა ნიშნავს, რომ ჩვენი ყოფიერების ‘ავთენტური’ ელემენტები აღმოვაჩინოთ და ისინი ეპოქათა დანალექისაგან გავწმინდოთ. ასე მაგალითად, XIX საუკუნეში გერმანული სკოლის ისტორიკოსები ლეოპოლდ ფონ რანკეს წინამდღოლობით ცდილობდნენ ავთენტური წარსული ისევე გამოეტანათ დღის სინათლეზე, როგორიც ის სინამდვილეში იყო (*wie es eigentlich war*); თანამედროვე მუსიკათმცოდნები მიზნად ისახავენ ადრეული მუსიკა ავთენტური სტილით და ავთენტური ეპოქის ინსტრუმენტებით შეასრულონ; თანამედროვე არქეოლოგები და ხელოვნებათმცოდნები ავთენტური ძველი ობიექტების ან ძველი ოსტატებისაკენ მიიღონან. ამ შემთხვევაში ავთენტურობა ‘ჭეშმარიტის’ ფარდ ცნებად მოიაზრება, როგორც ორიგინალის დაპირისეირება ნაყალბევთან, მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავს, რაც ობიექტის თავდაპირველი გერსია, სტილი ან არსებობის წესი იყო. ამას თანდათანობით მივყაროთ ავთენტურობის, როგორც თავდაპირველობის, გამომსატველ ცნებამდე, რაც ნაციონალისტურ კონტექსტში წარმოშობისა და შთამომავლობის მითს შეესაბამება: კითხვა ‘ვინ ვართ’ დროსა და სივრცეში ფუნქციურია კითხვისა ‘საიდან მოვდივართ’; ხასიათი წარმომავლობითაა დეტერმინებული, მაგრამ იგი ნაწილობრივ სხვა მნიშვნელობასაც ატარებს: თავდაპირველობის და ადგილობრივობის იდეას, რაც ნიშნავს არა მარტო პირველობას, არამედ ავტოქთონობასაც, უშუალოდ ნიადაგიდან ამოზრდას. ამას, თავის მხრივ, მივყავართ ავთენტურობის ისეთ მნიშვნელობასთან, როგორიცაა სიწმინდე და შეურევლობა, სადაც ნამდვილი ‘ჩვენ’ ხელუხლებელ თავდაპირველს, მაგრამ, ჩვენი დღევანდელი სამწუხარო მდგომარეობის გამო, შენარევს წარმოადგენს. მაგრამ, ალბათ, ყველაზე უფრო ზოგადი მნიშვნელობა, რომლითაც იყენებენ ნაციონალისტები ზედსართავს ‘ავთენტური’, იმის აღნიშვნაა, რაც ‘ძალიან ჩვენია’, და მეტი არავისი, და, ამიტომაც, უნიკალური, მაგრამ ასევე შინაგანად დეტერმინებულიც. ამ შემთხვევაში ავთენტურობის ცნება ავტონომიურობის ცნებას გადაფარავს: ‘ნამდვილი’ ერთობა თვითგამორკვევად ნაციასაც წარმოადგენს.<sup>9</sup>

ხშირად ნაციონალისტების მიერ ყველა ეს მნიშვნელობა სავსებით გულწრფელად გამოიყენება და პრობლემას იმდენად კონცეპტუალური სიღატაკე კი არ ქმნის, რამდენადაც კონცეპტუალური არაცალსახობა. მსგავსი პრობლემებითაა დახუნძლული სხვა ნაციონალისტური ცნებებიც. ავილოთ განგრძობადობის ცნება. ის შეიძლება იდენტობის ზოგადი ცნების მონათესავე ცნებას აღნიშნავდეს, მაგალითად, დროში ერთგვარობას; აქედანაა დროს მსახურალი ზემოქმედების ქვეშ უცვლელად მყოფი, საკუთარი ალორდინების წამის მომლილინე ნაციის იდეა. მაგრამ განგრძობადობის ცნება შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს თანდათანობით ცვალებადობას და ტრანსფორმაციას, ან არქეოლოგიური გათხრებისას გამოჩენილი შრეების მსგავსად, წარსულის მდგომარეობათა ფენების აკუმულაციას. ევოლუციის ამ მოდელში განგრძობადობა არ უპირისპირდება ცვალებადობას; ცვალებადობაა განგრძობადი, და განგრძობადობა – ზრდის განგრძობადობა – იმ ცვალებადობას წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის შეუმჩნეველი რჩება. აქ თავად ტერმინი განაპირობებს არაცალსახობას, ანუ ისეთ რამეს, რაც ნაციონალისტს ძლიერად ნაგრძობიც აქს და მისი გამოიყენებაც იცის.<sup>10</sup>

არც ნაციონალური ღირსების ცნებაა ისე მარტივი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. აწმყოში დამცირებასა და შევიწროებას უპირისპირებენ ღირსებას, რომელსაც თავისუფლება მოიტანს, მაგრამ ეს თავისთავად არ წარმოქმნის ღირსების სურვილს. ღირსება შიგნით უნდა იქნას ‘ხელახლა აღმოჩენილი’. აქედან მოდის ღირსების მეორე მნიშვნელობა: გარეგანი სიმახინჯით შეფარული ჭეშმარიტი სიმდიდრე. მიზანი ისაა, რომ მოინახოს ეს შინაგანი სიმდიდრე, მოხდეს ავთენტური თვითის ღირსების რეალიზება, რაც ხანდახან ერთი აღმოსავლური გამონათქვამით გამოიხატება: ‘დასავლური დახელოვნება, აღმოსავლური ზეობა’, რომელიც აზის თანდაქოლილ სულიერ უპირატესობას გულისხმობს დასავლეთის ტექნოლოგიური წარმატებების საპირისპიროდ. ამგვარი პოზიცია იცავს დამცირებულის შინაგან ღირსებას და აჩენს იმედს, რომ შევიწროებული და მეორეხარისხსოვანი აღიდგენს თავის ძველ დიდებას, გარეგანი მდგომარეობა კი შინაგან სიმდიდრეს აირეკლავს – ეს გახლდათ მეიძის ლიდერების სენტიმენტი იაპონიაში. ღირსებას ისიც ძალუძს, რომ კეთილშობილი წარმომავლობითა და სიძველით მოვიდეს,

რაც მოწიფებასა და მოკრძალებას გვინერგავს. კოლექტიური დირსების ძიება, თანამედროვე დამცირებულ მდგომარეობასა და უღირს გარეშეებთან შედარების გზით, იწვევს ‘ჭეშმარიტი’ ნაციონალური ოვითობის ამაღლებას. განსაკუთრებულ შემთხვევას განეკუთვნება კოლექტიური აწმოს შეფასება დოქუმენტირებული პერიოდული ‘ოქროს’ ხანის სტანდარტის გათვალისწინებით.<sup>11</sup>

ნაციონალისტების აზრით, ნაცია იმგვარი ერთობაა, რომელსაც აქეს საერთო ისტორია და ბედისწერა, უფრო ზუსტად კი ერთობა, რომლის ისტორია საჭიროებს და განაპირობებს მოცემული ნაციის ბედისწერას. ბედისწერის იდეა ბევრად უფრო მეტი ემოციური დატვირთვის მატარებელია, ვიდრე მომავლის ცნება. ბედისწერა ისტორიითაა წინასწარგანსაზღვრული; ბედისწერა მოხაზავს უნიკალურ მიმართულებასა და ბედს; ბედისწერა ამოწმებს ტრანცენდენტობას, იქნებ უკვდავებასაც, რამდენადაც ჩვენ შთამომავლობის მახსოვრობასა და განკითხვაში ‘უცოცხლობთ’. ნაციონალისტისათვის ნაციის ბედისწერა უყველთვის დიდებულია, მსგავსად მისი შორეული წარსულისა; მართლაც, ოქროს წარსული, დაფარული არასახარბიელო აწმუნში, კვლავ გამოანათებს ნაციის, თუმც ჯერ კიდევ არშობილის, ჭეშმარიტი სულის აღორძინებით. ასე რომ, ბედისწერა თითოეული ნაციის დიად წარსულში დაბრუნებას კი არ მოასწავებს, არამედ თანამედროვეობასა და შეცვლილ პირობებში მისი სულის აღორძინებას (იხ. Anderson 1999).

ნაციონალისტებისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია ნაციასთან ცნობიერი მიჯაჭვულობის იდეალი. ამგვარი სენტიმენტისადმი ცნობიერი სწრაფვა არაა მარტიოდენ ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი; უკვე პერიკლე, თუკიდიდეს დირსსახსოვარი სიტყვების თანახმად, მოუწოდებდა ათენელ თანამოქალაქეებს ‘თავდავიწყებით შეეყვარებინათ თავიანთი ქადაქი’. ჩვენ შეგვიძლია, როგორც მოქალაქეობრივ, ასევე რელიგიურ კონტექსტებში მიჯაჭვულობისაკენ, სიყვარულისაკენ, თავგანწირვისაკენ მოწოდებების სხვა მაგალითებიც ვიპოვთ. მაგრამ ნაციონალიზმა ეს კოლექტიური მიჯაჭვულობა სრულიად განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა. ‘ნაციის სიყვარული’ მისთვის მთავარი პოლიტიკური დირსებაა. აქედანაა უკელა მოწოდება დიდი ‘ოჯახის’ წევრებისადმი ‘ნაცნობებისა და ნათესავების’, ‘კერისა და სახლ-კარის’ დასაცავად და ‘ზენი ქვენის’

კეთილდღეობისათვის თავგანწირების საჭიროება. როგორც XX საუკუნის 50-იან წლებში სირიის ბაასის (აღორძინების) პარტიის თანადამარსებელმა მიშეღ აფლაკმა ჩამოაყალიბა, ‘ნაციონალიზმი სიყვარულია’. კედურის თქმით, ეს ის აბსტრაქტული სიყვარულია, რომელიც ტერორიზმის უდიდეს აქტებს ასახოდოვებდა (იხ. Binder 1964; Kedourie 1971: შესავალი).<sup>12</sup>

პოლიტიკური ‘სიყვარული’ ნაციის აბსტრაქციას საგრძნობ ექსპრესიას ანიჭებს. ეს ხომ, ბოლოს და ბოლოს, ერთი დიდი ოჯახის სიყვარულია. მაგრამ ‘ოჯახი’ და ‘სახლი’ ხალხის შეგნებაში განუყორებლია. სიყვარული მოითხოვს, რომ ოჯახებს საკუთარი ‘სახლები’ ჰქონდეთ; უსახლკარო ოჯახები თავზე პოლიტიკურ ჭერს საჭიროებენ. ნაციის სამშობლო მიწის გარეშე პარიას წარმოადგენს. ასე რომ, ‘მიჯაჭვულობა’ და ‘სამშობლო მიწა’ ფესვებისადმი დასაბრუნებელი გზის ძიებისას ურთიერთს აძლიერებს. ის ნაციებიც კი, რომლებიც სამშობლოში ცხოვრობენ, ფესვების ‘ხელახლა გაშებას’, თავიანთ ნამდგილ წარმომავლობასთან, თავიანთ ავთენტურ თვითთან კვლავ მიჯაჭვას საჭიროებენ. სწორედ ესაა სამშობლო მიწის ცნების მრავალ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი.

სამშობლო მიწის ცნებას ისეც შეუძლია მოქმედება, როგორც სამართლებრივ დოკუმენტს, როგორც პოლიტიკურ პრეტენზიას მიწის გარკვეულ ფართობზე და მის რესურსებზე, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მტრულად განწყობილი პრეტენდენტები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ამ თვალსაზრისით, სამშობლო მიწა განუყოფელია ეკონომიკური კეთილდღეობისა და ფიზიკური უსაფრთხოებისაგან; მისი სასოფლო-სამეურნეო და მინერალური რესურსების ექსპლოატაცია ნაციონალისტური განხილვის უპირველეს საგნად იქცევა. ის ბიძგს აძლევს ნაციონალისტურ მოძრაობას ეკონომიკური თვითკმარობის, ყოველ შემთხვევაში, თვითშენარჩუნების გაძლიერებისათვის. ამითვე აიხსნება ნაციონალისტის აგრარული იდილია, მისი ემოციური მიჯაჭვულობა ‘ხალხთან’ და ცხოვრების გლეხურ წესთან და ტრადიციებთან, მაშინ როდესაც ხშირად პრაქტიკაში ნაციონალიზმები განუხერებლად მისდევენ სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას.<sup>13</sup>

სხვა დონეზე, სამშობლო მიწა ისტორიულ ტერიტორიას, წინაპართა მიწას შეადგენს. იგი მამა-პაპათა

მიწა, სადაც მათი სამუდამო განსასვენებლია. ის აგრეთვე დიდი პიროვნებების სამოღვაწეო ასპარეზია და ნაციის ისტორიაში გარდამტები მოვლენების – ბრძოლებისა და ხელშეკრულებების, სინოდებისა და ასამბლეების, გმირთა თავდადებისა და სამარხების, და წმინდანთა და ბრძენთა სწავლებათათვის აუცილებელ გარემოს წარმოადგენს. შემდგვი აქ თავად ლანდშაფტია. როგორ არ ადიდებს ნაციონალისტი ჩვენი' გორაკებისა და მთების, ჩვენი მდინარეების, ჩვენი ტბებისა და მინდვრების განსაკუთრებულ მშვენიერებას, რომელიც დვთაებამ (ან დვთაებებმა) აპურთხეს. ჩვენ გაგვიჭირდება ნაციონალიზმის მსოფლმხედველობის წვდომა იმ 'პოეტური ლანდშაფტების' შეფასების გარეშე, რომლებიც ნაციის წევრთა დიდი ნაწილის (როგორც ნაციონალისტების, ისევე არანაციონალისტების) შეგნებაზე ძლიერ მოქმედებენ. ეს ის ასპექტია, რომელსაც ბოლო დროს არასათანადო ყურადღება ექცეოდა და რომელსაც ქვემოთ მივუბრუნდები.<sup>14</sup>

იმას როდი ვამტკიცებ, რომ ყოველი ნაციონალისტური იდეოლოგია და მოძრაობა ყოველთვის ერთი და იმავე ხარისხით წარმოშობს ამ ცნებას. ცხადია, ასე არ არის. პოლ გილბერტის მართებული მტკიცებით, მტრულად განწყობილ ნაციონალიზმებს შორის არსებული ზოგიერთი უთანხმოების მიზეზი ნაციების განსხვავებული და დაპირისპირებული ბირთვი-ცნებებია. მაგალითად, ის ნაციონალიზმი, რომელიც ნაციის ცნებას ტერიტორიას და სამშობლო მიწას უკავშირებს, იმას უპირისპირდება, რომელიც ეთნიკურობიდან და კულტურიდან ამოდის. მაგრამ, რამდენადაც ისტორია ამგვარი კონფლიქტებითა აღსავსე, დარწმუნებული არა ვარ, რომ ადეკვატურია მისეული პასუხი კითხვაზე, თუ რატომ უნდა მიიჩნიონ ამ კონფლიქტების მონაწილეებმა (და ჩვენც) ყველა მათგანი 'ნაციონალიზმად'. ესესხება რა ვებერის მინიშნებას, გილბერტი ამტკიცებს, რომ მათ საზიარო აქვთ ის, რასაც თავად 'ნაციონალიზმის დამფუძნებელ პრინციპს' უწოდებს. ამ პრინციპის მიხედვით, ნაციები წარმოადგენენ ჯგუფებს, რომელთაც აქვთ ნაციონალური თვითგამორკვევის უფლება, რასაც, თავის მხრივ, შეუძლია მოიცვას 'ნაციონალური უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე'; და კიდევ: 'ნაცია არის იმგვარი ჯგუფი, რომელსაც აქვს უფლება' (Gilbert 1998: 16). მაგრამ ყველა ნაციონალისტი როდი გამოთქვამს ამგვარ პრეტენზიას. მაგალითად, კულტურული ნაციონალისტები ამტკიცებენ, რომ ნაციას აქვს კულტურული

ავტონომიისა და მორალური რეგენერაციის უფლება, რაც საკმაოდ ახლოსაა სახელმწიფოებრიობასთან; პულტურული ნაციონალისტები შეიძლება არც კი მიიჩნევდნენ, რომ, სასურველია, მათი ნაცია (ან რომელიმე ნაცია) გახდეს დამოუკიდებელი და პქონდეს საკუთარი სახელმწიფო. უფრო ხშირად ბევრი ნაციონალიზმისათვის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი მიზანია სახელმწიფოებრიობის მოპოვება, ნაციონალურ გამოლიანებასა და იდენტობასთან ერთად (იხ. Hutchinson 1994: თავი 1).

იქნებ ჯობდექს კიდეც, რომ ნაციონალისტურ იდეოლოგიებს ისე შევხდოთ, როგორც ჩემს მიერ განხილული ‘ნაციონალიზმის’ ურთიერთგადამფარავ ცნებათა ოჯახის მაგალითებს, რაც ემსგავსება ‘თამაშის’ ზოგად ცნებას, რომელსაც რამდენიმე ურთიერთგადამფარავი ელემენტი აქვს, მაგრამ ყველა ეს ელემენტი ყოველ ცალკეულ თამაშში და თამაშის ყოველ ტიპში არ ვლინდება; ალბათ, გამონაკლისის სახით, ყველა ამ ნაციონალისტურ იდეოლოგიაში ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ სამი (თუმც სხვადასხვა ხარისხით წარმოდგენილი) ფართო მიზანი: ნაციონალური იდენტობა, მთლიანობა და ავტონომიურობა. ამ გაგებით, ბირთვი-ცნებები ფორმას აძლევენ ნაციონალისტური იდეოლოგიების ზოგად მსოფლებელებს და მათგან მომდინარე პოლიტიკურ პროგრამებს; მაგრამ ამ ცნებების სხვადასხვაგვარი კომბინაცია მათ სხვადასხვა მიმართულებით წარმართავს, ქმნის რა ნაციონალიზმების ჩვენთვის ცნობილ სხვადასხვა სახეს. თუმც, ეს იდეოლოგიები არ და ვერც მოიცავს იმ საკითხებს და კითხვებს, რომლებიც სხვა პოლიტიკური იდეოლოგიებს ახასიათებს, კონცეპტუალურად ისინი ბევრად უფრო მდიდარნი არიან, ვიდრე ამას კრიტიკოსები ვარაუდობენ. ისინი პრობლემების, საჭიროებების, საზრუნვების ფართო წრეს მიერთებიან, რომელთაც, საკუთარი თავის საზიანოდვე, ხშირად უგულებელყოფენ სხვა ‘ძირითადი მიმართულების მიმცემი’ პოლიტიკური იდეოლოგიები. ამას გარდა, როგორც ეს კედურიმ დაასაბუთა, ‘ერთი იდეოლოგიის კატეგორიების მეორე, სრულიად განსხვავდული, იდეოლოგიის გამოცდისა და მისი დოქტორინების კლასიფიკაციისათვის’ გამოყენება არ ამართლებს (Kedourie 1960: 90). ის, რომ ნაციონალიზმებს მხოლოდ ძალიან ირიბად და ბუნდოვნად, ან სულაც არ გააჩნიათ მიმართება სოციალური სამართლიანობის ან რესურსების დისტრიბუციის პრობლემებთან, განპირობებულია

იმით, რომ მათი მზერა მიპყრობილია იდენტობის, ავტონომიურობის, ერთიანობის და ავთენტურობის იდეალებზე, რომელთაც სხვა იდეოლოგიები მჩქლად თუ შეეხება.

### ნაციონალიზმი, როგორც კულტურა და რელიგია

მეორე პასუხი ოპონენტთა მწვავე კრიტიკაზე იმის ჩვენებაში მდგომარეობს, რომ ნაციონალიზმი უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკური იდეოლოგია. ის აგრეთვე არის კულტურის ფორმა და ‘რელიგია’. ამგვარი პასუხის ფოკუსში მოქცეულია ნაციონალიზმის ცენტრალური ცნება – ‘ნაცია’.

ნაციის ნაციონალისტური კონცეფცია, ცხადია, არ არის მონოლიტური და მე მის ზოგიერთ იდეოლოგიურ ვარიანტს მოგვიანებით განვიხილავ. მიუხედავად ამისა, ყველა ვარიანტი იმაში თანხმდება, რომ ნაცია საჯარო კულტურის ფორმას წარმოადგენს, რომელიც ერთობის ყველა წევრისათვის ან ‘ნაციონალური სახელმწიფოს’ ყველა მოქალაქისათვის ღიაა. როგორც დავინახეთ, ნაციონალიზმი უნიკალური ნაციონალური იდენტობის ხელისალ აღმოჩენასა და განახლებას მოითხოვთ; ეს წინაპართა სამშობლოში მოსახლე ისტორიულ-კულტურულ ერთობაში ავთენტური ფესვებისადმი დაბრუნებას ნიშნავს. ნაციონალისტთათვის ნაცია, როგორც კულტურის ფორმა, ის ერთობაა, რომლის წევრებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი კულტურული ერთიანობა და ნაციონალური ისტორია და თავდადებით იდეალიზმი ვერნაკულური ენების, ტრადიციების, ხელოვნების დარგების, ლანდშაფტის, ნაციონალური განათლებისა და ინსტიტუციების მეშვეობით ნაციონალური ინდივიდუალობის განვითარებისათვის. კვლავ მოვიხმოთ ამონარიდი რუსოდან:

Ce sont les institutions nationales qui forment le génie, le caractère, le goûts et les moeurs d'un people... qui lui inspirent cet ardent amour de la patrie (ეს ნაციონალური ინსტიტუციებია, ხალხის გენიას, ხასიათს, გემოვნებას და ზნეს რომ აყალიბებენ... ისინი უნერგავენ ხალხს მამულის მწველ სიკარულს) (Rousseau 1915, II: 431, *Considérations sur le gouvernement de la Pologne*).

ის, რაც ადგილობრივია, ნაციონალისტისათვის *ipso facto* ხალხურიცაა. ამიტომ, სახალხო განათლების გზით, თავიდან უნდა აღმოვაჩინოთ ‘ხალხის’ კულტურა და დავნერგოთ ხალხის ნაციონალური სიყვარული. აქედან წარმოდგება, ხშირად მითითებული, ნაციონალიზმების უმეტესობისათვის დამახასიათებელი ძლიერი პოპულისტური და რომანტიკული ელემენტები (Nairn 1977: თავი 2).<sup>15</sup>

მაგრამ ეს სახალხო, ნაციონალური კულტურა უბრალოდ კერძო საქმე არ არის. ნაციოს კულტურა საჯარო გამოხატვას მოითხოვს და პოლიტიკურ სიმბოლიზმს განაპირობებს. ავთენტურ ისტორიასთან დაბრუნებამ და ვერნაკულურმა კულტურამ საჯარო ფორმა უნდა მიიღოს და პოლიტიზირებულ უნდა იქნას. კულტურული ნაცია პოლიტიკური ნაციაც უნდა გახდეს, რომელსაც ექნება საჯარო კულტურა – საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმა და საზომი. ამიტომა, რომ ნაცია ‘პოლიტიკური კულტურით’, მისი განსაკუთრებული პოლიტიკური როლებითა და ინსტიტუციებით და მისი უნიკალური სიმბოლოებით – დროშებით, ჰიმნებით, ზეიმებით, ცერემონიებით და მათი მსგავსი ატრიბუტებით ხასიათდება.

იქ, სადაც ნაცია წინარე ეთნიკური მოცემულობის საფუძველზეა აღმოცენებული, კულტურის ვერნაკულური ფორმები მის საჯარო ყოფიერებას გამსჭვალავს და მის პოლიტიკურ კულტურასთან იგივება, როგორც ეს იყო პოლონეთში. სადაც ნაცია პოლიეთნიკურია და ‘მოქალაქეობრივ’ ხასიათზე აქვს პრეტენზია, შესაძლებელია ვერნაკულური კულტურის ზოგი ელემენტის სესხება, როგორც ეს მოხდა ინდოეთში, თუმცა ნაწილობრივ ნაციონალური ერთიანობის საზიანოდ. სხვა შემთხვევებში, საფრანგეთის მსგავსად, სადაც წინაპართაგან მომავალი კულტურა ნაციის მოქალაქეობრივი კონცეფციის და ტერიტორიალური ნაციონალიზმის საფუძველში ძევს, ვერნაკულურ კულტურულ კოდებს გაუჭირდებათ თანაარსებობა უფრო უნივერსალურ რესპუბლიკურ სიმბოლიზმთან.

ამ ვარიაციების მიუხედავად, ნათელია ნაციონალიზმის ჯამური იმპულსის არსი: ნაცია საჯარო კულტურისა და პოლიტიკური სიმბოლიზმის და, საბოლოოდ, პოლიტიზებული მასობრივი კულტურის ფორმაა, რომელიც ნაციის სიყვარულის, მისი კანონების გატარებისა და სამშობლო მიწის დაცვისათვის მოქალაქეების მობილიზაციას ესწრაფვის.

მაგრამ ნაციონალიზმი მაინც უფრო მეტია, ვიდრე სეპულარული ქულტურა. მიუხედავად მისი იმპულსის სეპულარიზმისა, საბოლოო ჯამში, ნაციონალიზმი მაინც უფრო ‘პოლიტიკური რელიგიის’ მონათესავეა, ვიდრე პოლიტიკური იდეოლოგიისა. აქ მე რელიგიის დურკჰაიმისეულ დეფინიციას ვიყენებ, რომლის მიხედვითაც, რელიგია ‘არის რწმენისა და პრაქტიკის ერთიანი სისტემა, დაკავშირებული საკრალურ საგნებთან, რომლებიც, უნდა ითქვას, გარეშე და აკრძალულია – რწმენები და პრაქტიკა, რომელიც ეკლესიად წოდებულ ზნეობრივ ერთობად კრაქს ყველას, ვინც მისი პრინციპების ერთგულია’ (Durkheim 1915: 47). ეს უუნქციური მიდგომა ნაციონალიზმის სუროგატული რელიგიის გაგებაში დაგვეხმარება, რამდენადაც თავად დურკჰაიმი უხვამს ხაზს სიწმინდისა და რიტუალის როლს. ეს ფაქტი თვალსაჩინოა იმ მნიშვნელობითაც, რომელსაც ნაციონალიზმი დიდ წინამდოლობა და ბრძოლებში დაღუპულთა მოსაგონებელ ცერემონიებს, საბუთარი ქვეყნისათვის თავანწირულთა ‘დიდებულ სიკვდილს’ ანიჭებს. ამგვარ მომენტებში, წვენ შეგვიძლია ნაცია დავინახოთ, როგორც ‘მოქალაქეთა წმინდა ერთობა’. ეს გაგება ეთანხმება ნაციონალიზმის, როგორც ‘სუროგატი რელიგიის’, ინტერპრეტაციას.<sup>16</sup>

ნაციონალიზმის სხვა ასპექტებიც ავლენს მისი, როგორც სუროგატული პოლიტიკური რელიგიის, ხასიათს. დროდადრო ჩვენ ვხვდებით რჩეული ნაციის, განსაკუთრებული ისტორიისა და ბედისწერის მქონე უნიკალური ხალხის თვითხატს, რაც ეთნიკური რჩეულობის, ‘რჩეული ხალხის’ ძველი რელიგიური რწმენის სეპულარულ მემკვიდრეს წარმოადგენს. ამგვარ წარმოდგენებს შეიძლება ისეთ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ და დაშორებულ ქვეყნებში წავაწყდეთ, როგორებიცაა საფრანგეთი და იაპონია, ინდოეთი და შეერთებული შტატები. ამას გარდა, არსებობს კვაზიმესიანისტური მგზნებარებაც, რომელიც ნაციათა ფუძემდებლებს და წინამდოლო ახასიათებთ. აფრიკისა და აზიის ახალ სახელმწიფოებში ადამიანებმა, რომლებმაც ხალხს დამოუკიდებლობა მოაპოვებინეს – ნერუმ და სუკრნომ, ნკრუმამ და კენიატამ ისევე, როგორც თავის დროზე წინასწარმეტყველებმა და მხსნელებმა, თითქმის წმინდანობის სტატუსი მოიპოვეს, აუწეს რა თავიანთი ხალხებს თავისუფლების, სამართლიანობისა და სიუვარულის ახალი ეპოქის დადგომა. როგორც უკვე ვაჩვენეთ, უფრო მეტად

მნიშვნელოვანიც კია ნაციონალური ბედისწერისა და ეთნიკური შთამომავლობის ტყუპი რწმენები. ეს რწმენები ავსებს და ზოგჯერ ანაცვლებს სიკედილის შემდგომი ცხოვრების ტრადიციულ რელიგიურ რწმენას, რომელიც მათ მიწიერ პლანში გადაძვო, ჯერ კიდევ არშობილ თაობებში კოლექტიური უძვალების აღთქმის გზით (იხ. A.D.Smith 1999a: თავები 3, 9).

ეს კველაფერი ერთგარ წარმოდგენას გვიქმნის ნაციონალიზმის კომპლექსურობაზე. ნაციონალიზმი ხან პოლიტიკურ იდეოლოგიად წარმოგვიდგება, ხან კი საჯარო კულტურის ფორმად და სუროგატულ პოლიტიკურ რელიგიად. ამიტომ არ უნდა შევადაროთ ნაციონალიზმის *tout court* სხვა, მიმართულების მიმცემ' პოლიტიკურ იდეოლოგიებს თვით დასავლური სამყაროს შიგნითაც კი, რომელიც მისთვის საკუთარი სახლი და მთავარი ასპარეზია. ნაციონალიზმი უნდა მივიჩნიოთ მრავალწახნაგვან გლობალურ ფენომენად და მის ამოსახსნელად ვაღიაროთ მისი ყოველი წახნაგის შესწავლის აუცილებლობა.

### გოლუნტარიზმი და ორგანიციზმი

აქამდე ნაციონალიზმის იდეოლოგიებს მე გარკვეულწილად არადიუერენცირებულად განვმარტავდი. ვესწრავვოდი საერთო პრინციპები, საზიარო იდეალები და ბირთვი-ცნებები გამომეყო, რათა შესაძლებლობა მომცემოდა ნაციონალიზმებს შორის ზოგიერთი აშკარად სისტემატური განსხვავებები მეჩვენებინა. ამ განსხვავებათა არსებობა მოითხოვს ნაციონალისტური იდეოლოგიის ბაზისური ფორმების ტიპოლოგიის შემუშავებას. კველაზე ცნობილი ტიპოლოგია იმავდროულად კველაზე მარტივი და შორს მიმავალია: მე მხედველობაში მაქეს ნაციონალიზმის ‘გოლუნტარისტული’ და ‘ორგანიკული’ სახეები, რომელთაც დიდი ხნის ისტორია აქვთ და დრამატული შედეგები მოხდევთ ხოლმე.<sup>17</sup>

ნაციონალიზმის იდეოლოგიის ამ ორ სახეს შორის დაპირისპირება *locus classicus* შეიძლება ერნსტ რენანის მიერ პაიორის ფონ ტრეტშეკეს კრიტიკაში ვიპოვოთ, რომელიც არსებობს 1882 წელს წაკითხული ლექციის სახით *Qu'est-ce qu'une nation?* ტრეტშეკესაგან განსხვავებით, რომელმაც გერმანიის მიერ ელზასისა და ლოტარინგიის სადაცო

ტერიტორიების ანექსირების კანონიერების საჩვენებლად ეთნოლინგვისტური კრიტერიუმი იხმარა და ამტკიცებდა, რომ ელზასელები, მიუხედავად მათი ნათლად გამოხატული პოლიტიკური ნებისა და ისტორიული მახსოვრობისა, ‘ობიექტურად’ იყვნენ ეთნიკური გერმანელები, რენანი უფრო პოლიტიკურად და ერთგვარად ვოლუნტარისტულად უდგებოდა საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ, გარკვეულწილად, სიმართლედ მიიჩნევდა საფრანგეთის წარმოშობის ‘გერმანიკულ’ თეზისს (იმდენად, რამდენადაც მონარქიული მთავრობა და მეარი ტერიტორიული დაყოფა დასავლეთ ევროპაში გერმანიკულმა (ფრანკულმა) ტომებმა მოიტანეს), იგი ასაბუთებდა ნაციების სულიერებას და მათვის ისტორიული მახსოვრობისა და პოლიტიკური ნების მნიშვნელობას. ეთნიკური დეტერმინიზმის საწინააღმდეგოდ, რენანი კერძო ნაციონალურ კულტურებზე ‘ადამიანური კულტურის’ უპირატესობას და ‘თანხმობისა და ერთად ცხოვრების გაგრძელების ნათლად გამოხატული სურვილის’ საჭიროებას ამტკიცებს: ‘ნაციის არსებობა (მაპატიეთ ეს მეტაფორა) ყოველდღიური პლებისციტია, ისევე როგორც ინდივიდუალური არსებობაა სიცოცხლის მუდმივი დადასტურება’ (Renan 1882, ციტატისათვის იხ. Bhabha 1990: 19). ეს კარგად ცნობილი პასაჟი ხშირად ამოგლეჯილია კონტექსტიდან, როცა, გერმანული რომანტიკული იდეოლოგიის თრგანიციზმისა და დეტერმინიზმის საპირისპიროდ, ნაციონალობის ლიბერალური და ვოლუნტარისტული იდეალის საჩვენებლად არის ხოლმე მოხმობილი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რენანს თავი შორის ეჭირა როგორც დეტერმინიზმისაგან, ისე თრგანული ანალოგიისაგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ვოლუნტარისტული ნაციონალობის დოქტრინას ან ინდივიდის იმ უფლების იცავს, რომლითაც იგი თავად ირჩევს ნაციას. რენანი უფრო მეტად ნაციის ისტორიული და აქტივისტური პოლიტიკური გაგების დაცვას ესწრაფვის, რომელმაც წინაპართა კულტს’ და ‘გმირულ წარსულს’ სათანადო წონა უნდა მიანიჭოს. ნაციის ინდივიდთან ანალოგია იმისათვის არაა გამოზეული, რომ ინდივიდის პრეფერენციათა და ჯგუფური იდენტობების სიტუაციური ანალიზის ლიბერალურ თეორიას დაუჭიროს მხარი. მისი დანიშნულებაა ნაციათა ჩამოყალიბებისას აჩვენოს წარსულის – ისტორიისა და მახსოვრობის (და დავიწყების) ისევე, როგორც განგრძობადი პოლიტიკის, როლი:

ნაცია, ინდივიდის მსგავსად, ხანგრძლივი წარსული მისწრაფებების, თავგანწირვის და ერთგულების კულტურული წარმოადგენს. კულტობრივი შორის კველაზე გამართლებული წინაპართა კულტია, რადგან წინაპრებმა შეგვქმნეს ჩვენ იმად, ვინც ვართ. გმირული წარსული, დიდი ადამიანები, დიდება (რომელშიც მე ნამდვილ დიდებას გაულისხმობ), ის სოციალური კაპიტალია, რომელსაც ეფუძნება ნაციონალური იდეა. საერთო დიდების ქონა წარსულში და საერთო ნების ქონა აწმყოში; დიადი საქმეების ერთად კეთება, და მომავალშიც მათი კვლავ კეთების სურვილი – ესაა აუცილებელი პირობები ხალხად ყოფნისათვის (იქვე: 19).

მაქს ვებერიც, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ნაციონალისტი იყო, მსგავს დასკვნამდე მივიდა. ისიც დაუინებით მიუთითებდა ისტორიული მახსოვრობისა და პოლიტიკური ნების როლზე. კოლმარის მუზეუმში თავისი ვიზიტის შესახებ იგი მოგვითხრობს:

მიზეზი იმისა, რომ ელზასელები თავს გერმანელი ნაციის კუთვნილებად არ მიიჩნევენ, მათ მახსოვრობებში უნდა ვეძიოთ. მათი პოლიტიკური ბედისწერა მეტისმეტად ხანგრძლივად წარიმართებოდა გერმანელი გარემოს მიღმა. ამიტომაა, რომ მათი გმირები ფრანგული ისტორიის გმირები არიან. თუ კოლმარის მუზეუმის მცველს იმის ჩვენება სურს, რასაც თავის საგანძურში უველაზე მეტად ელოლიავება, მას თქვენ გრიუნვალდის საკურთხევლიდან შორს მიჰყავხართ, ოთახში, რომელიც საგსეა სამფეროვანი დროშებით, შაბლონური ნიკოგითა და ცხადია, თავისი არსით, სრულიად უმნიშვნელო მუზარადებითა და სხვადასხვა სამახსოვროებით; დრო, რომელსაც ისინი განეცუთვნებიან, მისთვის გმირული ეპოქა (Weber 1948: 176).

შემდეგ ის აგრძელებს და შენიშნავს ელზასელებში ფრანგული ერთობის გრძნობას და მათ მიჯაჭვულობას მის

რელიქვიებთან და, ‘განსაკუთრებით, ფრანგული რევოლუციის სამასში სოვორებთან’. ერთობის ეს გრძნობა, წერს იგი, ‘საერთო პოლიტიკური და, ირიბად, სოციალური გამოცდილების ძალით იქმნება. ორივეს, როგორც ფერდალიზმის რდგევის სიმბოლოებს, დიდად აფასებენ მასები, და ამ ამბების თხრობა პრიმიტიული ხალხების პერიოდული დეგენდების აღგილს იკავებს’ (Weber 1968, I: 396).

გებერის ზოგადი შეხედულება ნაციებზე და ნაციონალიზმზე, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყოფილა სრულად ჩამოყალიბებული, გარკვეულწილად, ახლოს დგას რენაის შეხედულებასთან. კერძოდ, იმით, რომ ვებერიც, ისტორიულ მასში სოვორობასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ ქმედებებსა და ინსტიტუციებს. ამავე დროს, ვებერი ჯერ კიდევ განიცდიდა საუკუნის განმავლობაში გაბატონებული გერმანული რომანტიკული ტრადიციისათვის ცენტრალური, ნაციონალობის ეთნოლინგვისტური კრიტერიუმის ძალიან დიდ გავლენას. აღნიშნული ტრადიციის სულისკვეთება პერდერიდან და კანტიდან, და კიდევ უფრო აღრეული ხანიდან – რუსოს ‘ნატურალიზმიდან’, იმ თვალსაზრისიდან მომდინარეობდა, რომ ნაციები შეიძლება ჩაისახოს ‘ბუნებით მდგომარეობაში’ (თუმცა კანონმდებელს შეუძლია ბუნების ხარვეზების შევსება), როგორც ეს სიისმა, XVIII საუკუნის დასასრულის ფრანგმა პოლიტიკის ფილოსოფობაში და სახელმწიფო მოღვაწეები გამოხატა. XIX საუკუნის დასაწყისის გერმანელი რომანტიკოსები – ფიხტე, არნდტი და იანი ასევე დარწმუნებული იყვნენ (ეთნოლინგვისტური) ნაციების ბუნებრიობის საფუძვლიანობაში, მაგრამ ეს რწმენა მათ მტკიცე სახელმწიფო საგალდებულო განათლებას იმ მიზნით შეუხამეს, რომ სწორი ნაციონალური ნება და ნამდვილი თავისუფლების მიღწევისათვის ბრძოლის მოთხოვნილება დაენერგათ და ჰეშმარიტი ნაციონალური თვითგამორკვევა განეხორციელებინათ (იხ. Kedourie 1960: თავი 3).

რომანტიკოსებისათვის, ისევე როგორც რენანისათვის, ნაცია სულიერი პრინციპი, ‘ნაციონალური სული’ (*Volkgeist*) იყო და ყოველ ნაციას თავისი განსაკუთრებული ბედისწერა და მისია პქონდა, ისევე როგორც მოპოვებოდა უნიკალური კულტურა, ‘შეუცვლელი კულტურული დირებულებანი’, რომელთა რწმენა ვებერს ნაციონალიზმის დამდად ესახებოდა. რენანისაგან განსხვავებით, გერმანელმა რომანტიკოსებმა

ნაციონალური სულის წყარო არა ისტორიაში ან პოლიტიკაში, არამედ ‘კულტურით შექმნილ ნებაში’ პპოვეს, იმ ორგანულ ლინგვისტურ კულტურაში, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითრეალიზაციისათვის ნაციონალური ნების ძიებაში გამოიხატებოდა. ნაციონალური სულის ეს კრიტერიუმი გერმანულენოვანი ტერიტორიების ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას ასახავდა. 1871 წლამდე ეს ტერიტორიები მრავალ ისეთ სამეფოდ და სამთავროდ იყო დაყოფილი, რომელთა ერთადერთ საზიარო ნიშანს გერმანული ენა და ლიტერატურა წარმოადგენდა. თუმცა ზოგიერთი გერმანელი რომანტიკოსი უკვე ჟყრდნობოდა საერთო ისტორიას: ცნებაში გერმანულენოვან ჰუმანისტებს შორის. შემდეგ კი, როცა წმინდა რომის იმპერია გერმანულენოვან ტერიტორიებს შეეხო, ენამ და ეთნიკურობაში სწრაფად შეიძინა უფრო დიდი მოწოდების ძალა, რომელიც თავდაპირველად გარეშე მტრის – ფრანგული კულტურის, მოგვიანებით კი უპირატესად შინა – ებრაელი ‘რასობრივი მტრის’ წინააღმდეგ იყო მიმართული. ბირთვ-დირექტულებებთან და კულტურული ბმის ძალასთან დაკავშირებულმა ამ გაურკვევლობამ, კულტურული და ეთნიკური შერყვნის შზარდ შიშთახ ერთად, გავლენა მოახდინა გერმანული ნაციონალური იდეოლოგიის კურსზე, მისცა რა მას ეთნიკური ნაციონალიზმისა და ბიოლოგიური დეტერმინიზმის მიმართულება. უფრო ზოგადად კი ამგვარმა კულტურულმა კვანძმა ნაციის უფრო ნატურალისტური და ორგანული იდეოლოგიების განვითარების ტენდენციას შეუწყო ხელი (იხ. Mosse 1964; Kohn 1965; Conversi 1997).<sup>18</sup>

### ‘ეთნიკური’ და ‘მოქალაქეობრივი’ ნაციონალიზმები

გერმანული ნაციონალიზმის კურსისათვის თვალის მიდევნება მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა პანს კონის ‘დასავლური’ და ‘აღმოსავლური’ ნაციონალიზმების დიქტომიის გასავითარებლად, რომელიც კვლავაც რჩება ნაციონალიზმის კველაზე ნაქებ და გავლენიანიან ტიპოლოგიად. პანს კონის მთავარი შრომა ნაციონალიზმის იდეა 1944 წელს გამოვიდა. წერდა რა ნაციზმისა და ომის აჩრდილთა პირობებში, იგი ესწრაფებოდა აღმოებინა განსხვავებები დასავლეთში არსებულ ნაციონალიზმის უფრო

კეთილ ფორმასა და მის იმ უფრო საშიშ სახესხვაობებს შორის, რომლებიც რაინის აღმოსავლეთით გამოჩნდნენ. კონი ამტკიცებდა, რომ ნაციონალიზმის დასავლური ფორმები დაუუძნებული იყო იდეაზე, რომ ნაცია წარმოადგენდა მოქალაქეთა რაციონალურ ასოციაციას, გაერთიანებულს საერთო კანონებითა და საზიარო ტერიტორიით, მაშინ როცა მისი აღმოსავლური სახესხვაობები საერთო კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის რწმენას ეფუძნებოდა და ნაციას განიხილავდა როგორც ურდვევ, ერთიან, ორგანულ, ინდივიდუალურ წევრებზე მაღლა მდგომ ორგანიზმს, რომელიც დაბადებიდან დაგვეხმა და ნაციონალურ დაღს გასვამს. ამ კონტრასტის წარმოშობის წყარო ნაციონალიზმების განსხვავებულ კლასობრივ შემადგენლობაში უნდა ვექებოთ. დასავლეთში ძლიერ და თავის თავში დარწმუნებულ ბურუჟაზიას შეეძლო აეშენებინა მასობრივი სამოქალაქო სულისკვეთების მქონე მოქალაქეთა ნაცია, მაშინ როდესაც აღმოსავლეთს ამგვარი ბურუჟაზიული კლასი არ გააჩნდა და იმპერიული ავტორატებისა და ნახევრადფეოდალური მიწათმფლობელების მიერ იმართებოდა. ეს ქმნიდა ნოენი ნიადაგს ნაციის ორგანული კონცეფციებისა და ნაციონალიზმის მექანიზმი, ავტორიტარული, ხშირად მისტიკური ფორმებისათვის (Kohn 1967a).

მიუხედავად კონის დიქტომიის მექანიზმი კრიტიკისა (დაყოფის მისეული მორალისტური მიუღებლობის გაბუქვა, მისი გეოგრაფიული ფოკუსის კრიტიკა იმ მიზეზით, რომ მხედველობის არედან მნიშვნელოვანი ‘გამონაკლისებია’ გამორჩენილი, მაგალითად, ირლანდია და ჩეხეთი, და ორი ტიპის მისეული გამოცალებების ზედმეტ სიმკვეთრეზე მითითება), იგი მაინც ინარჩუნებს ჭეშმარიტების მარცვალს. ნაციის ‘ვოლუნტარისტულ’ კონცეფციაში ინდივიდები ფლობენ გარკვეულ თავისუფლებას; მართალია, ‘ნაციათა მსოფლიოში’ და ნაციონალური სახელმწიფოების არსებობის პირობებში ისინი ნაციას უნდა განეკუთვნებოდნენ, მაგრამ, პრინციპში, მათ შეუძლიათ თავი მიაკუთვნონ სასურველ ნაციას. ნაციის ‘ორგანულ’ კონცეფციაში ამგვარი არჩევანი გამორიცხულია. ინდივიდები ნაციაში არიან შობილნი და, სადაც არ უნდა წავიდნენ, მაინც მათი დამბადებელი ნაციის განუყრელ ნაწილად რჩებიან.<sup>19</sup>

ეს, ცხადია, იდეოლოგიური კრიტერიუმია და ნორმატიულ ტიპებს აღწერს. ჩარლტონ ჯეისის შრომიდან და

ლუის სნაიდერიდან მოყოლებული და უფრო გვიანდელი ფორმულირებებით დამთავრებული (როგორებიცაა პუბ სეტონ-უოტსონისეული გამიჯვნა, რომელიც (უპირატესად) დასავლეთ ევროპაში არსებულ ‘ძველ, განგრძობად ნაციებს’ აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ახალი, მიზანმიმართულად შექმნილი ნაციებისაგან (‘ჩანაფიქრის ნაციებისაგან’, როგორც მათ ჩარლზ ტილი უწოდებდა) გამოყოფდა; და ნაციონალიზმების ჩემული დაყოფა იმის მეშვეობით, რომ ერთნი ეფუძნებიან ‘ტერიტორიას’, ხოლო მეორენი – ‘ეთნიკურობას’) იყო ცდები, რომ გამიჯვნა უფრო მეტად ისტორიულ და სოციოლოგიურ საფუძველზე მომხდარიყო. ამ ტიპოლოგიამ შესაძლოა კარგად დაგვანახოს ნაციებსა და ნაციონალიზმებს შორის არსებული უმთავრესი განსხვავებანი. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ დროთა განმავლობაში იმდენად ბევრი ნაციონალიზმი იცვლის თავის ‘ბუნებას’ და ისე ხშირად ურევს ერთმანეთში ორივე ტიპისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომ თავდაპირველი ანალიტიკური გამიჯვნა ერთგვარად კარგავს თავის პრაქტიკულ დირებულებას.<sup>20</sup>

გარდა ამისა, ნაციონალიზმის სოციოლოგიურ ტიპებში ნორმატიული თვალსაზრისების შეტანის საფრთხეები არსებობს. ესაა ნაციის ამჟამად მოდური ‘ეთნიკურ’ და ‘მოქალაქეობრივ’ კონცეფციებს შორის გამიჯვნის პრობლემა. მაშინ, როცა პოლიტიკის ფილოსოფოსების თვალში ‘მოქალაქეობრივ’ ნაციონალიზმს შეუძლია რომ ლიბერალიზმს შეუთავსდეს და, ამ გზით, გარკვეულ რესპექტაბელურობას მიაღწიოს, სისხლისა და მიწის ნაციონალიზმის ეთნიკური ფორმები მორალური საზღვრის მიღმა რჩება; აღმოუფხვრელი პარტიკულარიზმი არ აძლევს მათ საშუალებას პქონდეთ რამე ცივილიზებული ურთიერთობა ‘შიმართულების მიმცემ’ პოლიტიკურ იდეოლოგიებთან. შესაძლოა ლიბერალური ახსნა, რომელიც განსახლებას, ისტორიას და საჯარო კულტურას და არა გენეალოგიასა და ეთნოლინგვისტურ კულტურას ეფუძნება, იმისათვის იყოს საჭირო, რომ უპირველესი ყურადღება თანამემამულეთა საჭიროებებს დაეთმოს. აღნიშნული კარგად ესადაგება ნაციის ცნების დევილ მილერისებულ დეფინიციას, რომლის კომპონენტებიც მოიცავს ისტორიას, ტერიტორიას და საჯარო კულტურას, მაგრამ ყურადღების გარეშე ტოვებს ყოველგვარ მითოებას ეთნიკური შთამომავლობის მითზე. იმავეს გაგრძელებაა მაურიციო ვიროლის მიერ რესპუბლიკური

პატრიოტიზმის დაცვა ეთნოკულტურული ნაციონალიზმის პრეტენზიებისაგან (Miller 1995; Viroli 1995; შდრ. Barry 1999).

მაგრამ ნაციონალიზმის ამგვარ შეკვეცილ ვერსიასაც კი ძალუძს საქმაოდ არალიბერალური ქსენოფობიური პოლიტიკის გამოწვევა. მოქალაქეობრივი ნაციონალიზმის ‘სახლიდან’ ამის კლასიკურ მაგალითს საფრანგეთის რესპუბლიკაში ებრაელებისადმი დამოკიდებულება წარმოადგენდა. ‘ებრაელს, როგორც ინდივიდს, ჩენ ვაძლევთ ყველაფერს, ებრაელს, როგორც ებრაელს – არაფერს’ განაცხადა კლერმონ-ტონებ საფრანგეთის ასამბლეაზე 1790 წელს. მოქალაქეობრივი ნაციონალიზმის მიერ უმცირესობათა უფლებების დაცვაში საქუთარი მარცხის აღიარება, შეიძლება შეესაბამება კიდევ ლიბერალურ ინდივიდუალიზმს და პიროვნულ ადამიანურ უფლებებს, მაგრამ ეს მხოლოდ ჯგუფის უფლებებზე თვალის დახუჭვით, უმრავლესობის (მასპინძელი) ნაციის თანხმობით ხდება. აღნიშნული უფლება-მოვალეობანი გულისხმობს მოქალაქეთა მიერ დომინანტური (ფრანგული) ენის შესწავლას, საქმის წარმოებას ამ ენაზე; უმრავლესობის (ფრანგული) ისტორიის და ლიტერატურის შესწავლასა და დეკლამაციას; ფრანგული ტრადიციების დაცვას; ფრანგული სიმბოლოებისა და ინსტიტუციების აღიარებას და ა.შ. ებრაელებისათვის ეს ნიშნავს მათი უნიტარული თვითადგემის და მათი ეთნორელიგიური ერთობის გახლებას რელიგიურ აღმსარებლობად და ეთნიკურ კუთვნილებად, განძარცვას ამ უკანასკნელისაგან და ასიმილაციას მასპინელ ნაციაში. ესაა ის პროცედურა, რომელსაც ლიბერალური მოქალაქეობრივი ნაციონალიზმი უმცირესობათა მიმართ დღეს მრავალ ნაციონალურ სახელმწიფოში იყენებს (იხ. Vital 1990: თავი 1; Preece 1998).

მოქალაქეობრივი ნაციონალიზმი ძალიან შორსაა იმისაგან, რომ განსხვავებული კულტურების მქონე ჯგუფთა მოთხოვნილებანი დააგმაყოფლოს. ნამდვილი მულტიულტურიზმის არსებობა მხოლოდ ‘მრავლობითი’ ნაციის ჩარჩოებშია შესაძლებელი. ამგვარი ნაცია დადგებითად ეპიდება მრავალფეროვნებას და ნაციონალურ სახელმწიფოში ყველაფერზე მაღლა აყენებს ინსტიტუციებისა და სიმბოლოების შიგნით სხვადასახვა კულტურების კომპონენტთა არსებობას. ეს შესაძლებელი შეიქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მხოლოდ გადასადნობი ქვაბის იდეოლოგიაზე უარის თქმის შემდეგ.

თუმც ფაქტობრივად, შეერთებული შტატები პროტესტანტული ინგლისური ეთნიკური საფუძველზე აშენდა, მონობამ, ადგილობრივი ამერიკელების დაპყრობამ და იმიგრაციის ერთობერებული მიყოლებულმა ტალღებმა იგი ნამდვილ მრავალეთნიკურ და პლურალისტურ ნაციად აქცია, რომელიც ამასთანავე შეკავშირებული იყო საერთო ენით, საერთო კანონებით, საზიარო პოლიტიკური სიმბოლოებითა და ‘სეკულარული რელიგიით’ – დროშისადმი პატივის მიგებით, საჯარო დღესასწაულების აღნიშნვით, კონსტიტუციისა და დამფუძნებელ მამათა კულტით, სახელოვან ომებში დაღუპულთა მოსაგონარი ღონისძიებებით და ა.შ.

მიუხედავად ყველა ამ თვალსაჩინო განსხვავებისა, მსგავსებაც განსაციფრებლად დიდია შეერთებული შტატების ამ სასიამოვნო ნაციონალიზმსა და საფრანგეთის, რუსეთის და ბრიტანეთის ‘მისიონერულ’ ნაციონალიზმებს შორის, რაც მათ ‘დიდი ნაციებად’, ‘პროგრესის შუქურებად’, ‘უვიც ადგილობრივებში’ ‘ცივილიზაციის გამაფრცელებლებად’ დასხვას გულისხმობს. ეს მსგავსება ადასტურებს, რომ, მიუხედავად თვალსაჩინო კონტრასტისა ნაციონალიზმის იდეოლოგიის ‘ორგანულ’ და ‘ვოლუნტარისტულ’ ფორმებსა და ნაციის ‘ეთნიკურ’ და ‘მოქალაქეობრივ’ კონცეფციებს შორის, მათ მიერ წარმოშობილი პოლიტიკური ქმედებანი იმაზე უფრო ახლოა ერთმანეთთან, ვიდრე წარმოგვედგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზეზობრივი ანალიზის ჩატარებისას, ჩვენ ნაციონალიზმის, როგორც ფენომენთა ერთი კრებულის, განიხილვა გვჭირდება. თუმცა, ამავე დროს, არც მის სხვადასხვა ფორმებს შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებით უნდა დაგვავიწყდეს. ნაციონალიზმის ბაზისური პრინციპები, იდეალები და ბირთვი-ცნებები აშკარად უცვლელია დროში და სხვადასხვა პულტურებში; და ეს გვეხმარება ავსნათ, თუ რატომ არიან მეცნიერები დარწმუნებულნი, რომ შეუძლიათ წარმოადგინონ ნაციებისა და ნაციონალიზმების ყოვლისმომცველი განმარტებანი და მტრულად განწყობილ ნაციონალისტებს შესაძლებლობა მისცენ ერთმანეთთან დებატებში ჩაერთონ, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინთა ყველასათვის მისაღები დეფინიციებისა და ამსხნელი პარადიგმების თაობაზე ვერ შეთანხმებულან.

## პარადიგმები

---

1789 წლის დასაწყისში აბატმა სიიქსმა გამოაქვეყნა პამფლეტი სათაურით *Qu'est-ce que le Tiers Etat?* სიიქსმა თავადაზნაურებისა და კლერიკალების პრივილეგიების წინააღმდეგ ილაშქრებდა, მესამე წოდებას ნაციასთან აიგივებდა და ნაციის სუვერენობას აცხადებდა:

ნაცია ყველაფერზე უწინარესია და ყველაფერის საწყისია. მისი ნება ყოველთვის კანონიერია, რადგანაც ის თავადა კანონი... დედამიწაზე არსებული ნაციები, პიროვნებების მსგავსად, ყოველგვარი სოციალური კაგშირისაგან თავისუფალნი, ანუ სხვაგარად, ბუნებრივ მდგომარეობაში უნდა ჩასახულიყვნენ. მათი ნების განხორციელება ყოველგვარი მოქალაქეობრივი ფორმისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელია. არსებობენ რა მხოლოდ ბუნებრივ წესრიგში, მათი ნება, სრული ეფექტისათვის მხოლოდ ნების ბუნებრივ მახასიათებლებს საჭიროებს. როგორც ნაციას სურს, ის საკმარისია იმისათვის, რაც სურს. ყველა ფორმა მისაღებია, და მისი ნება ყოველთვის უზენაესი კანონია (ციტატისათვის იხ. Cobban 1963, I: 165; კურსივი დედნისულია).

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში წლის შემდეგ საქმის არსი უფრო მკაფიოდაც კი გადმოსცა: ‘არსებითად, ნაცია ყოველგვარი სუვერენობის წყაროა: არც ერთ ადამიანს, არც ერთ პიროვნებას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ძალაუფლება, რომელიც ცალსახად მისგან არ მომდინარეობს’ (იხ. Baker 1988: 271). ერთი წლის შემდგომ, 1790 წლის ზაფხულში, ფრანგებმა *Fête de la Fédération* იზეომეს: ეროვნული გვარდიელები და ლოიალურად განწყობილი მოქალაქეები შეიკრიბნენ, რათა ახალი ფრანგული

ფედერაციის შექმნა ედლესასწაულათ. ყველგან აღმართული იყო სატურთხევლები წარწერით: ‘მოქალაქე იბადება, ცხოვრობს და კვდება მამულისათვის’. მოეწეო მსვლელობები, მღეროდნენ პიმჩებს, ჟაკ-ლუი-დავიდის ნახატის პერაციუსის ფიცის (1784) მიბაძით, გაშლილი ურთიერთგადაჭრობილი მკლავებით დებდნენ ფიცის. ‘წმინდა საძმოში’ გაერთიანებული მოქალაქეები საფრანგეთს სამუდამო ერთგულებას, ნაციონალური ერთიანობის მხარდაჭერას და სუვერენი ხალხისადმი მორჩილებას აღუთქვამდნენ. 14 ივლისს პარიზში მარსის მინდორზე ლაფაიეტმა ფიცი დადო, ხოლო ტალეირანმა მასობრიობა და გაშლილი დროშების ქვეშ კურთხევა უზრუნველყო, ისმოდა ‘ზომლერა და იყო სიხარულის ცრემლების ღვრა, რადგანაც ეს იყო დღე საფრანგეთის განახლებისა’. ამავე დროს ნოტრ-დამში ნახევრად საკრალური, ნახევრად პროფანული კანტატა *Prise de la Bastille* სრულდებოდა, რომელიც ივლითის პატრიოტული წიგნის პასაჟების ნაკრებს წარმოადგენდა (Schama 1989: 502–512).

რევოლუციის წინსვლასთან ერთად ხალხის ენთუზიაზმიც მატულობდა. მიღებული იქნა ახალი სამფეროვანი დროშა ახალ ნაციონალურ პიმზ ‘მარსელიოზასთან’ ერთად, რომელიც შემდგომში სახელმწიფო პიმნი გახდა. მეფის ტიტული: ‘ლუი, უფლის მადლით, საფრანგეთისა და ნავარის მეფე’ ასე შეიცვალა: ‘ლუი, უფლის მადლითა და სახელმწიფოს კონსტიტუციური კანონით, ფრანგთა მეფე’. როგორც პოლიტიკურ, ასევე პულტურულ რეგიონალიზმს ლაგამი ამოხდეს ‘la république, une et indivisible’ შესაქმნელად. 1793 წლიდან ფრანგულ ენას აბაზ გრეგუარისა და რობესპიერის შეთვალყურეობით მოქმედი სახალხო უსაფრთხოების იაკობინური კომიტეტის წევრის ბარქს ძალისხმევით მთელ ქვეყანაში ენოჭებოდა უპირატესობა. პირველი პლებისციტები ჩატარდა პაპის ორ ანკლავში, რათა მათი მოსახლეობის (ფრანგული) ნება დადასტურებულიყო. ახალწევეულთაგან მოქალაქეთა ნაციონალური არმია ჩამოყალიბდა. მან რამდენიმე მარცხი აგემა მონარქთა შემოჭრილ არმიებს ვალმისთან 1792 წლის სექტემბერში და შემდეგაც; ‘პატრიოტთა’ (ასე უწოდებდნენ თავს რევოლუციონერები) გამარჯვების ტალღის მოქცევისას დაიწყო მათ მიერ ხელში ჩაგდებულ ‘განთავისუფლებულ’ ტერიტორიებზე თავისუფლების, თანასწორობის და მმობის იდეალების ექსპორტი. ნაციონალური განახლების

აღსანიშნავად 1793 და 1794 წლებში დიდი სახალხო fêtes იქნა ორგანიზებული. მათი დადგმა დავიდს ეპუთვნოდა, მუსიკა – გოსეპს, პოეზია კი – ანდრე შენიეს. ეს დღესასწაულები გამოირჩეოდა დიდი პროცესიებით და აღლუმებით, ჰიმნებით, თავისუფლებისა და ბუნების კოლოსალური ქანდაკებებით და ისეთი რიტუალებით, როგორიცაა მიწის ხელახლა მონათვლა წყლით, ცაში ათასობით მშვიდობის მტრედის გაშვება და რობერსპიერის, ვითარცა ახალი მოსეს, დაშვება თაბაშირისა და მუყაოს გიგანტური მთიდან, რომლის მწვერვალზეც პერკულების ქანდაკება და თავისუფლების ხე იყო აღმართული (Schama 1989: 746–750, 831–836).<sup>1</sup>

## მოდერნიზმი

მაინც ზუსტად რას ზეიმობდა ფრანგული ბურუჟაზია? ეს არ იყო უბრალოდ ხელისუფლებაში მოსვლა და არისტოკრატიისა და კლერიკალთა პრივილეგიების დასასრული. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ფრანგული რესპუბლიკის ფორმით საფრანგეთის ახალი ნაციის დაბადება. ნაციონალური კრებისა და მისი მემკვიდრეობის მუშაობის შედეგად ახალი ნაციის მშენებლობის პროცესში ბიძგი მიეცა უზარმაზარ ენერგიასა და ძალისხმევას განმანათლებელი ფილოსოფოსების რაციონალური გეგმების შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილების განხორციელებაში.<sup>2</sup>

ამგვარი გეგმიური ‘ნაციამშენებლობა’ თვისებრივად ახალი პროცესი იყო, რომელსაც 1789 წლამდე პარალელი არ მოექცენება. მართლია, წინა ვპოქებშიც ადგენდნენ განათლებული მონარქები კეთილდღეობის პროგრამებსა და დიადი გარდაქმნების პროექტებს; ადმინისტრაციის ფართომასშტაბიანი ‘მოდერნიზაციის’ მცდელობებიც კი იყო, დაწყებული ჰამურაბის ანტინებიდან ძველ ბაბილონში და ავტუსტუსის რეფორმებიდან რომში და რუსეთში პეტრე დიდისა და ავსტრიაში იოსებ II მოდერნიზაციის პროგრამებით დამთავრებული. მაგრამ მათ ქმედებაში არანაირი კოლექტიური ჩანაფიქრი არ იყო. ის ხორციელდებოდა ერთი პიროვნების ან მმართველი კლასის სახელით და მისი ინტერესებისათვის. არც რაიმე იდეოლოგია არსებობდა საერთო ისტორიისა და კულტურის ქრონიკაში სუვერენი ხალხისათვის, რომლისადმიც უზენაესი ერთგულება უნდა გამოგეხინა და თავიც გაგეწირა. ადრეულ ეპოქებში ცენტრში მიმდინარე პოლიტიკურ

მოვლენებში მონაწილეობის მისაღებად ხალხის მობილიზების საკითხი არ იდგა; არ არსებობდა არათუ ქალების, არამედ მამაკაცების პოლიტიკურად გაცნობიერებულ და აქტიურ ‘მოქალაქეებად’ გადაქცევის საჭიროებაც კი. შესაბამისად, არც რაიმე ინტერესი არსებობდა, რომ საზოგადოებას მოქალაქეთა საჭიროებათა და ინტერესთა დასაქმაყოფილებლად ინფრასტრუქტურა და ინსტიტუციები პქონოდა, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობაში ფართოდ დაინერგებოდა მასობრივი საგადადებულო სტანდარტული სახალხო განათლება ‘მოქალაქეთათვის’ აუცილებელი უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რათა, შეძლებისდაგვარად, ამაღლებულიყო ნაციის კეთილდღეობა და მოქალაქეები წმინდად სეკულარული პატივისცემით გამსჭვალულიყვნენ ნაციის კანონების მიმართ.<sup>3</sup>

ეს ყველაფერი ახალი იქო და XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე პერიოდის ევროპის აბსოლუტისტი მონარქების ცენტრალიზაციისაკენ მიმართული პროგრამების, მათ პრეტენზიებზე მზარდი რეაქციების შედეგს წარმოადგენდა, რეაქციებისა, რომლებმაც პირველად XVII საუკუნის პოლანდიისა და ინგლისის პურიტანულ აჯანყებებში იჩინეს თავი და კულტინაციას ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის რევოლუციებში მიაღწიეს. და ეს მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულის საფრანგეთში გახდა შესაძლებელი, რომ 430 წელს პერიკლეს მოწოდება გამოსახოვარ სიტყვაში ათენელი თანამოქალაქეთადმი, ‘სიგიუმდე შეეყვარებინათ თავიანთი ქალაქი’, ცხოვრების კრედოდ გადაიქცეულიყო. მხოლოდ ამის შემდგომ ჩამოჰკრა კოლექტივის გულის სიმებს ხელი საზოგადოებრივად აქტიური მოაზროვნე ათენელი მოქალაქის პერიკლესეულმა იდგალმა. სულაც არ არის საკვირველი, რომ რუსო და მისი მეგობრები კლასიკური ათენის, საარტას და რესპუბლიკური რომის ისტორიაში ეძიებდნენ მოქალაქეობრივი სოლიდარობისა და ისტორიული ერთობის მოდელებს. ფრანგული რევოლუციის კომენტირებისას დურუკაიმი წერდა: ‘ფაქტობრივად იმავე დროს, საყოველთაო ენთუზიაზმის გავლენით, თავისი არსით პირწმინდად სეკულარული საგნები – მამული, თავისუფლება, გონება – გარდაიქმნენ საკრალურად. გამოიკვეთა რელიგიის (თავისი დოგმატიკით, სიმბოლოებით, საკუროხევლებით და დღესასწაულებით) დაფუძნების ტენდენცია’ (Durkheim 1915: 214). შესაბამისად, ნაციონალიზმი, როგორც ‘ნაციის მშენებლობის’ პროცესი და როგორც იდეოლოგია და მოძრაობა, და

ნაციონალიზმის იდეალები – ნაციონალური ავტონომიურობა, ერთიანობა და იდენტობა – მოდერნული ფენომენებია, რომლებიც პოლიტიკური სცენის ცენტრში სუვერენი, ერთიან და უნიკალურ ნაციას ათავსებენ და მთელს მსოფლიოში ამ ფორმით მოქმედებენ.<sup>4</sup>

შეხედულებას, რომელიც მე მოვხაზე და ისტორიულ განვითარებას, რომელიც მის არსს წარმოგვიდგენს, შეიძლება ‘მოდერნისტული’ ეწოდოს. ‘მოდერნიზმის’ ორი ფორმა არსებობს: ქრისტოლოგიური და სოციოლოგიური. პირველი, როგორც ვასაბუთებდი, ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი – იდეოლოგია, მოძრაობა და სიმბოლიზმი – შედარებით ბოლოდროინდელი მოვლენაა. მეორეს მტკიცებით კი, ნაციონალიზმი თვისებრივადაც ახალია. ამ მეორე ფორმაში ნაციონალიზმი რადაც ბევრად უფრო ძველის უბრალოდ განახლებული ვერსია კი არ არის, არამედ ინოვაციას წარმოადგენს და ადრე მისი მსგავსი არაფერი არსებულა. იგი უბრალოდ ისტორიის მუდმივ მდინარებას კი არ უკავშირდება, არამედ წარმოადგენს ფენომენს, რომელსაც სული სრულიად ახალმა ეპოქამ და მთლიანად ახალმა პირობებმა შთაბერა. მოკლედ, ნაციონალიზმი მოდერნული დროის პროდუქტია და სხვა არაფერი. სწორედ ეს უკანასკნელი მტკიცებულებებაა ის, რაც ჰეშმარიტ მოდერნიზმს გამოარჩევს.

მაგრამ არა მხოლოდ ნაციონალიზმია ახალი. ასეთივე არიან ნაციები, ნაციონალური სახელმწიფოები, ნაციონალური იდენტობანი და მთელი ‘ინტერნაციონალური’ ერთობა. ეს ყველაფერი მოდერნისტისათვის არა მხოლოდ ქრონილოგიურადაა ახალი, არამედ თვისებრივადაც. ფრანგულმა რევოლუციმ არა უბრალოდ ახალი იდეოლოგიის, არამედ ადამიანური ერთობის ახალი ფორმის, კოლექტიური იდენტობის ახალი სახის, სახელმწიფოს ახალი ტიპის, დაბოლოს, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ახალი წესრიგის გამოჩენა გვაუწყა. ამ ახალი ფენომენების ურთიერთშეხამებასა და შიდა კავშირებში აირეკლება მოდერნული დროის ახალი მსოფლიო წესრიგი. მაგრამ, მსგავსად ამისა, მოდერნისტისათვის ისინი თანადროულობისთვის დამახასიათებელ ახალ პირობებსაც ასახავენ.<sup>5</sup>

რა არის ნაციონალური ფენომენის სპეციფიკურად მოდერნული მახასიათებლები, და რა ძირითადი პირობებია

საჭირო იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ნაციების, ნაციონალური სახელმწიფოებისა და ნაციონალიზმის წარმოშობას? ამ კითხვებზე გაცემულ პასუხებში, მოდერნიზმის მრავალი ტიპი გამოვლინდება, და მე, მათგან გამომდინარე, ზოგიერთ თეორიასა და დებატებს შემდგომ თავში განვიხილავ. ახლა კი შეგვიძლია მოკლედ დავახასიათოთ მოდერნისტთა ურვლისმომცველი პარადიგმის შემდეგი ტიპები:

1. სოციალურ-ეკონომიკური: ამ გერსით ნაციონალიზმი და ნაციები ისეთი ეპონმიკური და სოციალური ფაქტორებისაგან წარმოდგებიან, როგორიცაა ინდუსტრიული კაპიტალიზმი, რეგიონალური უთანასწორობა და კლასობრივი კონფლიქტი. ტომ ნაირნის და მაიკლ პეჩთერის მიხედვით, თვით ნაციონალური სენტიმენტები და იდეალები გამოწვეულია თანამედროვე სახელმწიფოთა შიგნით შედარებითი სიღარიბის არსებობით რეგიონებს და კლასებს შორის და სახელმწიფოთა საზღვრების გადაკვეთით, განუვითარებელ პერიფერიულ და განვითარებულ ცენტრალურ რეგიონებს ან ცენტრალურ და პერიფერიულ ელიტებს შორის, როდესაც ამ უკანასკნელს მხარს პერიფერიის ახლად მობილიზებული ‘მასები’ უმაგრებს (Hechter 1975; Nairn 1977).<sup>6</sup>
2. სოციალურ-კულტურული: ერნსტ გელნერის მიხედვით, ნაციონალიზმი და ნაციები მოდერნული, ინდუსტრიული ეპოქის სოციალურად აუცილებელი ფენომენებია, რომლებიც ‘მოდერნიზაციის’ გარდამავალ პერიოდში წარმოშვნენ. ნაციები წიგნიერი, სკოლის მეშვეობით გავრცელებად, სპეციალისტებისა და მასობრივი, სტანდარტული, სავალდებულო სახალხო განათლების სისტემის მიერ მხარდჭერილი ‘მაღალი კულტურის’ გამოხატულებანი არიან. თავის მხრივ, ნაციები მობილური და დაოსტატებული სამუშაო ძალის მომზადებით ზუსტად ისევე ეხმარებიან ინდუსტრიალიზმს, როგორც ეს უგანასკნელი უწყობს ხელს ნაციონალიზმის წარმოშობას (Gellner 1964, თავი 7; 1973; და 1983).
3. პოლიტიკური: აქ ნაციები და ნაციონალიზმი ყალიბდება მოდერნულ, პროფესიონალთა

სახელმწიფოში ან მისი მეშვეობით უშუალოდ ან სპეციფიკურ (იმპერიულ/კოლონიურ) სახელმწიფოებთან დაპირისპირებაში. ისეთი თეორეტიკოსებისათვის, როგორებიც არიან ჯონ ბრილი, ენტონი გიდენსი და მაიკლ მანი, არა მარტო მოდერნული სახელმწიფოა ნაციებისა და ნაციონალიზმის საუკეთესო მაცნე, მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან რენტეგრაციული ნაციონალიზმის იმ მგაცრ გამოცდასაც ატარებს, რომელიც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარდაუვლად თანმდევი მოვლენაა (Giddens 1985; Breuilly 1993; Mann 1995).

4. იდეოლოგიური: აქ ფოკუსში ხვდება ნაციონალისტური იდეოლოგიის ეფროპული წარმოშობა და მოდერნულობა, მისი კვაზირელიგიური ძალა და როლი იმპერიების მსხვრევაში და ნაციების შექმნაში იქ, სადაც ამგვარი რამ არ არსებობდა. ელი კედური ნაციონალისტური იდეოლოგიების კვალს განმანათლებლობაში და თვითგამორკვევის კანტისეულ იდეებში, საბოლო ჯამში კი, მიღენიურ შუასაკუნებრივ ქრისტიანულ დოქტრინებში პოულობს; მანვე გამოავლინა არაევროპელ ხალხებზე აღნიშნული იდეოლოგიების დესტრუქციული ზემოქმედება, როდესაც უგმაყოფილო ინტელიგენციამ ამ ხილიასტური ევროპული დოქტრინების ადაპტაცია მოახდინა მშობლიური ეთნიკური და რელიგიური ტრადიციებისათვის (Kedourie 1960; და 1971: შესავალი).<sup>7</sup>
5. კონსტრუქციონისტული: ეს მოდერნიზმის საკმაოდ თავისებური ფორმაა იმდენად, რამდენადაც უურადღების ცენტრშია მოდერნულად მიჩნეული ნაციებისა და ნაციონალიზმის სოციალურად კონსტრუირებადობა. ერიკ პობსბაუმის მიხედვით, ახლად განთავისუფლებული მასების ენერგიის სათანადოდ მიმართვას მმართველი ელიტის ინტერესების გასატარებლად ნაციები სოციალური ინჟინერიის პროდუქტს – ‘გამოგონილ ტრადიციებს’ უნდა უმადლოდნენ. მეორეს მხრივ, ბენედიქტ ანდერსონი ნაციაში ისეთ წარმოსახვით ერთობას ხედავს, რომელიც კოსმიური რელიგიებისა და მონარქიების გაქრობით დატოვებულ სიცარიელეს ავსებს იქ, სადაც დროის ახალი კონცეფცია და ბეჭვდითი კაპიტალიზმი’.

საშუალებას იძლევა წრფივ დროში მოძრავი ნაციქბი წარმოვიდგინოთ (Hobsbawm and Ranger 1983; Anderson 1991).

მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა, მოდერნულობის პარადიგმის ყველა ამ გარიაციისათვის საზიაროა იმის რწმენა, რასაც შეიძლება ‘სტრუქტურული მოდერნიზმი’ ეწოდოს. ეს არც ‘პირობითი მოდერნიზმია’ და არც უბრალო დაკვირვება ნაციონალიზმისა და თანადროულობის ისტორიულ კორელაციაზე, არამედ მოდერნულობის თანდაყოლილი ნაციონალური და ნაციონალისტური ბუნების რწმენა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. მოდერნულობა ხომ, ამ თვალსაზრისით, აუცილებლად ნაციების ფორმით გვევლინება და, როგორც წესი, გარდაუგლად წარმოქმნის ნაციონალისტური იდეოლოგიებსა და მოძრაობებს.

### პერენიალიზმი

დღეს მოდერნიზმი ნაციონალიზმის თაობაზე ორთოდოქსული მეცნიერების შეხედულებას წარმოადგენს. ბევრისათვის ნაციების, ნაციონალური სახელმწიფოების და ნაციონალიზმის მოდერნულობა მარტივად მისაღებია, სხვებისათვის ძნელი დასაჯერებელია. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო. მეორე მსოფლიო ომამდე ბევრი მეცნიერი იზიარებდა შეხედულებას, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაციონალისტური იდეოლოგია ბოლოდროინდელი მოვლენაა, თავად ნაციები ყოველთვის, ისტორიის ყველა პერიოდში, არსებობდნენ, და ბევრი ნაცია უსსოვარი დროდან არსებობდა. ესაა ხედვა, რომელიც შეიძლება ‘პერენიალიზმად’ იწოდოს. ალბათ, სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ საზოგადოების ბევრი წევრი დღესაც პერენიალისტურ თვალსაზრისზე დგას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მათ საკუთარ ნაციას შეეხება. XIX საუკუნეში და XX საუკუნის 40-იან წლებამდეც პერენიალიზმის ამა თუ იმ ვარიანტს ბევრი მეცნიერიც იზიარებდა, ისეთებიც კი, როგორიც რენანი გახლდათ, რომელიც უფრო ნაციონალიზმის ‘კოლუნტარისტულ’ ვერსიას ამჯობინებდა. ამგვარი ვითარების შექმნას ნაწილობრივ ‘რასისა’ და ‘ნაციის’ გათანაბრების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა უწყობდა ხელს. ტერმინი ‘რასა’ უფრო ხშირად

შთამომავლობითი ჯგუფის განცალკევებულ პულტურას აღნიშნავდა, ვიდრე მემკვიდრეობით უცვლელ ბიოლოგიურ ნიშნებსა და გენებს (დღეს იგი ჩვენ ტერმინ ჟონიკურობით, შეგვეძლო ჩაგვენაცვლებინა). პერენიალიზმს ხელი ეწყობოდა აგრეთვე სოციალური ევოლუციის იდეით, რომელიც მახვილს გრადუალიზმზე, პროგრესის საფეხურებზე და სოციალურ და კულტურულ კუმულაციაზე აკეთებდა. ნაციებში კოლექტიური გრადუალიზმის, განვითარებისა და კუმულაციის ელემენტების მქონე ეგზემპლარების დანახვა ადვილიც იყო და ბუნებრივიც, განსაკუთრებით მათვის, ვისაც ორგანული ანალოგია იზიდავდა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც ნაციონალისტური კონცეფციებით ნასაზრდოები ნაციონალური ისტორიოგრაფიის და არქეოლოგიის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს დისციპლინები ხომ ხელს უწყობენ და მსარს უჭერენ ამგვარ კონცეფციებს თავიანთი ურყევი მონაცემებით, და შორეული მატერიალური კულტურების ხელშესახები ნაშთებით.<sup>8</sup>

პერენიალიზმი იმ იდეითაც შეიძლება წახალისდეს, რომ ნაციები ‘ბუნებრივ’ ერთობებს წარმოადგენენ, და რომ ზოგიერთისათვის ეს უკველად იყო მისი ერთი-ერთი მიმზიდველი მხარე. მაგრამ პერენიალიზმი ნაციის ნატურალისტურ კონცეფციაში არ უნდა აგურიოთ, რაც ახლანდელი ‘პრიმორდიალიზმის’ საფუძველია. პერენიალისტებს შეუძლიათ გაიზიარონ ან არ გაიზიარონ ნაციის ‘პრიმორდიალისტური’ კონცეფცია. ის, რაც აუცილებელია პერენიალიზმისათვის, არის რიგ ემპირიულ დაკვირვებებზე დაფუძნებული რწმენა, რომ ნაციები, ყოველ შემთხვევაში, ზოგი ნაცია მაინც, რაღაც მიზეზის გამო დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში არსებობს. სულაც არაა საგალდებულო, რომ პერენიალისტები ნაციებს ნატურალურად, ორგანულად ან პრიმორდიალურად მიიჩნევდნენ; სინამდვილეში მათ შეუძლიათ უარყონ ამგვარი არაისტორიული შეხედულებები და ხშირად ასეც იქცევიან. პერენიალისტებს არ სჭირდებათ რომ იყვნენ, და ხშირად არც არიან, პრიმორდიალისტები. ჩვენ კი მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მათ შორის არსებული ზღვარი.

პერენიალიზმი ორი უმთავრესი ფორმით გვხდება. უფრო გავრცელებულ ვარიანტს შეგვიძლია ‘განგრძობადი პერენიალიზმი’ ვუწოდოთ. ამ თვალსაზრისით, ზოგიერთ ნაციას გრძელი, განგრძობადი ისტორია აქვს და ამიტომაც

მათი წარმოშობის პერიოდის შეუძლებელი ან, უფრო იშვიათად, ანტიკურობაში შეიძლება მივაკვლიოთ. აქ აქცენტი კეთდება განვრმობადობაზე. რდვევებისა და წყვეტების იგნორირება არ ხდება. კოლექტიური კულტურული იდენტობის ნელ რიტერატურული კურადღების გამახვილებით, ისინი ფარდობით ხასიათს ატარებენ. რეალურად, ნაციის იდენტობა და ისტორია შეიძლება არც კი მიდიოდეს რენესანსის ან გვიანი შუა საუკუნეების ეპოქების იქით, როგორც ეს, მაგალითად, შვედეთის, ჰოლანდიის, რუსეთის შემთხვევებში გვაქვს. სხვაგან ნაციის წარმოშობის კეთილს ბევრად უფრო აღრეულ ეპოქაშიც შეიძლება მივაკვლიოთ. პუბ სეტონ-უოტსონი ამტკიცებდა, რომ ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ ‘შველი, განგრძობადი ნაციები’ უფრო გვიანდელი ნაციებისაგან, რომლებიც მიზანმიმართულ ქმედებათა შედეგს წარმოადგენენ; პირველ ჯგუფს განეცუთვნება საფრანგეთი, ინგლისი, შოტლანდია და ესპანეთი. მათი ხანდაზმულობა მოსახლეობის მიერ უხსსოვარი დროდან ნაციადყოფნის განცდას ისტორიულ სუბსტანციურობას ანიჭებს. ამ პოზიციამ, როგორც გნახავთ, ბოლო დროს კვლავ მოიპოვა მხარდაჭერა. მაგრამ ამ შემთხვევაში შემოთავაზებული იქნა არა პერენიალიზმის ზოგადი მოდელი, არამედ მხოლოდ კერძო შემთხვევები, რომლებშიც სპეციფიკური ნაციების სიძეველისა და განგრძობადობის საწვერებლად ისტორიული გადმოცემანი შეიძლება იყოს დამოწმებული. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ამ სახის პერენიალიზმს ძალუბს გარკვეული ნაციების პრემოდერნული წარმოშობა აჩვენოს, იგი სერიოზული გამოწვევაა მოდერნიზმის მტკიცებებისათვის და იმ რწმენისათვის, რომ ნაციები თანადროულობის პროცესში წარმოადგენს (Seton-Watson 1977: თავი 2; იხ. აგრეთვე Gillingham 1992; Hastings 1997).

პერენიალიზმის მეორე მთავარ ფორმას შეგვიძლია ‘პერიოდული პერენიალიზმი’ ვუწოდოთ. ის ბევრად მკაფიოდ გამოკვეთს დებულებას ნაციების ანტიკურ პერიოდში წარმოშობის შესახებ. იგი გვეუბნება, რომ ზოგიერთი ნაცია ისტორიულია. დროთა განმავლობაში ნაციები იცვლებიან. რენანის სიტყვებით, ‘მათ თავიანთი დასაწყისი აქვთ, და ისინი დასრულდებიან’. მაგრამ ნაცია როგორც ასეთი, როგორც ადამიანური ასოციაციის პატეგორია, პერენიალური და ყველგან მყოფია, ამიტომაცაა, რომ იგი ისტორიის ყველა პერიოდში დედამიწის ყოველ კონტინენტზე თავიდან ჩნდება. აქ ჩვენ კოლექტიური იდენტობის იმავე ტიპის

განმეორებადობა გვიპირისპირდება, რომელსაც შეუძლია ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა გზით პპოვოს გამოხატულება. თუმცა კონკრეტული ნაციები შეიძლება მოვიდნენ და წავიდნენ, ნაციადყოფნის იდეა თავისთავად უნივერსალური ამოუძირებავი ფენომენია და იგი მრავალი გულტურული ან პოლიტიკური ერთობის მიმართ შეიძლება იქნას გამოყენებული ეკელგან და ყოველთვის.<sup>9</sup>

### პრიმორდიალიზმი

პერენიალიზმი განსაკუთრებით ზოგი ისტორიკოსის დამახასიათებელ პარადიგმას წარმოადგენს. ‘პრიმორდიალიზმს’ კი მეტწილად სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები და ორგანული ნაციონალისტები მიმართავენ. ის თვით რუსოსაგან წარმოდგება, რომელიც მოგვიწოდებდა გავქცეოდით ურბანულ გახრწილებას და დაკარგული უმანკოება ‘ბუნებაში’ დაბრუნებით აღგვედგინა. ამ ‘ნატურალისტურმა’ სულისკვეთებამ მალე თვით ნაციადყოფნის განმარტებაში შეაღწია. მისი დანახვა უკვე შეგვიძლია აბატ სიიესის ზემოთ მოყვანილ ციტატაში. იგი ამტკიცებს, რომ ნაციები ისევე, როგორც ინდივიდები, ყოველგვარი სოციალური კავშირების მიღმა, ‘ბუნებრივ მდგომარეობაში’ უნდა ჩასახულიყვნენ; და ისინი მხოლოდ ‘ბუნებრივი წესრიგის პირობებში’ არსებობენ. მართლაც, მათ ყველა საგანზე ადრე არსებულ და ყველაფრის წარმომშობ დმერთან საზიარო თვისება აქვთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციები ‘პრიმორდიალურნი’ არიან, ისინი დროის თავდაპირველ წესრიგში არსებობენ, და შემდგომდროინდელი პროცესებისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენენ. შეიძლება, რომ სიიესი (და რუსოს სხვა მიმდევრები) ზუსტად ამ ფრაზებს არ იყენებდეს და არც თავს მიიჩნევდეს ‘პრიმორდიალისტად’; მაგრამ მას უფრო ფართო მოთხოვნები ეკუთვნის, რომელთა გამოყენებაც უკვე 1789 წელს იწყება ნაციის ნების აბსოლუტური სუვერენიტეტის გასამართლებლად. ამან ფიხტესა და რომანტიკოსების მიერ გერმანელი ნაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე კარგა სწიო ადრე გაიჟდერა. ამ სახის ‘ნატურალიზაციისაკენ მიმართული’ დისკურსი ნაციონალიზმის ესენციალისტურ და ორგანულ ფორმებს უთავისუფლებდა გზას (ამას მე უკვე შევხედ) და, გარდა ამისა, ნაციონალიზმის უფრო მეტად ვოლუნტარისტულ ტიპებზეც ახდენდა გავლენას.<sup>10</sup>

## ბიოლოგია და კულტურა

მაშ ასე, საქმე გვაქვს პრიმორდიალიზმის ისეთ ტიპთან, რომელიც ორგანისტულ ნაციონალიზმს წარმოადგენს. სულ ახლასან, ჩვენ ორი სხვადასხვა სახის პრიმორდიალზმის წარმოშობის მოწმენი გავხდით. პირველი მათგანი სოციობილოგიური ვერსიაა. ამ ვერსიის მიხედვით, ნაციების, ეთნიკური ჯგუფების, და რასების კვალს ინდივიდთა გენეტიკური რეპროდუქციული მამოძრავებელის და, 'ნეპოტიზმისა' და 'ინკლუზიური შესაბამისობის' სტრატეგიების შედეგად, მათ მიერ გენოფონდის მაქსიმალიზაციამდე მივყავართ. პირ ვან დენ ბერგი თვლის, რომ ეს სტრატეგიები ინდივიდუალური გენოფონდის უშუალო სანაოესაოს საზღვრებს მიღმა, უფრო ვრცელ ეთნიკურ სანაოესაოში გასავრცელებლად გამოიყენება. ამ შემთხვევაში, კულტურული ჯგუფი გაგებულია, როგორც უფრო ფართო ნაოესაური ქსელი, ხოლო კულტურული სიმბოლოები (ენა, რელიგია, კანის ფერი და ა.შ.) ბიოლოგიური მარკერების როდს ასრულებს. ვან დენ ბერგის აზრით, ეს გამორჩეულად რაციონალურ სტრატეგიას წარმოადგენს, რადგანაც ეთნიკური წარმომავლობის მთები უმეტესწილად რეალურ ბიოლოგიურ წარმომავლობას შეესაბამება. ამიტომაცაა, რომ ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის უშუალოდ არ ენაოესავებიან, მაინც მზად არიან უცნობი თანაეთნოსელები 'ნათესავებად' მიიჩნიონ და თავიანთ მსგავსად უზრუნველყონ სარჩოთი და უსაფრთხოებით (Van den Berghe 1978 და 1995).

ამ თვალსაზრისს რამდენიმე სირთულე უკავშირდება. ყველაზე ხშირად პრობლემურია ინდივიდუალური ქცევის განზოგადება კოლექტიურ რეპროდუქციულ ქცევამდე და პოლიტიკურ მოქმედებებამდე. დიდი თჯახიც კი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ძალიან პატარაა იმისათვის, რომ პოლიტიკური მნიშვნელოვნება შეიძინოს, და, მთეუმეტეს, ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიძლება აიხსნას ფართომასშტაბიანი სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ინდივიდუალური ან თჯახური ქცევის მეშვეობით. ამასთან დაკავშირებული მეორე სირთულე კი ისაა, რომ წარმოშობის მითები იშვიათადაა კორელირებული რეალურ ბიოლოგიურ წარმომავლობასთან, თუ დაგუშვებთ, რომ მათთვის თვალის მიდევნების შესაძლებლობა არსებობს. როგორც უოლკერ კონორმა (Connor 1994: 202) დაგვანახა, მთები წარმოშობის

შესახებ, როგორც წესი, არ შეესაბამება ცნობებს რეალურ შთამომავლობით კავშირებზე. ნაციებს, ჩვეულებრივ, რამდენიმე ეთნიკური მოდგმა და წარმომავლობა შეადგენს, მაშინ როცა წარმოშობის და შთამომავლობის მითები მხოლოდ ერთ, შეთანხმებულ ან ოფიციალურ, წყაროს მოიცავს. დაბოლოს, ‘კულტურული ნიშნების’ ღონის შემოტანით, ვან დენ ბერგი რედუქციონისტულ ბიოლოგიურ თვალსაზრისს არბილებს და კულტურულ და სოციალურ ფაქტორებს ბევრად უფრო დიდ როლს ანიჭებს, რითიც უცილობლად ამცირებს გენეტიკური ფაქტორების გავლენას.

პრიმორდიალიზმის მეორე, უფრო გავლენიანი, ვერსიის მიხედვით, ეთნიკური ჯგუფები და ნაციები სოციალური არსებობის ‘კულტურულ მონაცემებთან’ მიჯაჭვულობის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ. ედვარდ შილსმა და კლიფორდ გეერცმა აჩვენეს, თუ როგორ ხდება სექულარული, მოქალაქეობრივი კავშირების გვერდით პრიმორდიალური კავშირების შენარჩუნება ინდუსტრიულ საზოგადოებებშიც კი. კერძოდ, გეერცმა პრიმორდიალური მიჯაჭვულობები მოდერნული სახელმწიფო მოწყობისა და საზოგადოების რაციონალური წესრიგის სამოქალაქო კავშირებს შეადარა. აფრიკისა და აზიის ახალ სახელმწიფოებში გეერცი ორ მძლავრ მამოძრავებელს გამოჰყოფს: პერსონალურ იდენტობას, რომელიც უფუძნება განგრძობად სიმტკიცეს და მოიცავს სანათესაოსთან, რასასთან, ენასთან, რელიგიასთან, ტრადიციებსა და ტერიტორიასთან მიჯაჭვულობას; და მომგებიანობას და სტაბილურობას, რაც გამოხატულებას ახალი პოლიტიკური წესრიგის სამოქალაქო კავშირებში პპოვებს. ფაქტობრივად, წესრიგისა და სარგებლიანობის ძლიერი სურვილი უბრალოდ ამძაფრებს პრიმორდიალურ მიჯაჭვულობებს ახალი სახელმწიფოების ეთნიკურ ჯგუფებში, რადგანაც სუვერენული სახელმწიფოს ძალა და მისი პატრონაჟი იქცევა ახალ ჯილდოდ, რომლის მოსაპოვებლადაც უნდა იძრმოლო და ახალ გამოწვევად მეტოქესთან შესაჯიბრებლად (Shils 1957; Geertz 1973).

დღეს ‘პრიმორდიალიზმი’ უმოძრაობის, ესენციალიზმისა და ნატურალიზმის დამამცირებელი კონტაცია შეიძინა. მისი ასეთი სახე ნაწილობრივ პრიმორდიალიზმის ნაციონალიზმის ორგანულ ტიპთან არამართებულ ასოცირებას, ნაწილობრივ კი, გეერცის ცნობილი ესეის ‘გამაერთიანებელი რევოლუციის’ არასწორ გაგებას ეფუძნება. იმის მტკიცებით, რომ ეთნიკური

მიჯაჭვულობები და ნაციები სოციალური არსებობის ‘კულტურული მოცემულობებიდან’ მომდინარეობს და, რომ ხალხის მიერ ‘თვითობის განცდა სისხლის, რასის, ენის, ადგილის, რელიგიის ან ტრადიციის მრავალრიცხოვანი გამოვლინებებისაგან განუყოფელია’, გეერცი არ ხდება ორგანული ნაციონალიზმის მიმდევარი. ამის დამადასტურებლად მას იქვე შემოაქვს არსებითი შესწორება, როცა ამბობს, რომ:

პრიმორდიალური მიჯაჭვულობის ქვეშ იგულისხმება ის, რაც ‘მოცემულობებიდან’ ან, უფრო ზუსტად, სოციალური არსებობის ნავარაუდევი ‘მოცემულობებიდანაა’ წარმოშობილი (რამდენადაც კულტურა უქვეყლად არის ჩართული ამგვარ მოვლენებში)... სისხლის, ენის, ტრადიციების და ა.შ. პარმონია გაიგება როგორც მათში და მათით არსებული ენით გამოუთქმელი და დროდადრო გადაულახვი იძულება (Geertz 1973: 259–260).

ამ პასაჟში, სიტყვები ‘ნავარაუდევი’ და ‘გაიგება’ და კულტურასთან მიმართება ნიშნავს, რომ გეერცისათვის პრიმორდიალური მიჯაჭვულობანი პერცეფციებსა და რწმენებს ემყარება და, რომ შინაგანი ბუნება არაა ის, რაც ამ მიჯაჭვულობებს ‘მოცემულობად’ და ძლევამოსილად აქცევს; ჩვეულებრივი ადამიანური ქმნილებანი არიან ისინი, ვინც ამ კავშირებს, როგორც მოცემულობებს ისე აღიქვამენ და მათ გადაულახვი იძულების ძალას მიაწერენ. გეერცი მხოლოდ იმას ამტკიცებს (და ეს მნიშვნელოვანია პრიმორდიალისტური მიდგომისათვის), რომ ჩვენ, როგორც ინდივიდები და კოლექტივების წევრები, გვრძნობთ და გვწამს ჩვენი ეთნიკური და ნაციების პრიმორდიალობა – მათი ბუნებრიობა, მათი დღგარძელობა და ძალა – და ის, რომ ოუკი ამ რწმენებისა და გრძნობების არსებობას უგულებელვყოფთ, ხელიდან დაგვისხლტება ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის სფეროში საჭირო განმარტების ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა.

რაც შეეხება საკვანძო კითხვას, რომელიც ნაციისა და ნაციონალიზმის ნებისმიერი თეორიის წინაშე წამოიჭრება, იგი იმაში მდგომარეობს, თუ რატომ ბადებენ ისინი ამდენ გნებასა და ასე ძლიერ მიჯაჭვულობას. ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას პრიმორდიალისტები მიუთითებენ აღნიშნულ მიჯაჭვულობათა

დროში განვითალობაზე და მათ აშკარად იძულებით ხასიათზე, იმის გათვალისწინების აუცილებლობაზე, რასაც ‘მონაწილეთა პრიმორდიალიზმს’ ვუწოდებთ. ეს მონაწილეთა მიერ იმის ცხოველმყოფელი განცდაა, რომ მათ კოლექტიურ იდენტობას პრიმორდიალისტური ხასიათი აქვს. მაგრამ, როგორც ელერმა და ქუგლანმა მიუთითეს, თავისთავად ეს პასუხი არ არის ამომწურავი. ჩვენთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რატომ აქვს ამდენ ადამიანს პრიმორდიალობის განცდა და რატომ შეიგრძნობს ამ მიჯაჭვულობებს. ეს კი ეთნიკური მიჯაჭვულობების რაციონალურ, ემპირიულ ანალიზს მოითხოვს და არა ლიტონ განცხადებას ამგვარი კავშირების აპრიორული ბუნებისა და ემოციური შინაარსის თაობაზე. ამ კითხვაზე საპასუხოდ სტივენ გროსბიმ გააკეთა საინტერესო მითითება, რომ ადამიანები მიჯაჭვულობის ამ გრძნობას იმის რწმენაზე აფუძნებენ, რომ ამგვარ კოლექტივს სიცოცხლის გაგრძელების უნარი აქვს, ხოლო ნათესაობას, უფრო კონკრეტულად კი ტერიტორიას – სიცოცხლის შენარჩუნების თვისება. გროსბის მოსაზრება დამატირებელია, მაგრამ მას მხოლოდ გარკვეული მიმართულებით შეუძლია ჩვენი წარმართვა. თავად კი ძნელად თუ დაგვეხმარება კულტურული ერთობების სხვადასხვა სახის არსებობისა ან დროთა ვითარებაში მათი ტრანსფორმაციის სოციოლიგიურ ახსნაში. ამგვარი პარადიგმა ვერც იმას მოჰყენს შექს, თუ რატომ არიან ადამიანები მიჯაჭვული მოცემულ ისტორიულ კოლექტივს და არა სხვას (მაგალითად, რატომ გერმანიას და არა პრუსიას) და რატომაა, რომ ამგვარი მიჯაჭვულობები ასე განსხვავდებიან გავრცელების არეალით, ინტესივობითა და ხანგრძლივობით.<sup>11</sup>

### **ინსტრუმენტალისტური კრიტიკა**

ამ საკითხში გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია ‘ინსტრუმენტალისტურ’ კრიტიკას. პრიმორდიალიზმის მსგავსად, ინსტრუმენტალისტურმა მიღომამ თავი იჩინა არა იმდენად ნაციებთან ან ნაციონალიზმთან, არამედ ეთნიკურობასთან მიმართებაში. იგი თვალსაჩინო შეიქნა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში შეერთებულ შტატებში ეფექტურად მიჩნეული სადნობი ქვაბის შიგნით (თეორკანიანთა) ეთნიკური გამდლეობის თაობაზე მიმდინარე დებატებთან დაკავშირებით. მაშინ, როცა უილ პერბერგი მიუთითებდა, რომ სამთა (პროტესტანტების, კათოლიკებისა და ებრაელების) ამერიკული სადნობი ქვაბი

არსებობდა, ნათან გლეიზერი და დანიელ მოინიანი აჩვენებდნენ, თუ როგორ მიიღეს ამერიკული ცხოვრების სტილი ნიუ-იორკის სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა ისე, რომ საკუთარი იდენტობებიც შეინარჩუნეს. XX საუკუნის 70-იან წლებში ამან დებატები იმ დონემდე გააცხოველა, რომ შეერთებულ შტატებში არსებული ეთნიკური ჯგუფები საერთო ინტერესთა მქონე ან შევიწროების შედეგად წარმოქმნილ ჯგუფებად მიიჩნიეს, რომლებიც პოლიტიკურ ბაზარზე ისე გამოდიოდნენ, როგორც საშუალება. მოძღვნო თაობებში ისინი სწრაფად კარგავდნენ თავიანთ კულტურულ თვითმყოფადობას ან ამ უკანასკნელს მეტად სიმბოლურად და არასავალდებულოდ მიიჩნევდნენ. იგულისხმებოდა, რომ ეთნიკური ლიდერები და ელიტა ძალაუფლებისა და რესურსებისათვის ცილობისას საკუთარ კულტურულ ჯგუფებს ისე იყენებდნენ, როგორც მასობრივი მობილიზაციის ადგილს და ერთგვარ საარჩევნო უბანს, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ამგვარი ჯგუფები სოციალურ კლასებთან შედარებით უფრო ეფექტურია.<sup>12</sup>

დიდი ხანი არაა გასული მას შემდეგ, რაც ნაციების გენეზისთან დაკავშირებით ინსტრუმენტალისტური მიდგომა იქნა გამოყენებული. ამის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია პაკისტანის წარმოშობასთან დაკავშირებით პოლ ბრასესა და ფრანცის რობინსონს შორის გამართული ნაყოფიერი პოლემიკა. ბრასის აზრით, პაკისტანი მუსლიმანურმა ელიტამ შექმნა. იმ დროს, როცა ბრიტანული პოლიტიკა, ეტყობა, მუსლიმანთა ინტერესების საწინააღმდეგოდ შებრუნდა, იგი, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის მუსლიმანური მასების მობილიზების მიზნით, ისლამურ სიმბოლოთა არსენალით მანიპულირებდა. რობინსონის შეხედულებით კი, ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა: არსებულმა მუსლიმანურმა მიჯაჭვულობებმა და იდეოლოგიებმა (განსაკუთრებით უმამა დაარწმუნა მუსლიმანური ელიტა მუსლიმანური ერთობისა და კულტურის დაცვის მიზნით ჩრდილო-დასავლეთის გაერთიანებულ პროგნოზიებსა და ბენგალში მუსლიმანთა უფრო დიდი აგტონომიისათვის ებრძოლა. თუმცა სიტუაციის ამ ორ ინტერპრეტაციას შორის განსხვავება არც ისე დიდია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ბრასი, მაგალითად, აღიარებდა არსებული ტრადიციების მნიშვნელოვნებას, განსაკუთრებით იქ, სადაც არსებობდა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და ინსტიტუციონალური (მაგალითად,

რელიგიური) ჩარჩო, მაშინ როცა რობინსონი ფრთხილად, მაგრამ დაუინებით ამტკიცებდა მუსლიმანი ელიტის მოქმედებათა პოლიტიკურ რაციონალურობას (Brass 1979 და 1991; Robinson 1979).

მეორეს მხრივ, ინსტრუმენტალისტური მიდგომა მკაცრად მოდერნისტული პარადიგმის დასაცავადაც შეიძლება იქნას გამოყენებული. ამგვარ მიდგომას ვხვდებით ნაციონალიზმის ჯონ ბრილისეულ პოლიტიკურ თეორიაში, რომელსაც უფრო დეტალურად მომდევნო თავში განვიხილავ. ამჯერად კი უურადღება მის მეთოდოლოგიურ მიზნებს მინდა მივაპყრო. მათ ბრილი თავისი წიგნის ნაციონალიზმი და სახელმწიფო 1993 წლის გადამუშავებული ვერსიის შემაჯამებელ თავში წარმოადგენს. თუმცა ნაციონალიზმის ბრილისეული დევინიცია კულტურას მიემართება, იგი ნაციონალიზმის (რომელსაც იგი როგორც მკაცრად პოლიტიკურ და მოდერნულ ფენომენს ისე განმარტავს) განმსაზღვრელ მასასიათებლად კულტურული იდენტობის მიჩნევის უმველებელ შესაძლებლობას გამორიცხავს, რამდენადაც მიაჩნია, რომ ეს უკან, ირაციონალურ პრიმორდიალისტურ ‘თავის მიეუთვენების საჭიროებასთან’ დაგვაბრუნებს. იგი იმასაც უშევებს, რომ ნაციონალიზმი ‘თავისი ძალის დიდ ნაწილს იმ ნახევარსიმართლისაგან იძენს, რომლის განსახიერებასაც წარმოადგენს’, და დასძენს:

ადამიანები ესწრაფვიან ერთობის წევრობას, აქვთ ჩვენისა და მათის, ტერიტორიის, როგორც სამშობლო მიწის, კულტურულად განსაზღვრული და შეკრული სამყაროსადმი კუთვნილების ძლიერი განცდა, რაც აზრს ანიჭებს მათ ცხოვრებას. ამათგან უმეტესობა ხომ რაციონალური ანალიზის მიღმა დგას, მე კი ისტორიკოსთა განმარტების უნარს ვენდობი (Breully 1993: 401).

შესაძლოა ეს ასეცაა, მაგრამ ბრილის ხელში ნაციონალიზმის ცნების საზრისის საზღვრები წმინდა პოლიტიკურ მნიშვნელობამდე და მკაცრად ინსტრუმენტალურ გამოყენებამდე ვიწროვდება. ნაციონალიზმი წარმოადგება, როგორც მხოლოდ არგუმენტი, რომლის მეშვეობითაც სუბელიტებს ხალხის მობილიზება, სოციალური ჯგუფების მრავალფეროვანი ინტერესების კოორდინაცია და თავის

ქმედებათა ლეგიტიმაცია შეუძლიათ, რათა ხელთ იგდონ ან შეინარჩუნონ ძალაუფლება მოდერნულ სახელმწიფოში. ესაა წმინდა პოლიტიკური არგუმენტი, რომელიც ამბობს, რომ არსებობს ნაცია გამოკვეთილი და განსაკუთრებული ხასიათით, რომ მისი ინტერესები და ღირებულებები ყველაფერზე უპირატესია, და რომ ნაცია დამოუკიდებელი უნდა იყოს. ბრილისათვის ნაციონალიზმი არ შეეხება იდენტობას, ერთიანობას, ავთენტურობას, დირსებას, სამშობლო მიწას ან რაიმე სხვას, პოლიტიკური ძალაუფლების გამოკლებით, რაც მოდერნული სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზნებს წარმოადგენს. ნაციონალიზმი უძრავლოდ პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტია და მხოლოდ მოდერნულ პირობებში შეიძლება აღმოცენდეს. ყველაფერი სხვა რაციონალური ანალიზის საზღვრებს მიღმაა დატოვებული (იქვე: 2).

ტრიადა – რაციონალურობა, მოდერნულობა, პოლიტიკა – ინსტრუმენტალიზმის დროდადრო განმეორებად ნიშნებს წარმოადგენს და ეს არგუმენტთა ამოწურვას მოასწავებს. მისი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ მოახდინოს ალტერნატიული მიღგომების დელეგიტიმაცია და, მოდერნიზმის გარდა, ნაციონალიზმის ყველა პარადიგმის დისკვალიფიკაცია. მაგრამ, პრაქტიკულად, ამგვარი საკუთარი თავის უარმყოფელი გეგმა მხოლოდ იმას უთავისეუფლებს ადგილს, რაც უნდა მოვიდეს არა მარტო რაციონალური ანალიზით შემოწმების შედეგად, არამედ იმ ანალიზის შედეგადაც, რომელიც ბევრად უფრო მეტ შემოწმებას დაუშვებს, ვიდრე ამას ზედა ფენებისგან ქვედა ფენებისაკენ მიმართული, ელიტის მიერ მართული და რაციონალური არჩევანის ქვენე პოლიტიკური მოდელები ახერხებენ, დღეს ამდენ მოდერნისტს შორის რომ აქვთ გასავალი.

## ეთნოსიმბოლიზმი

ერთ-ერთ ასეთ ალტერნატივას ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმაზე დაფუძნებული სოციოისტორიული და კულტურული ანალიზი წაარმოადგენს. ეს ამ სფეროში არსებულ ოთხ უმთავრეს პარადიგმას შორის უკანასკნელია. შესაძლო მეხუთე – ‘პოსტმოდერნიზმი’, რომელსაც ბოლო თავში განვიხილავ, ჯერ კიდევ მეტისმეტად ფრაგმენტული და ზედაპირულია იმისათვის, რომ ‘პარადიგმის’ სახელწოდება დაიმსახუროს. ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის

მოდერნისტული, პერენიალისტური და პრიმორდიალისტური პარადიგმების საპირისპიროდ ისტორიული ეთნოსიმბოლიზმი თავის ფოკუსში კონკრეტულად ეთნიკების თვითშენარჩუნების, ნაციების ფორმირების და ნაციონალიზმის იმპულსის სუბიექტურ ელემენტებს აქცევს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ‘ობიექტურ’ ფაქტორებს თავისთავად ნაგულისხმევად მიიჩნევს ან ანალიზის სფეროს მიღმა ტოვებს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი სუბიექტურ ელემენტებს – მასსოვრობას, ლირებულებებს, სენტიმენტს, მითსა და სიმბოლოს – უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, და, რომ ამგვარად ესწრაფვის შეაღწიოს ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის სიდრმეებში და ასენას ისინი.

ეთნოსიმბოლისტური ხედვისას რიგი მიმართება მოქმედებს. პირველი, ეს არის თავის არიდება უქსკლუზიურად ელიტაზე ორიენტირებული ანალიზისათვის, რაც მოდერნიზმისათვისაა დამახასიათებელი. ამის საპირისპიროდ, ეთნოსიმბოლიზმი ხაზს უსვამს სხეადასხვა ელიტების დაბალ ფენებთან (‘ხალხთან’) ურთიერთობის და მათი წარმომადგენლობის აუცილებლობას. მაგრამ ეს არაა ცალმხრივი ურთიერთობა. არაედიტები, ნაწილობრივ, თავიანთი კულტურული ტრადიციებისა და, ნაწილობრივ, ვერნაკულური მობილიზაციის მეშვეობით და ინოვაციების გარკვეულ კულტურულ პარამეტრებში მოქცევით გავლენას ახდენენ ინტელიგენციაზე, პოლიტიკურ ლიდერებზე და ბურუჟაზიაზე, ხოლო კულტურულ პროექტებსა და პოლიტიკურ ამოცანებს შესაბამისი მოტივებით და პერსონალით უზრუნველყოფენ. ამის კარგი მაგალითია გაელური აღორძინების ინტელექტუალური და სახალხო მოძრაობა გვიანი XIX საუკუნის ორლანდიაში, რომელიც ჯონ ჰათჩინსონს მდიდარი დოკუმენტური მასალის მოხმობით აქს განხილული (Hutchinson 1987: თავები 4–5). აქ გლეხობის და კათოლიკური დაბალი კლასების ტრადიციებმა იორლანდიელ ინტელექტუალთა ამაღლორძინებელი ფორმულირებები შესაბამისი პარამეტრებით და კულტურული მასალით უზრუნველყო.

მეორე საერთო მიმართება გრძელვადიან ანალიზს უკავშირდება – ეს სოციალური და კულტურული მოდელების *la longue durée* ანალიზია. მხოლოდ რამდენიმე თაობის და საუკუნეების შესწავლით ძალუმთ მეცნიერებს გამოავლინონ წარსულს, აწმუოსა და მომავალს შორის არსებული ურთიერთმიმართებანი და ადგილი გამოუნახონ ეთნიკებსა და

ნაციებს ისტორიაში. ეს საშუალებას მოგვცემს ოავიდან ავიცილოთ ‘რეტროსპექტული ნაციონალიზმის’ ანაქრონიზმი, რომელიც აწმყოს კოლექტიური მიზნებისა და ნაციონალისტთა მისწრაფებების ამოკითხვას ადრეული ეპოქების პირობებსა და პოლიტიკაში ცდილობს, მიუხედავად, იმისა, რომ იმავდროულად, ადრეული საუკუნეების კოლექტიური იდენტობების ბევრ ცვალებად ფორმას აკრიტიკებს. პირველ რიგში, ეთნოსიმბოლისტური მიდგომა საკუთარ ყურადღებას იმ გზების მიებისაკენ მიაპყრობს (რამდენადაც ამის საშუალებას ისტორიული ჩანაწერებში არსებული მრავალი რდგვვა და წყვეტა იძლევა), რომლებითაც კოლექტიური იდენტობის ადრინდელმა ფორმებმა შეძლეს გავლენა მოქმედინათ ნაციების წარმოშობაზე.<sup>13</sup>

მესამე, ეს ნიშნავს, რომ ნაციებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის ანალიზი ადრეული კოლექტიური კულტურული იდენტობების და, განსაკუთრებით, ეთნიკური ერთობების ანუ ეთნიკების ჩარჩოებშია მოქცეული. მაგრამ ნაციების მიმართება ეთნიკებთან კომპლექსურია. აქ ადგილი არა აქვს მარტივ წრფივ პროგრესიას. ერთი მხრივ, ნაციები შეიძლება განხილულ იქნან როგორც ეთნიკების სპეციალიზებული (ტერიტორიალიზებული, პოლიტიზებული, მასობრივ-საჯარო, და ა.შ.) ფორმები; მეორე მხრივ, თრივე, ნაციებიცა და ეთნიკებიც, კოლექტიური კულტურული იდენტობის ფორმებს წარმოადგენს, რომელთაც შეუძლიათ თანაარსებობა ან კონკურენცია, შეჯიბრი იმ რამდენიმე ეთნიკეთანაც კი, რომლებიც ხშირად ნაციის პოლიტიკური ერთობის საზღვრებს შიგნით არსებობს. ამ პარადიგმისათვის ნაციონალიზმი და ნაციები სულაც არ არიან ექსკლუზიურად მოდერნულ ეპოქასთან დაკავშირებული, არამედ, როგორც ამას ნაციის ცნების განმარტების თაობაზე ჩემი ადრინდელი (პირველ თავში) მსჯელობაც მიუთითებს, კოლექტიური იდენტობებისა და მისწრაფებების უფრო ფართო ‘ოჯახის’ ნაწილს შეადგენენ. ამით ისიც აისხება, თუ რატომ ცდილობენ ნაციონალისტები ასე ხშირად იმ მიზნით აპელირების, რომ სელახლა აღმოაჩინონ იმ ძველი მოსახლეობის კულტურული და სიმბოლური რეპერტუარი, რომელთანაც ისინი ღრმა კულტურული კავშირის უწყვეტობას ამტკიცებენ.<sup>14</sup>

სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ყველა აღიარებს, გახლავთ კოლექტიურ ვნებათა მიმართება მიჯაჭვულობასთან. მაშინ როცა მოდერნისტები ამ პრობლემის

წამოწევისას, ჩვეულებრივ, მარცხდებიან ან მხოლოდ ზოგადად ეხებიან მას, ხოლო პერენიალისტები, რომელნიც ყველგან ვარაუდობენ ნაციების განგრძობადობას და დროდადრო კვლავ გამოჩენას, უბრალოდ მის განმარტებასაც ვერ ახერხებენ, ეთნოსიმბოლისტები მას განიხილავენ ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის გაგებისათვის საკვანძო პრობლემად. პრიმორდიალისტებისაგან განსხვავებით, რომელთაც დიდი-დიდი მეტაფიზიკური პასუხი შეიძლება ჰქონდეთ, ეთნოსიმბოლისტები წარმოგვიდგენენ ისტორიულ და/ან სოციოლოგიურ ასენას იმ მიზეზებისა, თუ რატომ აქვს ამდენ ადამიანის საკუთარ ეთნიკურ ერთობებთან და ნაციებთან მდგრადი ემოციური მიჯაჭვულობა და რითაა გამოწვეული ამ მიჯაჭვულობათა უნარი ფანატიკური ტერორიზმი და თავგანწირვა გამოიწვიონ მათი ინტერესებისათვის.

დაბოლოს, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობების სახალხო, მორალურ და ემოციურ განზომილებებთან მიმართების გამო ეთნოსიმბოლისტურ მიღვომას შეუძლია დაგვეხმაროს როგორც კულტურულ კოლექტიურ იდენტობათა მიერ თვითშენარჩუნების, ისე მათი ტრანსფორმაციების სწრაფად აღქმაში. ნაციონალური იდენტობების წინარე ეთნიკურ ჯაჭვთან დაკავშირებით და საზიარო სიმბოლოების, მითების და მახსოვრობების სუბიექტური განზომილებების ჩვენებით ეთნოსიმბოლიზმი შუქს ჰფვნს დღეს ამდენ ადამიანზე მოდერნული ნაციების გავლენის შენარჩუნების საკითხს. ამავე მიზეზების გამო, ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმას შეუძლია მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტების ინტენსივობასა და შინაარსზე არსებული ჩვეულებრივი ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისებისადმი ალტერნატიული ახსნებისაკენ გვიბიძოს. ეს ალტერნატიული თვალსაზრისი სათანადო წონას ანიჭებს საკვანძო სიმბოლურ საკითხებს, რომლებიც, როგორც ირკვევა, ყველაზე მნელად განსამარტია. ამას მოწმობს მუსლიმანურ-ინდუისტური შეჯახება მეჩეთის გამო აიოდიაში, ორანჟისტთა ორდენის მარშები ოლსტერში ან იერუსალიმის სტატუსი. რადგან, როგორც სახელიც მიუთითებს, ‘ეთნოსიმბოლიზმს’ ანალიზის ფოკუსი წმინდად გარეგანი პოლიტიკური და ეკონომიკური ან სოციობიოლოგიური ფაქტორებისაგან კულტურულ ფაქტორებზე – სიმბოლოზე, მახსოვრობაზე, მითზე, ლირებულებებზე და ტრადიციაზე გადააქცის.<sup>15</sup>

ეთნოსიმბოლიზმი, სხვა პარადიგმების მსგავსად, განსხვავებულ ფორმებს იქნენ. ჯონ არმსტრონგი უფრო პერენიალისტური თვალსაზრისისაც იხსრება, რომელიც ავლენს ტენდენციას დამცროს ნაციებსა და ეთნიკურ იდენტობებს შორის არსებული განსხვავება (თუმც არმსტრონგი, დიახაც ხედავს სხვაობას ‘ნაციონალიზმის’ წელიგამყიფ 1800 წელზე უწინარეს და ამის შემდგომ წარმოშობილ ნაციებს შორის). ეს, ნაწილობრივ, იმიტომ ხდება, რომ არმსტრონგი ფენომენოლოგიურ თვალსაზრისს იზიარებს, რომელიც ეთნიკურ იდენტობებს ისე განიხილავს, როგორც პერცეფციების, სენტიმენტების, მიმართებების წანაცვლებად კლასტერებს. ამავე დროს იგი კულტურული და სიმბოლური საზღვრების ანალიზს იყენებს (რომლის პიონერიც ფრედერიკ ბარტი იყო) და საზს უსვამს ‘მითოსიმბოლური კომპლექსების’ კვლევის საჭიროებას *la longue durée* იმისათვის, რომ გავიგოთ ეთნიკურობის მდგრადობის არსი (Armstrong 1982 და 1995; შდრ. Barth 1969: შესავალი).

მეორეს მხრივ, ჯონ პათჩინსონმა ვებერისეული მიდგომა უფრო გაიზიარა, რათა მოდერნული ნაციონალიზმის კულტურული და პოლიტიკური ტიპები ურთიერთისაგან განცხავებინა და ოვალსაჩინო გაეხადა კულტურული ფორმების დინამიკა. პათჩინსონი იმ როლსაც ეხება, რომელიც ითამაშა წარსულმა პრემოდერნულ ეთნიკურ აღორძინებასა და თანამედროვე ნაციონალიზმში, და იმ გზებსაც, რომლითაც ინსტიტუციების მეშვეობით მითების, მასხვრობების და სიმბოლოების პრემოდერნული კულტურული რეპერტუარი ‘გადმოტანილ იქნა’ მოდერნულ ეპოქაში. ჩემი საკუთარი ანალიზი მესამე პრობლემას – ნაციების ბუნებასა და ისტორიაში მათ როლს შექება. ვაცნობიერებდი რა, რომ ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, მოძრაობა და სიმბოლიზმი, მოდერნული ფენომენია, მე დავინტერესდი იმით, თუ რამდენად შეიძლება არსებობდნენ ნაციები ნაციონალიზმამდე, ყოველ შემთხვევაში ზოგჯერ მაინც, და რა დგას ამის მიღმა. მაგრამ, საზოგადოდ, ჩემი ინტერესის ფოკუსშია ის გზა, რომელიც ნაციებს წინ უსწრებს და პრემოდერნულია: ეთნიკური კავშირები და ეთნიკები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მომდევნო ნაციებსა და ნაციონალიზმებზე და, ზოგ შემთხვევაში, შეუქმნეს კიდევ მათ საფუძველი (Hutchinson 1987 და 1994; A.D.Smith 1986 და 1991).

## დასკვნა

ეთნოსიმბოლიზმი დაპირისპირებული მოდერნისტული და პერენიალისტური პარადიგმების მტკიცებებით დაუქმაყოფილებლობაშ და პრიმორდიალიზმის ახსნითი მცდელობების მარცხმა წარმოშვა. როცა საქმე გვაქვს ისეთ ნაციასთან, რომელსაც არც უძველესი ისტორია აქვს და არც რეპროდუქცია ახასიათებს, ან ისეთთან, რომელიც არც ახალია და არც მოდერნიზაციის პროდუქტს წარმოადგენს, დგება ისეთი პარადიგმის მონახვის საჭიროება, რომელიც მოიცავს და გამოავლენს ნაციებისა და ნაციონალიზმების ასე ხშირად აღნიშნულ დუალურ, ორსახოვანი იანუსის ბუნებას. ამგვარი პარადიგმა საგარეო-პოლიტიკური, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების უგულებელყოფის სუბიექტურ სიმბოლურ და სოციალურ-კულტურულ ელემენტებზე უნდა იყოს ფოკუსირებული, ხელს უნდა უწყობდეს უფრო ნიუანსირებულ ხედვებსა და მიღომებს და ამგვარად მიემართოს ეთნიკური იდენტობის, მთების და მახსოვრობის სასიცოცხლოდ აუცილებელ სიმბოლურ საკითხებს, რომლებიც, ხშირად, როგორც ირკვევა, ძნელი გასამარტია. არც პერენიალიზმი და არც მოდერნიზმი არ ცდილობს შეაღწიოს ნაციონალიზმის შიდა სამყაროში; ამის გარეშე კი, ეთნოსიმბოლისტების მტკიცებით, თითქმის შეუძლებელია სხვა ხალხების ნაციონალიზმის გაგება და მათი სატივარის და სენტიმენტების (რომლებიც კონფლიქტებისათვის საწვავს წარმოადგენენ) ჩაწვდომა.

ამ ოთხი პარადიგმის მიმდევრებს შორის კამათი წარიმართა ორ დონეზე: თეორიულზე და ისტორიულზე. თუ სქემატურად წარმოვადგენთ ამ ოთხ პარადიგმას, შეიძლება ვთქვათ, რომ მოდერნისტები ძლიერნი არიან თეორიულ დონეზე და საკმაოდ სუსტი ისტორიულზე, პერენიალისტები კი პირიქით. პრიმორდიალისტებს ან მცდარი თეორია აქვთ ან სულაც არა აქვთ. იგივე შეიძლება ითქვას ისტორიაზე – ან მცირედი აქვთ ან არა აქვთ, ვინაიდან ისინი ან რედუქციონისტები (სოციობიოლოგები) არიან ან მეტისმეტად სპეციალისტური და არაისტორიულნი (კულტურული პრიმორდიალიზმი). რაც შეეხება ეთნოსიმბოლისტებს, ისინი მხოლოდ მიღვმებს ავითარებენ და არა რაიმე თეორიას. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი ეხებიან მაკროისტორიას და მის სოციალურ-კულტურულ ელემენტებს,

და, ჩემი აზრით, აუცილებელი კორექტივები შეაქვთ დანარჩენი  
მთავარ პარადიგმების მომხრეთა სშირად უვარგის  
გრაციებებში.

## თეორიები

---

ამ თავში მინდა განვიხილო ნაციონალიზმის არსებობის ზოგიერთი, ოთხი პარადიგმის მომხრეთა მიერ მოცემული ახსნა და შევეხო იმ პრობლემებსა და დებატებს, რომლებიც ამგარი ახსნების შედეგად დაგროვდა. ასეთ ფართო სფეროში შეუძლებელია რომელიმე ცალკეული ცდა ყოვლისმომცველი გამოდგეს. მაგრამ მაინც ვიმდოვნებ, რომ წინამდებარე სელექციური განხილვაც კი შეგვიქმნის გარემოებრივის წამოჭრილი ძირითადი საკითხებისა და არგუმენტირების მიმართულებების შესახებ. მთავარ ახსნათა პუნქტობრივი ჩამოთვლის ნაცვლად, მე ვარჩიე ისინი წარმოსახვითი ‘დებატების’ სახით წარმომედგინა. ამ გზით ვიმდოვნებ დაგანახოთ ნაციონალიზმის მეცნიერული კვლევის ინოვაციური და შთამბეჭდავი ხასიათი, რომელიც მან XX საუკუნის 60-იან წლებში შეიძინა, და უფრო ნათლად გამოვავლინო ამ სფეროში არსებული დაპირისპირებული პოზიციების კონტურები.

### იდეოლოგია და ინდუსტრიალიზმი

თუ არ ჩავთვლით სოციოპიოლოგიის პრეტენზიებს, ბოლო დრომდე ამ სფეროში რეალურად მხოლოდ ერთი თეორია არსებობდა.<sup>1</sup> იგი ერნსტ გელნერის 1964 წელს გამოცემული წიგნის ჩანაფიქრი და ცვლილება მეშვიდე თავში იყო გადმოცემული. ამ თეორიას თავისი კონტექსტი პქონდა: ნაციონალიზმის წარმოშობის ტალღაზე ემპირიული დაკვირვება მაროკოში, სადაც გელნერი ანთროპოლოგიურ საველე სამუშაოს ეწეოდა, და, ასევე, ლონდონის ეკონომიკური სკოლიდან მისი კოლეგის ელი კედურის ინტელექტუალური გამოწვევა.

კედური ამტკიცებდა, რომ ნაციონალიზმი ‘ევროპაში XIX საუკუნის დასაწყისში შემოღებული დოქტრინა იყო’ (Kedourie 1960: 1), უფრო კონკრეტულად კი, იგი გერმანიაში იქნა შემოღებული 1806–1807 წლებში იოპან გოტლიბ ფიხტეს ნაცოფიერი წიგნის მიმართვები გერმანელ ნაციას მეშვეობით. ნაციონალიზმს პქნდა როგორც ინტელექტუალური, ისე სოციალური მიზეზები. ერთის მხრივ, ნაციონალიზმი ნების დოქტრინა იყო, რომელსაც გერმანელი რომანტიკოსები ქადაგებდნენ, და წარმოადგენდა იმანუელ კანტის ნების ავტონომიურობის კოლექტივიზებასა და მის გამოყენებას კულტურული, განსაკუთრებით, ლინგვისტური ჯგუფების მიმართ, რომლებიც კულტურული მრავალფეროვნების საკითხთან დაკავშირებით მოხვდნენ გოტფრიდ ჰერდერის ინტერესთა ფოკუსში. კედურისათვის ორივე – კანტის აქცენტი კეთილ ნებაზე, როგორც თავისუფალ ნებაზე, და ჰერდერის დავალებულობა ადგილობრივი კულტურული ჯგუფების ავთენტური გამოცდილებისაგან – განმანათლებელთა მორალური და ინტელექტუალური უძრაველობის რაციონალისტური ძიების ნაცოფი იყო.<sup>2</sup>

მეორეს მხრივ, ნაციონალიზმი დამანგრეველ და რევოლუციურ პასუხს წარმოადგენდა იმ ტრადიციების მიმდევარი და მამების ქმაყოფაზე მყოფი გერმანელი და საქმეგამოლებული ევროპელი ინტელექტუალების უძლურებასა და გაუცხოებაზე, რომლებმაც ბიუროკრატიული აბსოლუტიზმის გამო დაპარგეს ძალაუფლება, რომლის ღირსნი, როგორც თვლიდნენ, თავად იყვნენ განმანათლებლური განათლების გამო. კედურისათვის (Kedourie 1960), ნაციონალიზმი გაუცხოებული ახალგაზრდების იდეოლოგია, ‘ბავშვების ჯვაროსნული ლაშქრობა’ იყო. ამგვარი მფარველობის ქვეშ დაბადებულ დოქტრინას მხოლოდ ცუდის გაკეთება შეეძლო; და, როგორც გაირკვა, ასეც მოხდა დეზორიენტირებული ინტელექტუალების მიღენიურმა ნაციონალიზმმა გამოვიდებისას სხვა არაფერი მოიტანა თუ არა ტერორი და ნგრევა, განსაკუთრებით, ეთნიკურად ჭრელ მსარეებში.

გელნერმა საკითხის კვლევას კედურის რიგი მტკიცებულებების განხილვასთან ერთად მოჰყიდა ხელი. თავდაპირველად, მან უარყო კანტი ნაციონალიზმის მთავარი არქიტექტორის რანგში; კანტის კეთილი ნების ავტონომიურობა მხოლოდ ინდივიდუებისათვისაა გამოსადეგი და არა

ჯგუფებისათვის. მეორეც, მან ნაციონალიზმს უფრო პოზიტიურად შეხედა. ამას გვაფიქრებინგის არა მისი საცუთარი შეფასებები, რომელთაც, წვეულებრივ, გამოტოვებდა ხოლმე, არამედ მის მიერ ნაციონალიზმის სოციალური განვითარების იდეოლოგიურ ინსტრუმენტად დასახვა. მესამე, მისი აზრით, თუმცა კრიტიკულად განწყობილი ინტელექტუალები უმჭველად წარმოადგენდნენ ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერებს, მათ მხარდაჭერა ესაჭიროებოდათ დაბალი კლასების მხრიდან, ‘პროლეტარიატისაგან’, რომელშიც გელნერი დიდ ქალაქებსა და ბარაკებ დასახლებებში თავმოყრილ, საცუთარ ფესვებს მოწყვეტილ გლეხობას გულისხმობდა. დაბოლოს, თუმც გელნერი ეთანხმებოდა კედურის, რომ ნაციონალიზმი მოდერნული ფენომენია, იგი მიიჩნევდა, რომ ნაციონალიზმი არც შემთხვევითა და არც ვინმეს მიერაა ‘შემოღებული’. იგი მოდერნულ ეპოქაზე გადასვლის აუცილებელი შედეგია, რაშიც XVIII საუკუნის შემდეგ მსოფლიოს ყველა საზოგადოება იქნა ჩათრებული. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მოდერნულ მსოფლიოში ნაციონალიზმი, მისი ლოგიკური პირობითობის მიუხედავად, სოციოლოგიურად აუცილებელი იყო (Gellner 1964: თავი 7).

შემდგომში გელნერი თავის თეორიას მირითადად იმის გადმოცემით აგრძელებს, თუ რაცომ მოხდა ეს ასე. მოდერნიზაციამ, რომელშიც გელნერი ინდუსტრიალიზაციასა და მის თანამდევ სოციალურ და კულტურულ მოვლენებს გულისხმობს, ისევე გარდაქმნა თითოეული საზოგადოება, როგორც ეს ნეოლიტურმა რევოლუციამ 8000 წლით ადრე. მან ინდუსტრიული საზოგადოების ახალ ტიპი წარმოქმნა, რომელიც საჭიროებდა მობილურ, წერა-კითხვისა და ანგარიშის კარგად მცოდნე სამუშაო ძალას, რომელსაც სემანტიკურ შრომაში და კონტექსტისაგან თავისუფალ კომუნიკაციებში ჩართვის უნარი ექნებოდა. მაშინ, როდესაც ადრეულ, აგრარულ საზოგადოებებში, წიგნიერება მხოლოდ როლების სტრუქტურითა და ხშირად ნათესაობით განპირობებული ინსტიტუციებით ურთიერთზე გადაჯაჭვულ ადამიანთა ვიწრო წრის კუთვნილებას წარმოადგენდა, მოდერნულ, ინდუსტრიულ საზოგადოებებში ‘კულტურამ სტრუქტურის ადგილი დაიკავა’. ‘ენა და კულტურა’ ახალ ცემენტად გადაიქცა დაქუცმაცებული საზოგადოებისათვის, რომელიც ეფუძნებოდა ინდუსტრიულ მანქანაში ინტეგრებისათვის გამზადებულ ფესვებდაკარგულ,

ტრადიციებისაგან განძარცულ ინდივიდებს, რომელთათვისაც ახალი და ერთადერთი მისაღები იდენტობა წიგნიერებაზე და კულტურაზე დამყარებული მოქალაქეობა იყო. ამიტომაც წაშალა მოდერნიზაციამ ტრადიცია და ტრადიციული საზოგადოებები და იდენტობის ერთადერთ საფუძვლად ენა და პულტურა წამოაყენა. დღეს, ამბობდა გელნერი, ჩვენ კველანი კლერკები ვართ', და იმისათვის რომ შევიძლოთ კლერკობა და მოქალაქეობა, განსწავლული უნდა ვიყოთ ახალი, მასობრივი, სავალდებულო, სტანდარტული, სახალხო საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველებელგვოფს (იქვე).

მაგრამ მოდერნიზაციის დიდმა ტალღამ სხვა, უფრო სავალალო შედეგიც გამოიდო. როგორც კი დასავლეთ ევროპაში მდებარე საკუთარ დრმა ზურგს გამოსცდა, თავისი არათანაბარი, დაკბილული ფრონტით მოძრაობის შედეგად მან მხარეები დაჲყო, უტევდა რა ერთმანეთის მიეოლებით რეგიონებს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიჩარით და ინტენსივობით. იგი მოსახლეობასაც პერიოდა: დიდი ურბანისტული ცენტრების ძველ მოსახლეებად და ახალ, ფესვებდაგარგულ პროლეტარიატად, რომლებიც სულ უფრო და უფრო შორდებოდნებს ისეთ სასიცოცხლო ურბანულ რესურსებს, როგორიც საცხოვრებლით, სამუშაოთი და განათლებით უზრუნველყოფაა. ახლა, თუ ამ გამოძევებულთ იგივე ენა და კულტურა პქონდათ, რაც ძველ მოსახლეებს, წარმოქმნილი უქმაყოფილება კლასობრივი კონფლიქტით იმუქრებოდა. მაგრამ თუ ეს საერთო მათ შორის არ არსებობდა, თუ ახალმოსულებს ძველი ურბანული მოსახლეობისაგან კანის უერი, ენა ან რელიგია განასხვავებდა, მაშინ კლასობრივ კონფლიქტს ეთნიკური ანტაგონიზმიც დაემატებოდა. ამ ვითარებაში პროლეტარულ ახალმოსულებს გაუჩნდებოდათ ცოტნება ყერად ელოთ თანაკულტურელი ინტელიგენციის მოწოდებები და მონაწილეობა მიეღოთ სავსებით ახალი ნაციის ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში; აქ ორი ნაციონალიზმი გამყოფი საზღვრის სხვადასხვა მხარეს ორ ნაციას უდებდა სათავეს. ასე რომ, ნაციონალიზმი საკუთარი ხატოვანი რიტორიკის საფარქვეშ თავს ავლენს, როგორც ობიექტურად აუცილებელი, პრაქტიკული პროგრამა (იქვე: თავი 7; იხ., აგრეთვე, Gellner 1973).

მოგვიანებით გელნერმა რამდენჯერმე მოახდინა საკუთარი თეორიის რეფორმულირება. უპირველეს ყოვლისა,

მან აჩვენა თუ რატომ არ შეეძლოთ არც ნაციებს და არც ნაციონალიზმს პრემიდერნულ ეპოქებში ერთსებათ. უბრალოდ, ამის არც საჭიროება იყო და არც გამოყენება იმ ‘აგრარულ-წიგნიერ საზოგადოებებში’, რომლებიც ციცქნა ელიტების მიერ იმართებოდა და, რომლებიც საკუთარ კულტურას მათ დაბლა მდგომ სურსათის მწარმოებელთა დიდ მასას არ უზიარებდნენ და ვერც საიმისო საფუძველს ხედავდნენ, თუ რატომ უნდა გაეკეთებინათ ეს. სურსათის მწარმოებელნი, თავის მხრივ, მრავალრიცხოვან ურთიერთგადამგარავ ლინგვისტურ კულტურებად იყოფოდნენ, რის შედეგადაც მათი უკმაყოფილება არასოდეს იძენდა ნაციონალურ ფორმას. თვით სამდვდელობასაც კი, იმ ერთადერთ ფენას, რომელიც კულტურის მონოპოლიზაციას ესწრაფვოდა, ამის გასაკეთებლად საქმარისი რესურსები არ მოეპოვებოდა (Gellner 1983).

მეორე, გელნერმა უფრო დეტალურად ასენა ინდუსტრიულ საზოგადოებათა კულტურული მახასიათებლების ტიპი. ამ მიზნით მან გამოიყენა ტერმინი ‘მაღალი კულტურა’, რომელშიც გულისხმობდა არა ელიტის კულტურას, არამედ წიგნიერ და სტანდარტულ საჯარო, ‘ბაღის’ კულტურას, რომელსაც სპეციალისტები და ‘ეგზოსოციალიზაციის’ სისტემა ანუ სახალხო განათლება განამტკიცებს. ამას გელნერი მრავალნაირ ველურ არაკულტივირებულ ‘დაბალ’ კულტურებს უპირისპირებდა, რომლებიც პრემიდერნული საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ რომლებსაც არ შეეძლოთ მოდერნულ პირობებში გადარჩენა. ისინი ან მაღალ კულტურად უნდა გარდაქმნილიყვნენ, ანდა დაღუპულიყვნენ. მესამე, გელნერმა პერენიალისტებისა და პრიმორდიალისტებისაგან საკუთარი განსხვავებულობა არა მარტო იმით გამოკვეთა, რომ ნაციონალისტური იდეოლოგიების მტკიცებებს საფუძველი გამოაცალა, არამედ იმითაც, რომ ხაზი გაუსვა ნაციებისა და ნაციონალიზმების სოციოლოგიურ და ისტორიულ სიახლეს, რომლებსაც თუმცა შეეძლოთ არსებული (პრემიდერნული) კულტურების ელემენტები გამოეყენებინათ, მაგრამ ფაქტობრივად არ საჭიროებდნენ მათ: ‘კულტურის ის ნაგლეჯები და ნაკუწები, რომელსაც იყენებს ნაციონალიზმი, ხშირად თვითნებურ ისტორიულ გამონაგონებს წარმოადგენს. ნებისმიერ ძველ ნაგლეჯსა თუ ნაკუწს შეუძლია სამსახური გაგვიწიოს’ (იქვე: 56). ამ საკითხზე იგივე თვალსაზრისი უფრო მკაფიოდ მის

ბოლო ლექციაში იყო ჩამოყალიბებული, როცა იგი ამტკიცებდა, რომ ნაციები შეიქმნა XVIII საუკუნეში და მანამადე რეალურად ხელშესახები არაფერი არსებობდა. ნაციებს, ადამის მსგავსად, ჭიპი არ სჭირდებოდათ (Gellner 1996).

ერვენ გელნერის თეორიის საბოლოო ვერსიას (1983) უფრო მატერიალისტური და დეტერმინისტული ხედვა შესძინა. ნაციონალიზმს ახლა როგორც ინდუსტრიული მოდერნული ეპოქის აუცილებლობასა და ფუნქციონალს უყურებენ, ზუსტად ისევე, როგორც თავად მოდერნული ეპოქა გახდა გარდუგალად ნაციონალისტური. სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის გარკვეული სახეობა კულტურისა და იდეოლოგიის გარკვეულ სახეობას მოითხოვდა და პირიქით (იხ., აგრეთვე Gellner 1997).<sup>3</sup>

ასეთივე პოზიცია ეკავა ტომ ნაირნს წიგნში ბრიტანეთის დაშლა (1977), სადაც ამტკიცებდა რომ განვითარების არათანაბრობა ნაციონალიზმის უპირველესი მამოძრავებელია. მაგრამ, ნაირნისათვის ეს იყო არა ინდუსტრიალიზმის, არამედ კაპიტალიზმის არათანაბარი ტალღა. ამას გარდა, კაპიტალიზმი პერიფერიაში ხელცარიელი არ მისულა; ის იმპერიალიზმის ‘ბორკილებით’ მიღიოდა. კოლონიების ექსპლუატაციაში მეტროპოლიის კაპიტალისტურ ბურჯუაზიას დიდ დახმარებას უწევდნენ დიდი დასავლური სახელმწიფოების ადმინისტრაციები და არმიები. ამ სასტიკი შემოტევის წინაშე კოლონიზებადი პერიფერიის ელიტები სრულიად უმწეონი აღმოჩნდნენ. მათ არც შესაბამისი იარაღი, არც სიმდიდრე, არც ტექნოლოგია და არც უნარ-ჩვევები არ გააჩნდათ. მაგრამ ჰქონდათ ერთი განბი. უიმედო პირობებში, ‘განუვითარებლობის’ ჰეშმარიტი მნიშვნელობით, მათ ისეთ რამეს მიმართეს, რის ნაკლებობასაც არ უჩიოდნენ: ხალხს. მათ მხოლოდ ხალხი ჰყავდათ – პოტენციური იარაღი. მათ მოახდინეს ‘ხალხის’ მობილიზაცია და მისვის გასაგებ ენაზე და მისი კულტურის დონის გათვალისწინებით შედგენილი მოსაწვევი ბარათებით იგი ისტორიაში შეიპატიუეს. ‘მასობრივი სენტიმენტები’ ნაციონალურ წინააღმდეგობაში გადაიზარდა. ამიტომაც ნაციონალიზმი ყოველთვის პოპულისტური, რომანტიკული და კლასობრივი დაყოფის გადამკვეთი მოძრაობაა და მასების ეთნიკურ სენტიმენტებს ასაზრდოებს (Nairn 1977: ოავები 2, 9).<sup>4</sup>

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნაციონალიზმის ხასიათი და იდეალები ყოველთვის მისი სოციალური ადგილისა და გეოპოლიტიკური სიტუაციის ფუნქციებს წარმოადგენს? ელიტაც ისევეა მოკლებული რეალურ საშუალებებსა და არჩევანის უნარს, როგორც მასები, და მათი იდეები ასევე უადგილოა სიტუაციაში, რომელიც, საბოლოო ჯამში, გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესებითაა განპირობებული? უეჭველია, რომ ამაშია მოდერნიზაციის თეორიის ქვეტასტი; აღნიშნული ვითარების თავად გელნერისეული აღწერით, ‘“განუვითარებელი სამყარო” ევლა ფილოსოფოსი მეფე ისე მოქმედებს, როგორც ვესტერნიზაციის კურსის გამტარებელი, ხალხოსანივთ კი საუბრობს’ (Gellner 1964: 171).

კედურის იდეოლოგიურ დეტერმინიზმს მოდერნიზაციის თეორია სოციალურ-ეკონომიკურ დეტერმინიზმს უპირისპირებს. კერძოდ, გელნერისათვის იდეოლოგია – ნაციონალისტური იდეოლოგია – ყოვლად უადგილო და მცდარია. ნაციები არ არიან ბედისწერით განპირობებულნი და არც ადამიანებს გააჩნიათ ნაციონალურობის ბუნებრივი მოთხოვნილება. ეს მოდერნული ეპოქაა, ნაციებისა და ნაციონალობის არსებობის ბუნებრივობას რომ გვაჩვენებს, ეს მოდერნული ეპოქაა, რომელიც უეჭველად ‘ნაციონალიზმის’ ფორმით გვევლინება, და სწორედ ნაციონალიზმია ის, რაც ნაციებს ქმნის: ‘ნაციონალიზმი ... იგონებს ნაციებს იქ, სადაც ისინი არ არსებობდნენ, მაგრამ მოქმედებისათვის სჭირდება ზოგი ადრე არსებული განმასხვავებელი ნიშანი, თუნდაც ... წმინდად ნეგატიური’ (იქვე: 168). განმასხვავებელი ნიშნების საკითხს მე მოგვიანებით დაგუბრუნდები. ამჯერად კი უურადღების კონცენტრირება იმ საშუალებებზე მინდა მოვახდინო, რომელთა მეშვეობითაც იდეები და კონკრეტულად (ნაციონალიზმის) ‘იდეოლოგიები’ მიზეზობრივი ჯაჭვიდანაა ამოდებული. სირთულე, რომელიც ამ შემთხვევაში ჩნდება, გახდავთ არა მარტო დეტერმინიზმი, ელიტისათვის არჩევანის შეზღუდულობა, არამედ ‘პერსპექტივაში ხატვაც’, რისი წყალობითაც მრავალმნიშვნელოვანი და მიზეზობრივად ადეკვატური ახსნების საკვანძო ელემენტები და არსებითი საფეხურებია გამოტოვებული.<sup>5</sup>

გელნერი ამტკიცებს, რომ ნაციებს ‘ნაციონალიზმი’ ქმნის, რაც, თავის მხრივ, მოდერნული ეპოქის კულტურის ფორმაა და მოდერნულ ინდუსტრიალიზაციას წარმოადგენს. ამ

თეორიის მიხედვით ნაციონალიზმი კულტურის აუცილებელი ფორმა, ‘მაღალი კულტურა’ ხდება. იგი არაა აქტიური წამართველი ძალა, და არც რაიმე დამოუკიდებელი წვლილის შემტანია საზოგადოების განვითარებაში; ის მხოლოდ ინდუსტრიალიზმს გარდატეხს კულტურის პრიზმაში. ე. რეალურად მნიშვნელობა არ პქონია ნაციონალიზმის ფორმასა და ინტენსივობას, არც იმას, თუ სად, როდის და რომელ ნაციას გამოიხმობს იგი (ინდუსტრიალიზმი) ყოფიერებაში. საზოგადოდ ნაციონალიზმის არსებობის გლობალური საჭიროებისათვის ეს კველაფერი მეორეხარისხოვნია და მას არ შეუძლია ნათელი მოჰყინოს საკითხს ნაციონალიზმის აუცილებლობის ასესიო. ასე რომ, თეორია არ გვეუბნება თუ რატომაა, რომ ნაციონალიზმი ზოგ ნაციებსა და სახელმწიფოებში უფრო კეთილია, სხვებთან კი უფრო სახტიკი, რატომაა, რომ იგი ზოგ ნაციას ქმნის, ხოლო სხვებს ანადგურებს, რატომ გვხდება აქ რელიგიური ნაციონალიზმი, იქ რევოლუციური და სხვაგან კიდევ რასისტული ან ფაშისტური.<sup>6</sup>

სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, გელნერის ‘ნაციონალიზმს’ ძალიან ცოტა ან სულაც არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც ადამიანთა უმრავლესობა გულისხმობს ამ ტერმინში: იდეოლოგიები და მოძრაობანი, რომელთა დროშის ქვეშ ადამიანები ეძიებენ ერთობას, იდენტობას და ავტონომიურობას თავიანთი ნაციებისათვის. ითვლება, რომ კედური ამ იდეებისა და მოძრაობების როლს აზვიადებს. თუმცა მან სცადა აღნიშნული დისტალანსის კორექტირება აფრიკასა და აზიაში შექმნილი ნაციონალისტური ნაწარმოებების ანთოლოგიისათვის მის მიერ მოგვიანებით გაკეთებულ შესავალში (Kedourie 1971). მაგრამ ჩნდება კითხვა: იგი არ იდგა იმავე თვალსაზრისზე, როცა გვიჩვენებდა, თუ როგორი ენთუზიაზმით მიიღეს ნაციონალისტური იდეოლოგიის მესიანისტური დანაპირები დეზორიენტირებულმა და გაუცხოებულმა, საკუთარ ერთობათა ტრადიციებსა და დასავლეთის ილუზორულ დაპირებებს შორის გაჩერილმა ასალგაზრდა მარგინალებმა?<sup>7</sup>

კედურისათვის ნაციონალიზმი ნების დოქტრინაა. გელნერისათვის ეს არის კულტურის ფორმა, მიღებული ინდუსტრიალიზმის მიერ. კედურისათვის ნაციონალისტურ იდეალებს საკუთარი ძალაუფლება აქვთ; სინამდვილეში ისინი მცდარ გზაზე აყენებენ ხალხს, ორიენტაციას უპარგავენ და

საბოლოოდ ანადგურებენ კიდეც. გელნერისათვის იდექტი ამგვარ ძალას ვერ ფლობენ, ნაციონალიზმის იდეოლოგია უბრალოდ ინდუსტრიული კულტურის ნამდვილ ქმედებას ნიღბავს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ მოსალოდნელი იყო ნაციათა სამყაროში, კერძოდ, ნაციების ხასიათებისა და მათი იდეოლოგიების შინაარსისა და შედეგების მეტი ერთგვაროვნება და მეტი რეგულარულობა. ის გარემოება, რომ ეს აშკარად არა ასე, მოდერნიზაციის თვალშისაცემ ხარვეზზე მიუთითებს: იგი ადგილს არ უტოვებს ინდივიდებსა და მათი იდეალების როლს. ამ მიმართებით, კედურის თვალსაზრისი, მთელ მისი ნაკლოვანებათა მიუხედავად, ფასეულ კორექტოვს გვაძლევს. ის უფრო მეტად და ღრმად წვდება ნაციონალისტური იდეოლოგიებისა და ინტელექტუალთა შიდა სამზარეულოს; და, მიუხედავად იმისა, რომ მისი დიფუზიონისტური თეზისი ნაციონალიზმის გავრცელების შესახებ საკმაოდ არაადეკვატურია, ის ბევრად უფრო მეტს ამბობს როგორც ევროპაში ნაციონალიზმის ფილოსოფიური ფონის, ასევე აფრიკისა და აზიის განათლებული ახალგაზრდობის მოტივაციისა და იქ არსებული სიტუაციის შესახებ. კედურის თვალსაზრისი, მთელი თავისი იდეოლოგიური დეტერმინიზმით, შეგვახსენებს დურკამის შეგონების ჭეშმარიტებას, რომ იდეები, რაკი ერთხელ იშვებიან, შემდეგ საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ.

## გონება და გმოცია

კედურისა და გელნერს შორის დებატები მოდერნისტთა ბანაკში მიმდინარეობდა და ეს ნამდვილი დებატები იყო. დანარჩენი არგუმენტები სხვადასხვა დაპირისპირებულ პარადიგმების შიგნით მომუშავე მეცნიერთა პოზიციებიდან მომდინარეობს და მათი არგუმენტების ჩემეულმა რეკონსტრუქციამ წარმოსახვითი დებატების ფორმა შეისხა.

პოზიციათა ამგვარი სხვაობა და დებატები მოტივაციის საკითხს შეეხება და, კერძოდ, იმას, თუ რატომ უნდა შეიგრძნობდნენ თავს ადამიანები ნაციონალისტებად და ხდებოდნენ ასეთნი. მაიკლ ჰემთერისათვის ეს მნიშვნელოვანწილად ‘რაციონალური არჩევანის’ საკითხია. აუარა რა გვერდი განვითარებულ დასავლეთში ‘შინაგანი კოლონიანიზმის’ არსებობის საკუთარ, ადრინდელ წმინდა სტრუქტურულ თვალსაზრისს, ჰემთერმა სოლიდარობის

ზოგადი თეორია გაიზიარა, რომელიც ერთობ დაგალებულია რაციონალური არჩევანის ანალიზისა და მისი მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისაგან. რასაკვირველია, ‘ინდივიდუალთა სუვერენული პრეფერენციები’ ისეთ სტრუქტურაში ოპერირებენ, რომელიც მათი მოქმედების არეალში აკრძალვების სისტემას განსაზღვრავს მეტნაკლებად; მაგრამ ამ საზღვრებს შეინით ინდივიდთა ქმედებების კურსი რაციონალურად აირჩევა, ე.ი. დანახარჯებისა და მოგების დაანგარიშებით. ეთნიკური ჯგუფები სოლიდარობის ჯგუფების გამოკვეთილ მაგალითებს წარმოადგენენ, რომელთაც პირადული ჯილდოსა და სასჯელის შეჯერების და ინფორმაციის გაკონტროლების უნარი აქვთ ისევე, როგორც შეუძლიათ კრიმინალების და ანარქისტების თარეში აღკვეთონ.<sup>8</sup>

შეუძლია კი ამგვარ ზოგად სქემას ნათელი მოპფინოს ნაციონალურ სესეციას და ნაციონალისტურ ძალადობას? სესეცია ჩვეულებრივ რისკიანი მოქმედების მიმართულებაა და მხოლოდ და მხოლოდ პირადულმა მოტივებმა, როგორიცაა სამუშაოს პერსაპექტივა, შეიძლება საშუალო კლასს ამ კურსესაკენ უბიძოს; და ამ შემთხვევაშიც სესეციის ალბათობა მასპინძელი სახელმწიფოს ძალის გათვალისწინებაზე იქნება დამოკიდებული (Hechter 1992: 273–275).

რაც შეეხება ნაციონალისტურ ძალადობას, ჩვეულებრივ, იგი ოპოზიციური ჯგუფების სახელმწიფოს მიერ რეპრესირების ფუნქციაა და ამიტომაც საგულდაგულოდაა შემოწმებული: ‘უამრავი რამ მიუთითებს იმაზე, რომ ნაციონალისტური ჯგუფები ძალადობის სტრატეგიას მიმართავნ, როგორც საშუალებას იმ საერთო კეთილდღეობათა მოსაპოვებლად, რომელთა შორისაც სუვერენობას განსაკუთრებით დიდი აღგილი უკავია’ (Hechter 1995: 62). პენტერის აზრით, ჩრდილოეთი ირლანდიის მაგალითი იმის დადასტურებაა, რომ ნაციონალისტური ძალადობის შეზღუდულობა განპირობებულია სუსტი სოლიდარული ნაციონალისტური ჯგუფის კონფრონტაციით მძლავრ სახელმწიფო აპარატთან, რომელსაც იმის უნარი შესწევს, რომ სესეციის სურვილი რეპრესიებით ჩაახშოს. ძალადობის ესკალაცია მხოლოდ იქ მოხდება, სადაც დასუსტებული სახელმწიფო მძლავრ სოლიდარულ ნაციონალიზმს დაუპირისპირდება.<sup>9</sup>

ასეთია პრობლემის ყველაზე პოლო და საბუთებით გამყარებული პეტერისეული წარმოდგენის კონტექსტი. აქ იგი ამტკიცებს, რომ ნაციონალიზმი, კერძოდ, ის პრინციპი, რომ ნაცია უნდა ემთხვეოდეს მმართველობას (და არა აუცილებლად სახელმწიფოს), მოდერნულია, რამდენადაც იგი პირდაპირი მმართველობისაკენ მოდერნიზაციის გლობალური მოძრაობის ფუნქცია. პრემოდერნულ იმპერიულ სახელმწიფოებში პეტერიულ ელიტებს ძირითადად ეძღვდათ იმის საშუალება, რომ ემართათ საქუთარი რეგიონის მოსახლეობა არაპირდაპირი მმართველობის სისტემის ფარგლებში, იმპერიის ეფემერული ძალაუფლების პირობებში, რაც სავსებით აკმაყოფილებდა ყველა მხარეს. მაგრამ მოდერნულ მსოფლიოში, ცენტრალიზებული სახელმწიფო ნორმად გადაიქცა და რეგიონების (პეტერიულის) მოსახლეობის მართვას უცხოებმა მოჰკიდეს ხელი. ისინი არ იცნობდნენ მათ საჭიროებებს. ასე რომ, პეტერიული ელიტებისათვის მხოლოდ ამის შემდეგ იძენს აზრს ნაციონალისტური პოლიტიკის აღება დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; და ამიტომაც ნაციონალიზმის პოვნა მხოლოდ მოდერნულ მსოფლიოშია შესაძლებელი (Hechter 2000, კერძოდ, თავები 2–3). აქ პეტერი კრიტიკას უშუალოდ ‘რაციონალური არჩევანის’ თაობაზე საკუთარი წინანდელი თვალსაზრისებრი მიმართავს, რომელიც ძალიან ცოტას ან სულაც არაფერს ამბობდა ნაციონალიზმის სპეციფიკის შესახებ; სქემა შეიძლება ნებისმიერი სახის ამბოხს ან ძალადობას მიუსადაგო. ახლა, ძალაუფლების ტიპებში მომხდარი ცვლილების გამო, ის აზრს იძენს საკუთრივ ‘ნაციონალიზმთან’ მიმართებაში, როგორც ერთანი ‘ნაციის’ მეშვეობით პეტერიულის მოსახლეობის პეტერიულ ელიტასთან მიბმის საშუალება ცენტრალიზებული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ. მაგრამ იბალება კითხვა, რატომ უნდა დაჰყვეს მოსახლეობა მათ ხელმძღვანელობას? პეტერის სხვადასხვა მოსაზრება უშვებს ინდივიდუალური რაციონალურობის არსებობას ნაციონალიზმის საძირკეებში, რომელიც ადგილს აღარ ტოვებს კოლექტიური დირექტულებების, მასსოვრობების, სიმბოლოებისა და ემოციებისათვის, აქ ადგილი მხოლოდ სიმდიდრის ობიექტებული კეთილდღეობის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ძალაუფლებისთვის თუ რჩება. მაგრამ განა ეს ყველაფერი მართლაც საქმარისია ნაციონალიზმის ვნებათაღელვისა და საყოველთაო მიმზიდველობის

ასახესნელად? განა შეგვიძლია უგულებელვყოთ, მაგალითად, გარდასული ომებისა და საშინელებების ხსოვნის მნიშვნელობა პოლიტიკური კრიზისის დროს, იმ სარგებელისაგან დამოუკიდებლად, რომელიც შეიძლება მიიღონ ინდივიდებმა კონკრეტულ ამბოხსა თუ მოძრაობასათან მათი შეერთების შემთხვევაში?<sup>10</sup>

უოლკერ კონორისა და ჯოშუა ფიშმანისათვის ამას კითხვაც კი არ დასჭირდებოდა. ნაციონალიზმი მათთვის არასოდეს ყოფილა კოლექტიური კეთილდღეობის მხოლოდ რაციონალური მიება, რადგან, იგი, პირველ რიგში, პატრიოტიზმის საპირისპირო, ეთნონაციის სიყვარულია, რაც ტერიტორიალური სახელმწიფოს მიმართ ლოიალობას წარმოადგენს. ‘მოქალაქეობრივი ნაციონალიზმი’, რომელსაც მოდერნისტები უპირატესობას ანიჭებენ და რომელიც რეალურად სხვა არაფერია თუ არა პატრიოტიზმი, სინამდვილეში ლოიალობის ‘რაციონალური’ სახეა და მისი ახესნა რაციონალურადაც შეიძლება, როგორც ამას კონორი ამტკიცებს; მაგრამ ‘ეთნონაციონალიზმი’, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალიზმია, ვერასოდეს აისხება რაციონალურად. იგი შეიძლება მხოლოდ გაანალიზდეს და აღიძრას. ეს კი ზუსტად ისაა, რასაც ნაციონალისტი ლიდერები აკეთებენ, და ისინი ბევრად მეტ წარმატებასაც აღწევენ, ვიდრე მეცნიერები, რადგან ინტეიციურად ხვდებიან, რომ ‘საზიარო სისხლის განცდა ეთნოფსიქოლოგიის ცენტრში ძეგს და უყოფმანოდ მიმართავენ მას’ (Connor 1994: 197). უოლკერ კონორისათვის ნაცია წარმოადგენს ‘ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც ხწამს, რომ მათ საერთო წინაპარი აკავშირებთ. ეს არის ყველაზე დიდი დაჯგუფება, რომელიც ამგვარ რწმენას იზიარებს’ (იქვე: 212; კურსივი დედნისაა). ნაცია საბოლოო ჯამში ნათესაური ჯაჭვის განცდას ეფუძნება; მის არსეს ფსიქოლოგიური ძაფი წარმოადგენს, რომელიც ხალხს მისი წევრების ნახევრადცნობიერ წარმოდგენაში აერთიანებს და, ამავდროულად, მათ ყველასაგან განასხვავებს (იქვე: 92).

რასაკვირველია, არავითარი საჭიროება არაა, რომ საერთო ნათესაური ჯაჭვის არსებობის რწმენა და საზიარო ეთნიკური წარმომავლობის მითი შეესაბამებოდეს (და, ჩვეულებრივ, არც შეესაბამება) რეალურ ბიოლოგიურ შთამომავლობას და იმას, რაც ფაქტებზე დაყრდნობით ისტორიიდანაა ჩვენთვის ცნობილი. მაგრამ ნაციონალიზმის

შესწავლაში მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა არის, არამედ ის, თუ რა განიცდება. საერთო წინაპრის რწმენა ეფუძნება არა ფაქტებს და განსჯას, არამედ წევრების მძლავრ და არარაციონალურ (და არა ორაციონალურ) გრძნობას. ნაციონალიზმის მოწოდება და სტიმულები შეიძლება შევისწავლოთ, მაგრამ მათი რაციონალური ახსნა შეუძლებელია. თუ ამას შევეცდებით, ეს ნიშნავს, რომ ნაციონალური რწმენის სიღრმე და ძალა მხედველობიდან გამოგვრჩება.<sup>11</sup>

ეს ორიგინალური და მძლავრი მოსაზრებაა, რომელიც ისე აღიქმება, როგორც უკიდურესი პერენიალიზმის (თუ არა პრიმორდიალიზმის) გამოვლინება. ესაა ხედვა, რომელიც ეთნიკურ ჯგუფებსა და ნაციებს შორის ურთიერთობის კონტრისეული ანალიზითაა გამაგრებული. კონორისათვის ნაციები რეალურად სხვა არაფერია, გარდა თვითცნობიერი ეთნიკური ჯგუფებისა. მაშინ, როცა ეთნიკური ჯგუფებისათვის საკმარისია, რომ ისინი გარეშეთა მიერ იყვნენ შეცნობილნი და განსაზღვრულნი, და თვითცნობიერებას არ საჭიროებენ, ნაციებისთვის ეს განმსაზღვრელია. ამიტომაც ეთნიკური ჯგუფები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ‘პრენაციონალური ხალხები’ და პოტენციური ნაციები. ნაციები, მეორეს მხრივ, სრულად თვითცნობიერი ერთობებია, და რამდენადაც ისინი მასობრივ ფენომენებს წარმოადგენენ, მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დაიწყონ არსებობა, როცა მათი წევრების უმრავლესობა ნაციონალურად გაცნობიერებული გახდება. პრაქტიკაში, და დემოკრატიებში, ეს ნიშნავს, რომ ნაციის ცხოვრებაში უმრავლესობა უნდა მონაწილეობდეს; საკუთრივ კონორისათვის კი ეს საარჩევნო უფლებას ნიშნავს (იქვე: 98–103).

პერენიალიზმთან, რომ აღარაფერი ვთქვათ პრიმორდიალიზმზე, უკიდურესად დაპირისპირებული კონორის თვალსაზრისით ორთქლდება, არსებობას წყვეტს. ირკვევა, რომ იგი მოდერნიზმის რადიკალური ვარიაციაა, თუმცადა საკმაოდ თავისებური. კონორი ხომ ასკვნის, რომ ნაციები წნდებიან მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში, როცა მათი წევრები, ქალების ჩათვლით, საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობას და ხმის მიცემას იწყებენ. ცხადია, ჩვენ ვერაფერს შევიტყობოთ იმის შესახებ, თუ რას გრძნობდნენ ან რას ფიქრობდნენ გლეხთა მასები ამ დრომდე. რეალურად მხოლოდ 1789 წლის შემდეგ, როცა დოგმა, რომ ‘უცხოელის მმართველობა არაკანონიერი

მმართველობაა’, ეთნიკურად გაცნობიერებულ ხალხებს მოედება, თანდათანობით ჩნდებიან ნაციები. და, როგორც ირკვევა, ამ პროცესში მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლს მოდერნიზაცია და მასობრივი კომუნიკაციები ასრულებს. რეგულარული კონტაქტებით მოდერნიზაციამ პარადოქსულად განაცალკევა და თვითცნობიერი გახდა ხალხები იქ, სადაც ადრე, იმპერიული მმართველობის დროს, ისინი კულტურულად ასიმილირებულნი იქნებოდნენ (იქვე: 169–174).

ამ კონტექსტში ეს უცნაური დასკვნაა. იგი საქმაოდ ეულად გამოიყურება კონორის შრომის სულისკვეთებასთან მიმართებაში და დეფინიციასა და ისტორიულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით რიგ კითხვებს წამოჭრის. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნაციონალური მოდერნიზმი უკან, ეთნიკური პერენიალიზმისაკენ, გაჭენდა. მაგრამ ამ თვალსაზრისის დაკვირვებით განხილვა მიუთითებს, რომ ჩვენს წინაშე მხოლოდ და მხოლოდ ქრონოლოგიური ანუ ‘პირობითი’ მოდერნიზმია. ნაციები, კონორის აზრით, არც რეალურად, თვისებრივად განსხვავებული არიან ეთნიკური ჯგუფებისაგან, და არც მოდერნიზაციის პროდუქტებს წარმოადგენენ, როგორც ამას სოციოლოგიური ან ‘სტრუქტურული’ მოდერნიზმი მიიჩნევს. ამის მთავარი მიზეზი, კონორის შეხედულებით, ის არის, რომ ნაციები, ეთნიკური ჯგუფების მსგავსად, მასობრივი ფსიქოლოგიის და, საბოლოო ჯამში, ნათესაობის განცდის ფენომენებია.

გამოდის, რომ ნაციონალიზმში არავითარი რაციონალურობა არაა? თუ იგი, როგორც რომანტიკოსები გვარწმუნებენ, უბრალოდ სისხლის და ემოციის საქმეა? იქნებ ჯოშუა ფიშმანს მოქაოვება ამაზე პასუხი, როცა ამტკიცებს, რომ ეთნიკურობა ‘არსებობის’ საქმეა, ისევე როგორც ‘ცოდნისა’ და ‘კეთების’ და რომ

ეთნიკურობა ყოველთვის განიცდებოდა როგორც ნათესაური ფენომენი, განგრძობადობა თვითში და მათში, ვისთანაც არსებობს საერთო წინაპრის თაობათაშორისი კაგშირი. ეთნიკურობა ნაწილობრივ განიცდება როგორც ‘ძვალი ძვალთაგანი, ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი’. თავად ადამიანის სხეული დანახულია როგორც ეთნიკურობის გამოხატვა და ეთნიკურობა მთლიანად განიცდება

როგორც სისხლი, ძვლები და ხორცი (Fishman 1980: 84–85).

მეორეს მხრივ, როგორც პეჩთერიც ამტკიცებს, განა ხალხი (მათ შორის ნაციონალისტებიც), ფრთხილად არ ანგარიშობს ნაციონალისტურ ამბოხებათა ზედმეტობებს, ნაციონალისტური მოძრაობებში მონაწილეობის მიღების საზღაურსა და ‘fraternité’ (და ახლა ‘sororité’) მისაღებ მოგებას? იმ შემთხვევაში თუ ჩვენ დავასკვნით (მგონი, შეგვიძლია ასე მოვიქცეთ), რომ ნაციონი და ნაციონალიზმი მძლავრ სუბიექტურ ელემენტებს შეიცავს, რომ ზოგჯერ ხალხი ‘სისხლით ფიქრობს’ და, კონკრიტურად, სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ‘თავისი ნებით არასოდეს იღუპება რამე რაციონალურის გამო’ (Connor 1994: 206), აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ ეს ვენომენი არარაციონალურია და მისი ახსნა სტრუქტურული და კულტურული ტერმინებით შეუძლებელია, და არც ის, რომ, რადგან ჩვენ საშუალება გვაქვს ნაციები და ნაციონალიზმი სოციალური ფსიქოლოგიის ტერმინების მეშვეობით განვითარებოთ, ჩვენ პრინციპში არ შეგვიძლია მათი ახსნა რაციონალური ტერმინებით. ეს გასაგებად შეიძლება რთული აღმოჩნდეს, მაგრამ ეს ორი არავითარ შემთხვევაში არაა ერთმანეთთან შეუთავსებელი. ის, რომ მოდერნისტები (მაგალითად, გელნერი და პეჩთერი) მცირე ყურადღებას უთმობენ სოციალური ფსიქოლოგიის ცვლადებს, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავიზიაროთ ნაციებისა და ნაციონალიზმის ანალიზის ფსიქოლოგიური (და აქედან გამომდინარე ‘არარაციონალური?’) პოზიცია და უარი ვთქვათ ისტორიულ და სოციოლოგიურ ახსნებზე. პირიქით, ამ საკითხის ბუნება ყველაფერს, რასაც ჩვენ ასე ვაკეთებთ, მეტ მნიშვნელოვნებას სტენს და უზრუნველყოფს იმას, რომ ‘ახსნის’ ჩვენებულმა გაგებამ მოიცვას ემოციის, ნების, სიმბოლოს, მასსოვრობის, ნათესაობის განცდის სხვადასხვა კულტურული, სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ელემენტები, რომლებზეც სამართლიანად სვამს მახვილს უოლკერ კონორი და რომლებსაც ინსტრუმენტალისტები უგულებელყოფენ ან უარყოფენ.<sup>12</sup>

## პოლიტიკა და კულტურა

მესამე განსახილველი საკითხი ნაციებისა და ნაციონალიზმის ფორმირებაში მოღერნული სახელმწიფოს, უფრო ზოგადად კი მასში პოლიტიკის, როლს ეხება. ამას ჩვენ კულტურული ნაციონალიზმის ან, უფრო ფართოდ, კულტურული იდენტობის პრობლემა შეიძლება ვუწოდოთ.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში რიგი პოსტმარქსისტული ოქონია ხაზს უსვამდა სახელმწიფოს ფარდობით ავტონომიურობას. მათვის შედარებით მისადგბი იყო პოლიტიკის პრიორიტეტის ვებერისეული გაგება. ყველა ეს მიღებობა და მოღელი მოღერნისტული და ინსტრუმენტალისტურია. ეს ეხება ნაციონალიზმის მაიკლ მანის უფლება და ენტონი გიდენსის უფლება ინტერპრეტაციებსაც. ორივე მათგანს მიაჩნია, რომ მოღერნული, ცენტრალიზებული, პროფესიონალთა და ტერიტორიული მოწყობის მქონე მოღერნული სახელმწიფო აღვიძებს ნაციონალიზმს იმასთან ერთად, რასაც ენტონი გიდენსი ‘შეგრული ნაცია-სახელმწიფოს შიგნით არსებული ადმინისტრატიული ხელისუფლების კოორდინაციის თანამდევი სუვერენობის კულტურულ შეგრძებას’ უწოდებს (Giddens 1985: 219). მაიკლ მანიც, ბრიტანეთსა და საფრანგეთში სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ნაციონალიზმებზე საუბრისას, ნათლად აყალიბებს თავის აზრს: ‘ნაციაზე, როგორც სახელმწიფოს აღმიშვნელ ტერმინზე, ფოკუსირების გამჭვირვალობა პოლიტიკური ახსნისათვის უპირატესობის მინიჭებაა’ (Mann 1995: 48). იგივე ითქმის ჰაბსბურგთა იმპერიის ‘პროვინციალთა’ (ხორვატების, უნგრების, ჩეხების) ნაციონალიზმებზეც, სადაც რეგიონალური ადმინისტრაციის არსებობა-არარსებობა ‘ნაციის წარმოშობის უკეთესი მაუწყებელია, ვიდრე ეთნიკურობა’ (იქვე: 50).<sup>13</sup>

ადრე მანმა უფრო დაწვრილებით განიხილა ევროპაში ნაციონალიზმის განვითარების ოთხი საფეხური. პირველი, თავისი ხასიათით, რელიგიური იყო. იგი XVI საუკუნეში ევროპაში დაიწყო, როცა პროტესტანტულმა რეფორმაციამ და კათოლიკურმა კონტრრეფორმაციამ ‘ინტენსიური ძალაუფლების’ ძლიერი მობილიზება განახორციელდა ელიტის წიგნიერების ახალი ქსელების ჩამოყალიბების ხელშეწყობით. დაახლოებით 1700 წლიდან ამას კომუნიკაციული ექსანსით და სახელმწიფო მილიტარიზმით გამოწვეული დისკურსიული

წიგნიერების გაფართოება მოჰყვა, რომელმაც ‘საერო მოქალაქეობის’ შეგრძნების მქონე ზედა კლასი წარმოქმნა. 1792 წლიდან მესამე, გადამწყვეტ ფაზაში, სამხედრო კრიზისმა ეს ‘პროტონაციები’ მცირე, მაგრამ ნამდვილად ზეკლასობრივ ნაციებად აქცია. საგალლებულო სამხედრო სამსახურის შემოღებამ, ომის გადასახადებმა და ომის რეგრუსულმა სესხებმა, მდიდარი კლასების მოთხოვნას პოლიტიკური ელიტერი შესძინა და ‘ნაციისა’ და ‘ხალხის’ ცნებების პოლიტიზება გამოიწვია. უკანასკნელ ფაზაში, XIX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, სახელმწიფოს ორგანოების მეშვეობით ნაციებისათვის ხელშეწყობას ინდუსტრიული კაპიტალიზმი იწყებს, რომელიც ფუნქციების ფართო მრავალფეროვნებაზე ხდება პასუხისმგებელი. ეს გარემოება, თავის მხრივ, მას უფრო წარმომადგენლობითად, პომოგებულად და ‘ნაციონალურად’ აქცევს და უფრო აგრესიულ, ფანატიკურ ნაციონალიზმს ახალისებს (Mann 1993: 216–247).

თუმცა, აქაც პირველი, მოსამზადებელი, ფაზის შემდეგვე მანი მახვილს სახელმწიფოს როლზე და მის სამხედრო და ფისკალურ ძალაუფლებაზე აკეთებს. იმის კითხვა, თუ რატომ უნდა მიეკუთვნოთ სახელმწიფოებს ასე დიდი როლი ნაციების ჩამოყალიბებაში, როცა მათგან მომდინარე პირველ იმპულსებს თავად მანი მხოლოდ 1700 წლის შემდგომი ხანით, ხოლო მათ სერიოზულ ინტერესების არაუდრეს 1792 წლით ათარიღებს. ინგლისის შემოხვევაში და, იქნებ, საფრანგეთის, შოტლანდიის, ესპანეთის და შვედეთის შემთხვევებშიც, XVI საუკუნეში არისტოკრატიასა და საშუალო კლასის ზედა ფენებში ნაციადყოფნის განცდის არსებობა უეჭველია. იმის მტკიცება, რომ ისინი არ არიან ‘რეალური’ ნაციები, ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ნაციებზე XIX საუკუნის მიწურულამდე, როცა მოსახლეობა პირველად იდებს საარჩევნო უფლებას, როგორც ამას უოლკერ კონვინი ამტკიცებს. თუ ჩვენ მზად არა ვართ ასე შორს წასასვლელად, მაშინ შეგვიძლია დაგუშვათ ‘ნაციების’ არსებობა გარეული აზრით მიღიარისტულ-კაპიტალისტურ სახელმწიფოებამდე და, იქნებ, მათგან განკერძოებულადაც.<sup>14</sup>

აღნიშნული ზოგადი მიდგომის ყველაზე მეტად დამუშავებულ და მკაფიო ფორმულირებას ჯონ ბრილის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური მოდელი წარმოადგენს. ბრილის ნაციონალიზმი მოდერნულ და წმინდა პოლიტიკურ მოძრაობად ესახება; მოდერნულ მსოფლიოში კი პოლიტიკა

სახელმწიფოზე კონტროლში მდგომარეობს. ნაციონალიზმი ამგვარი კონტროლის მისაღწევად და შესანარჩუნებლად საჭირო არგუმენტია. მისი მნიშვნელოვნება განპირობებულია უნარით, სხვადასხვა სუბელიტას, მათი მიზნებისა და ინტერესების მობილიზაციის, კოორდინაციის და ლეგიტიმაციის გზით, საერთო პლატფორმა შესთავაზოს. ნაციონალისტური მოძრაობა მიზნად ისახავს ორივეს, როგორც სახელმწიფოს გაერთიანებას, ისე მის განახლებას, უფრო ხშირად კი არსებულ სახელმწიფოსთან დაპირისპირებას, როგორც ამას ბრილი გადმოგვცემს:

[ნაციონალისტური არგუმენტი] სამ მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ დოქტრინას წარმოადგენს:

- (ა) ნაციის თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი და განსაკუთრებული ხასიათი აქვს.
- (ბ) ნაციის ინტერესები და ლირებულებები ყველა სხვა ინტერესსა და ლირებულებაზე მაღლა დგას.
- (გ) ნაცია შეძლებისდაგვარად თავისუფალი უნდა იყოს, რაც, ჩვეულებრივ, სულ მცირე, პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას მოითხოვს (Breuilly 1993: 2).

ნაციონალისტური არგუმენტები მხოლოდ მაშინაა მიმზიდველი, როცა მოდერნული პირობები – კერძოდ, აბსოლუტისტური სახელმწიფოს გამოცალკევება სამოქალაქო საზოგადოებისაგან – ბევრ განათლებულ ადამიანში გაუცხოებისა და იმედგაცრუების გრძნობას ბადებს, რის გამოც ისინი თავიანთ მზერას ისეთ დოქტრინებს აპირობენ, რომლებიც სახელმწიფოსა და საზოგადოებას აღდგენას პირდებიან. აქედანაა პერდერის მსგავსი ისტორიული არგუმენტების მიმზიდველობა. პერდერი ცდილობდა ხელახლა აღმოეჩინა ავთენტური თვითი და, პულტურული ნაციის პოლიტიკურ ნაციასთან დამთხვევით, ერთობა თავის ბუნებრივ მდგომარეობაში აღედგინა. ბრილი ცნების ასეთ ნაწვალებ ხელახლ განმარტებას ყალბად მიიჩნევს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაციონალიზმი სავსებით რეალური პრობლემის დასმის სერიოზულ მცდელობას წარმოადგენს (იქვე: 55–64).

დაბოლოს, იდეოლოგია მხოლოდ მეორადია პოლიტიკასთან მიმართებაში. ეს პოლიტიკური ურთიერთობები

და ინსტიტუციებია ის, რაც ნაციონალიზმების მიზნებს ფორმას სქენს. მაგალითად, 1871 წელს გერმანიის ნაციონალური შექმნის პროცესს დასასრულს მაღიან ცოტა თუ პქონდა საერთო კულტურასთან და კიდევ უფრო ცოტა რომანტიზმთან და მის იდეოლოგიებთან. რასთანაც მას საქმე პქონდა, განსაკუთრებით პრუსიასა და ავსტრიას შორის მეტოქეობასთან დაკავშირებით, ეს ძალაუფლების პოლიტიკა, გერმანული ტიკა და ეკონომიკა იყო. ის კი, რაც წარმოიქმნა, იყო ‘გერმანია’ – ბისმარკის პრუსიის მფარველობის ქვეშ საუკელთაო თანხმობაში მცხოვრები გერმანელი ნაცია და არა პრუსიული ‘ნაცია-სახელმწიფო’. და სწორედ გერმანია მოითხოვდა ლოიალობას და მრავალ სამთავროს შორის განაწილებული გერმანულენოვანი მოსახლეობის დიდი მასის ვნებებს აღვიძებდა. გერმანიისათვის საზღვრების შექმნა ჩვენ შეგვიძლია ბისმარკის *Kleindeutschland* პოლიტიკით ავსესნათ, მაგრამ როგორ ავსესნით იმ ვნებას, რომელიც პროცესის დასასრულისათვის დაუბრკოდებდად სცდებოდა ამ საზღვრებს, ან რით უნდა აიხსნას საზღვრების შიგნით თუ გარეთ ‘გერმანიის’ პანგერმანული ხედვის მქონე ბევრი ეთნიკური გერმანელის მძლავრი იდენტიფიკაცია (Breuilly 1996a)?<sup>15</sup>

პასუხი შეიძლება ნაციონალისტური მტკიცებულებების ბრილისეულ დეფინიციაშივე, და მის მიერ შეერთებული შტატების 1776 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაციონალიზმად მონათლვის უარყოფაში იყოს. ბრილის აზრით, ცამეტ ამერიკულ კოლონიას აქლდა პულტურული იდენტობა – ‘ჰკაფიოდ გამოკვეთილი და განსაკუთრებული ხასიათი’ – რომელსაც დედაქვეყნისაგან და ბრიტანელი მმართველებისაგან მათი გამოცალკევება შეეძლო. მჩაგვრელთა მსგავსად, მათაც ბრიტანული წარმოშობა პქონდათ, იყვნენ ქრისტიანები (უმეტესწილად პროტესტანტები) და ინგლისურად მეტყველებდნენ. მაგრამ აქცენტის გააკთება იდენტობის კულტურულ კრიტერიუმზე არ ესადაგება ნაციონალიზმის წმინდა პოლიტიკურ დეფინიციას. მეორე თავში მოხსენიებული ბრილის მიერ მითებისა და ცერემონიების მაღის აღიარებაც არ შეესაბამება ნაციონალიზმის სწორსაზოგნად პოლიტიკურ ახსნას. იმავე ყაიდის კრიტიკიზმი სხვა პოლიტიკური მოდერნისტების მიმართაც გამოდგება.<sup>16</sup>

შეგვიძლია უფრო შორსაც წაგიდეთ. მიროსლავ ჰროჩი (Hroch 1985) გამოიკვლია რა რამდენიმე აღმოსავლეთევროპული

ნაციონალიზმი, ნაციონალისტურ მოძრაობათა განვითარების საერთო მოდელი ადმოაჩინა. იგი მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა პატარა წრებით იწყება, რომლებიც ნაციის იდეას ამჟავებენ (ფაზა ა); გრძელდება აგიტატორების, განმანათლებლების და უურნალისტების პატრიოტული წრების მიერ ამ იდეის გავრცელებით (ფაზა ბ); ფართოვდება საარჩევნო უბნამდე, რაც საშუალო და დაბალი კლასებში მასობრივ მოძრაობამდევა მიყვანილი (ფაზა გ). აქ კულტურიდან მასების მობილიზაციისაკენ მიმართულ ელიტის პოლიტიკამდე სწორხაზოვან განვითარებას აქვს აღვილი; ამ შემთხვევაში ‘კულტურის’ გამოცალკევება ‘პოლიტიკისაგან’ შეუძლებელია.

მაგრამ კიდევ უფრო დახლართული სიტუაციაც შეიძლება შეგვხვდეს. ჯონ ჰათჩინსონმა ირლანდიური ნაციონალიზმისა და გაელური აღორძინებისადმი მიძღვნილ დეტალურ გამოკვლევაში აჩვენა, რომ სახელმწიფოზე ფოკუსირებული პოლიტიკური ნაციონალიზმების სვლა დამოუკიდებლობისაკენ, ჩვეულებრივ, კულტურული ნაციონალიზმებითაა შევსებული, რომელთა მიზანიც სრულიად განსხვავებულია: ნაციის, როგორც მორალური ერთობის, რეგენერაცია საკუთარ ნიადაგზე. კულტურული ნაციონალიზმები, პირველ რიგში, კულტურული იდენტობის საკითხებს, სოციალურ ჰარმონიასა და მორალურ მიზნებს ეხება; და ეს მიმართებებია მათთვის პრიორიტეტული და რაიმე პოლიტიკური ქმედებისა თუ გამოხატვისაგან დამოუკიდებელი. პრაქტიკაში ნაციონალიზმის კულტურული და პოლიტიკური ფორმები ხშირად ენაცვლება ერთმანეთს და შეიძლება ნაციონალისტები მათ შორის მერყეობდნენ. თუ პოლიტიკური ნაციონალიზმი თავისი მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე ბორძივობს, კულტურულ ნაციონალიზმს შეუძლია გაჩენილი ბზარი ერთობის კოლექტიური კულტურული რესურსების განმტკიცებით ამოავსოს; ხოლო, როცა მისი ძალა სუსტდება, ასპარეზზე ნაციონალიზმის პოლიტიკური მოძრაობა გამოდის. მაშასადამე, ნაციონალიზმი არ შეიძლება პოლიტიკური ან რომელიმე სხვა სფეროს ტევზობაში აღმოჩნდეს; ‘პოლიტიკის’ ‘კულტურასთან’ ან ‘ეთნიკურობასთან’ ამგარი დაპირისპირება არ გვაძლევს საშუალებას დრმად ჩავწვდეთ ისეთ კომპლექსურ ფენომენებს, როგორებიცაა ნაციები და ნაციონალიზმი (Hutchinson 1987: თავი 1 და 1994: თავი 1).<sup>17</sup>

ჰათჩინსონის ფართომასშტაბიანი კრიტიკა მოკლედ ეხება მეორე საკითხს – კულტურის მოდერნიზმთან

მიმართებას. პულტურული რეგნერაციისა და ეთნიკური აღორძინების მოძრაობები, შესაძლოა, უფრო მოდერნული პერიოდისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ყველა ეპოქაში შეიძლება მათი პოგნა. მართლაც, მოდერნული ეპოქის კულტურულმა ნაციონალისტებმა ნაციის რეგენერაციის პროცესში ჩასართველად ‘სალხის’ მობილიზაციისათვის ეთნიკური სიმბოლოების, მითების და მასსოფრობების ადრე არსებული რეპერტუარიდან უნდა ამოირჩიონ. ამგვარი საქციელის სიხშირე კი იმას მიუთითებს, რომ,

მიუხედავად პრემოდერნულ და მოდერნულ საზოგადოებებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, დიდი ხნის დამკვიდრებული კულტურული რეპერტუარი (მითები, სიმბოლოები და მახსოვრობანი) მძლავრი ინსტიტუციების (სახელმწიფოების, არმიების, ეკლესიების) საშუალებით მოდერნულ ერაშიც ‘გადმოდიან’, და აღორძინებასა და ხელახალ განვითარებას განიცდიან, რამდენადაც პოპულაციები პერიოდულად აღმოჩნდებიან ხოლმე ფიზიკური და სიმბოლური გადარჩნის მსგავსი ამოცანების წინაშე (Hutchinson 2000: 661).

ეს ისევ ბრილის მოდერნიზმს ეხება, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი რეტროსპექტული ნაციონალიზმისა და, იდენტობის კულტურული ელემენტების პრემოდერნული პერიოდებიდან მოდერნულ ერაში გადმოყოლის ფაქტის პირისპირ დარჩენილი ისტორიული სკეპტიციზმის სურნელი უდის. ბრილის მიაჩნია, რომ: ‘იდენტობის პრობლემა, რომელიც ინსტიტუციებისა და, განსაკუთრებით, ფართო სოციალურ და გეოგრაფიულ სივრცეებზე ადამიანთა ერთმანეთთან დამაკავშირებელი ინსტიტუციების მიღმაა გასული, იმაში მდგომარეობს, რომ იგი აუცილებლად ფრაგმენტული, წყვეტილი და მოუხელთვებელია’ (Breuilly 1996b: 151).

სახელმწიფო და ეკლესია, პრემოდერნული ინსტიტუციები, რომელთაც ეთნიკური იდენტობის გადატანა შეეძლოთ, იყვნენ როგორც ნაციონალური იდენტობებით შეზღუდულნი, ასევე უნივერსალისტურნი. ასე რომ,

პრემოდერნულ ეთნიკურ იდენტობას, ლოკალური დონის გარდა, ცოტა რამ თუ პქნდა იმისათვის, რომ

ინსტიტუციურად გარდაქმნილიყო. თითქმის უველა დიდი ინსტიტუცია, რომელიც აგებს, ინახავს და გადასცემს ნაციონალურ იდენტობებს, და რომელიც ამ იდენტობებს ინტერესებთან აკავშირებს, მოდერნულია: პარლამენტები, ფართოდ გავრცელებული ლიტერატურა, სასამართლოები, სკოლები, შრომის ბაზრები და ა.შ. ... ნაციონალური იდენტობა არსობრივად მოდერნულია და ამ საკითხისადმი ნებისმიერი მიღვომა, რომელსაც რაიმე სარგებლობის მოგანა შეუძლია, ამ წანამდვარიდან უნდა ამოდიოდეს (იქნ: 154).

ეს ნაციონალიზმის გენეზისში ინსტიტუციების, კულტურისა და ეთნიკურობის როლის ვიწრო და შეზღუდული გაგებაა. ჩამოთვლილ ‘ინსტუციათაგან’ ბევრის აღმოჩენა პრემოდერნულ საზოგადოებებშიც შეიძლება. მაშინაც კი, როდესაც ისინი არ იყვნენ ისე ინკლუზიურები, როგორიც დღეს არიან, ისინი ემსახურებოდნენ ეთნიკური იდენტობისა და კულტურის ‘გადატანას’ უფრო ფართო მოსახლეობაში. მეტიც, სხვა ინსტიტუციები უფრო ინკლუზიურნიც კი იყვნენ (და არა ფრაგმენტული და მოუხელოებელი): ლინგვისტური კოდები, რიტუალები და დღესასწაულები, სავაჭრო გამოფენები და ბაზრები, არმიები და ‘სამშობლო მიწები’ – ეს უველაფერი მრავალ თაობაში საერთო ეთნიკურობის გრძნობას ნერგავდა, ხოლო მოდერნულ ეპოქაში გადმოხეთქა. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ არც ‘კულტურისა’ და ‘იდენტობის’ გამოცალევებაა საჭირო პრემოდერნული ინსტიტუციებისაგან, და არც იმის აპრიორულად დაშვება, რომ მათ არ ძალუბო შემდგომი ნაციებისათვის საფუძლის შემზადება.<sup>18</sup>

### კონსტრუირება და რეინტერპრეტაცია

ბოლო საკითხი, რომელსაც შევეხები, უშუალოდ მომდინარეობს წინარე მიმართებებიდან: არიან თუ არა ნაციები ნაციონალისტი ინტელიგენციების მიერ *de novo* შექმნილი ან რეკონსტრუირებული არსებული კულტურული ‘მასალისა’ და ეთნიკური სენტიმენტების გარეშე.

ეს მრავალწახნაგოვანი კომპლექსური არგუმენტია. თვალსაზრისი, რომ ნაცია ‘სოციალურად კონსტრუირებულია’, თუკი ის ტრუიზმი არ არის, რაღაც უფრო მეტს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე პრიმორდიალიზმის ან პერენიალიზმის

უბრალო უარყოფა იქნებოდა, რადგანაც იგი მოდერნიზმის ყველა ფორმისათვის საერთოა. ახალ ელემენტს აქ წარმოადგენს აქცენტი სოციალურ ინჟინერიასა და ტექნიკურ ინვაციაზე, კულტურული არტეფაქტებისა და ტექსტებისათვის ფორმის მიცემაზე, თვისებრივად ახალი ფორმების შესაქმნელად უნარ-ჩვევებისა და წარმოსახვების გამოყენებაზე. სოციალური კონსტრუქციონიზმის ეს ‘ძლიერი’ ფორმა გელინერის შეხედულებებს სცდება, რადგან მიუთითებს, რომ ნაციები, თუკი შეიქმნა, შეიძლება გაქრეს კიდეც თავიანთ წარმოსახვებთან და ნარატივებთან ერთად, მსგავსად სხვა არტეფაქტებისა და ტექსტებისა.

ის თვალსაზრისით, რომ ნაცია, უპირველეს კოვლისა, კულტურული არტეფაქტია, უნდა დაიყოს მისი წარმოსახვის სტილის და წარმოდგინების მოღუსის მიხედვით, რაც პარმონიაშია პოსტმოდერნიზმის მოვარდნილ ტალღასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მისი ფორმულირება პოსტმარქისტულ ჩარჩოში განხორციელდა. ბენედიქტ ანდერსონისათვის ნაციონალიზმი უმთავრესად დისკურსის ფორმა, ნარატივის ტიპია, რომელიც პოლიტიკურ ერთობას წარმოსახავს, როგორც სასრულო, სუვერენიულსა და პორიზონტალურად ზეკლასობრივს. ნაციები ვერნაკულურ ზეჭდურ ერთობებს' ეფუძნებიან, ესაა ვერნაკულური ბეჭდური ენებისა და ლიტერატურების – უმეტესად წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობების სოციოლოგიურად ცხოველმყოფელი და ადგილად გასაგები საშუალებებით გადმოცემული რომანებისა და გაზეთების – მკითხველი პუბლიკა. ეს ბეჭდური ერთობები, თავის მხრივ, იფურჩქნებიან პირველადი მასობრივი მოსმარების საგნების, ნაბეჭდი წიგნების გაჩენის შედეგად, განსაკუთრებით კი მას შემდგა, რაც ელიტარული ლათინურით გაჯერებული წიგნის ბაზარი ბევრად უფრო ფართო ვერნაკულური ბაზრებით გამოიდევნა. მკითხველი მოსახლეობის რიცხვის ზრდას ხელს უწყობდა ვერნაკულაზე ნათარგმნი წმინდა წერილის კითხვის პროტესტანტული იდეალი და ცენტრალიზებული სახელმწიფო ენების წარმოშობა, რაც ტერიტორიულად დისკრეტულ მსარებები გარკვეული ენების ფიქსირებულობისა და სტაბილურობის განცდას იძლეოდა. ანდერსონისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი იყო დროის კონცეფციაში მომხდარი რევოლუცია. თუკი ადრეულ პერიოდებში დრო მესიანისტურ და კოსმოლოგიურ მოვლენათათვის წინასახის მიმნიჭებლად და

ხორცშემსხმელად მოიაზრებოდა, ახლა მას სულ უფრო და უფრო მეტად უყურებდნენ როგორც წრფივსა და პომოგენურს. ერთობები ‘ცარიელ პომოგენურ დროში’ მოძრაობდნენ, ხოლო მოვლენები კი საათისა და კალენდრის ჩვენებებზე იყვნენ მიბმულნი (Anderson 1991: თავი 3).

ამ ადრემოდერნული ისტორიული განვითარებების უგან დიდი სოციალური ცვლილებები და პერენიალური პირობები დგას. საყოველთაო ცვლილებებში შედიოდა წმინდა წერილის ერთობების (დიდი რელიგიების) და იმ წმინდა მონარქიული უმაღლესი ცენტრების (დიდი იმპერიების) გაქრობა, რომლებმაც პოლიტიკური და კულტურული სივრცე გამოუთავისუფლეს გვიანდელ ნაციებს. თუმცა საბოლოო ჯამში ნაციების არსებობა დამოკიდებულია ორ, უფრო მეტად პერენიალურ პირობაზე: ბაბილონის გოდოლზე – გლობალური ლინგვისტური მრავალფეროვნების ფატალურობაზე, და სიკვდილის თანმდევი დავიწყების დამთრგუნველი უკვდავების უნივერსალურ ძიებაზე. სწორედ ასეთი უკვდავება, რომელიც ადამიანის შთამომავლობით, ერთობის ჯერ კიდევ არშობილ წევრთა მეშვეობით მიიღწევა, არის ის, რისი მონიჭებაც ნაციას შეუძლია. ეს გვიხსნის იმას, თუ რას ნიშნავს ‘აჩრდილები’ უცხობი ჯარისკაცის საფლავთან და იმასაც, თუ თაობათაშორისი მმობა რატომ ‘ხდის შესაძლებელს ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ამდენმა მილიონმა ადამიანმა არა იმდენად მოკლას, არამედ თავი შესწიროს ასე შეზღუდულ წარმოსახვებს’ (Andersen 1991: 7).<sup>19</sup>

აქ ანდერსონი მოკლედ წამოჭრის ნაციის მიმართ ვნებისა და მიჯაჭვულობის გრძნობის ცენტრალურ (პრიმორდიალისტურ) პრობლემას. მაგრამ როგორია მისი მიდგომა? ანდერსონი ამტკიცებს, რომ ჩვენ მზად ვართ თავი გავწიროთ მხოლოდ იმისათვის, რაც კეთილშობილად და უანგაროდ მიგვაჩნია, მაგალითად, ოჯახის ან ნაციისათვის. მიუხედავად მართლაც ხშირი გათანაბრებისა ნაციის ოჯახთან (‘ჩვენი ოჯახი’ და ‘ჩვენი ნაცია’) (როგორც ნათლად დაასაბუთა კიდეც უოლერ კონორმა (Connor 1994: თავი 8)), ეს ხდება არა იმიტომ, რომ ოჯახებისა და ნაციებისათვის გადებული მსხვერპლი მიჩნეულია წმინდად და უანგაროდ. სწორედაც პირიქით: ასე იმიტომ ხდება, რომ ჩვენი იდენტობანი, საჭიროებანი და ინტერესები, ჩვენი ჭეშმარიტი ხსნა უკავშირდება და დამოკიდებულია ‘ჩვენს’ ოჯახზე, ‘ჩვენს’ ნაციაზე, ამიტომაცაა, რომ მათ მიმართ ამგვარ ერთგულებას

განვიცდით და მზად ვართ ასე თამამად გავწიროთ თავი მისთვის. ეს ნაციების ერთნაირად აქცევს როგორც ემოციისა და ნების, ისე წარმოსახვისა და შემცნების ერთობებად (Anderson 1991: 141–143; აგრეთვე, იხ. A.D.Smith 1998: 140–141).<sup>20</sup>

არც ერიკ პობსბაუმისა და ტერენც რეინჯერის (და მათი მიმღევრების) მიერ ტრადიციის გამოვლებაში (რომელიც იმავე 1983 წელს გამოჩნდა, როდესაც ანდერსონის წარმოსახვითი ერთობები გამოვიდა) შემოთავაზებული მოდერნისტული თვალსაზრისი ეხებოდა კოლექტიური ნებისა და ემოციის როლს. კერძოდ, პობსბაუმი თვლის, რომ ნაციები და ნაციონალიზმები დიდად უნდა უმადლოდნენ ნაციონალური ისტორიის ლიტერატურულ და ისტორიულ გამონაგონს, მითოლოგიასა და სიმბოლიზმს, რომელთა გაფურჩქვნა ევროპაში 1830 წლიდან, განსაკუთრებით კი 1870 წლის შემდეგ იწყება. 1914 წლამდე განვლილმა ათწლეულებმა ამგვარი ‘გამოგონილი ტრადიციების’ წარდგნა იხილეს – ნაციონალური დღესასწაულები, ბრძოლაში დაცემულთა საპატივსაცემო ცერემონიები, დროშები და პიმნები, სტატუომანია, სპორტული შეჯიბრებები და სხვ. ადრინდელი ტრადიციებისაგან განსხვავებით, რომლებიც ცვლილებებს მოერგნენ, ‘გამოგონილი’ ვარიანტები კულტურის იმ ინჟინერთა მიერ წინასწარგათვლილ და ინვარიანტულ ქმნილებებს წარმოადგენდა, რომლებიც სიმბოლოებს, რიტუალებს, მითებს და ისტორიებს ქმნიდნენ მოდერნული ეპოქის ინდუსტრიისა და დემოკრატიის მიერ მობილიზებული და პოლიტიზებული მასების საჭიროებების დასაპაყოფილებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი მმართველი კლასის ხელში სოციალური კონტროლის წინასწარგათვლილ ინსტრუმენტებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც, პობსბაუმის თქმით,

ძალზე საშური საქმეა შედარებით გვიანდელი ინოვაციების, ‘ნაციისა’ და მასთან ასოცირებული ფენომენების – ნაციონალიზმის, ნაცია-სახელმწიფოს, ნაციონალური სიმბოლოების, ისტორიათა და სხვათა შესწავლა. ეს ყველაფერი სოციალურ ინჟინერიაში განხორციელებულ ქმედებებს ეფუძნება, რომელებიც ხშირად წინასწარმოფიქრებული და ყოველთვის ინოვაციურია, თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიული სიახლე ინოვაციას გულისხმობს (Hobsbawm and Renger 1983: 13–14).<sup>21</sup>

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ცნება ‘გამონაგონი’ სიმს უფრო მათ სულში ატოკებს, ვისოთისაც ნაციური და ნაციონალიზმი საუკეთესო შემთხვევაში ‘ისტორიის მოძრაობიდან’ სამწუხარო გადახრაა, ხოლო უარესში – მასების ცრუ ცნობიერების უპირველეს მაგალითს წარმოადგენს. მაგრამ ოუნდაც ნაცია სრულ ინოვაციას წარმოადგენდეს, მაინც დიად რჩება მისი საკითხი, ისევე როგორც გამოსარკვევია ამ სფეროში წინასწარ დაგეგმილი სოციალური ინჟინერიის მოცულობაც. პოპსბაუმის ანალოგია ამ შემთხვევაში აშკარად მექანიკურია; ნაციები ან კონსტრურებულნი არიან ან, ტექნიკური ხასიათის გამოგონების მსგავსად, სოციალური ინჟინერიის ფაბრიკაციებს წარმოადგენენ. ისინი გეგმის შესაბამისად არიან აწყობილნი ელიტარული ოსტატების მიერ. აქ ადგილი ადარ რჩება ემოციის ან მორალური ნებისათვის და მასების მონაწილეობისათვისაც კი. ეს უანასხველნი ელიტის სოციალური ჩანაფიქრის პასიურ მსხვერპლი არიან, რომელიც მათი ახლად გამოთავისუფლებული ენერგიისათვის მიმართულების მიცემას ცდილობს. ნაციები და ნაციონალიზმი მოდერნული ეპოქის *panem et circenses* წარმოადგენენ (იქვე: თავი 7).

მაგრამ არის თუ არა მასები უბრალო *tabula rasa*, რომელიც თავისი მმართველების ნაციონალისტურ მესიჯებს ელოდება, რათა ისინი გონებაში ჩაიბჭდოს და გულის ფიცარზე დაიწეროს? პოპსბაუმი პრობლემას მხოლოდ ‘ზემოდან ქვემოთ’ უდგება, მაგრამ იგი დამოუკიდებელი ტერიტორიული სახელმწიფოს ძიებისას თავიდანვე უარყოფს ყოველგვარ კავშირს მასების, თუნდაც რეგიონალურ, რელიგიურ თუ ლინგვისტურ, ‘პროტონაციონალურ ბმებსა’ და მოდერნულ ნაციონალიზმებს შორის. იგი უშვებს, რომ პრემოდერნულ პერიოდებში ჩვენ შეგვიძლია რეგიონალურ ენებსა და ლოკალურ რელიგიებზე დაფუძნებული ბევრი ‘პროტონაციონალური’ ერთობა აღმოვაჩინოთ, მაგრამ ამტკიცებს, რომ ისინი წინაპრობას და წინამორბედობას ვერ გაუწევენ ნაციებს, რადგანაც ‘მათ არც პქონიათ და არცა აქვთ ის აუცილებელი კავშირი ტერიტორიული პოლიტიკური ორგანიზაციის ქვედანაყოფთან, რომელიც გადამზებები კრიტერიუმია იმისათვის, რასაც დღეს ჩვენ “ნაციაში” მოვიაზრებთ’ (Hobsbawm 1990: 47; კურსივი დედნისეულია).

არსებობს რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევა (მაგალითად, ინგლისის და საფრანგეთის, რუსეთის და სერბეთის) როცა დიდი ინსტიტუციები (სახელმწიფო ან ეპლესია) გამძლე აღმოჩნდა, ან მოდერნულ ეპოქაში ადრინდელი პოლიტიკური ერთობის ხსოვნა დიდხანს შემორჩა და მასობრივი ნაციონალიზმისათვის საფუძველი გახდა. ყველა სხვა ისტორიული კავშირი ყალბია, რადგან იმის მიღმა მოქმედებს, რასაც პოპსბაუმი ‘ევექტურ ისტორიულ განგრძობადობას’ უწოდებს (Hobsbawm and Ranger 1983: 7; იხ., აგრეთვე, Hobsbawm 1990: თავი 2).

ეს ისტორიული კავშირები მართლაც ყალბია? ზუსტად რას წარმოადგენს ‘უფექტური ისტორიული განგრძობადობა’? ამას გარდა, ის მართლაც ნიშნავს რაიმეს ნაციების წარმოქმნისათვის? ობიექტური ისტორიულობა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს დროის ხანგრძლივ პერიოდში, მაგრამ მოსახლეობის მასისათვის ნარატივი ემოციურად ‘რეზონანსულიც’ უნდა იყოს და ‘შინაარსით ჭეშმარიტიც’. ეს არის ეთნოსიმბოლისტების და, მათ შორის, ჩემი მთავარი თეორიული მოსაზრება. ნაციებისა და ნაციონალიზმის ძალისა და მდგრადობის უნარის ასახელებად. მთავარია ნაციის ნარატივი და მისი სახეები იმ ხალხის გულის სიმებს არხევდეს, ვის მისაზიდადაცაა ჩაფიქრებული, და ‘ხალხმა’ და მისმა კულტურებმა თავის მხრივაც შეძლონ ნაციის რეკონსტრუქციაში წვლილის შეტანა. ელიტებს მხოლოდ მაშინ ძალუძო რაღაც გავლენის მოხდენა და ერთგვარი ლიდერობა, როცა ისინი მოსახლეობის მასას ‘თავიდან წარმოუდგენენ’ მისთვის მისადებ და შთამაგონებელ სახეს ან ნარატივს ნაციის შესახებ.

ამ არგუმენტისათვის ცენტრალურია ურთიერთობა შემეცნებასა და ემოციას შორის. თუ ჩვენ გვსურს დრმად ჩავწვდეთ ნაციონალიზმის უნარს დაუუფლოს ადამიანებს და მის საყოველთაო მიზიდულობას, წმინდა შემეცნებით და ინტერესებზე დაფუძნებულ მოდელებს ვერსად გავექცევით. ჩვენ გვჭირდება ნაციონალიზმის, როგორც მორალური ერთობის კოლექტიურ ნებაზე და, თითქოს, ერთი წინაპრიდან წარმომდგარი ერთობის საზიარო ემოციებზე დაფუძნებული კოლექტიური ქცევის ტიპის გაგება; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვჭირდება ნაცია გავიაზროთ, როგორც მოქალაქეთა საკრალური ერთობის პოლიტიკური ფორმა. თუმცა ანდერსონი უშვებს წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობისათვის

ლინგვისტური ბაზისის არსებობას და მოკლედ ეხება ნაციონალური იდენტობის უფრო ღრმა, რელიგიურ, საფუძველს, მისი ემოციური პოტენციალის გახსნასაც კი ვერ ახერხებს, მორალურზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ნაცვლად ამისა, იგი ნაციას მისი ინტელექტუალური და არტისტული გადმომცემის სათვალით უყურებს ‘წარმოსახვის’ ცნების ფარგლებში. ასევე, თუმცა პოპსბაუმი უშვებს ნაციონალისტებისათვის ღრმა ისტორიული განგრძობადობის მნიშვნელოვნებას, ის მათ ნარატივებს როგორც ნაყალბებს ისე ექცევა და ამიტომაც გამორიცხავს მათი ემოციური მიმზიდველობის წვდომის შესაძლებლობას. ამ უკანასკნელს არაფერი ესაქმება მათ ‘ინოვაციურ’ ღირსებებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი შინაარსის ჭეშმარიტებაზე. სამაგიეროდ მას საქმე აქვს ნაციონალიზმებით გამოწვეულ, მოწოდების ფუნქციის მქონე ხალხური ეთნიკური მითების ტრადიციებთან, სიმბოლოებთან და მასხვრობებთან. ამის უარყოფა ან უგულებელყოფა ნაციების და ნაციონალიზმის ხალხური ბაზისის უფრო ღრმა გაგებას უშლის ხელს.

ამიტომაა, რომ ეთნოსიმბოლისტები, რომლებიც მე მოკლედ გაგაცანით მესამე თავის ბოლოს, ნაციათა ჩამოყალიბების პროცესს განიხილავენ არა იმდენად როგორც კონსტრუირებას (მათ წინასწარჩაფიქრებულ ‘გამოგონებას’ რომ თავი დავანებოთ), არამედ როგორც ადრე არსებული კულტურული მოტივების რეინტერენციას და ადრინდელი ეთნიკური ჯაჭვებისა და სენტიმენტების რეკონსტრუქციას. თუკი მოდერნისტები და კონსტრუქციონისტები მოლიანად არიან დაკავშირებულნი ‘რეტროსპექტულ ნაციონალიზმთან’, ეთნოსიმბოლისტები მიუთითებენ, რომ ასეთივე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ‘დამბლოკავი პრეზენტიზმიც’, რომელიც უშეალოდ წარსულისათვის ფორმის მინიჭების შესახებ აწმეოს თაობის შეხედულებებსა და ინტერესებზეა ფოკუსირებული. ეს ძნელს, იქნებ შეუძლებელსაც კი, ხდის იმ მრავალი გზის წვდომას, რომელთა მეშვეობითაც ეთნიკური წარსული კულტურული ჩარჩოებისა და პარამეტრების უზრუნველყოფით აწმეოს მიმართებების ფორმირებას უწყობს ხელს. სწორედ ამგვარი ჩარჩოებისა და პარამეტრების საშუალებით და მათ შიგნით ყალიბდება და გამოითქმება აწმეოს მოთხოვნები და გაგებანი. იმის გარდა, რომ ისტორიულად ზედაპირულია, პრეზენტისტული თვალსაზრისი

უბრალოდ ვერ უძლებს ისტორიის გამოცდას. *tabula rasa* არც არასდროს არსებულა (იხ. Peel 1989; A.D.Smith 1998: თავი 8).

ისეთი ეთნოსიმბოლისტებისათვის, როგორებიც არმსტრონგი, პათჩინსონი და მე გახლავართ, ნაციონალიზმის გაგება მხოლოდ კოლექტიური კულტურული იდენტობების *la longue durée* ანალიზითაა შესაძლებელი. მაგრამ წარსულის კაგშირი აწმყოსა და მომავალთან შეუძლებელია ცალმხრივი მიზეზობრივი ურთიერთობა იყოს; არსებობს გარეშე გარემოებებსა და ერთობის რესურსებზე დამოკიდებული კაგშირების სხვადასხვა სახე (იხ. Armstrong 1982 და 1995; Hutchinson 1994; A.D.Smith 1986 და 1999a: შესავალი).

დასაწყისისათვის ჩვენ შეგვეძლო განგვესხვავებინა სამი ამგვარი ურთიერთმიმართვება – კულტურული განგრძობადობა, განმეორებადობა და რეინტერპრეტაცია. განგრძობადობა ისეთ კომპონენტებში შეიძლება აღმოვაჩინოთ, როგორიცაა კოლექტიური თვითდასახელებები, ენობრივი კოდები და ეთნიკური ლანდშაფტები, რომელთაგანაც თითოეულს არსებობა მას შემდეგაც შეუძლია განაგრძოს, რაც მათი ერთობა გაქრება, როგორც ეს კართაგენელთა პუნიკური კულტურის შემთხვევაში მოხდა რომაელთა მიერ კართაგენის ტოტალური განადგურებიდან დაახლოებით ჩუთი საუკუნის შემდეგ. მაგრამ ამ კომპონენტებს ისიც შეუძლია, რომ, ბედუელმართობის და ტრანსფორმაციების შემდეგ, ერთობა ასალი ფორმით აღორძინებისათვის საჭირო ჩარჩოთი უზრუნველყოს; სახელების, ენისა და ლანდშაფტების განგრძობადობის შეშვეობით ამგვარი აღორძინებისა და რეიდენტიფიკაციის კარგ მაგალითს ბერძნები იძლევიან.<sup>22</sup>

ეთნიკების და ნაციების განმეორებადობა უფრო კომპლექსურია. მისი არსი კონკრეტული ნაციის ფესვების არსებობის დადასტურება კი არაა შეუსაუკუნეებში ან უფრო ადრე, არამედ იმის დემონსტრირებაა, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობის ნაციონალური ფორმა სხვა ეპოქებში და კონტინენტებზე მეორდება და, მაშასადამე, მომავალშიც შეიძლება გაგრძელდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციის ცნება კულტურული რესურსების და ადამიანური ასოციაციების იმ ტიპს მიემართება, რომლის არსებობაც პოტენციურად ისტორიის ყველა პერიოდშია შესაძლებელი. წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის კავშირის ეს ტიპი ახლოს დგას პერენიალისტების მტკიცებებთან. თუმცა მათგან უკვე იმითაც განსხვავდება, რომ დასაშვებად მიაჩნია

შესვენებები ისტორიაში, უწყვეტობის დარღვევა, როგორც ერთი და იმავე არეალის სხვადასხვა ნაციების განგრძობადობაში, ისე თვითიგივეობრივი ერთობის მიერ იმავე ან სხვა არეალში მოცემულ ნაციონალურ ფორმებში. ასე რომ, კონკრეტულ არეალში ეთნიკების გვერდით ნაციების გაჩენის მოწმები ვხდებით, როგორც, მაგალითად, ელინისტური პერიოდის ახლო აღმოსავლეთში, რასაც შეა საუკუნეების ევროპასა ან შორეულ აღმოსავლეთში მათი გაქრობა ან გათქვევა და სხვა ნაციების წარმოშობა მოჰყვა. ჩვენ აგრეთვე შეგვიძლია ვაჩვენოთ ის მანძილი, რომლზედაც კონკრეტული ეთნიკები, მაგალითად, სომხები ან ებრაელები, გვიან ანტიკურ პერიოდში მთუახლოვდნენ ერთობის ნაციონალურ ფორმას, ამ ნაციონალური ფორმისგან შემდგომდროინდელი დაშორება ან ‘დაკარგვა’ და მოდერნულ პერიოდში მისი ხელახლი წარმოშობა ან ხელახლი შეძენა. ამ გადასახედიდან ნაციები გვევლინებიან, როგორც ადამიანური საზოგადოების და პოლიტიკის განმეორებადი, მაგრამ არა უწყვეტი, მასასიათებლები. ამ საკითხებს კვლავ მივუბრუნდები.

წარსულს, აწმეოს და მომავალს შორის ბოლო და ყველაზე ნაკლებად საკამათო ურთიერთმიმართებად რეინტერპრეტაცია შეიძლება მივიჩნიოთ. აյ მაძიებელი ერთობების ინტელექტუალები და ლიდერები ცდილობენ ხელახლა აღმოაჩინონ მათი ‘ავთენტური’ ისტორია და საკუთარი ეთნიკური წარსულის, ვითომცდა, ‘ოქროს ხანას’ იმ მიზნით დაუკავშირონ, რომ მათი ‘დიდებული ბედისწერა’ ააღმინდინონ და აღადგინონ. ამას ისინი მოცემული ეთნიკური კულტურის პარამეტრებში ყოველი თაობისათვის წარსულის მნიშვნელობების შერჩევითა და რეინტერპრეტაციით ახერხებენ, აცალევებენ რა სინამდვილის ელემენტებს არაავთენტურისაგან, შინაგანს გარეგანისაგან. ოუმცა ურთიერთმიმართება ამ შემთხვევებში აშკარად იდეოლოგიურია, რაც ბევრი მაგალითითაც დასტურდება, მას იმის ძალა მაინც შესწევს, რომ ადამიანთა დიდი რაოდენობის მობილიზება მოახდინოს და განმსჭვალოს ისინი იმ კოლექტივის მიზნის შეგრძნებით, რომელიც როგორც ‘საკუთრივ მათი’ ერთობა ისე განიცდება. დასახმარებლად ეთნიკური წარსულისათვის ოუნდაც სუსტ მიმართვას ‘ხალხში’ თანამემამულეთათვის თავგანწირვის ისეთი სურვილისა და ნების გამოწევა შეუძლია, რისი მსგავსითაც ბევრი იდეოლოგია ვერ დაიკვეხის. მას, ერთობაში და მსოფლიოში

საკუთარი ადგილის გასაცნობიერებლად, ასევე შეუძლია ყოვლისმომცველი ჩარჩო შეუქმნას ინდივიდს, ისევე როგორც მთელი ნაციის – განსაკუთრებულ მსოფლედვასა და პროგრამას.<sup>23</sup>

აქედან ის გამომდინარეობს, რომ კონსტრუქციონისტულისაგან განსხვავებით ეთნოსმბოლისტური მიდგომები აუცილებლად მიიჩნევენ მოდერნული ნაციების წარმოშობის საკითხის ჩართვას პრემოდერნული ეპოქების წინარე კოლექტიური კულტურული იდენტობების კონტექსტში. ამ ერთობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ერთი ადამიანთა სახელდებული პოპულაცია, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ ტერიტორიასთან და რომელიც იზიარებს წინაპრთა მითებსა და ისტორიულ მახსოვრობებს, ისევე, როგორც საერთო კულტურის ელემენტებს. ეს არის სოციალური ფორმაცია, რომელიც მთლიანადაა იგნორირებული კონსტრუქციონისტებისა და მოდერნისტების მიერ; და ეს არის ის, რასაც პერიოდიზმი დუმილით უვლის გვერდს. შესაძლოა, ანდერსონის მითითებანი ენაზე, როგორც ერთობის კრიტერიუმზე (‘ნაცია იმთავითვე ენაში გაიაზრებოდა და არა სისხლში’ (Anderson 1991: 145)), ჩავთვალოთ იმის ნიშნად, რომ იგი აღიარებს ეთნიუს მნიშვნელობას და კედურიც თავისთავად ცხადად მიიჩნევს კაცობრიობის ეთნიკურ მრავალფეროვნებას და მისით გამოწვეულ პრობლემებს, როდესაც ნაციონალიზმი ეთნიკურად ჭრელ არეალებს მოედება. მაგრამ, საზოგადოდ, მოდერნისტების მიერ მოთხოვობილი ამბავი ისტორიულად მოიკოჭდებს, პროგრესულ, მოდერნულ ეპოქაზე პარსული მონაგონები შლის წარსულის ნაკვალევს და ეთნიკური და რელიგიური კულტურების ნაკუწებისაგან შემდგარ სიჭრელეს, მაშინ, როცა ეთნოსიმბოლისტების მიხედვით, ნაცია ეთნიკურობის სამყაროს გარეთ შეუმეცნებადია და კონკრეტული ნაციების წარმოშობა შეუძლებელია ადრინდელი ეთნიკური ჯაჭვების ბაზისის გარეშე. ეთნიკურად ერთგვაროვანი ნაცია ძალზე ცოტაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველი ნაციისათვის აუცილებლად უნდა არსებობდეს წინარე საბაზისო ეთნიკური ჯგუფიდან ან ჯგუფებიდან განვითარდა და, რომ ისტორიულად ეთნიკური ერთობები დაედო საფუძვლად ბევრ ნაციას. ჩემი აზრით, ამ ფაქტის დაფარულობამ სერიოზულად შეუშალა

ხელი ნაციებისა და ნაციონალიზმის შესწავლის განვითარებას და შედეგად იმ ეთნიკური მახსოვრობების, მითების, სიმბოლოების და ტრადიციებისადმი უყურადღებობა მივიღეთ, რომლებშიც კულტურული იდენტობებისა და ერთობების გამძლეობის მნიშვნელოვანი გასაღები დევს (A.D.Smith 1986 და 1999a; შდრ. Kedourie 1960: თავი 6).<sup>24</sup>

## დასკვნა

მე წარმოგიდგინეთ XX საუკუნის უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევის სფეროში მიმდინარე დისკუსიებისა და დებატების ზოგიერთი მთავარი მიმართულება. ცხადია, ეს დებატები და ყველა მნიშვნელოვანი თეორიული შრომა ამით არ ამოიწურება. შეუძლებელია მოკლე წიგნში კრიტიკულად განსაჯო ამ სწრაფად მზარდ სფეროში არსებული ყველა არგუმენტი, რომ აღარაფერი ვთქვათ კვლევაზე. ზოგიერთ ბოლოდროინდელ დებატებს, კონკრეტულად ნაციების პიბრიდიზაციასა და გლობალიზაციის შედეგებს, უკანასკნელ თავში შევეხები. მაგრამ ეს ბოლოდროინდელი განვითარებაც მხოლოდ იმ ‘პარადიგმული დებატების’ კონტექსტში შეიძლება იქნას გაგებული, რომელიც ზემოთ განვიხილე. ის უზრუნველგაფოფს საფუძვლებით და იმ ჩარჩოებით, რომელთა ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს შემდგომმა არგუმენტებმა. მე დავასაბუთებ, რომ ბოლოდროინდელი დებატები არსებითად უფრო ადრეული მიდგომებიდან ამოდის და რაიმე ახალი პარადიგმის გამოყოფაზე არ მიუთითებს.

აღნიშნული ბოლოდროინდელი თეორიული დებატები არამარტო ადრეული მიდგომების არსებით განვითარებას წარმოადგენს, არამედ საკუთარ თავში ნაციისა და ნაციონალიზმის გარემოების ისტორიოგრაფიასაც შეიცავს და მის ძირეულ პარადიგმებს უმყარება. ჩვენ უნდა აღვწეროთ და მოვიცვათ სხვადასხვა ‘ისტორიანი ნაციისა’, რომელთაც გვთავაზობენ ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომები არა მარტო თავად მათდამი ინტერესის გამო, არამედ იმის გამოც, რასაც ისინი ბოლოდროინდელი თეორიული დებატების და ნაციონალიზმის ემპირიული პერსპექტივების არსის წვდომისათვის გვაძლევენ. ახლა ამ ისტორიებს მივაპყრობ მზერას.

## ისტორიანი

---

არსებობს ფართოდ გაზიარებული ‘ნაციონალიზმის ისტორია’ და იგი, უდავოდ, მოდერნისტულია.

ის XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში პოლონეთის დაყოფითა და ამერიკის რევოლუციით იწყება და საფრანგეთის რევოლუციის გავლით აღწევს რეაქციამდე, ნაპოლეონის მიერ პრუსის, რუსეთისა და ესპანეთის დაყრობამდე. ასეთი თვალსაზრისის თანახმად, ნაციონალიზმი ამ ორმოცი წლის განმავლობაში წარმოიშვა. მოგვიანებით, XIX საუკუნის 10–20-იან წლებში იგი კონფელიურად ვრცელდება ევროპის სხვადასხვა ნაწილში – სერბეთში, საბერძნეთში, პოლონეთში (კალავ), ისევე როგორც ლათინური ამერიკის კრეოლურ ელიტებს შორის. ნაციონალიზმის პირველმა დიდმა ტალღამ კულტინაციას ევროპაში 1848 წლის რევოლუციებში – ეწ. ‘ხალხების გაზაფხულზე’ – მიაღწია, რაც, პირველ რიგში, პრუსიისა და პიედმონტების ეგიდიოთ გერმანიისა და იტალიის გაერთიანებასა და ჰაბსბურგთა იმპერიაში უნგრეთის აღზევებაში გამოიხატა. XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ნაციონალიზმის მეორე ტალღა აგორდა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში: ეს იყო ჩეხური, სლოვაკური, რუმინული, ბულგარული, ლიტვური, ფინური, ნორვეგიული, ებრაული ნაციონალიზმები ევროპის გარეთა რამდენიმე ნაციონალიზმთან ერთად (მეიძის იაპონიაში, ინდოეთში, სომხეთსა და ეგვიპტეში). მალე (XX საუკუნის პირველ ათწლეულებში) ამ ტალღას შეუერთდა სხვადასხვა ეთნიკური ნაციონალიზმები აზიაში – თურქული, არაბული, საარსული, ბირმული, იაგური, ფილიპინური, ვიეტნამური და ჩინური, და ნაციონალიზმის პირველი რყევა აფრიკაში (ნიგერიაში, განაში და სამხრეთ აფრიკაში). XX საუკუნის 30–40-იანი წლებისათვის დედამიწის ზურგზე მნელად თუ მოიძებნებოდა კუთხე, რომელსაც ნაციონალიზმის მძლავრი შეტევა არ შექმნადა, მაშინ, როცა

იგივე პერიოდი, უკროპაში ნაციონალიზმის აპოგეით (რომელმაც კულტურისაციას მიაღწია ნაციზმსა და მეორე მსოფლიო ომისდროინდელ გენოციდში), ხოლო აფრიკასა და აზიაში პოსტიოლონიური ‘განმათავისუფლებელი’ ნაციონალიზმებით ხასიათდება.<sup>1</sup>

ესაა ამ ამბის არცოუ მარტივი დაბოლოება. დასავლეთში XX საუკუნის 60–70 წლებში, როცა ბევრს ნაციონალიზმის ძალა ამოწურულად მიაჩნდა, შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს იგი, კიდევ ერთხელ გაცოცხლდა მოძრაობებში ეთნიკური ავტონომიის მოთხოვნით კატალონიასა და ეუსკადაში, კორსიკასა და ბრეტანში, ფლანდრიაში, შოტლანდიასა და უელსში და კვებებში, ოთხმოციან წლებში ჩაცხრა და შემდეგ პელავ აღორძინდა, როცა 1988 წლიდან პერებროიკაზ და გლასინობებმა დაიწყო ნაციონალიზმების წახალისება საბჭოთა კავშირის სატიტულო რესპუბლიკებში. ამან თავისი წვლილი შეიტანა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლაში. XX საუკუნის უბანასკნელ თწლეულში მოდიდინის ამ თავბრუდამხვევ ატმოსფეროში, წვენ ეთნიკური ნაციონალიზმით გამოწვეული ახალი ტრაგედიების მოწმენი გავხდით ინდოეთის ნახევარკუნძულზე, შუა აღმოსავლეთში და აფრიკის რქაზე, რუანდასა და კავკასიაში, პირველ რიგში კი, იუგოსლავიის ომებში, მათი ჯერ კიდევ გაურკვეველი შედეგებით.

### ‘დიდი ნაციები’, პატარა ეთნიური

მე სქემატურად წარმოვადგინე თანამედროვე იდეოლოგიად და მოძრაობად გააზრებული ნაციონალიზმის მრავალი მოდერნისტული ისტორიისა და ტიპოლოგიის ბაზისური თანამიმდევრობა. ზოგ შემთხვევაში ისტორიის მორალი ამპარტაფნიბისათვის დამსახურებულ სასჯელში მდგომარეობს: სიმწიფის პირველმა ფაზამ რომანტიკული აღმავლობა წარმოშვა, რომელმაც 1871 წლის შემდეგ დიდ სახელმწიფოთა აგრესიულ ნაციონალიზმამდე მიგვიყვანა, რასაც მოჰყვა კატასტროფები, ორი მსოფლიო ომის სახით, და ნაციონალიზმის გაფანტვა. მაგრამ, რამდენადაც ვადა გახანგრძლივდა და ნაციონალიზმი არ გაქრა, აუცილებელი გახდა ამ მარტივი ისტორიის გადახდვა. ეს, თავის მხრივ, მოასწავებდა უარის თქმას ერთადერთ, სწორხაზოვან მოდელზე უფრო პლურალისტული, გეოგულტურულად მრავალფეროვანი

მიღომის სასარგებლოდ, რომლის ფარგლებშიც ანდერსონის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, მსოფლიოს ყოველი კუთხის ელიტები, ორიგინალურ ეპროპულ პროდუქტზე ‘პატენტის მითვისებით’ მის ასიმილირებას შეუდგნენ თავიანთი საზოგადოებებისა და კულტურების საჭიროებებთან და პრობლემებთან (იხ. Anderson 1991: თავები 4–9).<sup>2</sup>

მიუხედავად ამისა, კვლავ ძალზე მიმზიდველად გამოიყურება ერთიანი მოდელი, რაშიც მოდერნისტული პარადიგმიდან წარმომდგარი მიღომების ზემოქმედება პოულობს თავის გამოხატულებას. ერთ-ერთი ასეთი მიღომა, რომელმაც გავლენა მოიპოვა, ‘გამოგონილი (ნაციონალური) ტრადიციების’ კონსტრუქციონისტული მოდელია. როგორც აგხსენი, ეს სოციალური ინჟინერიისა და სოციალური კონტროლის მოდელია, რომელშიც ინდუსტრიული დასავლური ელიტები კაპიტალიზმისა და დემოკრატიზაციის ეპოქაში მიმართულებასა და ფორმას აძლევენ ახლად განთავისუფლებული მასების ქმედებებსა და გრძნობებს. ამ მიღომას ირჩევს ერთ პობსბაუმი თავის ფაქტებით მდიდარ და დეტალურ ისტორიაში ნაციონალიზმის ორი სახეობის შესახებ.

პობსბაუმი, როგორც მეოთხე თავში ვნახეთ, ნაციონალიზმს მეაცრად თანამედროვე პოლიტიკურ მოძრაობად განიხილავს, რომლის მიზანიც ტერიტორიული სახელმწიფოების შექმნაა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, როგორც ისტორიკოსებს, არ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ნაციონალიზმის იდეოლოგიას საფრანგეთის რევოლუციამდე. მაგრამ კურიოზი ისაა, რომ პობსბაუმის ისტორია იწყება არა 1780 წლიდან, არამედ, როგორც მისი 1990 წელს გამოსული წიგნის სათაური გამცნობს, 1830 წლიდან, პარიზის ივლისის რევოლუციის შემდგომი ხანიდან, როცა ხელახლა დაფუძნდა ფრანგული რევოლუციის მოქადაქეთა ნაცია და როდიდანაც გხედავთ მზარდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ წინააღმდეგობას 1815 წლის მეტერნიის ზავისადმი. ამ დროს პირველად ბრიტანეთსა და საფრანგეთში, ხოლო შემდგომ გერმანიასა და იტალიაში სრულად ჩამოყალიბდნენ ‘დიდი ნაციები’, ის ნაციები, რომელთა გამორჩეულ ნიშან-თვისებას ვრცელი ტერიტორები და მრავალრიცხოვანი მოსახლეობა წარმოადგენდა. პობსბაუმის მიხედვით, ეს ნაციად და სახელმწიფოდყოფნის ლეგიტიმაციის ‘ამოსავალი პრინციპია’. ფრედერიკ ლისტის იდეების შესაბამისად, საყოველთაოდ იქნა აღიარებული (თვით მაზინის მსგავსთა მიერაც კი)

სახელმწიფოებად მხოლოდ იმ ნაციების შერაცხვა, რომელთაც მოიპოვეს ასეთი ტერიტორია, ჰყავთ მოსახლეობის დიდი რაოდენობა და ეკონომიკურად მომძლავრდნენ. 1830–1870 წლებში, პობსბაუმის აზრით, ამოსაგალი პრინციპი თავის გავლენას ინარჩუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ‘ნაციონალობის პრინციპი’ ‘პრაქტიკაში მხოლოდ გარკვეული სიდიდის ნაციონალობების მიმართ გამოიყენებოდა’, რადგან ეკონომიკურად და კულტურულად მხოლოდ დიდი ნაციები იყვნენ სიცოცხლისუნარიანი (Hobsbawm 1990: 30–32).<sup>3</sup>

ეს აგრეთვე ნიშნავდა, რომ დიდი ნაციის ნაციონალიზმს უნდა პქონოდა გამაერთიანებელი, ინკლუზიური და ექპანსიონისტური ხასიათი. ლიბერალების თვალში, ეს იყო ისტორიის სკლის მიმართულება – უფელთვის უფრო დიდი ტერიტორიული ერთეულების, მოსახლეობისა და რესურსებისაკენ. იმავე ნიშნით დიდი ნაციების ნაციონალიზმები უმთავრესად მოქალაქეობრივ, მასობრივ-დემორატიულ ხასიათს ატარებდნენ, რადგანაც, ფრანგული რევოლუციის დროინდელი კონსტიტუციების ნიმუშად მიჩნევით, ისინი ესწრაფოდნენ პოლიტიკურ არენაზე ნაციონალური მოსახლეობის, როგორც მოქალაქეების, უფრო დიდი რაოდენობის გამოყვანას.<sup>4</sup>

პობსბაუმი პარგად აცნობიერებს ამ მიღებობის სამთავრობო ანუ “ზემოდან ქვემოთ” მიმართულ ხასიათს და გულმოდგინედ ახდენს მის კორექტირებას თავის ანალიზში ენის, რეგიონისა და რელიგიის იმ მრავალგვარ ‘პროტონაციონალურ’ ერთობათა ჩართვით, რომლებიც ხშირად წინამოდერნული ეპოქების მოსახლეობის მასებში ყალიბდებოდა. თუმცა, როგორც წინა თავში დავინახეთ, ეს ერთობები იშვიათად ან სულაც არ მონაწილეობდნენ ნაციონალიზმის განვითარების დრამაში. სახალხო სენტიმენტებსა და მიჯაჭვულობების მხედველობაში მიუღებლობისათვის, მიუხედავად გელინერის კრიტიკისა, პობსბაუმი პრაქტიკულად მის აზრს იზიარებს მოსახლეობის მასების ისეთ დისკრეტულ კულტურულ ჯგუფებად დაყოფისას, რომლებიც, დოკალურობისა და ხშირად აპოლიტიკურობის გამო, ნაციების კონსტრუირებისათვის ტრამპლინის როლს ვერ ასრულებენ. არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, როგორიცაა ინგლისის, სერბეთის ან რუსეთის შემთხვევები, როცა ხალხის პროტონაციონალიზმი დაემთხვა შუასაუკუნეობრივ სახელმწიფოსა და ეკლესიას, და ამ განგრძობადმა გაიგივებამ

ხელი შეუწყო მოდერნული პოლიტიკური ნაციონალიზმის ზრდას. ამგვარად, ‘ისტორიული (ან არსებული) სახელმწიფოს წევრობას ჩვეულებრივი ადამიანებში უშააღთდ შეუძლია წარმოშვას პროტონაციონალიზმი ან სულაც მოდერნული პატრიოტიზმის მსგავსი რამ, როგორც ამას ტიუდორების ინგლისში პქონდა ადგილი’ (Hobsbawm 1990: 75). სერბების შემთხვევაშიც ადრეული სახელმწიფოს ტრადიციამ სამსახური გაუწია მოდერნულ სერბულ ნაციონალიზმს, რადგან ‘თურქების მიერ დამარცხებული ძველი სამეფოს მოგონება სიძლერებსა და საგმირო გადმოცემებში, და, იქნებ უფრო მეტად კი, სერბული ეკლესიის ყოველდღიურ ლიტურგიაში იყო შემონახული, იმ ეკლესიისა, რომელმაც თავის მეფეთა უმრავლესობის კანონიზაცია მოახდინა’ (იქვე: 76).

მაშასადამე, აქაც ისევე, როგორც რენანთან და ვებერთან, პოლიტიკური მასონოვრობანი და ინსტიტუციები ძალას *la longue durée* ინარჩუნებენ, მაშინ როდესაც ეთნიკური და ლინგვისტური იდენტიფიკაციები მოდერნულად და გამოგონილად არიან მიიჩნეულნი. ეს ძალიან წააგავს პეგმლის ‘უისტორიო ხალხების’ ოქონის რომელიდაც ვერსიას, იმ თვალსაზრისს, რომ მომავალში მხოლოდ ის ხალხები შეძლებენ მოდერნული ნაციებისა და ნაციონალური სახელმწიფოების აშენებას, რომელთაც სახელმწიფოს გაძლილის პოლიტიკური ტრადიცია წარსულიდან მოსდგამთ (Rosdolsky 1964).

ეს გარკვეულწილად შეესაბამება პობსბაუმის უარყოფით შეხედულებას ევროპაში ნაციონალიზმის მოგვიანო განვითარების თაობაზე. რადგანაც იგი აცხადებს, რომ 1830–1870 წლებში ევროპული ხაციონალიზმის პირველი დიდი ეპოქის შემდეგ, რომელიც ინკლუზიური, მოქალაქეობრივი და დემოკრატიული იყო, აღმოსავლეთ ევროპაში მისი მეორე ტიპი გავრცელდა, რომელიც ეთნიკურობასა და ენას ან ერთდროულად ორივეს მიემართებოდა. მაგრამ პობსბაუმისათვის ეთნიკურობა და ენა განუსაზღვრელი ცნებებია და ვერც ერთი მათგანი ვერ უზრუნველგვერფს ნაციადეოფნის მკაფიოდ გამოკვეთილი კრიტერიუმებით. მეორე ტიპის ნაციონალიზმი, პობსბაუმის განმარტებით, პირველისაგან სამი რამით განსხვავდება:

პირველ რიგში, იგი უარს ამბობს ‘ამოსავალ პრინციპზე’, რომელიც, როგორც ვნახეთ, ლიბერალურ

ერაში ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. აქედან მოყოლებული, თვითგამორკვევის უფლების პრეტენზია უწნდება ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც თავს ნაციად მიიჩნევს. რაც, ზემოთქმულის თანახმად, მათი ტერიტორიისათვის ცალკე, სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე უფლებას გულისხმობდა. მეორე, პოტენციური ‘არაისტორიული’ ნაციების ამგვარი გამრავლების შედეგად, ეთნიკურობა და ენა გადაიქცა პოტენციური ნაციადყოფნის ცენტრალურ, გადამწყვეტ და ერთადერთ კრიტერიუმადაც კი. თუმცა იყო მესამე ცვლილებაც, რომელმაც არა იმდენად ნაცია-სახელმწიფოსაკენ მიმართულ ნაციონალურ მოძრაობებზე მოახდინა გავლენა, რამდენადაც ნაციონალურ სენტიმენტებზე უკვე არსებული სახელმწიფოების შიგნით. ეს გახლდათ მკვეთრი წანაცვლება ნაციის პოლიტიკური უფლებებისაკენ და დროშა, რისთვისაც (ფაქტობრივად) შემოღებულ იქნა ტერმინი ‘ნაციონალიზმი’ XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულ(ებ)ში (Hobsbawm 1990: 102; ხაზგასმა დედნისეულია).

ამ პერიოდში, კი. 1870–1914 წლებში, ურბანული ინდუსტრიალიზმის აფეთქების შედეგად საარჩევნო უფლების სწრაფ გავრცელებასთან ერთად, ევროპაში ძლიერ იზრდება ეთნოლინგვისტური ნაციონალიზმები. ეს ახალი კლასების წარმოშობისა და ეთნიკური მიგრაციების, უმთავრესად საშუალო კლასების ქვედა ფენების (‘გამოუცდელი კლასების’) მიერ უცხოელთა (განსაკუთრებით ებრაელთა) წინააღმდეგ მიმართული მასობრივი რასისტული ქსენოფობიის ეპოქაც იყო (იქვე: 109–111, 121, 133).

ამ პერიოდმა და ნაციონალიზმის ამ ტიპმა თავის აპოგეას XX საუკუნის შემდეგ ხანებში რასობრივ ფაშიზმში და ნაციზმში მიაღწია. 1945 წლის შემდეგ, შედარებითი სიმშვიდის პერიოდში, ადგილი პქონდა დამყოფი და დამანაწილებელი ეთნოლინგვისტური ნაციონალიზმების აღორძინებას, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულს მცირე ნაციონალობების ნაციონალიზმების მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. თუმცა არსებობს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება. ნაციონალიზმი დღეს ‘ისტორიული განვითარების უმთავრეს ვექტორს აღარ წარმოადგენს’. როგორც ჩანს, ეთნიკური ნაციონალიზმი

‘სისუსტესა და საფრთხეზე რეაქციას განასახიერებს, იგი ცდილობს ბარიკადების აღმართვას მოდერნული მსოფლიოს ძალების წინაშე’, რომელშიც მასობრივი გლობალური ეკონომიკური ტრანსფორმაციები და მოსახლეობის გადაადგილებანი მრავალი ადამიანის დეზორჯენტაციას და შიშს განაპირობებს. დღეს ნაციონალიზმი შეუსაბამო ხდება. მან დაკარგა სახელმწიფოს შემქმნელისა და ეკონომიკის ჩამომაყალიბებელის ადრინდელი ფუნქციები და ‘დაკარგულ ოცნებათა შემცვლელად’, სუროგატად გადაიქცა (იქვე: 164, 175–176, 181).

პობსბაუმი იმედიან ნოტაზე ასრულებს: ‘ჰეგელის მიერ ითქვა, რომ მინერვას სიბრძნის მომტანი ბუ შებინდებისას გამოფრინდა გარეთ. ეს კი კეთილის მომასწავებელია, რადგან ახლა იგი ნაციებსა და ნაციონალიზმს დასტრიალებს თავს’ (იქვე: 183).

### ნაციები ნაციონალიზმამდე

პობსბაუმის თვალსაზრისი რამდენადმე ვრცლად იმიტომ გადმოვეცი, რომ იგი საქმოდ გავლენიანია და თვალსაჩინოდაც წარმოგვიდგენს მოდერნისტული პარადიგმის კონსტრუქციონისტული ვერსიის ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

- (1) შეხედულებას, რომ ნაციონალიზმი მოდერნულ სახელმწიფოსთან ერთად ქმნის ნაციებს;
- (2) რომ, მსგავსად ნაციონალიზმისა, არც ნაციებია XIX საუკუნეზე ადრინდელი;
- (3) რომ ნაციები და ნაციონალიზმი თავისთავად ინტელიგენციისა და ბურჟუაზიის მიერ შექმნილ არტეფაქტებს წარმოადგენს;
- (4) რომ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ეთნიკური (‘ეთნოლინგვისტური’) და მოქალაქეობრივ-პოლიტიკური ნაციონალიზმები;
- (5) რომ ნაციონალიზმი და ნაციებმა შეასრულეს თავიანთი დანიშნულება და დღეისთვის, გლობალიზაციის ეპოქისთვის, მოქმედდნენ.<sup>5</sup>

ნაციებისა და ნაციონალიზმის ბუნებაზე, პერიოდიზაციასა და როლზე ამგვარი მოდერნისტული

შეხედულებანი მწვავე კრიტიკას აწყდება. პობსბაუმის ყოველი მოდერნისტული მტკიცება საკამათოდ გადაიქცა. მე მომდევნო თავში დავუბრუნდები ბოლო სადაცო საკითხს ნაციებისა და ნაციონალიზმის შესაძლო მოძველების თაობაზე. მანამადე კი დანარჩენს განვიხილავ რიგრიგობოთ.

### ნაციები – ნაციონალიზმის პროცესი

ნაციონალიზმი ბევრის მიერ მოდერნულ იდეოლოგიადაა მიჩნეული, რის გამოც აზრი, რომ იგი თავად ქმნის ნაციებს, ნიშნავს არა მხოლოდ იმას რომ ნაციონალიზმამდე არავითარი ნაცია არ არსებობდა, არამედ იმასაც, რომ ნაციონალისტებამდე შეუძლებელიც კი იყო ნაციის არსებობა. მეტიც, ის უშვებს, რომ ‘ნაციები’ დისკურსის ფორმას და კულტურულ არტეფაქტს, ისეთ კონსტრუქციებს წარმოადგენს, რომლთაც მნიშვნელობა მხოლოდ ნაციონალიზმის უფრო ფართო იდეოლოგიის ფარგლებში ენიჭებათ. საამისო არგუმენტი ის გახდავთ, რომ ტერმინის ‘ნაცია’ ადრინდელი მნიშვნელობები სრულიად განსხვავებულია და დღევანდელ, ნაციონალიზმზე დამოკიდებულ მოდერნულ (1789 წლის შემდგომდროინდელ) მნიშვნელობებთან არავითარი კავშირი არა აქვს.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართების გარდა, დგება კიდევ ორი პრობლემა. პირველი ისაა, რომ ტერმინის ‘ნაცია’ მოდერნული მნიშვნელობები ცვალებადი და ხშირად არაცალსახაა. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, მივუთითოთ, რომ თავად მკვლევართა შორის ეს ტერმინი სხვადასხვაგვარადაა გაგებული. ეს ეხება პოლიტიკურ მოდგაწებსაც და ფართო საზოგადოებასაც. იმის გასარკვევად, თუ რას გულისხმობები ადამიანები ამ ტერმინში, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა კრიტერიუმი ან კრიტერიუმთა ერთობლიობა გამოიყენება და მოიცავს რელიგიას, ენასა და ჩველებებს, ეთნიკურობას, ტერიტორიასა და სახელმწიფოებრიობას. როგორც ვნახეთ, სხვადასხვა ნაციონალისტური იდეოლოგიები საყოველთაო ‘ნაციონალისტთა ოჯახის’ ფარგლებში ნაციის საკმაოდ განსხვავებულ კონცეფციებს აყალიბებენ. როგორდა გავიგოთ, მოდერნულ მნიშვნელობათაგან ძირეულად რომელი განსხვავდება ტერმინის ‘ნაცია’ ადრინდელი მნიშვნელობებისგან?\*

მეორე პრობლემა უფრო სერიოზულია. რომც დავუშვათ ამ ტერმინის ერთადერთი, მისაღები გაგება, ვიქებით თუ არა დარწმუნებული იმაში, რომ ‘ნაციის’ ადრინდელი (კოქვათ, შუასაუკუნეობრივი) მნიშვნელობები მართლაც ძალზე განსხვავეულია მოდერნული მნიშვნელობებისაგან? ამ საკითხს ადრიან პეისტინგსი იკვლევს. იგი ამტკიცებს, რომ XIV საუკუნიდან ინგლისურის მაგალითზე კარგად ჩანს ტერმინის ‘ნაცია’ მნიშვნელობის აშკარა განგრძობადობა. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა ‘nacion’ (ფორტესკე) ან ‘nacyon’ (ფაბიანი) XV საუკუნეში და ‘nacioun’ (უიკლიფი და როლე) XIV საუკუნეში თითქმის იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, რითიც შედარებით გვიანდელი გამოყენებანი, მაგალითად, მილტონისეული (1644) *Areopagitica* (‘ისიც კი მგონია, რომ წარმოსახვაში ვხედავ კეთილშობილ და მძლავრ ნაციას, რომელიც ისე წამოიმართება, როგორც ძლიერი კაცი ძილის შემდეგ’), ან სამოედ ჯონსონისეული (1755 წლის *ლექსიონში*), რომელიც ნაციას განმარტავს როგორც ‘სალხს’, რომელიც სხვა ხალხისაგან განსხვავდება ენით, წარმომავლობით ან მმართველობით’, ანდა პიტ უმცროსის მოწოდება ‘ჩვენი, ვითარცა ნაციის, არსებობისაკენ... ჩვენი ჭეშმარიტი სახელის – ინგლისელისაკენ’. ეველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ, სულ მცირე, XIV საუკუნის დასაწყისიდან, ‘ინგლისელებს თავი ნაციად მიაჩნდათ’ (Hastings 1997: 14–16).

ტერმინის ამგვარი თანმიმდევრული გამოყენების ერთი მყარი საფუძველთაგანია გულგატას ვერსიის ბიბლიის ინგლისური თარგმანები, რასაც რეფორმაციის შემდეგ, როლედან და ‘უიკლიფიდან დაწყებული, ყოველკვირეული კითხვა დაერთო თან. იქ, სადაც ვულგატა ბერძნულ ‘ethnos’ როგორც ‘natio’ ისე თარგმნიდა, ინგლისური იუქნებდა ტერმინებს ‘nacioun’ ან ‘nacion’, მოგვიანებით კი ტერმინს ‘nation’. შედეგად, სიტყვა ‘natio’ ‘შუა საუკუნებში რეგულარულად გამოიყენებოდა ვულგატას გაგებით, როგორც “ენით, კანონებით, საცხოვრისით, მსჯელობითა და წეს-ჩეულებებით” განსხვავებული ხალხის აღმნიშვნელი. მაგალითისთვის მივმართოთ სანტ დევიდის პირველი ნორმანი ეპისკოპოსის ბერნარის თითქმის დეფინიციის ტოლფას ფრაზას, რომლითაც იგი დაახლოებით 1140 წელს პაპს ისე აღუწერდა უელსელებს, როგორც ‘natio’ (იქვე: 17). ამ მოკლე ლინგვისტური ექსკურსის საფუძველზე პეისტინგსი ასკვნის, რომ ინგლისურ ენაში ნაციის ‘ექს ასეულზე მეტი წლის განმავლობაში გამოყენების

განგრძობადობის გასაოცარი სიმყარე<sup>7</sup> დასტურდება, რასაც ლრმა ბიბლიური და ვულგატური ფესვები აქვს და ტერმინს ‘ნაცი’ ამგვარი ფართოდ გავრცელებული გამოყენების მხედველობაში მიუღებლობა და მისი დაკავშირება მხოლოდ შეა საუკუნეების უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ დაჯგუფებთან, აბსურდია (იქვე: 17–18).<sup>7</sup>

ცხადია ‘სიტყვა’ იგივე არ არის, რაც მისით აღნიშნული რამ, მაგრამ, თუ ნაციისადმი კუთვნილების განცდა ნაციადყოფნის ერიტერიუმად მიიჩნევა, მაშინ ლინგვისტური გამოყენების ამ თანამიმდევრულობისა და მის საფუძველში არსებული და მისით გამოხატული ნაციონალური კუთვნილების რწმენის გამო, ინგლისის შემთხვევა, სულ მცირე, *prima facie* შემთხვევა მაინცაა იმის საოქმელად, რომ ‘ნაციები ნაციონალიზმს წინ უსწრებენ’.

ამასთან დაკავშირებით, მოდერნისტებს არგუმენტად გამოადგებათ ის, რომ, თუმცა ზოგჯერ დასტურდება, რომ ნაცია თავის ნაციონალიზმზე უფრო ძველია, უფრო მეტია ისეთი შემთხვევა, სადაც ნაცია ნაციონალიზმის ნაყოფია. ეს კი ნაციის გაგების იმგვარ მოდელს მოითხოვს, რომელსაც ნაციონალისტური იდეოლოგია ოვითგამორკვევის ნაციონალისტური იდეალის გააქტიურებასთან ერთად გვთავაზობს. მეტიც, მოდერნული ანუ ‘რეალური’ ნაციის თავისებურებას, პირველ რიგში, მოქალაქეობის გაჩენა წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაცია არის საყოველოთო ფენომენი, რომლის შიგნითაც (ნაციონალისტური იდეოლოგიის თანახმად) ყოველი წევრი *ipso facto* მოქალაქეა. მხოლოდ მოდერნულ პერიოდში გახდა მოქალაქეობა ყველასთვის ხელმისაწვდომი.<sup>8</sup>

ამ კონტრარგუმენტს პეისტინგსი (კვლავ ინგლისის მაგალითის მოშველიებით) შეასაუკუნეობრივ ნაციათა ‘ნაციონალიზმს’ უპირისპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაციებს არ გააჩნდათ ნაციონალიზმის ოურია, მაინც ავლენდნენ აშკარა და აქტიურ ნაციონალიზმს, განსაკუთრებით საფრთხისა და კონფლიქტების პირობებში. პეისტინგსისათვის ნაციონალიზმი ჰქონდა პარტიკულარისტული მოძრაობაა. სწორედ ესაა მისი ძლიერების წყარო, და არა თვითგამორკვევის რადაც ზოგადი თეორია. 1800 წლის შემდეგ კიდევ შეიძლებოდა ბევრი ნაცია ჩამოყალიბებულიყო წინმსწრები ნაციონალიზმის (იდეოლოგიის) წყალობით. მაგრამ ამაზე ადრე პირიქით ხდებოდა: საფრთხის პირობებში ნაციები

თავად ქმნიდნენ საკუთარ ნაციონალიზმს და ისევე თვითგამორკვევადნი იყვნენ, როგორც 1789 წლის შემდგომდროინდელი (‘II გვარის’) ნაციათა მრავალფეროვნება.

### პრემოდერნული ნაციები?

პეტერინგსის მიხედვით, მოდერნიზმი ნაციონალიზმის ისტორიის მხოლოდ ნახევარს მოგვითხოვბა; მეორე, 1789 წლამდე, ნახევარზე კი არაფერს ამბობს.

პეტერინგსის მიერ წამოწეული ნეოპერენიალისტური ისტორია შერჩევითია, მაგრამ მისი გამოსვლის მიზანს ნაციებს, ნაციონალიზმსა და მოდერნულ ხანას შორის არსებული კავშირის უარყოფა (რასაც დაუინგბით ამტკიცებენ პობსბაუმი და სხვა მოდერნისტები) და გარკვეული ნაციების ივივეობისა და განგრძობადობის ჩვენება წარმოადგენს პრემოდერნული სათავეებიდან მოყოლებული მათ თანამედროვე მანიფესტაციებამდე. პეტერინგსის რჩეულნი უპირატესად დასავლეთევროპელები, უფრო კი ბრიტანელები არიან: პირველია ინგლისი, რომელსაც შოტლანდია, ირლანდია და უელსი მოსდევს; მერეა საფრანგეთი, პოლანდია, შვეიცარია, შვედეთი, გერმანია და ესპანეთი. ეს ჰუგ სეტონ-უოტსონისეულ სტილია, რომელიც ‘ძველ, განგრძობად’ ნაციებს 1800 წლის შემდგომ უპირატესად აღმოსავლეთი ევროპასა და აზიაში ახლად შექმნილი ნაციებისაგან განასხვავებდა: ‘ევროპაში 1789 წელს ძველი ნაციები იყვნენ ინგლისელები, შოტლანდიელები, ფრანგები, კასტილიელები და პორტუგალელები – დასავლეთში; დანიელები და შვედები – ჩრდილოეთში; უნგრელები, პოლონელები და რუსები – აღმოსავლეთში’ (Seton-Watson 1977: 7).

ასეთ შემთხვევებში ნაცია სპონტანურად იზრდებოდა, რაც ნიშნავს, რომ იყო ნაციონალისტებისა და სხვა ელიტების მიერ არ იყო გამოხმობილი არსებობისათვის. ასეთ ნაციებს ნაციონალისტური დაგეგმარება ან ჩანაფიქრი ანუ, პეტერინგსის ტერმინოლოგიით, ნაციონალისტური თეორია, აკლდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ‘ნაციონალისტურნიც’ იყვნენ და ნაციებსაც წარმოადგენდნენ.<sup>9</sup>

მთლიანობაში განგრძობადი პერენიალიზმის პეტერინგსისეული ვერსია ევროპული ნაციონალური იდენტობების ‘განვითარების სამ დიდ საფეხურს’ გამოყოფს. პირველი მოიცავს, რეგიონების მიხედვით, V–XIV საუკუნეებში

არსებულ ‘ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფებს, რომელთა უმრავლესობაც საქმაოდ არასტაბილურია’, მათ ხშირად არა აქვთ დამწერლობა, თუმცა ზოგმა მათგანმა განავითარა დამწერლობა და ვერნაკულურმა ლიტერატურამ დამოუკიდებელი ნაციების სახლვრების დაფიქსირება დაიწყო. მეორე საფეხურზე, XV საუკუნისათვის, ლიტერატურული ენების განვითარებამ და დიდმა სახელმწიფოებმა ეთნიკური რუკის სირთულე და არამდგრადობა შეამცირეს, რის შედეგადაც

უკვე განირჩეოდა დასავლეთ ევროპის მთავარ ნაციათა უმეტესობა. ადამიანები რეგულარულად მოიხსენიებდნენ მათ ნაციებად. მოდერნიზმის თეორეტიკოსების მიხედვით, ზუსტად იგივე ნაციები წარმოქმნა ნაციონალიზმებმა XVIII საუკუნის ბოლოდან. კორელაცია ისეთი ახლოა, რომ მისი შემთხვევითობად მიჩნევა აბსურდი იქნებოდა (Hastings 1997: 114).

ნაციადყოფნის მესამე საფეხური, რომელსაც ‘მოდერნისტები შეცდომით მიიჩნევენ მოლიან ისტორიად’, XVIII საუკუნის დასასრულს ფრანგული მონარქიის კოლაფსით იწყება, რამაც ‘დამბები გაუხსნა რევოლუციურ მოძრაობებს, რომლებიც ასევე ნაციონალისტურნი იყვნენ’ (იქვე: 119). ეს ნაციონალიზმის მიერ შექმნილი ნაციების პერიოდია, რაზედაც მოდერნისტები აკეთებენ ფოკუსირებას, მაგრამ იგი მოქალაქეობრივი და პარლამენტული მოდელის ზემოქმედების შედეგი უფროა, ვიდრე ‘მოდერნიზაციისა’, განსაკუთრებით საფრანგეთში.<sup>10</sup> ამგვარად, პეისტინგსის მსგავსი პერენიალისტები შესაძლებლად მიიჩნევენ პრემოდერნული ნაციების არსებობას. დასავლეთ ევროპაში მათ უმეტესობას ინგლისური პროტოპიპი აქვს. პეისტინგსის შეხედულებას იზიარებს ჯონ გილინამიც და ინგლისს XIV საუკუნემდეც კი ნაციად აღიარებს. უილიამ მალმბეტისა და ჯეფრი მონმაუსის, ისევე როგორც ჯერალდუს კამბრენსისის შრომებში ვპოულობთ XI–XII საუკუნეებში ინგლისელ ნაციადყოფნის მკაფიო ფორმულირებას, უელსურთან და ორლანდიურთან კონტრასტში. ანუ ელთა მიერ საფრანგეთში ტერიტორიების ფლობის მიუხედავად, ეს ადრეული ‘ინგლისური იმპერიალიზმის’ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ (Gillingham 1992).

ამათ მსგავსად, ჯოზევ ლობერა დაჟინგბით ამტკიცებს რა ნაციონალისტური იდეოლოგიის შედარებით მოდერნულობას, შემდგომდროინდელი ნაციების საფუძველს ევროპის ძირითად არეალებში (როგორებიცაა ‘ფრანცია’, ‘გერმანია’ და ‘პისპანია’) არსებული ეთნიკური და პოლიტიკური მიჯაჭვულობების და სენტიმენტების ხანგრძლივ ისტორიაში ხედავს. ნუ გვექნება იმედი, რომ ამგვარი კულტურულ-პოლიტიკური ფორმაციების ადგილმდებარების და მასსოვრობების ანალიზის გარეშე, შემდგომში ცნობილი მოდერნული პოლიტიკური ნაციების გამოჩენის ასენას შევძლებო (Llobera 1994: ნაწილი I).<sup>11</sup>

ამგვარად, ნეოპერენიალისტები ამტკიცებენ, რომ ნაციები და ნაციონალიზმები XVI საუკუნემდევ არსებობდნენ, განსხვავებით ჯონ ბრილის მსგავსი მოდერნისტებისაგან, რომელთათვისაც XVI საუკუნეში ნაციონალური სენტიმენტების ზრდა სხვა არაფერია, თუ არა ნაციონალიზმის ‘პრელუდია’. რასაკირველია, რეფორმაციამ, ინდივიდუალური დოცის და ბიბლიის ვერნაკულაზე თარგმანებში კითხვის აქცენტირებით, ნაციადყოფნის გრძნობები გააძლიერა და გაავრცელა, როგორც ეს აღნიშნულია ლია გრინფელდის დიდებულ და დეტალურ გამოკვლევაში მოდერნულობისაკენ მიმავალი უძთავრესი ნაციონალისტური გზების შესახებ. მართლაც, გრინფელდისათვის ინგლისური ნაციონალიზმი ოდნავ უსწრებდა რეფორმაციას, რადგან შეგრძნება, რომ ნაცია მთელი ხალხის იდენტური იყო (რაც, მისი შეხედულებით, ნაციონალიზმის არსებობის მთავარი კრიტერიუმია) ფართოდ პირველად XVI საუკუნის 20–30-იან წლებში გავრცელდა ინგლისურ ელიტაში. მაგრამ პროტესტანტულმა ინგლისურმა ბიბლიამ და საერთო ლოცვების წიგნმა, ფოქსის (პროტესტანტ) მოწამეთა წიგნთან ერთად, ამ ნაციონალურ სენტიმენტს რომის გალესითა და მისი ესპანელი მოკავშირის საწინააღმდეგოდ უზარმაზარი მხარდაჭერა გამოუცხადა და დამაჯერებელი მოტივი მოუქმდნა. არმადას დროს რაიონების უმეტესობაში ინგლისელ ნაციადყოფნის განცდა საშუალო კლასებში გავრცელდა და მან საფუძველი ჩაუყარა მომდევნო ნაციონალიზმების მოდელს საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთსა და შეერთებულ შტატებში (Greenfeld 1992: თავი 1).<sup>12</sup>

## ნაციონალიზმის წყაროები

ნეოპერენიალისტური ოვალსაზრისით, ნაციონალიზმის წყაროები უპირატესად ელიტის წარმოსახვებსა და გამოგონებებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ სახალხო სენტიმენტებსა და კულტურაში. შესაბამისად, შეუძლებელია ნაციების ახსნა ურთიერთდაპირისპირებული ელიტების მიერ შექმნილი მოდერნული არტეფაქტებით. თუმცა ელიტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ნაციებისა და ნაციონალური იდენტობების ფუნდამენტური წყაროები ეველგან და გაცილებით ადრე უნდა ვექმნოთ.

როგორც ვნახეთ, ადრიან ჰეისტინგსის მიხედვით, პრემოდერნული ნაციები ცვალებადი ეთნიკურობებისაგან სალიტერატურო ენებისა და ლიტერატურების განვითარების გზით წარმოდგებიან, რომელიც აფიქსირებს კულტურებისა და ხალხების საზღვრებს. უდავოა, რომ პრემოდერნული ეპოქის ‘ინტელექტუალებს’ – პოეტებს, მწიგნობრებს და სამღვდელოებას – ამაში გადამწყვეტი როლი ეკისრებოდათ. მაგრამ ჰეისტინგსისათვის ნაციონალიზმის მთავარი წყარო რელიგიაა, უფრო კონკრეტულად კი ქრისტიანობა. სამღვდელოება არა მარტო მთავარ საგანმანათლებლო და სოციალური კეთილდღეობის ქსელს უზრუნველყოფდა, არამედ ყოველდღიური შეხება პქნონდა სოფლის მოსახლეობასთან. ყოველკვირეულად წესების აღსრულებისა და ქადაგების გზით ეკლესია მძლავრ გავლენას ახდენდა მასების ემოციებსა და მსოფლეოდგაზე. მეტიც, ეკლესიამ გზა გაუხსნა ვერნაკულური ენების გამოყენებას, რის შედეგადაც მესიჯი, რომელსაც იგი ქადაგებდა, იმდენადვე იყო ნაციონალური, რამდენადაც უნივერსალური, რადგან სახარებასთან ერთად ეკლესიამ ძველი აღთქმა და მისეული წმინდა ნაციონალობისა და მეფობის პოლიტიკური იდეალებიც გაითავისა. მაშინაც კი, როცა ბიბლიის ხალხს უარყოფდა, ეკლესია, რომელიც სახარებაში იდეალური სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელს ისაკლისებდა, ისრაელის ნაციის ებრაულ პროტიპს მიმართავდა, ვინაიდან თავს ჭეშმარიტ ისრაელად (*verus Israel*) და უფლის რჩეული ხალხის მემკვიდრედ მოიაზრებდა. საბოლოო მესიჯი მარტივი აღმოჩნდა: ყოველ ნაციას შეეძლო ძველ ებრაელთა მსგავსად ყოფილიყო უფლის რჩეული ხალხი, ანუ ჭეშმარიტი ქრისტიანი და ეკლესიის რწმენით აღსავსე (Hastings 1997: თავები 1, 9).<sup>13</sup>

მაშასადამე, ნაციონალიზმის სათავეები და განვითარება ლიტერატურასა და სამდვდელოებაში, ეკლესიასა და ბიბლიურ რელიგიაში უნდა ვემიოთ. ქრისტიანობის და, უფრო ადრე იუდაიზმის გარეშე, არც ნაციები იქნებოდა და არც ნაციონალიზმი.

იმავე დასკვნის გამოტანა შეიძლება კონორ კრუზ ო'ბრაიენის 'წმინდა ნაციონალიზმის' ბუნებისა და სათავეების ანალიზიდან და ხალხის მისეული გაღმერთებიდან, რომელიც ბიბლიური ტერიტორიალიზმის, ეთნიკური ერთობისა და ძველ ალთქაში უკავავყოფილი, რელიგიასთან შეწყვილებული აღთქმული მიწის უნიფიცირებულ ხედვას უბრუნდება (O'Brien 1988a). ო'ბრაიენი იმის ჩვენებით აგრძელებს, თუ როგორ ნარჩუნდება ეს ტრადიცია ევროპაში და ახალ გამოვლინებას ამერიკულ ნაციონალიზმის საკრალურ ხასიათში, დროშისადმი პატივისცემასა და საყოველთაო ლოცვებში პოლობს.

მაშასადამე, ნეოპერერენციალისტები ნაციებისა და ნაციონალიზმის წყაროებს ეძებენ არა საერო ინტელიგენციათა გეგმებში ან მოდერნული ეპოქის საშუალო კლასების ინტერესებში, არამედ ენის, ეთნიკურობისა და რელიგიის 'სიღრმისეულ კულტურულ რესურსებში'. ამგვარი დასკვნა ბევრად აადგილებს ორივე თვალსაზრისის გაზიარებას: 'ნაციები ნაციონალიზმამდე' და 'ნაციები მოდერნულ ეპოქამდე'. ამას ისტორიული სპექტრის მეორე ბოლოდან მივჰავართ პეისტინგსის სამნაწილიანი სქემის განხილვამდე. ნაციებისა და ნაციონალიზმის არსებობაზე ანტიკურ ეპოქაში თავად პეისტინგსი მიგანიშნებს, როცა მიუთითებს ინგლისამდე იზოლირებულ ნაციათა არსებობაზე სომხეთსა და ეთოპიაში და, რასაკვირველია, თავად ძველ ისრაელში. ეს ის საკითხია, რომელსაც დავუბრუნდები.<sup>14</sup>

ამ დრმა კულტურული რესურსების კველგანმყოფობა და განგრძობადობა პერენიალისტებისა და მოდერნისტების ევროცენტრისტულ მიდგომასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რამდენადაც ბიძგს აძლევს დებატებს ევროპის გარეთ, კერძოდ, ირანსა და შორეულ აღმოსავლეთში პრემოდერნული ნაციების არსებობის თაობაზე. პეისტინგსის აზრით, აზიაში ნაციონალიზმი ევროპიდან ქრისტიანობისა და კოლონიალიზმის მეშვეობით შევიდა. როგორც ჩანს, იგი არც კი უშეგბს შესაძლებლობას, რომ მისივე კრიტერიუმებით, იაპონია, კორეა და ჩინეთი, ისევე როგორც წარმართული ბირმა და სეფევიდური სპარსეთი, შეა საუკუნეებში უკვე ნაციებს

წარმოადგენდნენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ პქნდათ ვერნაკულური ენები და ლიტერატურა, ისევე როგორც უნიკალური წარმოშობისა და საერთო შთამომავლობის მითები. მეტიც, მათი სახელმწიფო წყობა მძლავრი რელიგიური ინსტიტუციებითა და იდეალებით იყო გამჟარებული. სახელმწიფოს მოწყობის მოდელი კონფუციანულობაში (რომ არაფერი ვთქვათ ბუდიზმზე) შეიძლება არც ისე დინამიკური იყო და არც ისეთ ძალისხმეულის საჭიროებდა, როგორც ძველი ისრაელში (რომელიც ქრისტიანობამ მიიღო) ან ისლამში. და ამ აზრით, პეისტინგს შეუძლია დაგვეხმაროს იმის ახსნაში, თუ რატომ მომდინარეობს ნაციონალისტური იდეოლოგია დასავლეთიდან და რატომ შეუწყო ხელი რეფორმაციამ, ებრაულ ძველ აღთქმასთან დაბრუნებით, დასავლური ნაციების პირველი ტალღის კონსოლიდირებას. თუ ჩვენ ნაციადყოფნის პეისტინგსის კრიტერიუმებს და დასავლეთში ნაციონალური განვითარების მისეულ პერიოდიზაციას გავიზიარებთ, მაშინ ჩვენ სწორედ იმავე შუა საუკუნეებში უნდა დაგუშვათ ნაციების არსებობა აზიაშიც.<sup>15</sup>

### **ეთნიური და მოქალაქეობრივი ნაციები**

მოდერნისტებისა და კონსტრუქტიონისტებისათვის ეთნიკური ნაციონალიზმის საუკეთესო გაგება მისი ელიტის გამოგონების ნატურალიზტებულ ფორმად მიჩნევაა. იგი 'ფიქტიური ეთნიკურობის' პოლიტიკურ ვერსიას წარმოადგენს. ეტიქ ბალიბარისა და იმანუელ ვალერშტეინის სიტყვებით

ბუნებრივად არც ერთ ნაციას არ აქვს ეთნიკური ბაზისი, მაგრამ, რამდენადაც სოციალური ფორმაციები ნაციონალიზდება, მათში ჩართული მოსახლეობა მათ შორის ნაწილდება ან მათი ზეგავლენით განიცდის ეთნიზაციას, რაც ნიშნავს, რომ ისინი წარსულში ან მომავალში ისე არიან წარმოდგენილნი, რომ თითქოს ბუნებრივ ერთობას ქმნიდნენ და თავისთავად პქნდეთ პიროვნებებსა და სოციალურ პირობებზე აღმატებული წარმოშობის, კულტურისა და ინტერესების იდენტობანი (Balibar and Wallerstein 1991: 96; ხაზგასმა დედნისეულია).<sup>16</sup>

ასეთსავე დეკონსტრაქციონისტულ მიღღომას გხვდებით დიდი მოქალაქეობრივი ნაციების (დროებით) ეპონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნილებათა შედარებისას ენისა და ეთნიკურობის ბუნებასა და ოლიტერაციული ნაციების ჩამოყალიბებაში, რასაც კრიტიკულად აანალიზებს პობსბაუმი. მაგრამ პერენიალისტებისათვის, საზოგადოდ, ვითარება სხვაგვარადაა. მოქალაქეობრივი ნაციონალიზმი ანუ, უოლკერ კონორის ტერმინოლოგიით, პატრიოტიზმი, ხელოვნური თუ არა, გარკვეულწილად რაციონალური კონსტრუქცია მაინც არის, მაშინ როცა ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ნათესაური კავშირების განცდაშია ფესვგადგმული, ადამიანური გამოცდილებისა და ოჯახური ურთიერთობისაგან წარმომდგარ ბაზისურ ემოციებს ესადაგება. აქედან გამომდინარე, ნაცია ‘ნატურალური’ წარმონაქმნი თუ არაა, ეთნიკურობასა და ეთნოლინგვისტური ჯაჭვების არსებობას მაინც ეფუძნება. თუმცა ცალკეულ ნაციებს დიდი დახმარების მიღება საკუთარი სახელწიფოდანაც შეუძლიათ.

ეს არის შეხედულება, რომელსაც პეისტინგსი ირლანდიურ და, უფრო ნაკლებად კი უელსის, შემთხვევებში გახაზავს. აქ, მიუხედავად ირლანდიის პირქუში უზენაესი მეფეებისა, და ინგლისელთა მიერ უელსის დაპურობამდე უელსელთა ერთიანობის ხანმოკლე პერიოდისა, სახელმწიფო მინიმალურ როლს ასრულებდა ნაციის განსაზღვრაში. ირლანდია საკუთარი რელიგიური ისტორიით განისაზღვრებოდა, რომელიც იწყება წმინდა პატრიკის მისიით და მისი კუნძულოვანი გეოგრაფიითა და წმინდა ადგილებით, როგორც *insula sacra*, ამას მხარს უჭერს ჯეიმს ლიდონის თვალსაზრისი შუა საუკუნეებში ირლანდიურსა და ინგლისურს შორის მკაფიოდ გამოხატული განსხვავების არსებობის თაობაზე (მაგალითად, 1317 წლის “შეგონებაში” ანდა 1366 წლის კილკენის აქტებში, კულტურული და კვაზირასობრივი სტერეოტიპებით, რაც ბევრად უსწრებდა წინ რეფორმაციასა და ირლანდიაში პროტესტანტი შოტლანდიელების დასახლებების გაჩენას). ასეთი განსხვავებები ვლინდებოდა უელსურსა და ინგლისურს შორისაც, რომელიც სიმბოლიზებული იყო კამრის სახელით, უფრო ადრე კი, (რომანული) ბრიტანეთის მითით. ესენი დიდი ხნის წინ დაფუძნებული ეთნიკური ნაციონალიზმებია, და ისევე როგორც ნაციონალიზმთა უმეტესობას დღეს (ყოფილ იუგოსლავიაში,

კავკასიაში თუ აფრიკაში), მათაც საფუძველი ეთნიკურობაში ჩაუყარა (Hastings 1997: თავები 3, 5, 6; Lydon 1995).<sup>17</sup>

‘ეთნიკურ’ და ‘მოქალაქეობრივ’ ნაციებსა და ნაციონალიზმებს შორის განსხვავების დაფიქსირება (დღეს რომ ასე მოდაშია), ნეოპერენიალისტური შეხედულებით, საუკეთესო შემთხვევაში მეორადია, უარესში კი მცდარი. პრაქტიკულად, ისტორიული თვალსაზრისით, ყველა ნაცია და ნაციონალიზმი თავისი ფესვებით ‘ეთნიკურია’; და, თუმცა დროთა განმავლობაში ნაციას შეუძლია მოცვმული ეთნიკურობის საზღვარი გადაკვეთოს და უფრო ფართო პოლიტიკურ ერთობაში სხვა ეთნიკურიც მოიცვას, თავის მამობილიზებელ ძალას იგი უნიკალური წინაპრისა და ისტორიის საზიარო რწმენაში პოულობს. ეს არ წარმოადგენს ეთნიკური საფუძვლის ‘ნატურალურად’ გადაქცევის რაიმე მცდელობას; მაგრამ იგი ორც ინტერპრეტაციაა და ორც ნაციონალისტთა მიერაა თავსმოხვეული. ეს უფრო ნიშნავს ეთნიკურობის, ენისა და რელიგიის აღიარებას ნაციადყოფნის ისტორიულ და სტრუქტურულ საფუძლად და გარკვეული ნაციების სოციალურ-ისტორიულ კონტექსტად. მოდერნისტები, მხედველობაში აქვთ რა დასავლეთი ევროპა და ამერიკა და მათი პერსპექტივა, კანონიკურ ნაციებად მიიჩნევენ თანამედროვე დასავლეთის ტერიტორიულ პოლიტიკურ ერთობებს, მაშინ როცა, ფაქტობრივად, ისინი ყოფილი ეთნიკური ნაციების სპეციფიკური შემთხვევებია, რომელებიც მძლავრი სახელმწიფოების მიერ გამოიზარდნენ და საუკუნეთა განმავლობაში უპირატესად ტერიტორიული საფუძვლის მქონე ნაციებად და პოლიტიკურ ნაციონალიზმებად გადაიქცნენ.<sup>18</sup>

ამ თვალსაზრისს ერთგვარად ამაგრებს ის ფაქტი, რომ დასავლური სახელმწიფოები ისტორიულად ‘ეთნიკური ბირთვის’ – იმ დომინანტური ეთნიკების გარშემო ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც სათავე დაუდეს ან დააფუძნეს ერთობა და სახელმწიფოს ელიტარული პერსონალის უმეტესობა წარმოშვებს, როგორიც ამას პირველი ნაციონალური სახელმწიფოების – ინგლისის, საფრანგეთის, პოლანდიის, ესანგეთის და შვედეთის, და ასევე უნგრეთის, პოლონეთის და მოსკოვის რუსეთის შემთხვევებში ჰქონდა ადგილი. თვით ისეთი იმიგრანტული ნაციაც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, დომინანტური პროტესტანტული ბრიტანული ეთნიკები მიერ შეიქმნა, თუმცა შემდგომში მისი ეთნიკური ხასიათი იმიგრანტთა ფართომასშტატიანი ტალღების

შედეგად გადასხვაფერდა. საუკუნეთა განმავლობაში ეს მძლავრი სახელმწიფოები ტერიტორიულად გაფართოვდნენ და სხვადასხვა რეგიონებისა და მათი სალხების ანექსია ისე მოახდინეს, რომ XX საუკუნეშიც კი შეინარჩუნეს დომინანტური ეთნიკური (იხ. A.D.Smith 1989).

ამ შემთხვევებში ‘ეთნიკურ-მოქალაქეობრივი’ დიქოტომია ისტორიულად არაზუსტია, ხოლო სოციოლოგიური თვალსაზრისით – შეცდომაში შემყვანი. ეს გახდავთ ეთნიკური ნაციები, რომელებიც თანდათანობით უპირატესად ტერიტორიულად დაფუძნებულ მულტიკულტურულ პოლიტიკურ ერთობებად გარდაიქმნენ. კონტრასტი ტერიტორიასა და გენეალოგიას, *ius soli* და *ius sanguinis* შორის, რომელსაც როჯერს ბრუჯეიკერი ფრანგულ და გერმანულ საიმიგრაციო და მოქალაქეობის მინიჭების პოლიტიკასა და პრაქტიკას შორის განსხვავების საჩვენებლად იყენებს, არ უნდა იყოს გადაჭარბებულად შეფასებული. ნაციების უმეტესობა სოციალური ორგანიზაციის ორივე პრინციპის მაგალითად გამოდგება, იმის მიუხედავად, რომ მოცემულ დროისათვის ისინი ერთ-ერთ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას (Brubaker 1992; შდრ. Schnapper 1997).

## ნაციები ანტიკურ ეპოქაში?

ჰეისტინგსის მიერ შემოთავაზებული ნაციონალური განვითარების სამნაწილიანი სქემა – ზეპირსიტყვიერი ეთნიკურობების ადრეშუასაუკუნეობრივი ეპოქა, I გვარის ნაციების გვიანშუასაუკუნეობრივი/ადრემოდერნული ეპოქა, და II გვარის იდეოლოგიურად მართული ნაციების მოდერნული ერა – ევროცენტრიზმის გამო შეიძლებოდა გაკრიტიკებულიყო და კითხვის ნიშნის ქვეშაც დაყენებულიყო კაცობრიობის ისტორიის ადრეული გაოქების უგულებელყოფისათვის. ერთი გამონაკლისის გარდა, ჰეისტინგსი წარუმატებლობას განიცდის ანტიკური ეპოქის მიმართ თავისი კრიტერიუმის გამოყენებისას და იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციაზე ადრე ან მის მიღმა ნაციების არსებობის შესაძლებლობის განხილვისას. თუკი გეოგრაფიითა და სახელმწიფოებრიობით გამაგრებული ვერნაკულური ლიტერატურა ნაციადყოფნის უმთავრესი კრიტერიუმია, როგორც ამას ინგლისის შემთხვევებში აქვს ადგილი, როგორდა შეგვიძლია ნაციათა რიცხვში ჩავრთოთ ისრაელები და გამოვრიცხოთ ძველი ეგვიპტელები,

ბაბილონელები და სპარსელები? თუკი იმას ვეთანხმებით, რომ ბიბლიაზე დაფუძნებული ქრისტიანობა ევროპასა და ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში ნაციის იდეის გავრცელების მნიშვნელოვანი ფაქტორს წარმოადგენდა, რატომ უნდა მივანიჭოთ მას პრიორიტეტი იმ ეთნოლინგვისტურ კრიტერიუმებთან შედარებით, რომლებმაც უნდა გვიბიძოს ‘ნაციების’ ხასიათის ამოცნობისაკენ სხვა, ადრეულ ერთობებში?

აქ პერენიალისტების უმეტესობა მახვილს განგრძობადობაზე აკეთებს. პერენინგისი და სხვები შეიძლება მზადაც არიან ანტიკური ეპოქის სხვა ერთობებსაც დართონ ნაციის ტიტულის ტარების უფლება, მაგრამ მათ ისტორიული მნიშვნელოვნება აკლიათ, რადგანაც ცალპეულ შემთხვევებს წარმოადგენდენ და, როგორც ნაციები, ვერ გადარჩენ, მაშინ, როცა ინგლისი, სულ მცირე, XIV საუკუნიდან არა მარტო იყო განგრძობადი ნაცია, არამედ წარმოშვა სხვა განგრძობადი ნაციების მთელი წყებაც. უგვიპტე, სპარსეთი, ასურეთი და საბერძნეთიც კი, როგორც ნაციები, მთამომავლობის გარეშე ‘შიიცვალნენ’, ინგლისი კი ნაციების დიად კოლონადას ედგა სათავეში.<sup>19</sup>

რასაკვირველია, ამ განზოგადებას ერთი დიდი გამონაკლისი აქვს: ებრაელები. ისინი ნაციის ამოსავალ იდეალსა და პროტოპიას შეადგენდნენ, თუმც, პეტიონგსისათვის მათ თავიანთი ნაციადყოფნა დაახლოებით ორი ათასი წლის წინ ‘დაკარგეს’ და მხოლოდ ახლა აღადგინეს ის ისრაელში. ამას ჩიხში შევყავართ, რადგანაც ნაციადყოფნის პეტიონგსისეული კრიტერიუმებით (კერძოდ, (1) ეთნიკურობით, რომელიც (2) ფიქსირებული იყო ვერნაკულურ ენაში და ლიტერატურაში, და (3) ბიბლიური პროტოპიას მიხედვით იყო მოდელირებული) ებრაელები, დიასპორაშიც და დევნილობაშიც (*Galut*), გამორჩეულად განგრძობად ნაციად, წიგნიერ ხალხად რჩებოდა, საკრალური ენითა და ლიტერატურით, რასაც თავიანთ დიასპორაში მუდმივად ხელახლა ისმენდნენ და განაგრცობდნენ, ისე რომ თავიანთი აღთქმისა და აღთქმული მიწის ერთგულნი რჩებოდნენ.<sup>20</sup>

ცხადია, აქ სხვა კრიტერიუმი მოქმედებს: მშობლიურ ტერიტორიაზე ცხოვრება და მისი ფლობა. ეს, უდავოდ, მნიშვნელოვანი და ისტორიულად ხშირად გადამწყვეტ კრიტერიუმს წარმოადგენს ნაციადყოფნისათვის, ისევე როგორც სასიცოცხლოდ არსებითია ნაციონალისტური

იდეოლოგისათვის. საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ მომავალში ‘ნაციები’ დეტერიტორიალიზებულ ერთობებად იქნენ გააზრებული, მე მომდევნო თავში განვიხილავ. მაგრამ ამგვარი ფორმულირება ტერიტორიულობას ნაციადყოფნის ნორმად მიიჩნევს: წარსულში ნაცია კოველთვის ტერიტორიულ ერთობად მოიაზრებოდა.<sup>21</sup>

მაგრამ, თუ ტერიტორიაა სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაციადყოფნისათვის, რა შეიძლება იყოს ძევლ გავიპტელებზე უკეთესი მაგალითი? რატომ არა აქვთ მათ ‘ნაციის’ ტიტულის ტარების ან ჭეშმარიტად ‘ნაციონალური სახელმწიფოს’ ქონის უფლება? ისინი ნილოსის ორივე ნაპირზე უდაბნოთი გარშემორტყმული ტერიტორიის ვიწრო კლაკნილში იყვნენ მომწყვდეულნი და უახლოესი მეზობლების – ნუბიელებისა და აზიელებისაგან წეს-ჩვეულებებით, რელიგიით, ენითა და გარეგნობით აშკარად განსხვავდებოდნენ. ყოველივე ამის გარდა, მათ ჰქონდათ საერთო, უნიფიცირებული რელიგია და მძღავრი სახელმწიფო და (როგორც ექნატონის პიმიც მოწმობს) მკაფიოდ აცნობიერებდნენ თავიანთ განსხვავებულობას სხვა ნაციებისა და ენებისაგან (იხ. Trigger et al. 1983).

მოდერნისტები შეიძლება შემოგვედავონ, რომ ძველი ეგვიპტე იზოლირებული შემთხვევა იყო; იგი არ წარმოადგენდა ნაციონალურ სახელმწიფოთა სისტემის ნაწილს, რაც დღეს ნაციადყოფნის სავალდებულო კრიტერიუმია. თუ აღარ დავუშვებთ, რომ მოდერნულობა და აწმეო იძლევიან ნაციადყოფნის იმ მოდელებს, რომელთაც ყველა სხვა უნდა შეესატყვისებოდეს, მაშინ შევნიშნავთ, რომ ქრისტეშობამდე მეორე ათასწლეულში ეგვიპტე აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფოთა ახლოადმოსავლურ ‘სისტემაში’ ხეთების იმპერიასთან, მითანის სამეფოსთან და კასიტურ ბაბილონთან ერთად. ეს ის პერიოდია, რომლის შესახებაც ჩვენ რაღაც მაინც ვიცით ტელ-ელ-ამარნას დიპლომატიური კორესპონდენციის წყალობით. მაგრამ სულ სხვა საკითხია, რამდენად მართებულია ამ სახელმწიფოთა ‘ნაციებად’ მიჩნევა მათ შორის გეოპოლიტიკური ურთიერთკავშირების არსებობის გამო (Roux 1964).

ბევრად უფრო გვიან, ელინისტურ ეპოქაშიც, პტოლემაიოს გვიპტებ ახლო აღმოსავლეთში რეგიონალური ‘საერთაშორისო სისტემის’ ნაწილი ჩამოაყალიბა, რომელიც

მოიცავდა სელეგიდურ სირიას, პერგამონს, მაკედონიასა და პართიას. ამ შემთხვევაშიც საზღვრების მქონე განსხვავებულ ტერიტორიებზე შემოკრებილი სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ, რომელთაგანაც თითოეულის ერთობა ფლობდა საქუთარ კულტს, ენას, კალენდარს, კანონებსა და წეს-ჩვეულებებს (თუმცა სელეგიდური იმპერია, ფაქტობრივად, რამდენიმე ამგვარ ერთობას შეიცავდა). საგარაუდოდ, ამიტომ უნდა გუწოდოთ ამ პოლიტიკურ ერთობებს ‘ნაციები’ და დავეთანხმოთ დორო მენდელსის მსჯელობას, რომ ‘ძველი ახლო აღმოსავლეთის იმ ნაციებს, რომლებიც ებრაელთა მეზობლები იყვნენ, პოლიტიკური ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური და კარგად განსაზღვრული სიმბოლოები ჰქონდათ, სახელდობრ, ტაძარი, ტერიტორია, მეფობა და ჯარი’ (Mendels 1992: 1).

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძველი სამყაროს ნაციონალიზმი ‘მოდერნულ დროთაგან’ განსხვავებული აზრის მატარებელია, ხოლო ელინისტურ გაოქასთან დაკავშირებული პრობლემა, მენდელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო ‘ეთნიკურობის პრობლემა, რასაც მოხერხებულობისათვის “ნაციონალიზმი” უნდა ვუწოდოთ’, არ უნდა ვამტკიცოთ ანტიკურ ეპოქაში იმგვარი ნაციების საყოველთაო არსებობა, რომლებიც უველა თავისი მთავარი ნიშან-თვისებით მოდერნულს ჰგავს? და ამ მიზეზით არ უნდა გავიზიაროთ აზრი ნაციების მუდმივი განმეორებადობის თაობაზე მომდევნო ეპოქებში?<sup>22</sup>

ეს არის სტივენ გროსბის თვალსაზრისი, შემუშავებული ძველი ისრაელის დაკვირვებული ანალიზით. იგი ძველ ებრაელებს, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან მოყოლებული, სხვა ისეთ ერთობებს უდარებს, როგორებიც არიან ძველი ბერძნები, არამელები, ეღომიტები, ეგვიპტელები და სომხები, და სერიოზულად მიიჩნევს მათ ნაციებად, კოლექტიურ თვითხატად და ხაზს უსვამს ხალხის საქუთარ მიწასთან ურთიერთებიმართების პრიმორდიალურ ხასიათს: მისი ფორმულირებით, ‘ხალხს აქვს თავისი მიწა და მიწას ჰყავს თავისი ხალხი’. ამ დროისათვის იუდეას სამეფოს ელიტებს მაინც ჰქონდათ ურყევი რწმენა, რომ არსებობს ებრაელი ‘ხალხი’, რომელიც საკუთარ ტრანსლოკალურ, შემოსაზღვრულ საკრალურ ტერიტორიაზე ცხოვრობს, თავანს სცემს ერთ ღმერთს, იაჰვეს, სპეციალურად ამისათვის გამიზნულ ცენტრში, იერუსალიმის ტაძარში (Grosby 1991: 240).

მის მსგავსად ძველი ეგვიპტელებიც ავლენდნენ მიჯაჭულობას (ნილოსის) ‘შიწასთან’, ინახავდნენ მარხვას იმ რწმენისათვის, რომ ეგვიპტე მხოლოდ ეგვიპტელებს ეკუთვნოდა და მიწის უზენაესი ღმერთის – ოქტეს ამონ-რას დაცვისა და გამგებლობის ქვეშ იყო, რწმენისათვის, რომელიც გროსბის მიხედვით, აკლდა ძველ საბერძნეთს, მაგრამ მისი პოვნა ძველ სომხეთში შეიძლებოდა (იქვე: 247; 1997: 21).<sup>23</sup>

ამგარი ინტერპრეტაციები დამატებით კომენტარს მოითხოვს. ძველი მსოფლიოს შესახებ შემორჩენილი ცნობების სიმწირე და ‘რეტროსეპტემბრული ნაციონალიზმიდან’ მომდინარე საფრთხე იმისა, რომ ადრეული ეპოქები გვიანდელი ცნებებისა და საზრუნავის შუქზე იქნას გაგებული, ამ ანალიზს, უკეთეს შემთხვევაში, მცდელობად აქცევს. თავად გროსბისათვის ცნობილია ცნებებისა და კატეგორიების ანალიზის სირთულე: ‘კოლექტივს ზუსტად იშვიათად თუ მიესადაგება ცალკეული ანალიტიკური კატეგორია. ეს ეხება არა მარტო ანტიკური ხანის კოლექტივებს, არამედ მოდერნულ ნაციონალურ სახელმწიფოსაც’ (Grosby 1997: 2).

ამასთან დაკავშირებით სხვა პრობლემაც არსებობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შევძლებდით არგუმენტირებულ მსჯელობას ანტიკური ხანის ‘ხაციებზე’, მაინც ვერ დავასაბუთებდით მათ განგრძობადობას ცალკეულ მოდერნულ ნაციებში. ძველ ეგვიპტელ ან ბერძენ ნაციას მოდერნული ეპოქის ეგვიპტელ ან ბერძენ ნაციებთან ცოტა რამ თუ აკაეშირებს, მიუხედავად ტერიტორიული, ბერძნულ შემთხვევაში კი, აგრეთვე, ლინგვისტური განგრძობადობისა. ეს ამძიმებს ბერძნული ნაციონალური ისტორიოგრაფიისა და ბერძნული ნაციონალიზმის პასკალის კიტრომილიდისისეულ მწვავე მოდერნისტულ კრიტიკას. იგი ამბობს, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში კონსტანტინოს პაპარიგოპულოსის მიერ დაწერილმა დიადმა ისტორიაშ ბერძენი ნაციისა პირველად წარმოადგინა განგრძობადი ბერძენი ნაციის, როგორც კოლექტიური აქტორის, იდეა, რომელიც უწყვეტად გრძელდება კლასიკური ანტიკურობიდან ბერძნული, ბიზანტიური დიდების გავლით, მოდერნულ დამოუკიდებელ ბერძნულ სახელმწიფომდე. მაშინ როცა, კიტრომილიდისის აზრით, ფაქტებზე დაყრდნობით, შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდეც კი ბერძნები და საბერძნეთი ბიზანტიის ვრცელი იმპერიისა და მართლმადიდებლური ოიკუმენას (და მოგვიანებით, ოტომანთა იმპერიის) ნაწილად მოიაზრებოდა,

ისევე როგორც სერბეთის, ბულგარეთის და რუმინეთის მოდერნული პოლიტიკური ერთობების შემთხვევაში (Kitromilides 1989 და 1998; იხ., აგრეთვე, Just 1989).

ბერძენი ნაციონალისტები ცდებოდნენ, როცა ბერძენი ნაცია ბიზანტიის იმპერიის, და, ლამის, კლასიკური საბერძნეთის პერიოდში წარმოშობილად გამოაცხადეს, თუ, პირიქით, სიმართლეს შეეფერება მოდერნისტების მტკიცება, რომ ბერძნული ნაცია მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში მოდერნულობის მოსვლასთან ერთად წარმოიშვა? ვინაიდან მოდერნისტები ნაციას საყოველთაო მოქალაქეობის, საჯარო კულტურისა და საზღვრების ქონას უკავშირებდნენ, სადაც არ უნდა იყოს ბერძენი ნაციის არსებობის შეუძლებლობა მოდერნულ კპოქაზე ადრე. თუ ამ კრიტერიუმებს ვიზიარებთ, შეგვიძლია რეალურად ვილაპარაკოთ ბერძენ ნაციაზე უფრო ადრე, ვიდრე მას 1922 წელს თურქები დაამარცხებდნენ, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის გაცვლა და საზღვრების სტაბილიზაცია? მოდერნისტები (ბერძენ) ნაციაში ‘მასების მონაწილეობის’ პრობლემასაც ეჯახებიან და ამის გამო XX საუკუნემდე ბერძენ ‘ნაციაზე’ ლაპარაკი მნელია. მეორე მხრივ, თუ, ნეოპერერიალისტების მსგავსად, ნაციას ეთნიკურობის, ვერნაკულური ენისა და რეალიგიური კულტურის ცნებებით განვმარტავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძენი ნაცია გვიან ბიზანტიურ იმპერიაში არსებობდა, ისევე როგორც მის მომდვერო მართლმადიდებლურ მილეთში, რომელსაც ბერძნები და ბერძნულად მეტყველი სამღვდელოება ედგა სათავეში. მეტიც, VI საუკუნიდან მოყოლებული, ავარების, სლავებისა და ალბანელების მიერ საბერძნეთის დაპყრობებით კლასიკურ საბერძნეთან საგრძნობლად შერევული დემოგრაფიული უწყვეტობის მიუხედავად, გვიანბიზანტიურ იმპერიაში ბერძნული ფილოსოფიისა და ენის აღორძინების გათვალისწინებით, სუსტი კულტურული კავშირის არსებობაც კი შეიძლება დასაბუთდეს (Baynes and Moss 1969: თავი 1; Armstrong 1982: 174–181).

ისტორიის ინტერპრეტაციისას მსგავს პრობლემებს ვაწყდებით იმ მოდერნულ ნაციებთან დაკავშირებითაც, რომლებიც ანტიკურ კპოქამდე განგრძობად წარსულზე აცხადებენ პრეტენზიას. ყველანი – ეგვიპტელები, სპარსელები, სომხები და ებრაელები მასობრივ დემოგრაფიულ და კულტურულ ცენტურას განიცდიდნენ, როგორც მათი ადრინდელი განვითარებისა და დამოუკიდებლობის მიწაზე, ისე

‘სამშობლოდან’ გაძევების და მიგრაციის დროს. ეგვიპტელებისა და სპარსელების შემთხვევაში, რელიგიურ მოქცევას აქ კულტურული მტრების – ბერძნების, არამევლების, არაბებისა და ოურქების დიდი ნაკადის შემოსვლა დაერთო. მტრულ ეთნიკურ ჯგუფებს სხვადასხვა დროს ეკავათ ქვეყანა და იქ თავიანთ დინასტიებს აფუმნებდნენ – ეგვიპტის შემთხვევაში – XX საუკუნეებიდან, ხოლო სპარსეთის შემთხვევაში – XX საუკუნის დასაწყისის საკონსტიტუციო მოძრაობამდე. სომხებისა და ებრაელების შემთხვევაში უცხოელების – ბაბილონელების, სპარსელების, რომაელებისა და ბიზანტიელების მიერ წარმატებულ დაპყრობით ომებს ემიგრაცია და გაძევება დაემატა, შემდგომში კი უპირატესობა ისეთ დიასპორა-ერთობას მიენიჭა, რომელსაც კაგშირი ისტორიულ სამშობლოსთან არასდროს გაუწევებია. მაგრამ შეგვიძლია კი დიასპორა-ერთობას ‘ნაცია’ ვუწოდოთ? თუ სომხურ და ებრაულ ნაციებზე ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკორ მხოლოდ XX საუკუნეში იმ კრიტერიუმით, რომ მათ მეტნაკლებად დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს ისტორიული ტერიტორიების ნაწილში, საზღვრების დადგენით და საჯარო კულტურით და მასების მონაწილეობით?<sup>24</sup>

### **ნაციები ისტორიაში: ალტერნატიული თვალსაზრისი**

მაგრამ განა რომელიმე ამ ინტერპრეტაციათაგან მისაღებია? თითოეული განმარტების დასაბუთება, საუკეთესო შემთხვევაში, გაურკვეველია. ავიდოთ საზღვრების საკითხი. გიდენსი, მაგალითად, წინ წამოსწევს მოდერნისტულ არგუმენტს იმის თაობაზე, რომ პრემოდერნულ სახელმწიფოებს არამდგრადი და დაუდგენელი საზღვრები ჰქონდათ, მაშინ, როცა მოდერნული სახელმწიფოები მეტნაკლებად მუდმივი და ფიქსირებული საზღვრებით ხასიათდებიან. ამ კონტრასტის თაობაზე სათქმელი ბევრია, მაგრამ იგი არც ისე აბსოლუტურია, როგორც ამას გიდენსი ამტკიცებს. ძველ იმპერიებს ძალიან მკაფიო წარმოდგენა ჰქონდათ საკუთარი ტერიტორიული ფარგლების შესახებ; მაგალითად, რომის ჩრდილოეთი საზღვარი საუკუნის განმავლობაში ფიქსირდებოდა, ისევე როგორც ჩინელები ცდილობდნენ დაეფიქსირებინათ თავიანთი ჩრდილოეთი საზღვარი დიდი კედლით. ძველ ეგვიპტელებს განგებამ აღმოსავლეთით,

დასავლეთით და ჩრდილოეთით მკაფიო და ფიქსირებული საზღვრები არგუნა, ასევე იაპონელებს, მას შემდეგ რაც აინუ დაიპყრეს. რაც შეეხება ებრაელებს, აღთქმული მიწის საზღვრებს ბიბლია კი წარმოგვიდგენს, მაგრამ რამდენადმე გაურკვევლად.

იგივე ვითარებაა მასობრივი ‘საჯარო კულტურისა’ და ‘მოქალაქეობის’ კრიტერიუმებთან დაკავშირებითაც. XX საუკუნის სტანდარტებით მიღვომისას ირკვევა, რომ პრემოდერნული ერთობების უმრავლესობას ორივე მათგანი აკლდა. ამ ერთობათა უმრავლესობა წევრობისა და კულტურის ეთნორელიგიურ განსაზღვრას ეფუძნებოდა. რაც შეეხება მეორეს, გავისსენოთ, რომ მოიპოვება რამდენიმე ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ იყო პრემოდერნული მოსახლეობა ჩართული საკუთარი ერთობების ელიტარულ კულტურაში. მეორეს მხრივ, არსებობს მინიშნებები დიდი რელიგიური ზეიმების, სატაძრო დვოთისმსახურების, დაკანონებული წესების, ბაზრებისა და სავაჭრო გამოფენების, ასევე ომში გაწვევის შესახებ, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ჩართვა ძველ სამყაროში; ხოლო შუა საუკუნეებში, დიდი მსოფლიო რელიგიების ეგიდით, ამგვარი ჩართვა უფრო რეგულარული და უშუალო გახდა, თუმცა იშვიათად იღებდა პოლიტიკურ ხასიათს.

კოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მოდერნისტები მართალი არიან, როცა მოდერნულ მსოფლიოში ადმინისტრაციის ტიპსა და ადრეულ კულტურულ იდენტობებს შორის განსხვავების მნიშვნელობას უსვამეს ხაზს. ამავე დროს, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა მეტისმეტად არ გავმიჯნოთ ‘პრემოდერნული ერთობები’ და ‘მოდერნული ნაციები’, და არც იმთავითვე გამოვრიცხოთ (როგორც ამას პობსბაუმი აკეთებს) რაიმე სახის განგრძობადობის არსებობა პრემოდერნულ ერთობებსა და მოდერნულ ნაციებს შორის. ამგვარი უფსკრული მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა კურადღებას მხოლოდ ზედა ფეხაზე ვაჩერებთ, რომელიც პრემოდერნულ ეპოქაში კოსმოპოლიტური და მრავალკულტურიანი იყო, მოდერნულ ეპოქაში კი მზარდად ნაციონალური და ნაციონალისტური გახდა. ამგვარი უფსკრული მაშინაც არსებობს, როცა ჩვენ მოდერნულ ეპოქას ერთიან ‘პრემოდერნულ’ ხანას ვუპირისპირებთ, რომელიც თითქმის მონოლითურად მიგვაჩნია და, ამიტომაც, მოვლენების ასახსნელად ვქმნით მოვლენათა მსვლელობის ‘უწინ-და-

შემდგომ՝ ხელოვნურ მოდელს. ადრეული ანტიპურობის ისტორიულ კვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვყოთ კოლექტიური კულტურული იდენტობების განსხვავებული მოდელები და საფეხურები და წარმოვადგინოთ საიმედო, დეტალური და კომპლექსური თვალსაზრისი მათი განვითარების თაობაზე (იხ. McNeill 1986; შდრ. A.D.Smith 1994).

### **ეთნიკური კატეგორიები და ეთნიკები**

ისტორიაში დადასტურებულ პირველ ამგვარ მოდელსა და, სავარაუდოდ, ყველაზე ადრეულ საფეხურსაც წარმოადგენს ‘ეთნიკური კატეგორია’ – მოსახლეობა, რომელსაც აქვს კოლექტიური საკუთარი სახელი და ერთი ან მეტი საზიარო კულტურული ატრიბუტი, ჩვეულებრივ, ენა და წეს-ჩვეულება, რაც მათ სხვებისაგან გამორჩევს. როგორც წესი, მოსახლეობა ერთგვარად დაკავშირებულია, ან ითვლება, რომ დაკავშირებულია, კონკრეტულ ტერიტორიასთან, რომელიც თუმცა შეიძლება ცვალებადი და გაურკვეველი იყოს. ამგვარი კატეგორიები გარეშე თვალისათვის ‘ეთნიკურია’. ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ საერთო წარმომავლობა და ისტორია მაშინაც კი, როცა თვით მოსახლეობას საერთო წინაპრის შესახებ არანაირი მითი არ გააჩნია. ამგვარი მოუხელთებელი და გარდამავალი კატეგორიების დაფიქსირება, ჰქისტინგსის ოქმით, ჭირს, რადგანაც მათ არც არანაირი მუდმივი საზღვრები მოეპოვებათ და არც რაიმე ტექსტებსა და არტეფაქტებში კოდირებული სიმბოლოები ან მითები. უცხო კი მიაწერს პოპულაციას საერთო ეთნიკურობას, მაგრამ შიგნით ამის განცდა არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საიმისო მონაცემს არ ვფლობთ ან საშუალება არა გვაქვს, რომ შევიტყოთ მის წევრებს აქვთ თუ არა რაიმე კოლექტიური მიჯაჭვულობა და სენტიმენტები.

სიტუაცია და მისი აღწერა გენეალოგიების გაჩენასთან ერთად იცვლება. ოჯახები სოფელში ან სამეზობლოში ქორწინებების გზით იქმნებოდა. ისინი იწყებდნენ საერთო წინაპრებისგან წარმომავლობის ძებნას. ამგვარი გენეალოგიები, ჩვეულებრივ, ზეპირად გადაეცემოდა თაობებს, მაგრამ მოგვიანებით შეიძლება წერილობით ქრონიკებსა და ეპიკურ პოემებში დაფიქსირებულიყო. ეთნიკური წარმოშობის და წარომავლობის ეს საოჯახო მითები ხშირად დაკავშირებულია მიგრაციის მახსოვრობებთან და საერთო კულტის

რიტუალებთან, სიმბოლოებთან და მითებთან, რომლებიც ადამიანის სამყაროს კოსმოსთან აკავშირებენ და ოჯახთა გაერთიანებას აქცევენ უფლის დაცვის ქვეშ. რაც უფრო მჭიდროდაა გადახლართული გენეალოგიური მითები და მიგრაციათა მახსოვრობანი კულტთან და რიტუალებთან, მით უფრო ძლიერი ხდება წევრთა მიჯაჭვულობანი და სენტიმენტები, რაც მათ ჯერ საზიარო ქმედებებისა და ურთიერთობების მტკიცე ეთნიკურ ქსელად გარდაქმნის, ხოლო შემდეგ კი სრულიად მომწიფებულ ‘ეთნიკურ ერთობად’ ანუ ეთნიკურ აქცევს – თვითდასახელების მქონე ადამიანთა ჯგუფად თავისი მითებით საზიარო წარმომავლობზე, საერთო ისტორიული მახსოვრობებით, საერთო კულტურის ერთი ან მეტი ელემენტით, სამშობლოსთან კავშირითა და სოლიდარობის მძლავრი სენტიმენტით (ელიტათა შორის მაინც). ამგვარ ერთობებს, ჩვეულებრივ, მრავალფეროვანი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუციები, მყარი და ხელშესახები საზღვრები და გარეშეთა ანუ უცხოთა კარგად გამოკვეთილი განცდა აქვთ, რაც ხშირად გამჟარებულია საპუთარი ტერიტორიის გარეთ მიმდინარე ისეთი რეგულარული აქტივობით, როგორიცაა ვაჭრობა, მოსახლეობის მოძრაობა და იდეებისა და ტექნიკის გაცვლა (იხ. Barth 1969: შესავალი; Nash 1989; Eriksen 1993).

შედეგად ადრეულ ეპოქებში ორი ან სამი მოდელი წარმოიქმნა – ეთნიკური კატეგორიები, ქსელები და ერთობები. და მოსახლეობა გამუდმებით მოძრაობს ამ ეთნიკურ ფორმაციებს შორის. რასაკვირველია, ეს საფეხური არ შემოფარგლება ოდენ ადრეული ანტიკურობით და პირველი ფიქსირებული ისტორიებით. ეთნიკურ დაჯგუფებათა მრავალფეროვნებას – კატეგორიებს, ქსელებსა და ერთობებს – თვით მოდერნულ ეპოქაშიც შეხვდებით, არა მარტო აფრიკასა და აზიაში, არამედ ზოგიერთ ეკროპულ პოპულაციაშიც კი. ეს იმის მაუწევებელია, რომ კოლექტიური კულტურული იდენტობების მოდელები, რომლებსაც აქ მოკლედ შევხე, ევოლუციურ მწკრივებს ვერ ქმნის. ნიმუშები საგრძნობ მდინარებასა და ურთიერთგადაფარვას ავლენენ, და მათი ისტორიული თანამიმდევრობაც გაურკვეველია, შეუქცევადობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

## ეთნიკური სახელმწიფოები და ადრეული ნაციები

ქველი მსოფლიო, ისევე როგორც ქალაქ სახელმწიფოები, სამეფოები და იმპერიები, უმეტესად ეთნიკურ დაჯგუფებებს წარმოადგენს. ბევრი, შედარებით ნაკლებად შეკრული, ეთნიკური დაჯგუფება პოლიტიკურ ფორმას არ ას ვერ იღებს და არც პოლიტიკურ მისწრავებებს ავლენს. მეორეს მხრივ, ისინი, ვინც სრულყოფილ ეთნიკურ ერთობებად ჩამოყალიბდნენ, ისეთ პოლიტიკურ გამოხატულებას და გაფორმებას ესწრავიან, რასაც ‘ეთნიკურ სახელმწიფო’ შეგვიძლია გუწოდოთ. ასე ხდება მაშინ, როცა მძლავრი სამღვდელოება კულტურული მონოპოლიის მოპოვებას ცდილობს და მჭიდროდ შეკავშირებული და უნიტარული ეთნიკური სამეფოს შექმნისას მმართველი ელიტის მოკავშირე ხდება. ამის მაგალითია ძველი ეგვიპტე და, გარკვეულწილად, ეთნიკურად ბევრად უფრო ჰეტეროგენული აქმენიდური, მოგვიანებით, კი სასანიდური ირანი. აქ ცოტა რამ თუ იყო პოპულაციის შემკვრელი იმ პორიზონტალური ზეკლასობრივი სენტიმენტებიდან, რომელთაც ვხვდებით ნაციებში, რადგან დიდგვაროვნები და სასულიერო წოდება სხვადასხვა განათლებას ღებულობდა, თუმცა, ძველ ეგვიპტეში მაღალი კლასების კულტურა, უნიკალური გეოგრაფიისა და ნილოსის დაბლობის გეოპოლიტიკისა და კულტურაზე სასულიერო ფენის თითქმის სრული მონოპოლიის წყალობით, მაინც აღწევდა ქვედა ფენებამდე (იხ. Frye 1966; David 1982).

სიტუაცია ძველ ისრაელსა და სომხეთში საკმაოდ განსხვავებული იყო (არამეტოდა შესახებ სამსჯელოდ საკმარისი ინფორმაცია არ მოგვეპოვება). ერთობის მძლავრი მითებისა და სიმბოლოების, მასსოვრობებისა და ტრადიციების წარმოშობა, მიგრაცია, ტერიტორია და ისტორია სომხებსა და ებრაელებს არა მარტო უცხოთაგან განსხვავებულობას აცნობიერებინებდა, არამედ ერთმანეთისადმი ნათესაობის განცდასაც. აქ მონოთეისტური რელიგია უქმდება წარმოადგენდა მძლავრ ჩამომაყალიბებელ ფაქტორს. კოლექტიური ბედის შეგრძება და პოლიტიკური სოლიდარობა საზოგადოების ყველა ფენაში დასტურდება, მიუხედავად იმისა, რომ კლასობრივი განსხვავებები აქაც აშეარა, განსაკუთრებით სომხეთში, რომელსაც მიწათმფლობელი არისტოკრატია პყავდა. ყველაზე ნათლად ამას ადასტურებს ებრაელი წინასწარმეტყველების მონანიებისა და თორისადმი

დაბრუნებისაკენ მოწოდებათა გამოძახილი. საერთო ბედის განცდას სომხეთის სამეცნიერო განადგურების შემდგომდროინდელ სომხურ ელიტებში, სომები ისტორიკოსთა ადრექტისტიანულ თხზულებებშიც ვპოულობთ, განსაკუთრებით, მოსე სორენელთან. ორივე შემთხვევაში განსხვავებულობისა და ერთობის განცდას პოლიტიკური ავტონომიურობის სურვილი ახლავს. მიუხდევად იმისა, რომ ეს სურვილი ვერ ასრულდა, იგი მაინც უკან, დამოუკიდებლობის ‘ოქროს ხანის’ იდეალისაკენ მიუთითებს და მომავალი პოლიტიკური აღორძინების იმედსაც ასაზრდოებს (იხ. Lang 1980; Zeitlin 1984; Grosby 1997; Panossian 2000).

აი, ამ შემთხვევებში შეიძლება ვილაპარაკოთ ‘ნაციებზე’ ძველ მსოფლიოში თუმც ფრთხილად და მცირე მასშტაბით, რაც ნიშავს ეთნიკური სახელმწიფოების ადრე გავრცელებული მოდელის გვერდით ახლის შემოტანას. თუმცა ჩვენ ვერ დავასაბუთებთ მასების მონაწილეობას პოლიტიკაში (ან თუნდაც მხოლოდ ზრდასრული მამაკაცებისას კლასიკური ხანის ათენში), ვერც, მითუმეტებ, სამართლებივ მოქალაქეობას ან ეკონომიკურ ერთიანობას. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ კრიტერიუმების სისტემატურ გამოყენებას ბევრი ეწ. მოდერნული ნაციის სათვალავიდან ამოგდებაც კი შეუძლია ისევე, როგორც ‘ნაციათა’ უმრავლესობის წარმოშობის დროის პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გადაწევა თვით დემოკრატიის ქვეყნებშიც.

ალბათ, სწორედ ეს არის საქმის არსი. მოდერნისტების უმრავლესობისათვის რეალურად ნაციების პოვნა მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ ამგვარ საზოგადოებაში შეიძლება მასობრივ მოქალაქეობაზე დარწმუნებით საუბარი. მხედველობის არეში კვლავ ნაციონალური განვითარების ევოლუციური სქემისადმი გვრცენიტრული და დასავლური მიღებმა ჰქცევა. და ეს კვლავ მოდერნული კონტექსტების და კრიტერიუმების თავს მოხვევაა იმ ეპოქებისათვის, რომელთაც საკმაოდ განსხვავებული მიმართებები და მიღებმები ჰქონდათ. ძველი მსოფლიოს ხალხების უმრავლესობისათვის არსებითი იყო აუქსენელ და მძიმეგარე ბუნების ძალებთან ჭიდილი. ეს ძალები იმ ღმერთების მიერ იმართებოდა, რომელთა გულის მოგებაც კოლექტიური რიტუალების ადსრულებითა და მსხვერპლშეწირვით შეიძლებოდა. ამ ვითარებაში მოდერნულ მსოფლიოში არსებული მოქალაქეობის პორიზონტალური ძმობა

ფართომსაშტაბიანი კულტურულებისა და რიტუალებში ხალხის მონაწილეობის, ეთიკური და რელიგიური ვალდებულებების აღსრულების (რაც წარმოსახვითი წინაპრის ერთობას რწმენისა და დვოისმსახურების ერთობაში აქსოვს), ეთნიკური წარმომავლობისა და რჩეულობის სიმბოლოებით და მითებით გამოწვეული ერთობის განცდის, წინაპართა საზიარო მასესვრობების და საგმირო საქმეების ანალოგიურია. იქ, სადაც ადგილი პქონდა ამგვარ ერთიანობას, ჩვენ შეგვიძლია ნაციადყოფნაზე ვილაპარაკოთ, თავისი რელიგიური კანონითა და რიტუალით, რომლებიც მოდერნული მოქალაქეობის სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების გავივალენტის როლს ასრულებდა. ამ გაგებით შეიძლება საუბარი ნაციის განსხვავებულ, ძველ ფორმებზე<sup>25</sup>

### **დინასტიური და პატრიციული ნაციები**

მესამე მოდელის სქემა აღრიან პეისტინგსმა შეიმუშავა შეასაუქაუნეობრივი დინასტიური და/ან პატრიციული ნაციებისათვის ევროპაში. ერთის მხრივ, ესაა დასავლეთის ‘ლატერალურ’ ეთნიკებსა და მძლავრ სახელმწიფოებზე (ინგლისი, შოტლანდია, საფრანგეთი, დანია, შვედეთი და ესპანეთი) დაფუძნებული ძლიერი დინასტიური ნაციები, რომლებიც XII-XV საუკუნეებში წარმოიშვა და რომელთა ექოც აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოშიც (პოლონეთში, რუსეთში და, ერთ დროს, უნგრეთშიც) ისმოდა. პატრიციათა და საშუალო კლასზე დაყრდნობით გაჩნდა ნაკლებად უნიფიცირებული, თუმცა ეთნიკური განსხვავებულობის მძლავრი განცდის, რელიგიური ძმობის გრძნობების მატარებელი და პოლიტიკური ავტონომიურობის მოსურნე ნაციის სხვა სახეც. ამგვარი ნაცია რელიგიური ან ენობრივი თვალსაზრისით (ან ორივეთი) წინაპართა კონკრეტულ სამშობლოსა და საერთო კულტურას უკავშირდებოდა. მე, პირველ რიგში, მხედველობაში მაქს გვიანშუასაუკუნეობრივი შვეიცარია და ნიდერლანდები, უფრო ნაკლებად კი, იმდროინდელი ირლანდია, მთებედავად მისი მუდმივი პოლიტიკური დაქუცმაცებისა. ასეთი ერთობ ექსკლუზიური და სარწმუნოებაზე ორიენტირებული, მაგრამ ნაკლებად მონოლითური ერთობის ტიპი წარმოშვა ძლიერმა მითებმა, სიმბოლოებმა და საგმირო საქმეების მასესვრობამ (იხ. de Paor 1986; Schama 1987; Im Hof 1991).

გვიანდელი შუა საუკუნეების ნაციის ამ თრ, დინასტიურ და პატრიციულ ტიპს შორის განსხვავება არ უნდა გავაზვიადოთ. ორივე მეტნაკლებად იმ ‘ლატერალური’, არისტოკრატიული უთნიერების პროდუქტია, რომელთა მმართველი კლასების კულტურაც საშუალო კლასებამდე და ზოგიერთ შორეულ რეგიონამდე აღწევდა. დინასტიურ ნაციაში კულტურის ამგვარი გავრცელების აგენტი მძლავრი ეთნიკური სახელმწიფო იყო, რომლის მმართველებიც, ‘ბიუროკრატიული ინკორპორაციის’ პროცესის მეშვეობით, სხვადასხვა კლასისა და რეგიონის კომპაქტურ ნაციონალურ სახელმწიფოში შემჭიდროვებასა და უნიფიციერებას ესწრაფვოდნენ. პატრიციულ ნაციაში მეტნაკლებად კომპაქტური არისტოკრატია ან ურბანული პატრიციატი გარეშე ძალებთან და ერთმანეთთან კონფლიქტების წყალობით შეიქმნა. ამას ხშირი და ინტენსიური რელიგიური ციებ-ცხელების პერიოდებში ეხმარებოდნენ სულიერი ლიდერები. შედეგად მიღებული გეოპოლიტიკური დაშორება და იზოლაციის გარემონტინირების კი ხელს უწყობდა რელიგიური კულტურის გავრცელებას საშუალო და ქვედა ფენებში. შუა საუკუნეებში ნაციათა ჩამოყალიბების ამგვარი ნელი ტემპით და არათანაბრად მიმდინარე პროცესები უნდა განვასხვავოთ მოდერნულ პერიოდში ინტელიგენციისა და ბურჟუაზიის მიერ საშუალო კლასის ნაციაქმნადობის უფრო მეტად შემჭიდროებული და მიზანმიმართული პროცესებისაგან (იხ. A.D.Smith 1989).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პერიოდის მსოფლიოში სხვადასხვა სახის ეთნიკური დაჯგუფება სჭარბობს. ნაციები, იქნება ეს დინასტიური ოუ უფრო პატრიციული და საშუალო კლასის ზედა ფენა, რენენსანსისა და რეფორმაციის შემდეგაც გამონაკლისად რჩება. რევოლუციური ნაციონალიზმის მოსვლამდე უკროპაში (მსოფლიოზე რომ არაფერი ვთქვათ) არ განმეორებულა შვეიცარიის, პოლანდიის და ირლანდიის მაგალითები. ამავე მიზეზით, არც დასავლური და ჩრდილოეროპული დინასტიური ნაციონალური სახელმწიფოები არსებობდა, გარდა პოლონეთის, რუსეთის და, ერთი პერიოდი, უნგრეთისა. შორეული აღმოსავლეთის ‘ეთნიკური სახელმწიფოების’ – ჩინეთის, კორეისა და იაპონიის, ისევე როგორც ტაილანდის, კამბოჯისა და ვიეტნამის და, კიდევ უფრო დასავლეთით, სასანიდური სპარსეთის (მათგან ბევრი, ფაქტობრივად, მცირე ან დიდ ეთნიკურ უმცირესობებს

შეიცავდა) შიგნით ძმობის გრძნობა სუსტი, ხოლო ერთიანობა არამყარი იყო საიმისოდ, რომ უცხოთა პირისპირ საცუთარი ეთნიკური განსხვავებულობის განცდა შეესაბამებინა წინაპართა მიწაზე პოლიტიკური ავტონომიურობის შენარჩუნების სურვილისათვის. კლასობრივი განსხვავებები მონიშნული იყო, მთელს მოსახლეობასა და ტერიტორიაზე სუსტი იყო კულტის მსახურებაში მასების მონაწილეობა (შესაძლოა, იაპონიის გამოკლებით), კონომიკური ერთიანობა და სამართლებრივი სტანდარტიზაცია.

იაპონიაში ასეთი ვითარება გახლდათ ტოკუგავა სიოგუნთა დინასტიამდე (1603–1868). მეჩვიდმეტე საუკუნიდან გარე სამყაროსაგან იაპონელთა გაძლიერებულმა იზოლაციამ, საშუალო კლასის კულტურისა და სოლიდარობის ზრდამ, რასაც ხელს უწყობდა იაპონელთა შედარებითი ეთნიკური პომოგენურობა და კუნძულის გეოგრაფიაც, გამოიწვია რჩეულობის განცდის გაჩენა და ისტორიულ და კულტურულ აღორძინებას დაუდო სათავე, რაც მოგვიანებით, მეიდის რეჟიმის დროს, იმპერატორის ტახტის აღდგენის მომასწავებელი შეიქნა. მეიდის ლიდერები ცდილობდნენ დიადი წარსულის გამოყენებას აწყოსთვის და, თუმცა დასავლური დაპყრობები ცვლილებებისთვის სტიმულის მომცემი იყო, მათი ფორმა და შინაარსი მაინც ტოკუგავას იაპონიის და კიდევ უფრო ადრინდელი იმპერიული წარსულიდან მომდინარეობდა. ასე ჩაუყარა საფუძველი მოდერნულ იაპონურ ნაციონალიზმს ეთნიკურად შედარებით პომოგენურმა, საშუალო კლასის ნაციონალიზმი 1868 წლიდან (იხ. Lehmann 1982, მაგრამ შდრ. Doak 1997).

სხვაგვარი გამონაკლისი გახლდათ სეფევიდური სპარსეთი (1501–1722). ირანის პლატოს ნაწილებში ერთმანეთის მონაცელე მმართველმა დინასტიებმა გაზარდეს ირანის ეთნიკური და გეოგრაფიული მრავალფეროვნება, რითაც ხელი შეუშალეს შოველგვარი ზეკლასობრივი ძმობისა და თანამონაწილეობის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული სპარსული იდენტობისა და რჩეულობის განცდა, რომელიც XI საუკუნეების ახალი სპარსული ენის აღორძინებაში გამოვლინდა, მომდევნო საუკუნეებში განათლებული ელიტის ვიწრო წრიოთ იფარგლებოდა. მაგრამ 1501 წლიდან მძლავრმა თურქელი წარმოშობის დინასტიამ სათავე დაუდო პოლიტიკურ აღორძინებასა და კულტურულ რენენსანსს, რაც მათი მებრძოლი შიიტური სარწმუნოებით იყო გაღვივებული. და

პირუებუ, ამ დინასტიის მიერ ირანის გაერთიანებაშ ხელი შეუწყო თორმეტთა შიიზმის გაგრცელებას შაჰ-აბასის დედაქალაქიდან, ისპანანიდან, რასაც შედეგად 1722 წლისათვის მთელს ირანში სპარსულ ენაზე მოლაპარაკეთა უმეტესობის შიიტობაზე მოქცევა მოჰყვა. ხოლო სპარსული იდენტობა მზარდად, და იქნებ მიზანმიმართულადაც, ემთხვეოდა შიიზმს. მიუხედავად იმისა, რომ აღორძინება შემდგომში, ყაჯართა ავლანური დინასტიის (1796–1925) დროს შენელდა, მან მაინც მოასწორ საფუძველი მოემზადებინა სოლიდარობის განსხვავებული, საშუალო კლასის ეთნიკური სპარსული განცდისათვის, რომელმაც პოლიტიკური გამოხატულება 1905–1906 წლების საკონსტიტუციო მოძრაობაში ჰქოვა (იხ. Cottam 1979; Keddie 1981: ოვები 1–3).

### **რეგოლუციურად ნაციონალისტი ნაციები**

**საშუალო კლასის ნაციონალიზმი.** პოლანდიის ამბოხებამ და ინგლისის სამოქალაქო ომშა ნაციის ახალი და ბევრად უფრო კომეტიური და მიზანმიმართული ტიპი შვა. პირველ რიგში, მას ასაზრდოებდა ქრისტიანობის მებრძოლი, რეფორმირებული და პურიტანული ვერსია ეთნიკური რჩეულობის ამაღლებული განცდით, რომელმაც არა მარტო ერთბაშად წამოაექნა რეჯიმის ახალი ტიპი (პურიტანულ ისლამურ მოძრაობებს ამის გასაკეთებლად საუკუნეები დასჭირდა), არამედ ძველი აღთქმის მოდელებზე დაფუძნებული პოლიტიკური ავტონომიურობისა და სახალხო მონაწილეობის ახალი სახის მოთხოვნილებებიც წარმოშვა. ეს მოთხოვნილებები შეჯამდა ისეთ საპანძო ცნებებში, როგორიცაა ‘ნაცია’ და ‘მოქალაქე’. მათ გაუკვალეს გზა ბურუუზიულ დემოკრატიულ ნაციონალიზმს, რომელშიც კულტურულად მრავალფეროვანი ‘ხალხი’ ძალაუფლების ერთადერთი ლეგიტიმური წერტილი უნდა გამხდარიყო, ხოლო ამ ხალხის წევრობა – მოქალაქეებისათვის განკუთვნილი თავისუფლებებისა და უფლებების მოპოვების ერთადერთი საშუალება. საშუალო კლასის ამგვარი ნაციონალურ-დემოკრატიული ლოგიკით ურანგული განმანათლებლობის ფილოსოფოსებმა და პუბლიცისტებმა დაწყვიტეს აბსოლუტისტური სახელმწიფოს ხუნდები და საფუძველი გამოაცალეს მას და პრივილეგიების მისეული სისტემის

პრინციპებს, დაფუძნებულთ ძირითადად წარმომავლობაზე (იხ. Walzer 1985).

მაგრამ ამ განვითარების ნაციონალისტური ელემენტი, ყველა ასპექტით, ისეთივე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, როგორიც დემოკრატიული. ‘ნაციისადმი’ მოწოდებამ (რომელიც პარლამენტების მიერ ცენტრალისტურ აბსოლუტიზმთან მისი თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლებიდან საფრანგეთში პირველ ადგილზე წამოიწა) ისევ ‘ნაციონალური ხასიათისა’ და ‘ნაციის გენის’ ცნებებს მიმართა. ეს ცნებები წოდების არმქონე მიწათმფლობელებისა და საშუალო კლასის ზედა ფენის მიერ თავდაპირველად ინგლისში, ხოლო შემდეგ კი, XVIII საუკუნის დასაწყისში, საფრანგეთშიც განვითარდა. ამ იდეებმა, თავის მხრივ, კიდევ უფრო ძველი ეთნიკური მასესოვრობები და ეთნიკური რჩეულობის რელიგიური რწმენები (იმის თაობაზე, რომ დმურთი მფარველობს და აკურთხებს იმ ხალხებს, რომელიც მას ემორჩილებიან და რწმენით აღასრულებდენ მათზე დაკისრებულ მისიას) ამოკრიბებს და მათი სეკულარიზება მოახდინეს. საფრანგეთში ამგვარი, ძველი ისრაელის პროტოტიპთან დაკავშირებული და მეფის ფიგურასა და მის საუფლოზე ცენტრირებული, რწმენის პოვნა XIII საუკუნეშიც კი შეიძლება, ხოლო ადრეულ ფორმებს უფრო ადრეც, ფრანგების სამეფოში და ანგლო-საქსებშიც კი, ვპოულობთ (იხ. Armstrong 1982: 154–159; Beaune 1985).

ეს მოხდა ‘ვერტიკალურ’ ან დემოტურ ეთნიკებსა და სეკულარიზაციის გზაზე მდგრმ ინტელიგენციაში, რომელშიც ამ იდეებმა გარკვეული გამოიხილი პპოვეს. XX საუკუნის დასაწყისში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შემდეგ კი აზიასა და აფრიკაში ინტელექტუალები ცდილობდნენ თავიანთ ეთნიკურ მემკვიდრეობასა და ვერნაკულურ კულტურებთან დაბრუნებას, და საშუალო და, გარკვეულწილად, დაბალი ქლასების მობილიზებას პოლიტიკური ქმედებისათვის. ‘ვერნაკულური მობილიზაცია’, დემოტიკური ეთნიკების სახელით მოიცავდა დაბრუნებული ინტელიგენციის მიერ ადგილობრივი კულტურის თავიდან აღმოჩენას, მისაკუთრებას და პოლიტიზებას, როგორც საძირკველს სახალხო აგიტაციისა და პოლიტიკური პრეტენზიებისათვის. ამგვარი ‘ქვემოდან ზემოთ’ მიმართული მიდგომა განსაკუთრებით მათვის აღმოჩნდა მიმზიდველი, ვისი ერთობებიც დიდი ხანი იყო ინკორპორირებული და დაქვემდებარებული დიდ და ხშირად დამრთვუნველ იმპერიებს,

და მოკლებული იყო მძღავრ ინსტიტუციებს, რომელთაც შეეძლოთ ეტარებინათ და თავს მოქვიათ ახალი ხედვა და შესაბამისი პოლიტიკური მიზნები (იხ. A.D.Smith 1986: თავი 4 და 1989).

ამის შემდეგ სხვა არაევროპელ ხალხებს დიდი ხანი არ დასჭირებულიათ, თავიანთი ინტელიგენციების წინამდღოდობით, კულტურული უნიკალურობისა და დემოტურ უთნიერთა ეთნიკური რჩეულობის რწმენაზე დაფუძნებული ნაციალუროფნის განცდის ძებნისა და პოვნისათვის. სიახლე იყო XVIII საუკუნის ბოლოს გაჩენილი ნაციონალური აკტონომიურობის, ერთობისა და იდენტობის რწმენების პოლიტიკურ პროგრამად გარდასაქმნელი მზა გეგმა. ინტელექტუალებისა და საშუალო კლასის წამოწევებით, ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, ეთნიკური წინაპრისა და რჩეულობის ადრევე არსებული განცდის სახალხო მონაწილეობისა და აკტონომიურობის რევოლუციურ იდეალებთან შედნობით დაიბადა. ამ კაგშირიდან იშვა ნაციონალური თვითგამორკვევის დოქტრინა და მისი მემკვიდრე სხვადასხვა სახის ნაციონალური იდენტობები, დაფუძნებული ისეთ მრავალფეროვან კრიტერიუმებზე, როგორებიცაა ენა, ეთნიკურობა, ტერიტორია, რელიგია, ისტორია და კანის ფერი, კრიტერიუმებზე, რომლებმაც, ნაციონალიზმის ტერიტორიულ-პოლიტიკური და ეთნოლინგვისტური ტიპების გარდა, სხვებიც წარმოშვა (იხ. Armstrong 1995).

**მასობრივი ნაციონალიზმები.** საშუალო კლასის ანგლო-ფრანგული ნაციონალური მოდელის წარმატებამ დრმა კვალი დააწინა სოციალურ და გეოპოლიტიკურ აზრს როგორც ევროპაში, ისე მის გარეთ. უპირველეს ყოვლისა, სხვებისათვისაც გახდა შესაძლებელი ამ წარმატების როგორც იდეოლოგიური, ასევე ეპონომიკური და პოლიტიკური კომპონენტების გაანალიზება. ეს ნიშნავდა, რომ ამ წარმატების ფორმისა და შინაარსის გეგმა შეიძლებოდა გამოცალევებულიყო, რასაც შედეგად მოჰკვებოდა ნაციონალური ფორმატი, დაფუძნებული შემდგებზე:

- (1) ისტორიულ ტერიტორიაზე ან სამშობლოზე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი იყო შედარებით კომპაქტური;
- (2) თუ არა პომოგენურ, ტერიტორიულად უნიფიცირებულ და სოციალურად კოჰეზიურ მოსახლეობაზე მაინც;

- (3) მთელ ტერიტორიაზე უნიფიცირებულ ეპონომიკაზე ერთიანი პროფესიული სისტემითა და მობილურობით;
- (4) ერთიან, საზიარო და თავისებურ საჯარო კულტურაზე, უმჯობესია, ერთიანი ქნით;
- (5) განსხვავებულობის მითებისა და კოლექტიური მახსოვრობების სიმრავლეზე, უმჯობესია, უნიფიცირებული ისტორიით; და
- (6) ყველა წევრის საერთო უფლება-მოვალეობებზე მისი, როგორც მოქალაქის, ჩართვით ფართო აგტონომიურ და, უმჯობესია, დამოუკიდებელ და სუვერენულ ნაციონალურ ერთობაში.

ნაციონალური იდენტობის კრიტერიუმების მრავალფეროვნების ფონზე სულაც არაა გასაკვირი, რომ თვითგანსაზღვრადი ‘სალხების’ სიმრავლე სხვადასხვა ხერხით ცდილობს ნაციონალისტური გეგმის გამოყენებას მეტი ავტონომიურობის, ერთობისა და იდენტობისადმი საკუთარი მისწრაფებების ხორცშესახსებმელად. გაერთიანებულ ირლანდიელთა 1798 წლის აჯანყების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისი მოწმე შეიქნა ესპანეთში, რუსეთსა და გერმანიაში ნაპოლეონის იმპერიულ-ნაციონალისტური ამბიციებისადმი ნაციონალური წინააღმდევების ზრდისა, და სერბეთსა და საბერძნეთში ერთმანეთის მიყოლებით ორი ამბოხებისა ოტომანთა იმპერიის წინააღმდევები, რომელსაც მალევე მოჰყვა პოლონელთა წარუმატებელი აჯანყება ვარისტული იმპერიის წინააღმდევები, ხოლო ბელგიაში პრეტენზია განაცხადა ცალკე სახელმწიფოს შექმნაზე და მიაღწია კიდეც ამას. მეტიც, 1810 წლიდან მოყოლებული, ესპანეთის ლათინურ ამერიკული პროვინციების კრეოლთა ელიტაშ გაიმარჯვა ესპანეთის იმპერიის დაშლისათვის ბრძოლაში და დააფუძნა რიგი ლათინურ ამერიკული სახელმწიფოებისა. მიუხედავად იმისა, რომ სადაცოა, თუ იმ დროს რამდენად პქონდა ამ ამბოხებებს საკუთრივ ნაციონალისტური განზომილება, მაგრამ უეჭველია, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან მათში ნაციონალიზმი მომდლავრდა, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ნაციონალურ-დემოკრატიული განვითარების ლოგიკურობასა და ნაციონალისტური გეგმის ძალასა და ვარგისიანობას (იხ. Humphreys and Lynch 1965; Anderson 1991: თავი 4).

XIX საუკუნის განმავლობაში ევროპასა და, შემდგომ, აზიაში არა მარტო იმატა ამგვარი თვითგანმსაზღვრებლი

ნაციების რიცხვმა, არამედ ნაციონალისტური გეგმის დემოკრატიულმა ლოგიკამაც მალე სრული გამოხატულება პპოვა საარჩევნო უფლების გაფართოებასა და ყველა წევრის, როგორც კანონის წინაშე თანასწორუფლებიანი მოქალაქის, ნაციონალურ ერთობაში ჩართვაში. თუმცა ამას თან ახლდა ბრძოლები, უკან დახევები და წყვეტილები. XX საუკუნის დასაწყისში ქალები, ხოლო XX საუკუნის ბოლოს ორივე სქესის სრულწლოვანი ადამიანები ერთვებიან პროცესში. მზარდად სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის დემოკრატიულმა მასობრივმა ნაციონალიზმა, რომელიც, პირველ რიგში, მსოფლიო ომებისა და მოდერნული ტექნოლოგიის პროდუქტი იყო, რევოლუციური განვითარების სახით იხინა თავი. მაგრამ იგი არც უპრეცენდენტო ყოფილა და არც მხოლოდ საშუალო კლასის მზა ნაციონალისტური გეგმის ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენდა; მისი სათავეები წარსულში, ზოგიერთი ადრეული და შუასაუკუნეობრივი ნაციის მიერ რჩეულობისა და საკუთარი მისის განცდაში უნდა ვეძოთ. ‘ხალხისა’ და მისი სოციალურ-ეულტურული მოთხოვნების გაკეთილშობილება, რაც მოდერნული მასობრივი ეთნიკური ნაციონალიზმისათვისაა დამახასიათებელი, სარწმუნოებრივი ერთობის განცდასთან გვაბრუნებს, რომელსაც ადრეულ ეთნიკურ ერთობებსა და ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიოს ნაციებში ვხვდებით, და რომელთაგანაც ზოგი გვიანდები ნაციების პროტოპას წარმოადგენს. XX საუკუნის შუა ხანებისათვის, ამგვარი ბოლოდროინდელი ‘რჩეული ხალხები’ და მათი მასობრივი ნაციონალიზმები გამოხატულებას პოულობდნენ და იცდებოდნენ ომში, მათ მიერ ხელახლა აღმოჩენილი იდენტობები კი – მითებში, სიმბოლოებში, დირექტულებებსა და კონფლიქტებში, დაპყრობებისა და წინაღმდეგობის მასსოვრობებში და მთელი ხალხების დევნა-განადგურებაში (იხ. Carr 1945; Marwick 1974; A.D.Smith 1981b).

## დასკვნა

რევოლუციური ნაციონალიზმის გავრცელებისა მასობრივი ნაციების შექმნაში და მისი როლის მთელი ისტორიის (დაწყებული 1848 წლის რევოლუციებიდან, რასობრივი ნაციონალიზმის ჩათვლით და 1945 წლის შემდეგდორინდელი ანტიკოლონიური ნაციონალიზმებით და ბოლოდროინდელი ეთნიკური ნაციონალიზმების გაფურჩქნით

დამთავრებული) გადმოცემა აუცილებლად არ მიმაჩნია. მაგრამ ამ მოძრაობების სამი ასპექტი კი საჭიროებს გამოკვეთას.

პირველია იდეოლოგიური სიახლე. არსებობენ იდეოლოგიური საფუძვლის მქონე მოძრაობები და, შედეგად, წვეულებრივ, იდეოლოგიურად დაფუძნებული ნაციები. ისინი დამოკიდებული არიან ნაციონალიზმის კანონიერების თითქმის უნივერსალურ გაზიარებზე, მისი პრინციპებით განსჯინ და განისჯებიან, ე.ო. ისინი საკუთარ თავს უდგებიან ნაციონალისტური გეგმის კომპონენტების მიხედვით და სხვათა მხრიდანაც ამ კომპონენტებით ფასდებიან. ეს განახლებული ნაციონალიზმები სტაგნაციის ან დაცემის პერიოდის შემდეგ ცდილობენ გეგმას უფრო მეტად დაუახლოვდნენ. მე ვუიქრობ, რომ სწორედ ეს განასხვავებს მოდერნული ნაციონალისტური საფუძვლის მქონე ნაციებს ადრებული, შუა საუკუნეებისა და ანტიკური ხანის პრენაციონალისტური ნაციებისაგან, რომელებსაც არ გააჩნდათ იდეოლოგიური გეგმა ან რაიმე სტანდარტი. მათი ნაციონალიზმები წმინდად პარტიკულარისტული იყო და იმავე ისტორიული ვითარებების გავლენას განიცდიდა, რომლებიც თავად პრემოდერნული ნაცია იმყოფებოდა. მათ არ გააჩნდათ ნაციების რაიმე ‘თეორია’, არამედ მხოლოდ მიზნები და მოცემული ნაციისათვის დამახასიათებელი სენტიმენტები. აქედან გამომდინარე, მათ ნაციონალიზმებს განმეორება ან გავრცელება არ შეეძლოთ; ხელმისაწვდომი არ იყო საყოველთაო იდეათა რაიმე სისტემა, რომელიც შეიძლებოდა უნივერსალურად გამოყენებულიყო და საერთო მიზნებისაერთ მიმართული გარკვეული სახის ქმედება გამოეწვია. ამ აზრით, ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგიამ, დაადასტურა თავისი წყალგამყოფი როლი ადამიანთა ასოციაციებისა და კომუნიკაციების განვითარების ისტორიაში.

მეორე ასპექტია მოდერნული ნაციებისათვის ეთნიკური საფუძვლის მნიშვნელოვნება. მის კვალს ვხედავთ არა მხოლოდ ადრეულ ნაციებში, არამედ XX საუკუნის სახალხო ნაციონალიზმებშიც. ისინიც წინა ეთნიკურ კავშირებსა და სენტიმენტებსაა მორგებული, ისინი სხვადასხა კრიტერიუმით განსაზღვრავნ ‘ნაციონალურ თვითს’, თუმცა ყოველთვის ცდილობენ დომინანტური ეთნიკურ კულტურულ წარსულთან, რაც შეიძლება, მეტ განგრძობადობას მიაღწიონ. ნაციონალისტთა ფაბრიკაციებისა და მითიური გამონაგონების მცდელობისთვის თვალყურის მიდევნება აღვილია. უდავოა, რომ ზოგიერთი ნაციონალისტი ინტელექტუალი თავს იტყუებს

ანდა, როგორც პედური ამტკიცებს, ცინიკურადაც კი მანიაჟლირებს მასების სენტიმენტებით, მაგრამ მათი ხშირი წარმატებულობა მიუთითებს განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე, რომლის ცენტრშიც მოქცეულია ხალხში ‘გამოძახილისა’ და ხალხისადმი ‘მოწოდების’ საჭიროება. ვინაიდან წმინდა გამონაგონს არ ძალუბს დიდი ხნით დააინტერესოს ადამიანთა დიდი რაოდენობა (გაიხსენეთ ესპერანტო), ინტელექტუალთა და სხვების ხელახალი აღმოჩენებიცა და ახალი კონსტრუქციებიც სახალხო პერცეფციებთან რაც შეიძლება ახლოს უნდა დარჩენილიყო. მათ ‘ხალხის ტრადიციების’ კულტურული პარამეტრებით უნდა ესარგებლათ, როდესაც ეთნიკური ერთობის განცდის პოლიტიზებასა და ამ ტრადიციების, როგორც ნაციონალური თვითგამორკვევის პოლიტიკური ბრძოლისათვის დრმა კულტურული რესურსების, რეინტერპრეტაციას ახდენდნენ.

ბოლო თვალსაზრისი შევეხება კონიკებისა და ნაციების შინაგან საჭყაროს ‘ხალხისათვის’ მოწოდება შესაძლებელია მხოლოდ მათი კოლექტიური მახსოვრობების, სიმბოლოების, მითების, დირებულებებისა და ტრადიციების აღმოჩენისა და გამოყენების გზით. შიდა სამყაროს ჩასაწვდომად ჩვენი ანალიზიც მიმართული უნდა იყოს ეთნოსიმბოლისტური ელემენტების მოძიებისა და განხილვისკენ. ეს საზიარო მახსოვრობანი ოქროს ხანების, წინაპრების, დიდი გმირების შესახებ და ის საზოგადო დირებულებები, რომელთაც ისინი განასახიერებენ, ეთნიკური წარმოშობის, მიგრაციის და დვოითრჩეულობის მითები, ერთობის სიმბოლოები, ტერიტორია, ისტორია და განსაკუთრებული ბედისწერა, ისევე როგორც, ნათესაურ ურთიერთობათა წეს-ჩვეულებები და თავგანწირვებს ტრადიციები დაგვეხმარება ეთნიკური წარსულის ნაციონალური აწმეოსა და მომავლთან ურთიერთობის, კონკრეტულად კი, ეთნიკურ ერთობებს და პრემოდერნულ და მოდერნულ ნაციების შორის ურთიერთქავშირების და წყვეტილების გაცნობიერებაში. ნაციების ამჟამინდელი თვითშეგნების გაგება, საკუთარი ისტორიისა და ბედისწერის გამორჩეულობის რწმენის ჩაწვდომა წარმოუდგენელია რომელიმე ეთნოსიმბოლისტური ელემენტის უგულებელყოფით. ნაციების შიდა ისტორიის ადგევატური წვდომის გარეშე კი, ჩვენ უმწეონი აღმოგჩნდებით, შევაფასოთ მათი მომავალი განვითარება გლობალურ ერაში.

## პერსპექტივები

---

სახალხო სოციალური ნაციონალიზმების ძალასა და საყოვლთაობას ვერაფერი დააკლო უკუღმართმა მოვლენებმა და მსოფლიო ომების პოლოგოსტებმა. პირიქით, მათ ახალი ძალა და ბიძგი მიეცათ სამოქალაქო პირთა ტოტალური მონაწილეობით საომარ მოქმედებებში. ნაციონალიზმის თემაზე დასავლეთისა და კომუნისტური ქვეყნების მდუმარების მიუხედავად, რომელიც მხოლოდ აფრიკასა და აზიაში კოლონიზაციის საწინააღმდეგამ მოძრაობათა თანმდევმა იმედის დიდმა ტალღამ დაარღვია, ეგროპელ და ამერიკელ ნაციებს პოლიტიკაში უფრო დრმად ჰქონდათ ფესვი გადგმული, ვიდრე ოდესმე. გაეროს წევრობა მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო და, მისი წესდების თანახმად, თვითგამორკევის პრინციპის გამოყენება დასაშვები იყო მხოლოდ განთავისუფლებული კოლონიების მიმართ. საყოველთაოდ იქნა გაზიარებული სახალხო თანხმობის არსებობის შემთხვევაში ‘ნაციონალისტური’ მტკიცებულებების, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ერთადერთი საფუძვლის, კანონიერება. ამან დაგვანახა, თუ რას მიაღწია ნაციამ, როგორც სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვაკუთხედმა, XX საუკუნის მეორე ნახევარში.

### მზარდი ნაციონალიზმი

შემდგომმა მოვლენებმა ოდნავ თუ შეარყია ნაციისა და ნაციონალისტური პრინციპის ცენტრალური პოზიცია. ამათაგან უადრესი, დეკოლონიზაციის პროცესი ევროპული და ამერიკული ნაციონალური ლეგიტიმურობისა და სახალხო სუვერენობის პრინციპის საფუძველზევე წარიმართა. ახლა ეს პრინციპი ბოლო დროს განთავისუფლებული კოლონიებიდან ახალი ნაციების შესაქმნელად გამოიყენებოდა, ოდონდ ძველ საზოგადოებებსა და კულტურებზე დაყრდნობით. ეს ‘ნაციათა მშენებლობის’ ერა იყო, როცა უმეტესწილად ევროპული

მოდელის თარგზე გამოჭრილი ახალი სახელმწიფოები მივიღეთ აფრიკასა და აზიაში.<sup>1</sup>

მიმედ შემოაბიჯა ეწ. ‘ეთნიკურმა აღორძინებამ’ დასავლეთის ინდუსტრიულ საზოგადოებებში – კვებებსა და ფლანდრიაში, შოტლანდიასა და კატალონიაში, ბრეტანსა და ეუსკადაში, კორსიკასა და უელსში. აქ ძველთაგანვე დამკვიდრებული სახელმწიფოების დომინანტური ეთნიკური უმრავლესობებისა და მათი ცენტრალიზებული მთავრობების წინააღმდეგ უპირატესად საშუალო კლასის ‘პერიფერიულ უმცირესობათ’ ამბობა კლასიკური ევროპული მასობრივი ნაციონალიზმების ზოგიერთ უძველეს სიმბოლოს, მთს და მასსევრობას მიმართა, თუმცა იგი უფრო სოციალური და ხშირად სოციალისტური პროგრამებით და უფრო შეზღუდული პოლიტიკური ამოცანებისათვის, ხშირად კი სულაც კულტურული და ეპონომიკური ავტონომიისათვის ხორციელდებოდა, ვიდრე სრული დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილით. XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 70-იან წლებში ეთნიკური ავტონომიის მისაღწევად წამოწყებული მოძრაობა (ამერიკაში ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლასთან ერთად) სტუდენტურ, ფემინისტურ და ეკოლოგიურ მოძრაობას გადაეხლართა, რამაც საგრძნობლად დაბაბა სიტუაცია მყარი დემოკრატიის სახელმწიფოებში. ეს მიზნად ისახავდა აღორძინებადი ეთნორეგიონალური ლოიალობების სამყაროში ფუნქციებისა და სიცოცხლისუნარიანობის გადაფასებას.<sup>2</sup>

ამ გამოწვევის გამოძახილი დასავლეთში ჯერ კიდევ ისმოდა, როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში პერსეტროიკისა და გლასინოსტის ახალმა პოლიტიკამ აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალური განხეთქილება წარმოშვა და ეთნიკური მისწრაფებები გამოაღვიძა. პოლონეთში უფრო ადრეც, XX საუკუნის 80-ანი წლების შეახნებში კი უკვე ბალტიისპირეთში, უკრაინაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში შექმნილმა დაძაბულობამ და კონფლიქტებმა, დააჩქარა, ან, იქნებ, სულაც გამოიწვია, საბჭოთა კავშირისა და მისი იმპერიის მსხვრევა ეთნონაციონალური საზღვრების გაყოლებით. ეთნიკური ნაციონალიზმების ამ ახალ ტალღას ერთ-ერთი შედეგად პატარა ხალხებისა და დამოკიდებული ნაციების მისწრაფებებისათვის, ზოგადად, ნაციონალიზმისათვის, საჯარო ლეგიტიმურობის მეტ-ნაკლები აღდგენა მოჰყვა,

რამდენადაც მაშინ ისე ჩანდა, რომ სახალხო მოძრაობის მოტივი კოლექტიური თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ ჰქონდა მისწრავება იყო. ყოფილ საბჭოთა კავშირში და, განსაკუთრებით, ბალკანეთში იმედი არ გამართლდა, ამის მაგივრად თითქოსდა დადასტურდა ურღვევი კავშირი ექსკლუზიურ ეთნიკურ წმენდას' შორის, ევროპის პოლიტიკური რუკა არსებული ეთნონაციონალური დაყოფის შესაბამისად კიდევ ერთხელ საგრძნობლად შეიცვალა, რამდენადაც აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკოსები სულ უფრო და უფრო ექცევდნენ ნაციონალურად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების, მათი ელიტის მოთხოვნებისა და ინტერესების ტევეობაში.<sup>3</sup>

თუკი მოვლენათა ამგვარ განვითარებას დავუმატებო ეთნიკური ნაციონალიზმების განგრძობად გავრცელებას და ტერიტორიული ნაციონალიზმების მდგრადობას აფრიკისა და აზიის ახალ სახელმწიფოებში თამილებიდან და მოროდან დაწყებული და ქურთებით, სამხრეთსუდანელებით და ერიტრიელებით დამთავრებული, გაგვიკვირდება კიდეც, რომ რომელიმე მკვლევარი ჯერ კიდევ სერიოზულად საუბრობს ნაციონალიზმის შემცირებაზე, რომ ადარაფერი ვთქვათ, მის იმანქტურ აღსასრულზე.

ერიკ ჰობსბაუმი სწორედ ამას ამტკიცებს ეთნიკური და ტერიტორიული ნაციონალიზმების სწრაფ გავრცელებაზე დაკვირვებით. რას გულისხმობებ ჰობსბაუმი და მისი მომხრეები?

ჰობსბაუმისათვის ნაციონალიზმების მომძლავრება დროებითია; ის მხოლოდ ნიდაბია ‘ისტორიის მოძრაობისათვის’, რომელიც სინამდვილეში ადამიანთა უფრო დიდი გაერთანებისაკენაა მიმართული. ნაციონალიზმი კვლავაც იარსებებს, მაგრამ უფრო მცირე და მეორესარისხოვან როლს შეასრულებს. ჰობსბაუმი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ უნდა დაკარგონ ნაციურმა მნიშვნელოვნება. ‘ნაციასახელმწიფოებმა’ ადრინდელი ეპონომიკური და სამხედრო ფუნქციები რომც დაკარგონ (რაც გარდაუკლად მიაჩნია ჰობსბაუმს), რატომ უნდა გამოიწოოს ამან ‘ნაციების’ ამოძირევა? განა სახელმწიფო სუვერენობის დაკარგება ნაციონალური იდენტობის შეზღუდვას გულისხმობს? (Hobsbawm 1990: თავი 6).

ამგვარი კითხვები იმ საკითხთა კომპლექსურობაზე მიუთითებს, რომლებიც ნაციებისა და ნაციონალიზმის ე.წ.

‘მონაცელეობას’ ან ‘ტრანსცენდებობას’ ეხება. ჩვენ, ფაქტობრივად, სულ მცირე, სამი სხვადასხვა მტკიცების და მათგან გამომდინარე დებატების პრისპორ ვდგავართ. პირველი ‘ნაცია-სახელმწიფოს’ და მის იმანენტურ აღსასრულს ან მდგრადობას შეეხება, მეორე ‘ნაციონალური იდენტობის’ ტრანსფორმაციებსა და შესაძლო ფრაგმენტაციაზეა ფოკუსირებული, მაშინ, როცა მესამე ყურადღების კონცენტრირებას ‘ნაციონალიზმის’ იდეოლოგიების დაცემასა და მათ შესაძლო მონაცელეობაზე ახდენს. მე მათ რიგრიგობით განვიხილავ.

## ნაცია-სახელმწიფოს დასასრული?

იმის მტკიცება, რომ პოლიტიკური ერთობის გარკვეული ტიპი, რომელიც ხშირად ‘ნაცია-სახელმწიფოდ’ იწოდება, საბოლოოდ მოსპობის წინაშეა, ჩვეულებრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძვლებზე დაყრდნობით კეთდება. ის გულისხმობს, რომ:

- (1) ტერმინით ‘ნაცია-სახელმწიფო’ ისეთი გამოკვეთილი და განსხვავებული პოლიტიკური ერთობა აღინიშნება, რომლის ცალკე მოაზრებაც შესაძლებელია;
- (2) შესაბამისად, შესაძლებელი ხდება ამ ტიპიდან დროთა განმავლობაში მომხდარი გადახრების შეფასება და, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მისი ძალის და/ან კოპეზიურობის შესუსტების ჩვენება;
- (3) ამგვარი ტრაექტორია იმ ისტორიული ცვლილებებითა და სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციითაა გამოწვეული, რომლებიც, ‘ნაცია-სახელმწიფოებს’ აღარსად უტოვებენ ადგილს, გარდა ფოლკლორისა.

1. როგორც ვნახეთ, წმინდა ‘ნაცია-სახელმწიფოდ’, წოდებული პოლიტიკური ერთობა ძალიან იშვიათად გვხვდება. შეიძლება ითქას, რომ ნაცია-სახელმწიფო მხოლოდ იქ არსებობს, სადაც სახელმწიფოს მოელი მოსახლეობა მეტნაკლებად ერთსა და იმავე ეთნონაციონალურ ჯგუფს განეცუთვნება და, სადაც ჯგუფის საზღვრები სახელმწიფოსას შეესაბამება. მხოლოდ ამ შემთხვევაში თანხვდება ‘ნაცია’ და ‘სახელმწიფო’. ამგვარი დამთხვევა ძალიან იშვიათია, კერძოდ, დღვეანდელ, მიგრაციებისა და გულტურული შერევის

მსოფლიოში. უფრო გავრცელებულია პოლიტიკური ერთობის ის ტიპი, რომელიც ცნობილია, როგორც ‘ნაციონალური სახელმწიფო’. მისი მოსახლეობის უმრავლესობა ერთ დომინანტურ ეთნონაციონალურ ჯგუფს განეკუთვნება და, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო საზღვრების შიგნით მცირე ეთნიკური ჯგუფებიც მოიძებნება, მასში პოლიტიკური ერთობა ნაციონალისტური იდეოლოგიის დოქტრინის ფარგლებშია ლეგიტიმური (იხ. Connor 1972; Wiberg 1983).

2. კიდევაც რომ მოვახერხოთ და დაგამტკიცოთ, რომ ‘ნაცია-სახელმწიფოს’ ცნების გამოყენება ფართოდაა შესაძლებელი, მაინც გაგვიჭირდებოდა მისი ძალის და/ან კოჰეზიის დაცემისაკენ მიმართული გამოკვეთილი ტენდენციის ჩვენება; კიდევ უფრო რთულია ამის გაკეთება ნაციონალური სახელმწიფოების შემთხვევაში. არგუმენტი გულისხმობს, რომ XIX საუკუნის გარკვეულ მომენტში ნაციონალური სახელმწიფო (ან ნაცია-სახელმწიფო) პოლიტიკური ორგანიზაციის დომინანტური ფორმა იყო. მისი დაცემა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მთავარი ფუნქციების დაკარგვის შედეგად ძალისა და კოჰეზიის სიმაღლეებიდან დაშვებით იწყება. ამ უკანასკნელთა მთავარ მაჩვენებლად, ჩვეულებრივ, მთხოვენ სრული სუვერენიტეტის ან, თუნდაც, საგარეო საქმეების წარმართვაში ფართო ავტონომიურობის ქონას. ფაქტობრივად, ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ნაციონალურ სახელმწიფოს ჰქონდა შეუზღუდავი სუვერენიტეტი; სახელმწიფოები შებორჭილნი იყვნენ სხვადასხვა ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით და არ ფლობდნენ ბერკეტებს ეფექტური ცვლილებების განსახორციელებლად შედარებით განუვითარებელი ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების გამო. ეს ეხება როგორც საგარეო საქმეებისა და საომარი მოქმედებების წარმოებას, ისე საშინაო კონტროლსა და ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს. მართალია, XIX საუკუნის დასასრულიდან სახელმწიფოთა შესაძლებლობები დიდად გაიზარდა, მაგრამ ისინი მაინც ვერ შეეძრებოდნენ თანამედროვე სახელმწიფოთა ძალაუფლებას, და მხოლოდ ერთი მუჭა დიდი სახელმწიფოებისათვის იყვნენ მისაწვდომი. იგივე ითქმის სახელმწიფოთა კოჰეზიურობაზეც. როცა თანამედროვე ეთნიკურ და რეგიონალურ მოძრაობებს ვაფასებთ, არ უნდა დაგივიწყოთ არც გასული ორი საუკუნის განმავლობაში ბევრ ნაციონალურ სახელმწიფოში მიმდინარე

ეთნიკური, რელიგიური და რეგიონული მოძრაობები, მათი მცირე მასშტაბის მიუხედავად. დღეს პოლიტიკური სოლიდარობის დაცვის შანსიც ბევრად მეტია, რადგანაც სახელმწიფო ელიტას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, პროპაგანდის ტექნიკა და სახალხო განათლების სისტემა საშუალებას აძლევს მოსახლეობას საერთო დირებულებები, სენტრიმენტები და რწმენები ჩაუნერგოს, განსაკუთრებით თუ ისინი 'ნაციონალური' ხასიათისაა. ეს ტერიტორიული და ეთნიკური ნაციონალიზმების გამდლეობის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს (იხ. Kahan 1968).

3. სავსებით მართალია, რომ ნაციონალურმა სახელმწიფომ მრავალი თავისი ადრინდელი ეკონომიკური ფუნქცია დაპარგა და, ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შექმნის შემდეგ, მისი სამსედრო თავისუფლებაც მკაცრად შეინდუდა. ფულის უზარმაზარი ბრუნვის, გასაღების ბაზრებისა და გიგანტური ტრანსნაციონალური კომპანიების წარმოშობამ (რომელთაც თავიანთი ბიუჯეტებით, პერსონალით, ინვესტიციებით და ტექნიკური გამოცდილებით ბევრად გაუსწრეს შედარებით პატარა სახელმწიფოებს) და უზარმაზარი პოლიტიკური და სამსედრო ბლოკებისა და მულტინაციონალური მართვის სტრუქტურების შექმნაშ უეჭველად ამოშალა ეკონომიკური ავტონომიურობა და უმძლავრესი სახელმწიფოების სამსედრო არჩევანიც კი შეინდუდა. მაგრამ ამგვარი ეროვნის ხარისხის შეფასებას ამნელებს ადრეული პერიოდის ნაციონალური სახელმწიფოების მიერ ეკონომიკური და სამსედრო ძალაუფლების განხორციელების შესახებ არსებული ინფორმაციის სიმწირე ყოველ შემთხვევაში, მას ენაცვლება ნაციონალური სახელმწიფოს ახალი ფუნქციები, რომელსაც იგი ნაციონალური ხასიათისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის სახელით ასრულებს. ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოსა და ხელისუფლების ფუნქციები როგორ ინაცვლებს ეკონომიკური და სამსედრო სფეროდან სოციალურ და კულტურულ სფეროში, საგარეო სუვერენიტეტიდან შიდა კონტროლისაკენ. საქმარისია გავიხსნოთ სახელმწიფო რეგულირების უზარმაზარი ზრდა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მასობრივი სახალხო განათლება, ჯანმრთელობისა და დედათა და ბაგშვთა დაცვა, მოსახლეობისა და გარემოს დაგეგმვა, იმიგრაცია, მასმედია, ხელოვნება, სპორტი და კულტურა, პროფესიები და შრომითი საქმიანობა, პროფესიურები და

ხელფასები, გადასახდები და ფისკალური პოლიტიკა და კიდევ ბევრი სხვა რამ, რათა დაგასკვნათ, რომ ნაციონალურ სახელმწიფოს გაქრობა არ ემუქრება და იგი უფრო ცენტრალიზებული, კოორდინირებული და მძლავრი ხდება. გარედან ზეწოლის მიუხედავად, სახელმწიფოს უპირველესი ფუნქცია – კანონიერება და წესრიგი, ხელშეუხებელი რჩება და სახელმწიფო ხელისუფლებისა და კონტროლის უმთავრეს ბერკეტად გადაიქცევა, და ასევე მოიაზრება. მთლიანობაში ნაციონალურ სახელმწიფოს ახლა თავისი მონიტორინგით, მარეგულირებული და ბიუროკრატიული კონტროლით ბევრად უფრო პირდაპირ, მდგრადად და ყოვლისმოცველად შეუძლია ჩარევა, ვიდრე ოდგამე მოდერნული (პრემოდერნულს რომ თავი დავანებოთ) ისტორიის განმავლობაში.<sup>4</sup>

მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. ნაციონალური სახელმწიფოს შესუსტების გარდაუგლობას ასევე უპავშირებენ გლობალიზაციის შედეგებს. მე აქ ამ ცნების თაობაზე კამათში ვერ ჩავერთვები. უბრალოდ აღვნიშნავ, რომ, ეპონომიკურ დამოუკიდებლობასა და მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებასთან ერთად, ვიწროვდება დრო და სივრცე. ამის მაჩვენებელია მსოფლიოს ერთ ნაწილში მიმდინარე მოვლენების მყისიერი გამოძახილი მის მეორე ნაწილში, რასაც გლობალური მასობრივი კომუნიკაციების სწრაფ ზრდასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მათ მსგავსთ უნდა ვუმადლოდეთ. მაგრამ საკითხავია, აქცევს თუ არა ეს მთელ ჩვენს სამყაროს ‘ერთ ადგილად’. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ათწლეულებში ნაციონალური სახელმწიფოს საზღვრები უფრო შედრევადი გახდა, მასობრივ კომუნიკაციებს საზღვრების კვალი მთლიანად არ წაუშლია და არც ნაციონალური სახელმწიფოს მარეგულირებელი და საზედამხედველო ფუნქციები შეუმცირებია. პირიქით, სახელმწიფო ელიტები ინფორმაციის გავრცელებაზე და კულტურის სფეროში თავიანთი ძალაუფლების გაზრდას ესწრავვიან, რისთვისაც სხვა სახელმწიფოებთან ხშირად დებენ მრავალმხრივ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს. მთელს მსოფლიოში მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების მომრავლებამ სხვადასხვა კონვენციებით და ხელშეკრულებებით ზოგ დიდ სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლება შეუზღვდა, პატარა სახელმწიფოთა უმეტესობა კი არც არასდროს სარგებლობდა დიდი ავტონომიურობით. მაგრამ ყველაფერმა ამან გაზარდა ნაციონალური

სახელმწიფოს ძალაცა და ხანგრძლივობაც, რომელიც ახლა ერთადერთ ლეგიტიმურ ინტერნაციონალურ აქტორად გაიაზრება.<sup>5</sup>

ამას ის შეიძლება დავუპირისპიროთ, რომ ახლა ეკონომიკურმა და კულტურულმა ძალებმა ბევრად უფრო დიდი პოლიტიკური ერთეულების და კულტურული სივრცეების საჭიროება შექმნეს და ამიტომაც შეინიშნება ახალი კონტინენტალური ასოციაციებისა და კავშირების ზრდა. მათ შორის აღსანიშნავია ევროპის კავშირი, რომელიც ვიწრო საბაჟო კავშირიდან ნამდვილი ევროპული ფედერალური სახელმწიფოსა და ევროპული კულტურული იდენტობის შექმნისაკენ მიმართულ დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამეგობრობად გარდაიქმნა. მიუხედავად დღევანდელი ევროპის კავშირის დევიზისა ‘ერთობა მრავალფეროვნებაშია’, პანევროპელთა მიერ ნამდვილი ევროპული ერთობისა და იდენტობის მიღწევა მხოლოდ ნაციონალური იდენტობის ხარჯზე ნაკლებად საჭიროა. ყოველ შემთხვევაში, ისინი უნდა მოელოდნენ ნაციონალური იდენტობათა ძალისა და ინტენსივობის მნიშვნელოვან შემცირებას და, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნეში შეერთებული შტატების ან გერმანიის შექმნის ანალოგიურად, არსებული ლოიალობების ნაციონალური სახელმწიფოსაგან ფედერალური კავშირისათვის გადაცემას. ფედერალური ცენტრისათვის ფუნქციებისა და ძალაუფლებების თანდათანობით, უსაფრთხო გადაცემის უზრუნველყოფით ისინი ვარაუდობენ ისეთი ინსტიტუციონალური პოლიტიკური ჩარჩოს შექმნას, რომელიც ხალხის ლოიალობებს საბოლოოდ გააკონტროლებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ დასაშვებად მიაჩნიათ, რომ სუვერენობის გადაცემას იდენტობის შეცვლა მოჰყვება (იხ. Wallace 1990; Reikmann 1997).

სახელმწიფო სუვერენობასა და ნაციონალურ იდენტობას შორის სავარაუდო კავშირი ევროფილებსა და ევროსკეპტიკოსებს შორის მიმდინარე დებატების უმრავლესობას უდევს საფუძველად, ისევე როგორც ევროპული ინტეგრაციის ეტაპების განვითარების თაობაზე ჩატარებულ რამდენიმე რეფერენდუმს. ამით უნდა იყოს განპირობებული ევროვალუტის სივრცეში შესვლაზე უარის განცხადება დანიის, ბრიტანეთის და, შესაძლოა, შვედეთის მიერაც ისევე, როგორც ევროკავშირში შესვლაზე განაცხადეს უარი ნორვეგიამ და შვეიცარიამ. მაგრამ განა სუვერენიტეტი და იდენტობა ასე

მჭიდროდაა ურთიერთდაკაგშირებული? რესო ურჩევდა პოლონელებს, რომელთაც ის-ის იყო დამოუკიდებლობა დაკარგეს, თავისი წეს-წეველებები და კულტურა შეენარჩუნებინათ. შემდგომ კი დავინახეთ, რომ ასი წლის განმავლობაში განხორციელებულმა მრავალგვარმა მცდელობაშ შეესუსტებინათ ან სრულად აღმოეფხვრათ პოლონური იდენტობა, კრახი განიცადა. ევროპაში ხომ სახელმწიფოთა ამგვარი დანაწევრების მსგავსი არაფერი არ არის განზრახული. პირიქით, იგულისხმება, რომ ევროპული დირექტივები ნაციონალური სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუციების მეშვეობით უნდა აღსრულდეს, რაც კიდევ მეტად აღჭურავს მათ ლეგიტიმურობითა და ძალაუფლებით. მეტიც, სახელმწიფოებს, როგორც ‘დამხმარეებს’, უნარჩუნდებათ გარევეული თავისუფლებები და ძალაუფლებები, სანაცვლოდ კი ‘ზემოდან გაერთიანების’ პროცესის მეშვეობით სახელმწიფო კანონებისა და მოქმედებების პარმონიზაციის უზრუნველყოფა მოეთხოვებათ ჯერ ეკონომიკურ და სოციალურ, ხოლო შემდგომ პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში. აქ საკითხავი ის არის, თუ დაახლოებით რამდენ ხანს დაუჭირს ამ პროექტს მხარს შემადგენელ ნაციონალურ სახელმწიფოებში ხალხი და, რამდენად შეაგიწროებს ევროპული ფედერალური სახელმწიფო არსებულ ნაციონალურ სახელმწიფოებს მათ უმთავრეს ფუნქციებსა და ძალაუფლებებში, ისევე როგორც მოქალაქეთა პოლიტიკურ სენტრიზებში.<sup>6</sup>

### პიბრიდული იდენტობანი?

ნაციონალური სახელმწიფო თუ გამოწვევას ზემოდან, უფრო დიდი პოლიტიკური ჯგუფებისა და ასოციაციებისაგან იდებს, ნაციონალურ იდენტობას ანუ პოლიტიკური სოლიდარობის შიდა კავშირს საფრთხე ქვემოდან, უფრო პატარა ჯგუფების პრეტენზიების გამო ექმნება. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მოსახლეობის მასობრივი გადადგილებები მოხდა, რის გამოც ბევრი საზოგადოების (განსაკუთრებით დასავლეთში) კულტურული შემადგენლობის და თვითხატის შეცვლა დაიწყო. ლტოლვილების და თაგშესაფრის მქებნელთა, *Gastarbeiter* და ყოფილი კოლონიების მცხოვრებთა ახალმა ნაკადმა ერთიანი, პომოგენური ნაციონალური იდენტობის ტრადიციული

დირექტლებები და რწმენები შეარყია. ეს ნაციონალური იდეოლოგიებისა და ერთიანი ნაციის შესახებ დამრიგებლურ მოთხოვნათა გამოწვევად იქცა, ზოგ შემთხვევაში კი ‘ნაციონალურ ერთობაში’ სუსტად შექავშირებულ რიგ კულტურულ ერთობებს ჩაენაცვლა. ‘მულტიკულტურულ ნაციაში’ ყოველი თვითი ‘სხვებთან’ კავშირში განისაზღვრება. პომი ბაბას აზრით, ოფიციალური ტაქსიტები გზას უთმობენ ხალხის ყოველდღიურ, ‘თეატრალიზებულ’ თხრობას, რომელშიც ისტორიისა და იდენტობის პერცეფცია იხლისქმა და ორდება, ნაცია შემადგენელ კულტურულ ნაწილებად ფრაგმენტირდება, ნაციონალური იდენტობა კი ‘ჰიბრიდიზირდება’ (Bhabha 1990: თავი 16).<sup>7</sup>

ბოლოდროინდელმა მასობრივმა მიგრაციებმა ბევრი ნაციის კულტურული შემადგენლობა, უდავოდ, შეცვალეს, ისევე, როგორც მასობრივმა სატრანსპორტო გადაზიდვებმა და ტურიზმმა, სატელიტურმა კომუნიკაციებმა და საინფორმაციო ტექნოლოგიებმა; მათ სხვა კულტურების და ხალხების შესახებ ცოდნის დონე აამაღლეს, რამაც ნაციის კულტურული ერთიანობის და მისი საერთო, ოუნდაც შორეული, წარმოშობის შესახებ ძეველ თვალსაჩინო გარკვეულობას საფუძველი გამოაცალა. თუმცა რეალურად ისინი არც არასოდეს ყოფილან უეჭველი. ყოველთვის არსებობდა ურთიერთსაპირისპირო მითები წარმოშობის შესახებ და ნაციონალური კულტურის ალტერნატიული მახსოვრობანი (მაშინაც კი, როდესაც ზოგი მათგანი დროებით დომინანტური და ოფიციალური ხდებოდა). ეს ნიშნავდა, რომ ‘ნაციონალური იდენტობა’ ყოველთვის, ყოველი თაობის მიერ სელახლა გაიაზრებოდა და ახალ ფორმას იძენდა. იქნებ რომანატიკულ ეთნიკურ ნაციონალიზმს პომოგენური, ერთიანი შეუკორწინებელი ნაცია სწუროდა, რომელიც ერთადერთ ავთენტურ ‘ულს’ გამოხატავდა, მაგრამ ეს შორეულ იდეალს განასახიერებდა და მხოლოდ იშვიათად თუ იქცევდა პოლიტიკურ პროგრამად. მაშინაც კი, როცა ნაციონალური სახელმწიფო მასობრივი სახალხო განათლების გზით უნიფიცირებული მოქალაქეობის შექმნას გურებოდა, იგი ‘ნაციონალური იდენტობის’ ბუნების რწმენებისა და კონცეფციების ცვლილებებზეც რეაგირებდა, მის გამოჭედვას და ახალი თაობისათვის გადაცემას ცდილობდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოდერნულ სახელმწიფოთა უმრავლესობა ეთნიკურად პლურალური და პეტეროგენულია, და ნაციონალისტების უმეტესობა ნაციონალურ ერთიანობას

ესწრაფვის, პომოგენურობას კი ძალზე იშვიათად. ნაციონალური ერთიანობა შეიძლება სულაც არ იყო მირაჟი, როგორც უილიამ მაკნეილი ამტკიცებს; ჩვეულებრივ მას ზოგადი ინტერპრეტაცია ეძლეოდა, როგორც კოლექტიურ მიღწევასა და მოვალეობას, ოქნანის სიტყვებით რომ ვთქვათ, ‘ფართომასშტაბიან სოლიდარობას, წარსულში გადებული მსხვერპლის შედეგად მიღწეულს, ისეთს, რომლისთვისაც მომავალშიც გაწირავენ თავს’ (1882, ციტირებულია Bhabha 1990: 19; შდრ. McNeill 1986: თავი 2). კულტურული პლურალიზმის შედეგად ან სანგრძლივი ისტორიის წყალობით, ბევრ დასავლურ სახელმწიფოში ამოქმედდა ნაციონალიზმის უფრო მოქალაქეობრივი და ტერიტორიული ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც იმიგრანტებმა და დევნილებმა შეძლეს მოქალაქის კანონიერი ადგილის დამკვიდრება მასპინძელ ნაციაში. მათ ზოგჯერ სთავაზობენ ნაციის რეინტერპრეტაციისა და პოლიტიკური იდენტობის შექმნისაკენ მიმართულ კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას, რათა მათი კულტურები და მსოფლმხედვა ახალი საერთო ნაციონალური იდენტობის შემადგენერალ ელემენტად იქცეს.

მიუხედავად ამისა, ნაციონალური რეინტერპრეტაციის შესაძლებლობები შეზღუდულია. ერთიანი საჯარო კულტურა და საერთო უფლება-მოვალეობათა თავისებური ნაკრები ისტორიულ სამშობლოსთან მიმართებაში იდენტიფიკაციასა და ლეგიტიმაციას საჭიროებს. პოლიტიკური სოლიდარობა, წარმოშობის ზოგიერთი მითის, ისტორიული მახსოვრობებისა და კოლექტიური სიმბოლოების კულტივირებას მოითხოვს, რათა ადამიანები კოლექტიური კუთხილებისა და საერთო ქმედებაში ჩართვის აზრს ჩაწვდნენ. ამგვარი მითები, სიმბოლოები და მახსოვრობები სახელდებული ნაციის ან ნაციონალური სახელმწიფოს მოსახლეობის დიდმა სეგმენტებმა უნდა აიტაცოს. ეს უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე წმინდა მოქალაქეობრივი და ტერიტორიული ნაციონალიზმია, რომლისათვის საცხოვრებელი ადგილი და რესპუბლიკისადმი ლოიალობა ნაციის მოქალაქეობის მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენს. ამ უკნასენელს შეიძლება კომბინირება ან ჩანაცვლებაც კი დასჭირდეს ნაციადყოფნის სხვა, კულტურული კრიტერიუმებით (შესაძლოა, ნაციონალური სოლიდარობის გენეალოგიური ტესტის ჩათვლითაც), რომელთა მიხედვითაც, მხოლოდ დომინანტური ეთნიკური შობილთ შეუძლიათ თავი მიაჩნდეთ ნაციის წევრებად და, მაშასადამე, ნაციონალური

სახელმწიფოს მოქალაქეებად. ამგვარად, ჩვენ იმის მოწმე ვხდებით, რომ ისეთ რაციონალურ და ლიბერალურ სახალმწიფოშიც კი, როგორიც საფრანგეთია, რევოლუციის დროინდელი, თავდაპირველად უფრო მოქალაქეობრივი და ტერიტორიული ფრანგული ნაციონალიზმი დრეიფუსის საქმის პერიოდში და ვიშის რეჟიმის დროს ფრანგული ნაციის შესახებ ბევრად უფრო შეზღუდულ თვალსაზრისს უხსნის გზას, რომელიც გულისხმობს ნაციისადმი მხოლოდ იმათ მიეუთვებას, ვინც საფრანგეთში ფრანგულ კათოლიკურ ოჯახში დაიბადა. აქედან გამომდინარებს დოგიკური დასკვნა, რომ ეს კულტურული საფრანგეთი კულტურულად და ფიზიკურად უნდა განიწმინდოს კოროზის გამომწვევი მტრული ელგმენტებისაგან, რომლებიც, როგორც ირკვევა, საფრთხეს უქმნიან ნაციის მორალურ კოპუზიას და კულტურულ ინდივიდუალობას (იხ. Viroli 1995).<sup>8</sup>

თუმა ასეთი რამ ხდება, სიფრთხილით უნდა მოვევიდოთ იმ მტკიცებას, რომ მოდერნული დასავლური სახელმწიფოების ნაციონალური იდენტობები 'პიბრიდული' და ფრაგმენტული გახდა, და, რომ ადგილობრივი თუ იმიგრანტული წარმოშობის მოსახლეობის ძირითადი სეგმენტი, ისეთ კულტურულ ჯგუფად გადაიქცა, რომელიც უფრო მაღალი რანგის და ზემდგომ ნაციას უპირისპირდება. შეიძლება მოდერნულ ნაციას ერთზე მეტი სახე პქონდეს და შერეულმა ქორწინებებმა მოსახლეობის შერვა კულტურული თვალსაზრისით დააჩქაროს უახლოეს წარსულთან შედარებით. მაგრამ განსახილველ სახელმწიფოთაგან ბევრი ინარჩუნებს დიდი ხნის წინანდელ დომინანტურ ეთნიკებს. ხოლო დიდი ქალაქების გარეთ მცხოვრები დომინანტური ეთნიკები წევრები ინარჩუნებენ მშობლიურ (თუმცა ცვალებად) კულტურებს, მასსოვრობებს, სიმბოლოებსა და წარმოშობის მითებს. ის ფაქტი, რომ ნაციონალური იდენტობის იდეა დასავლეთში დაუსრულებელი დებატების საგანს წარმოადგენს და პერიოდულ რევიზიას განიცდის, იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი კოლექტიური კულტურული იდენტობა მნიშვნელოვან მიხნებს ემსახურება და მოდერნული ეპოქის სასიცოხლო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. საერთოდ, ნაციონალურ იდენტობას უფრო მეტად დასავლეთის გარეთ ესწრაფვიან, სადაც კოლონიალიზმის მიერ გადამტერებული ხალხებისათვის ადგილის პოვნა და პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კულტურული კუთვნილების გარკვევის საჭიროება უფრო

მეტადაც ვერ ითმენს. როგორც პართა ჩათერჯიძე ნათლად დაგვანახა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მოსახლეობას (მაგალითად, ინდოეთის ნახევარკუნძულზე) ერთზე მეტი ‘ნაციონალური იდენტობა’ აქვს, ნაციის პოლიტიკური ერთობისთვის ტრადიციების, სიმბოლოების, მითების და მასსოვარობების გაერთიანების ცდებს აუცილებლად სდევს თან პოლიტიკური ბრძოლები და მოსახლეობის ფართომასშტაბიანი მობილიზაცია აფრიკისა და აზიის ახალ სახელმწიფოებში (Chatterjee 1993; იხ., აგრეთვე, Brown 1994).

## ნაციონალიზმის გაქრობა?

ნაციონალურ იდენტობას ჯერ კიდევ ენიჭება მნიშვნელობა. რა შეიძლება ითქვას თავად ნაციონალიზმზე? აქვს კი მას მომავალი? ნაციონალიზმის და ნაციების პერსპექტივებზე რადიკალური თეზის წამოაყენა მსოფლიო ისტორიის გამოჩენილმა სპეციალისტმა უილიამ მაკნეილმა. ის ასაბუთებს, რომ ცივილიზებული საზოგადოების წარმატება განპირობებულია მისი უნარით დიდი რაოდენობით მიზიდოს სხვადასხვა უნარ-ჩვევების მქონე ადამიანები. მაშასადამე, პოლიეთნიკურობა წარმოადგენს ისტორიულ ნორმას და არა ნაციონალური ერთიანობა. პრემოდერნული იმპერიების კულტურულად შერგეული ხასიათი ღრმავდებოდა მათზე სიმდიდრისა და ძალაუფლების მოშურნე ტომების პერიოდული თავდასხმებით, ხშირი ეპიდემიებით (რაც ურბანულ მოსახლეობას ფიტავდა და მუშახელზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქალაქის მოსახლეობის სოფლიდან შევსების საჭიროებას იწვევდა) და შორეულ ქვეყნებთან გაჭრობით (რაც ისეთი, ხშირად ურთიერთმტრულად განწყობილი გაერთიანებების მიერ იყო ორგანიზებული, რომელთაც საკუთარი, წმინდა წერილთან დაკავშირებული და, შესაბამისად, თან გადასატანი, რელიგიები ჰქონდათ). ამის გამო ცივილიზებული საზოგადოები წარმოადგენდნენ ოსტატთა კოსმოპოლიტურ იერარქიებს. ბარბაროსობის მხოლოდ ისეთმა ავანპოსტებმა შეინარჩუნეს თავიანთი მონოეთნიკური ხასიათი, როგორებიც პრემოდერნული ინგლისი და იაპონია იყო (McNeill 1986: თავი 1).

ეს კულტურული დაახლოებით 1700 წლის შემდეგ შეიცვალა. კლასიკური პუმანიზმის გავლენამ და პოლიტიკური

სოლიდარობის მისეული იდეალებმა, მკითხველი პუბლიკისა და გერნაკულური ლიტერატურების აღორძინებამ, ადგილობრივი მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ დასავლეთ ევროპაში (რომელიც სამუშაო ძალაზე ურბანული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას ეთნიკურად პომოგენური სასოფლო რაიონებიდან შევსებით იძლეოდა), და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, (ინფანტერიის გამოწვრთნაში რევოლუციის მიბაძვით) სახოგადოების ცხოვრებაში სამხედროთა ფართო მონაწილეობის გაჩენამ სოლიდარობისა და მმობის ახალი განცდა წაახალისა: XVIII საუკუნის ბოლოს ყველა ეს ფაქტორი ერთად მოდის დასაგლეთში ‘რათა მოდერნული ნაციონალიზმი შვას’, თავისი ‘ნაციონალური მმობისა და ეთნიკური ერთიანობის მითით’ (იქვე: 51, 56).

მაგრამ ორი მსოფლიო ომის შედეგად სიტუაცია შეიცვალა და ნაციონალისტური იდეალი დაიმსხვრა. ყველაფერმა: ზიზღმა ნაცისტთა ბარბაროსობისადმი, უზარმაზარმა მატერიალურმა ზარალმა და ტოტალური ომის მარტოდ წარმოების შეუძლებლობამ, ათასობით ეთნიკურად ჰეტეროგენული მუშახლის და ჯარისკაცის შერჩევის საჭიროებამ, ფართო ტრანსნაციონალური წარმოებების და მასობრივი კომუნიკაციების, ისევე როგორც მრავალმხრივი სამხედრო ბლოკების რიცხვის ზრდამ ძირი გამოუთხარა ნაციონალური სახელმწიფოს ავტონომიურობას და ძალაუფლებას. შედეგად პოლიეთნიკური იერარქია დაბრუნდა, რათა კვლავაც სათანადოდ დაკმაყოფლებულიყო გადაუდებელი მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშახლზე. ფაქტობრივად, ნაციონალური ერთიანობის პირველყოფილი იდეალი არა მარტო კაცობრიობის ისტორიის ცდომილება იყო, საბოლოო ჯამში იგი მირაჟიც აღმოჩნდა; სოციალურ რეალობას ყოველთვის პოლიეთნიკური იერარქია წარმოადგენდა თვით ‘ნაციონალისტურ’ დასავლეთშიც კი.

ერთი შეხედვით, ეს დამაჯერებელი თეზისია. პოლიეთნიკურობა იყო და კვლავაც რჩება ადამიანური ყოფიერების ერთ-ერთ მუდმივ მახასიათებლად. მაგრამ მაკნეოლის თეზისი ეყრდნობა ეთნიკებსა და ნაციებს, ეთნიკურობასა და ნაციონალიზმს შორის იმაზე ბევრად დიდი უფსკრულის არსებობას, ვიდრე ამის საფუძველს ისტორიული მონაცემები იძლევა. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კომპაქტურ ეთნიკება და, იქნებ, ნაციასაც, არავითარი მყარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ პრემოდერნულ პოლიეთნიკურ

ეპოქებში (და არა ‘ცივილიზაციის’ მიჯნაზე) ეთნიკურობისა და ნაციადყოფნის ურთიერთობა უშედეგოდ მივიჩნიოთ. თუმცა მათ შორის არსებული ანალიტიკური განსხვავება კრიტიკული მნიშვნელობისაა. პრაქტიკაში, მაქნეილის აზრით, ეთნიკურობა და ნაციადყოფნა ურთიერთგადამკვეთი და, ზოგჯერ, ერთმანეთთან შეზრდილიც კია. როგორც ვნახეთ, მხოლოდ ფანატიკურ ორგანულ ნაციონალისტებს სურთ ნამდვილი კულტურული პომოგენურობა; ეთნიკური ნაციონალისტების უმრავლესობა კულტურის, ნებისა და მიზნების უფრო ზერელე ერთიანობას სჯერდება. მეტიც, ეთნიკურობა ასევე ხშირად აყალიბებს კულტურულ ბაზისს ნაციონალიზმის ტერიტორიული და პოლიტიკური პრეტენზიებისათვის, ხოლო თანამედროვე ნაციონალიზმების უმეტესობა ერთი ან მეტი ეთნიკ არსებობას უმყარება. მაპნეილი ვერ ამჩნევს, თუ როგორ ქმნიან კუთვნილებისა და ლოიალობის კონცენტრულ წრებს პოსტმოდერნული ცივილიზაციის მის მიერ შემოთავაზებული ეთნიკური კომპონენტები, ვერც იმას, რომ ადამიანი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ინკლუზიურ ერთობას მიეკუთვნებოდეს და ყოველი მათგანის მიმართ ჰქონდეს მოვალეობის გრძნობა, იქნება ეს ოჯახი, კლანი, ეთნიკ, ნაცია ან, იქნებ, კონტინენტური კულტურული ერთობა. ყოველი მათგანის დონეზე მოქმედებს ‘მმობისა და ერთიანობის’ მითები.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნაციას დღეს ადარა აქვს სხვა კულტურულ ერთობებზე მეტი მნიშვნელობა; რომ ის ‘შრავალ იდენტობათა’ შორის მხოლოდ ერთ-ერთი არჩევანია ინდივიდის სხვა შესაძლო იდენტიფიკაციათა შორის? თუ ასეა, გლობალურ საზოგადოებასა და კულტურაში, ბევრად მეტი ადამიანისათვის მდიდარი და მრავალფეროვანი შესაძლებლობების პირობებში, შესუსტდება თუ არა ნაციონალისტური არჩევანი? თუ არსებობს ნაციისათვის უფრო ფუნდამენტური და ყოვლისმომცველი რამ, რის გამოც ნაციონალისტური არჩევანი პოსტმოდერნისტულ საზოგადოებებისთვისაც შეიძლება დარჩეს განმეორებად თავისებურებად?<sup>9</sup>

### მომსმარებელი საზოგადოება

მოსაზრება, რომ პოსტმოდერნისტული საზოგადოება ‘პოსტნაციონალურიცაა’, რასაც თან სდევს ნაციონალური

სენტმენტების გაქრობა და ნაციონალისტური იდეოლოგიების მიმართ იმედგაცრუების ზრდა, იმგვარი კოსმოპოლიტური გლობალური კულტურის წარმოქმნის თეზისს ემსარება, რომელიც ერთიმეორეს მიყოლებით იერთებს და შლის ნაციონალურ კულტურებსა და იდენტობებს.

ამ თეზისის ორი ვერსია არსებობს. პირველი ხაზს უსვამს მასების მომხმარებლობას, არნახულ მატერიალურ სარგებლიანობას სულ უფრო და უფრო ძეგლი ადამიანისათვის მთელს მსოფლოში, რამდენადაც დასავლური წარმოების პროდუქტები, ტექნოლოგიები და კაპიტალი ახალ სამომხმარებლო ბაზრებს ეძებენ და ცხოვრების დონეს თანდათანობით ამაღლებენ დასავლეთის გარეთ. ეს თვალსაზრისი ითვალისწინებს, რომ უზარმაზარი ტრანსნაციონალური კომპანიები მასიურად აწარმოებენ მოხმარების საგნებს და იზრდება მოხმარების შაბლონების სტანდარტულობა, რამდენადაც ცხოვრების სტანდარტებით ყველგანად მისაღები დასავლური ნაწარმისა და მომსახურების შეძენა. მოხმარების საგნების ნაკადი და მომხმარებლობის ხიბლი ნაციონალურ საზღვრებსა და ნაციონალური მთავრობის მიერ რეგულირებას სულ უფრო აუქლეურებს და უადგილოდ აქცევს. მაგრამ ნაციონალიზმის დაცემის მთავარი ფაქტორი მაინც ნაციონალური კულტურების უგულებელყოფაა. მასობრივი მომხმარებლობის ‘კულტურული იმპერიალიზმი’ შლის ნაციონალურ კულტურათა შორის არსებულ განსხვავებებს, რამდენადაც ისინი საგნების შეფუთვამდე და ფოლკლორამდე დაჰყავს. ასევე, იგი საფუძველს აცლის ავტორიზრი კულტურისა და საზოგადოების შექმნის შესაძლებლობას ყველაზე უფრო უნარიანი პიროვნებების ნაღების მოხდით, ემიგრაციისა და ტრანსნაციონალურ კაპიტალისტურ ეკონომიკაში ელიტის კოოპტირების გზით (იხ. Tomlinson 1991: თავი 3).

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, უდავოდ, გაიზარდა საგნების წარმოებაც და მოხმარებაც, რის შედეგადაც კულტურულმა მსგავსებამ სხვადასხვა სფეროში (არქიტექტურიდან და ტრანსპორტიდან დაწყებული და ჯანდაცვით, განათლებით და მასმედიით დამთავრებული) გადაწონა ნაციონალური კულტურული სხვაობანი. კერძოდ, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებმა დასავლური პროდუქტებისა და საქმიანი აქტივობის საბითუმო ტრანსფერებით შესაძლებელი გახადა დასავლური სტილისა და

ინსტიტუციური მოდელების რეპროდუქცია. ამავე დროს, ეს რეპროდუქციები და ტრანსფერები ნაციონალური მთავრობების მიერაა ორგანიზებული და ადაპტირებულია ნაციონალური ერთობების კონკრეტულ პრინციპებთან და კულტურულ პრაქტიკასთან. მეტიც, დასავლური ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების (ინგლისური ენის ჩათვლით) მიღებასთან ერთად, ბევრი ნაციონალური სახელმწიფოს ელიტა, კულტურულ იმპერიალიზმთან დასაპირისპირებისას ცდილობს თავისი კულტურული პრაქტიკა, რწმენები და სტილები დანერგოს, ესწრავის რა ნაციონალურ კულტურულ ავტონომიას, მიუხედავად გლობალური მომხმარებლობის მიღებისა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა რელიგიის, ენისა და ლიტერატურის და ისტორიის სფეროებში, მაგრამ იგი აგრეთვე შეიძლება გამოვლინდეს ხელოვნებასა და არქიტექტურაში, მუსიკაში (დასავლური პოპულარულის გვერდით), დასვენებასა და ყოველდღიურ ყოფაში, ისევე როგორც პოლიტიკურ და სამართლებრივ პრაქტიკაში. ამ შემთხვევებში კულტურულ ნაციონალიზმს სამომხმარებლო გლობალიზმთან თანაარსებობა და მისით საზრდოობა შეუძლია (იხ. Richmond 1984; Schlesinger 1987 და 1991: ნაწილი III).

მაგრამ ‘ნაციონალიზმი’, როგორც ეს მეორე თავში ვნახეთ, უფრო მეტია, ვიდრე ნაციონალური სენტიმენტები ანდა ნაციონალისტური იდეოლოგია. იგი აგრეთვე ‘ავთენტურობაზე’ დაფუძნებული საჯარო და პოლიტიზებული კულტურის ფორმაა, ისევე როგორც წინაპართა მიწაზე მოქალაქეთა საკრალურ ერთობაში ნაციონალური იდენტობის, ავტონომიურობისა და ერთიანობის მაძიებელი პოლიტიკური რელიგიის ტიპი. სხვა სიტყვებით, ნაციონალიზმი ესწრავის ნაციების შექმნას ადრინდელი (თუმცა მოდერნული გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პირობების შესაბამისად ტრანსფორმირებული) ეთნიკური და რელიგიური ერთობების ‘ავთენტური’ სულისკვეთებისა და სახის მიხედვით. ეს შეიძლება გულისხმობდეს ადრეული მითების, სიმბოლოების, კოდების, ტრადიციების და მასსოფრობების ერთგვარ სელექციასა და რეინტერპრეტაციას, მაგრამ ყოველთვის არსებული კულტურებისა და ერთობების პარამეტრებისა და ავთენტური სულისკვეთების ფარგლებში. ვინაიდან ახლად შექმნილი ნაციების ელიტებს სურთ მომხმარებლობის იმპერიალისტურ ფორმებს წინააღმდეგობა

გაუწიონ, ერთიანობისა და ავტონომიის მისაღწევად ისინი მიმართავენ ადრე არსებულ ზოგ კულტურულ რესურსს. აქედან მომდინარეობს მათი უნარიც ეპონომიკური და სოციალური განვითარებისაკენ მიმავალ გზაზე მოახდინონ მოქალაქეთა მობილიზაცია თავგანწირვისათვის, მაშინაც კი, როცა დასავლური ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის მიღებას ესწრაფვიან და დასავლურ საქონელსა და მომსახურებას იყენებენ და იძენენ.

## გლობალური კულტურა?

‘პოსტნაციონალური’ წესრიგისა და ნაციონალიზმის დასუსტების თეზისის მეორე ვერსია კლემპტონულ მასობრივ კომუნიკაციებზე დაფუძნებული გლობალური კულტურის ცნებით იწყება. ამტკიცებენ, რომ მარქსისა და ენგელსის წინასწარმეტყველებიდან საუკუნის გასვლის შემდეგ ინფორმაციულმა საზოგადოებამ და მასობრივმა კომუნიკაციებმა გლობალურ კულტურას სწორედ ისეთი პირობები შეუქმნეს, რომელებშიც ერთიანი, კოსმოპოლიტური და სამეცნიერო კულტურა მთელს მსოფლიოს მოიცავს და აუქმებს ყველა ადრე არსებულ ეთნიკურ და ნაციონალურ კულტურას. ახალმა ციფრულმა რევოლუციამ და კომპიუტერიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიის ფართოდ გაგრცელებამ საფუძვლი გამოაცალა ადრე არსებული კულტურების მიმზიდველობას და შეუსაბამო გახადა არამეცნიერული გაგებები. რაც მთავარია, ისინი ამგვარ კულტურებს წარმოაჩენენ როგორც ნაწილობრივს, არარაციონალურსა და ‘რომატიკულს’ და, აქედან გამომდინარე, მათ განმარტავენ, როგორც კაცობრიობის ისტორიის სხვა, წარსული ეპოქის კუთვნილებას, რომელიც (ალბათ, იმდროინდელი ხელოვნების ქმნილებების გამოკლებით) ‘არაფერს გაასწავლის’. ამ ეპოქის კვლევას, მსგავსად ნებისმიერი, წინარეციფრული ეპოქისა, შეიძლება თავისი სიბლიო ჰქონდეს, მაგრამ, გელნერის თვალსაზრისით, ის ჩვენს დღევანდელ კულტურულ მიმართებებს უფრო მეტად არ შეესაბამება, ვიდრე პრემოდერნული კულტურები ნაციონალურ მოდერნულ დროს. ამ შეხედულების მიხედვით, ნაცია და ნაციონალიზმი რომანტიკული ხანის, მოდერნიზაციის ეპოქის კუთვნილებაა, მაგრამ მასობრივი კომუნიკაციების,

კოსმოპოლიტიზმისა და პიბრიდული კულტურის პირობებში მათ ჩვენთან აღარაფერი ესაქმება.<sup>10</sup>

მასობრივი კომუნიკაციების ეპოქა მასობრივი მიგრაციების ეპოქაცაა. პოსტნაციონალურ ეპოქაში მაკენილისეული ეთნიკური ჯგუფებისა და კულტურების აღრევა და პომი ბაბასეული კულტურულ იდენტობათა პიბრიდიზირება კარგად თავსდება იმის საჭიროებასთან, რომ თავს ყველან ისე გრძნობდე, როგორც საკუთარ სახლში. ამისთვის ყველასათვის ხელმისაწვდომ მედიუმში უნდა შეგეძლოს კომუნიკაცია. ანონიმურ, იმპერსონალურ ქალაქში ნაციონალური ‘ენა და კულტურა’ კი ადარ ადუდაბებს მოვრნულ, ინდუსტრიულ საზოგადეობას, არამედ საინფორმაციო ტექნოლოგია და კომპიუტერული განათლება, რომელიც მასობრივი კომუნიკაბელური, პიბრიდული და პოსტმოდერნული გლობალური საზოგადოების შესაქმნელად ყოველგვარ კულტურულ ბარიერს ლახავს. ეპონომიკური დამოუკიდებლობის ძალებთან ერთად, ეს ფაქტორები უბიძებს პობსბაუმს დაამცროს დამანაწევრებელი, ვიწრო ნაციონალიზმის ტალღის მნიშვნელობა, რომელსაც იგი მიიჩნევს დროებით და მეორეხარისხოვან მოვლენად, გადახრად ჭეშმარიტი ‘ისტორიის მსვლელობიდან’, ცვლილების სოლიდური ძალებისადმი შიშის რეაქციად, უცხოელის ყველან ყოფნით და ოჯახური ფესვების გახმობით გამოწვეულ აღშფოთებად (Hobsbawm 1990: 164, 167–168; შდრ. A.D.Smith 1998: 123–124, 216–218).

კვლავ არაფერი ჩანს ისეთი, ამ თეზისის პოზიტიურ მტკიცებულებებს რომ დაუპირისპირდეს. უეჭველია, ჩვენ მასობრივი კომუნიკაციების ფორმების, გავრცელების არგალის და ინტენსივობის ფართო ცვლილებათა მოწმენი ვართ, თუმც ეს შეიძლება უფრო კუმულაციური ხასიათის იყოს, ვიდრე რევოლუციურისა. ასევე დიდი ზრდა შეიმჩნევა მიგრაციების ტემპებსა და მოცულობაში, თუმც ამის პროპორციულ პრეცენდენტებსაც ჰქონდა ადგილი უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე. მაგრამ არის კი ეს ახალი, გლობალური ტიპის კულტურის შემოტანა? თუ ჩვენ უბრალოდ საქმე გააქცნ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ენის ახალ სახეობასთან, ანუ მედიუმთან მესიჯის გარეშე?

იმის თქმა, რომ ‘ვირტუალური რეალობის’, ე.ი. სამყაროს გარეთ სამყაროს შექმნა, მხოლოდ ტექნოლოგიური მიღწევების ტოლფასია, უდავოდ მასობრივი კომუნიკაციების

რევოლუციის ინტელექტუალური მონაპოვრებისა და მისი პოტენციალის შეუფასებლობა იქნებოდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ასალი საინფორმაციო ტექნოლოგიის შექმნის ‘კულტურის’ განსხვავებულ გლობალურ ფორმად მიჩნევა ნიშნავს მნიშვნელობათა გარკვეული სიმრავლის მქონე სიტყვების საგსებით სხვა მნიშვნელობებით გამოყენებას. ტერმინი ‘კულტურა’ მიემართება არა მარტო ‘კომუნიკაციას’ და *tout court* მის ტექნოლოგიას, არამედ ცხოვრებისა და გამოხატვის განსხვავებულ სტილს, ესთეტიკურ სტილსა და მედიას, ადამიანურ ღირსებებს, ემოციებსა და საქმიანობის ფორმებს. ამ აზრით, ისინი ყოველთვის უფრო იყვნენ კულტურები, ვიდრე კულტურა, ცხოვრების ისტორიულად განსხვავებული სტილები და ადამიანური ღირსებების, ემოციებისა და ქმედებების ცვალებადი გამოვლინებანი. ამგვარი კულტურები კონკრეტულ კოლექტიურ მოთხოვნებსა და პრობლემებს ჰასუხობდნენ საკუთარ სპეციფიკურ ისტორიულ კონტექსტებში. ისინი განაგებდნენ სიცოცხლესა და სიკვდილს, დარდსა და უსამართლობას, სიყვარულსა და დანაკარგს. ისინი ასწავლიდნენ ადამიანებს ცხოვრებასთან გამკვლავების ხელოვნებას და სიკვდილისათვის თვალის გასწორებას. თაობებისათვის ისინი განასახიერებდნენ ერთობის საერთო აზრს, დაგროვილ სიბრძნესა და კოლექტიურ მასხვოვობებს თავისებური წეს-ჩვეულებების, რიტუალების, ზნეობის, მანერებისა და არტეფაქტების მეშვეობით. ამ გზით, ისინი გამოხატავდნენ ცალკეული კოლექტივების და მათი ინდივიდუალური წევრების სხვა, ანალოგიური კოლექტივებისაგან განსხვავეულ მსოფლეოდვასა და ემოციებს.

მაში, რაღაა ‘გლობალური კულტურა?’ რა თქმა უნდა, არავითარ საკომუნიკაციო ელექტრონულ ტექნოლოგიას და მის ვირტუალურ ქმნილებებს არ შეუძლია მომავლის ‘გლობალური მოქალაქეების’ ემოციური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ისევე როგორც არ შეუძლია გვასწავლოს ცხოვრების ტვირთის ზიდვა, სიხარულის გაზიარება, ტკივილთან და დანაკარგთან გამკლავება და სხვა, ცხოვრებით მოტანილის გადატანა. გლობალური კულტურა იქნება წინასწარპოვნოზირებადი, ერთდროულად მეცნიერულიც, ემოციურად ნეიტრალურიც და ტექნიკურიც. მას არ ექნება ადგილი, დრო და მასხვოვობა. მარადიული ვირტუალური აწმყო თვალს მოაშორებს წარსულისა და მომავალის პანორამებს. ვირტუალურად

ყველგანმყოფობის შესაძლებლობა გვათავისუფლებს ადგილმდებარეობაზე ფიქრისაგან. დროისა და სივრცის კორდინატები, ასე ღირებული ნაციებისა და ნაციონალიზმისათვის, აზრს კარგავენ, რამდენადაც დრო და სივრცე იმ ერთ წერტილში იკუმშება, რომელსაც უშუალოდ დამკავირვებელი წარმოადგენს. ტექნიკური დისკურსით მოჯადოებული მსოფლიო არის აქ და ახლა, ნებისმიერ ადგილას და ყველგან; მახსოვრობის ან ბედისწერის, წინაპრის ან შთამომავლობის საჭიროება აღარ არსებობს, ამის მიზეზით, აღარც უშუალო ერთობისა. მხოლოდ ერთ ნაბიჯზე მყოფ ჩრდილებთან თამაშია საჭირო.<sup>11</sup>

ამგვარ ასკეტურ ხედვას არ გულისხმობს ადამიანების უმრავლესობა, როცა გლობალურ კულტურაზე საუბრობს. გავიხსენოთ მარქსი და ენგელსი, რომლებიც ნაციონალურ ლიტერატურას მსოფლიო ლიტერატურასთან შერწყმას უწინასწარმეტყველებდნენ. ეს იქნებოდა ნაციონალურ კულტურათა დაახლოება, მაგრამ არა მოსპობა, როგორც უადგილო წინარემეცნიერული გადმონაშოთისა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპიუტიზირებული ინფორმაციული ტექნოლოგიისა და მის მიერ შექმნილი ვირტუალური რეალობის ჩონჩხმა არსებული კულტურების ხორცი უნდა შეისხას; ანდა ამ კულტურებიდან ამორჩეული მოტივებისა და ელემენტების ('ნაგლეჯები და ნაკურები') გასართობ ცინიკურ სატირაში ჩართვით მათი თავდაპირველი მნიშვნელობანი ყველგან მყოფი მოუხელთებელი აწმუოს შესატყვისად გარდაქმნას. ამგვარად, პოსტმოდერნული და კოსმოპოლიტური გლობალური კულტურა შეიძლება იყოს მხოლოდ ეკლექტური, პიბრიდული, ფრაგმენტული, პრეზენტისტული, მუდმივად განახლებადი, მუდმივად "შესაბამისობის" მაძიებელი. ასეთ ეზოთერულ და დანაკერებით სავსე კულტურას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შეზღუდული მოწოდების უნარი (მაშინაც კი, როცა პოპკულტურებს იყენებს) და ნაკლები გამძლეობა და მოქნილობა (იმ შემთხვევაშიც კი, როცა ცდილობს თავი დააღწიოს სტილიზებას).

### ინტერნაციონალიზებადი ნაციონალიზმი

ის, რომ გლობალური კულტურის ვერც მეცნიერული და ვერც ეპლექტიკური ვერსია ხალხში გამოძახილს ვერ ჰოულობს და არც გამძლეა, გვაფიქრებინებს, რომ

ნაციონალიზმის პოსტმოდერნული შემცვლელის პირობები ჯერ კიდევ არაა რეალიზებული და, რომ სინამდვილეში გლობალიზაციამ შეიძლება კიდევ გააძლიეროს ნაციონალიზმი, რადგან შორსაა იმისაგან, რომ მის შემცვლელამდე მიგვიყვანოს. ეს დასკვნა სამ არგუმენტს გერდნობა. პირველი შეეხება გლობალიზაციის პროცესების შედეგებს ნაციონალიზმისათვის; მეორე არგუმენტი გვიძრუნებს ნაციონალიზმის ეთნიკურ ბაზისთან და პოსტმოდერნულ ეპოქაში მის კულტურულ მემკვიდრეობასთან; მესამე ნაციონალური იდენტობის საკრალური საფუძვლებისა და მისი გრძელვადიანი საზრისების განხილვით ამაგრებს ეთნიკურ ბაზისებს.

დავიწყოთ გლობალიზაციით. ენტონი გიდენსი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ არსებობს კავშირი გლობალიზაციის ტენდენციასა და მის გვერდით და მის შედეგად წარმოქმნილი ლოკალიზმის აღორმინებას შორის. გლობალიზაციის ძალები ლოკალურ არეალებთან, საკითხებთან და პრობლემებთან ახალი მიჯაჭვულობის გაჩენას უწყობს ხელს. ამით აიხსნება ფართომასშტაბიანი და მზარდი ზენაციონალიზმისა და დაშლადი ეთნიკური ნაციონალიზმის პარადოქსი, რაც, ერთის მხრივ, კონტინენტური ასოციაციებისა და თანამეგობრობების გაჩენას ნიშნავს, მეორეს მხრივ კი, ისეთი მცირემასშტაბიანი ეთნიკური მოძრაობების სწრაფ გამრავლებას, რომელთაც, სხვა რეგიონალურ და ლოკალურ ეკოლოგიურ მოძრაობებთან ერთად, ჰობსბაუმი მცირე მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ყველაფერი კლასზე დაფუძნებული პოლიტიკიდან ახალ, 'იდენტობის პოლიტიკაზე' გადასვლის ნაწილია, რაც საკუთარ თავში მზარდ ფემინისტურ, რეგიონალურ და მწვანეთა მოძრაობებს მოიცავს. პოსტმოდერნულ ეპოქაში ამ პოლიტიკაში სამი დონე გამოიკვეთება: ლოკალური ეთნიკური, რეგიონალური, გენდერული და ეკოლოგიური დონე; ნაციონალური სახელმწიფოს დონე; დაბოლოს, კონტინენტური (სხვაგვარად, გლობალური) ერთობის ზენაციონალური დონე (Giddens 1991).

ამ ინტერპრეტაციაში ბევრი რამ არის მიმზიდველი. კლასზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ დასავლეთში უკან დაიხია მანუფაქტურული წარმოებიდან მომსახურებაზე დაფუძნებულ ინდუსტრიაზე გადანაცვლებასთან ერთად. მისი აღგილის დასაკავებლად წარმოიშვა მთელი რიგი სრულიად ახალი

პოლიტიკური მოძრაობა, ადორძინებადი ეთნიკური ნაციონალიზმის ჩათვლით. ძნელი სათქმელია, გამოგვალგება თუ არა ‘იდენტობის პოლიტიკის’ ცნება მათ საერთო ნიშანთვისებათა განსასახლვრად. მაგალითად, გენდერული პოლიტიკა ძალიან განსხვავებული ჩანს ეთნიკური მობილიზაციისაგან, რომელსაც გენდერული საზღვრების გადაკვეთა შეუძლია, ისევე როგორც ამ უკანასკნელს შეუძლია ეთნიკური დაყოფის გადალახვა. მართლაც, ნაციონალიზმის შესასწავლად ისეთი უმნიშვნელოვანესი სფერო, როგორიცაა ნაციებისა და ნაციონალიზმის გენდერიზაცია, წინ უსწრებს გლობალიზაციას და, იქნებ, მოდერნულობასაც კი. მეტიც, გაურკვეველია აქვთ თუ არა გლობალურ ტენდენციებს რაიმე აუცილებელი კავშირი ლოკალური ან გენდერული საკითხების წინ წამოწევასთან (ან შენარჩუნებასთან); იოლად ერგება თუ არა ეთნიკური ნაციონალიზმი ‘გლობალურ-ლოკალურ’ სქემას? მე მგონი, ‘ეთნიკური ადორძინება’ და ‘იდენტობის პოლიტიკის’ ეთნიკური დონე სხვაგარ ახსნას საჭიროებს და ზენაციონალური დონის ასოციაციების მომრავლება (რომელიც თავისთავად მზარდად მნიშვნელოვანი საკითხია) დამატებითი ეფექტია (იქნებ, ხელშემწყობი ფაქტორიც), და არა გლობალური ძალებისა და ლოკალური მიჯაჭვულობების დაკავშირების აუცილებელი პირობა (იხ. Melucci 1989; Yuval-Davis 1997; Sluga 1998).<sup>12</sup>

პარადოქსია, რომ რეალურად გლობალიზაციის პროცესებს უდიდესი ეფექტი ნაციონალური სახელმწიფოს შეაღებურ დონეზე აქვთ. მაგრამ, ვიმერებ, გლობალიზაციის ორ დიდ ძალას – ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას (რაც მოჰყვა ტრანსნაციონალური კორპორაციების მოქმედებას) და ინფორმაციული და ციფრული ტექნოლოგიების შემოტანის შედეგად წარმოქმნილ მასობრივ კომუნიკაციებს – მხოლოდ უკვე არსებული პოლიტიკური ტენდენციის დაჩქარება და გაფართოება შეუძლიათ.

ჩვენ ამ ტენდენციას ‘ნაციონალიზმის ინტერნაციონალიზაცია’ შეიძლება ვუწოდოთ. მას სამგვარი ფორმა აქვს. პირველ ადგილზეა ნაციონალიზმი და ნაციონალური თვითგამორკვევის დოქტრინა როგორც გაეროს წესდებისა და სხვადასხვა კონვენციებისა და ხელშეკრულებების მირთავენ ყოველგვარი კამათისა და კრიზისის დროს. ჩვენ ამ პროცესში შეიძლება ნაციებისა და ნაციონალიზმის (როგორც

ფართოდ გავრცელებული და გაზიარებული იდეოლოგიებისა და წვეული და თანაზომიერი კოლექტიური აქტორების), ‘ნორმალიზაციისაკენ’ მიმართული ტენდენცია შევნიშნოთ (იხ. Mayall 1990).

მეორე, ნაციონალისტური მოძრაობები ყოველთვის მიმართავენ მახლობელ თუ შორეულ წინამორბედებს სტრატეგიის, ტაქტიკისა და შთაგონებისათვის და, ხშირად, გარკვეული დახმარებისათვისაც. ნაციონალიზმი ახალ და ახალ წარმატებულ რეგიონებს იყორბს, აჩენს ახალ პრეტენზიებსა და შესაბამის მოთხოვნებს აყენებს. რასაკვირველია, ნაციონალიზმების ‘დემონსტრირების უვაქტს’ დიდად შეუწყეს ხელი მასობრივმა კომუნიკაციებმა, პოლიტიკურმა ალიანსებმა და ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ; მაგრამ მათ მხოლოდ განავითარეს ბაზისური ნაციონალისტური მესიჯი.

დაბოლოს, ვინაიდან ზოგმა ნაციონალიზმმა ორივე მსოფლიო ომის დაწყებაში გადამწყვეტი მიზეზის როლი შეასრულა, ეს ომები კი, თავის მხრივ, ახალი ნაციონალიზმების კატალიზატორები იყვნენ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ადრეული ნაციონალიზმები მოედს მსოფლიოში, ნაციონალიზმის, როგორც ასეთის, გავრცელებისა და ხაციის პოლიტიკური ორგანიზაციის საერთაშორისო ნორმად გარდაქმნის საშუალებებს წარმოადგენდნენ. მაშასადამე, პირდაპირ თუ ირიბად, ნაციონალიზმს შესწევს უნარი ყველა კონტინენტზე და ყოველგვარი რეჟიმის პირობებში განმეორდეს.<sup>13</sup>

საერთაშორისო თანამეგობრობაზე ზეგავლენას ტერიტორიული სუვერენიული სახელმწიფოების ‘პოლიტიკური პლურალიზმის’ უპე არსებული ჩარჩო იმით უნდა განვირცო, რომ მას ბევრი ახალი სახელმწიფო შემატებოდა სახელმწიფოქმნადობის მეორე პრინციპის, კერძოდ, ‘კულტურული პლურალიზმის’, შემოდების შედეგად. ადრე ნაციონალურ სახელმწიფოდ მხოლოდ პოლიტიკური სუვერენიტეტის მქონე ისეთი ქვეყანა მიიჩნეოდა, რომლის იურისდიკციაც დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ახლა სახელმწიფოს, პოლიტიკური სუვერენიტეტის და ტერიტორიული იურისდიკციის გარდა, მოეთხოვება მეტნაკლები კულტურული ერთიანობა და სოლიდარობა და სასურველია გარკვეული ხარისხის კულტურული უნიკალობა ენაში, რელიგიაში, წეს-ჩვეულებებიში, ინსტიტუციებში და

კულტურის ისტორიაში. საერთაშორისო კულტურული პლატფორმის დიდად დავალებულია გლობალიზაციის პროცესებით, განსაკუთრებით კი მასობრივი კომუნიკაციებით. მათ ბევრად გაუიოლეს სახელმწიფოებს მათ მიერ მართული ნაციონალური საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით, ისევე როგორც ნაციონალურ კულტურებს შორის არსებული განსხვავებებისათვის მეტი გამოკვეთილობისა და გამომსახველობის მინიჭებით, ნაციონალური კულტურის დაენერგება და, ამგვარადვე, ერთობის ყოველ წევრს ამის შედეგად მიღებულ პოლიტიკურ კულტურაში ჩართვა. ამგვარად, ირკვევა, რომ გლობალიზაციის პროცესები არც ნაციონალიზმის გავლენას ასუსტებენ და არც ნაციონალურობენ. სინამდვილეში ისინი ავრცელებენ ამ გავლენას და ხელს უწყობენ ნაციებს, რომ უფრო მეტად მონაწილე და განსხვავებული გახდნენ (A.D.Smith 1995: თავი 6).

### **არათანაბარი ეთნოსტორიები**

გლობალიზაციის პროცესების გარდა, არსებობს ღრმა მიზეზებიც, რომელებიც მიგვითოვებენ, თუ რატომაა შეუძლებელი ნაციონალიზმის მონაცემის წარმოშობის და ნაციათა გაქრობის პირობების შექმნა. ამ მიზეზთაგან პირველი პრემოდერნული ეთნიკურობის მემკვიდრეობიდან მომდინარეობს. ეს არაა უბრალოდ, ‘გადმონაშთის’ არგუმენტი, რომ რაკი მოდერნულ ეპოქასა და მის ნაციებში პრემოდერნულ ეთნიკო ელემენტები შენარჩუნდნენ, მაშასადამე, ზუსტად ასევე მოდერნულ ნაციებსა და ნაციონალიზმსაც შეუძლიათ გაძლონ პოსტმოდერნულ ხანაში. ეს არგუმენტი მსოფლიოში ეთნოსტორიების არათანაბარ გავრცელებას და ნაციებისა და ნაციონალიზმის გამდევობაზე მის გავლენას უფრო ეხება.

გავისხენოთ, რომ ეთნოსტორია იმით განსხვავდება ‘ისტორიისაგან’, რომ ეს უკანასენელი წარსულში მეტნაკლებად უინტერესო, პროფესიულ ძიებასთანაა დაკავშირებული, მაშინ როცა პირველი ერთობის წევრების საკუთარ ჩანაწერებს და მის მიერვე მახსოვრობებისა და ‘ავთენტური’ კოლექტიური წარსულის ან წარსულების ხელახალ აღმოჩენას ეფუძნება. ასეთი მცდელობისას კოლექტიური წარსული ჰერატიკი ზნეობრივი გავვთილებისა და თვალწარმტაცი სურათების სერიის სახით გვევლინება, რომელიც იდენტობასა და უნიკალობას ცხოვლად წარმოაჩენს, ისევე როგორც ერთობის

მნიშვნელოვნებას და არსობრივ სიკეთეს, მიუხედავად იმისა, თუ რა ნაკლოვანებები აქვთ ცალკეულ წევრებს. ეთნოსტორის ყურადღების ცენტრში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ან პოლიტიკური ინსტიტუციების განვითარება კი არ ექცევა, არამედ გმირობა და თავგანწირვა, შემოქმედებითი უნარი და აღორძინება, წმიდანობა და ლვონისაურება, გენეალოგია და ტრადიცია, ერთობა და მისი ლიდერი. ყველაზე ხშირად ეთნოსტორია ერთ ან რამდენიმე ‘ოქროს ხანას’ იხსენებს, რათა მათი შეგონებითა და მაგალითთ მომავალში აღადგინოს ერთობა. ამგვარი ‘ოქროს ხანები’ ერთობის ‘არსე’, მის ‘ჭეშმარიტ’ ხასიათს განასახიერებენ, თუმცა მრავალგვარ ფორმას იღებენ. ‘ოქროს ხანა’ შეიძლება იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური, სიმდიდრის, ძლევამოსილების და ბრწყინვალების (ძველ ეგვიპტე, ინკასის პერუ), ან რელიგიური, ასკეტური რწმენისა და წმინდანობისა და სიბრძნის ეპოქები (კონფუციის ხანა, უპანიშიდების ხანა, ბიბლიისა და ყურანის ეპოქები), ან კულტურისა და ხელოვნებისა, როდესაც დიდი მოაზროვნები, მწერლები და ხელოვანი იერიბებოდნენ დიდ ქალაქებსა და იმპერიებში (ძველ ათენსა და ალექსანდრიაში, შუა საუკუნეების იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში ან XVII საუკუნის ნიდერლანდების პროვინციებში). ერთობის მომდევნო თაობებისათვის ეს ხანები კანონიკურად გადაიქცა; ისინი კონსკექტურად გვაწვდიან ყველაფერს, რაც დიადი და კეთილშობილია ‘ჩვენს ერთობაში’, და რაც ახლა, სამწუხაროდ, დაკარგულია, მაგრამ მაღლე აღორძინდება ნაციის ხელახალ დაბადებასთან ერთად (იხ. A.D.Smith 1997).

თუ არც ოქროს ხანა არსებობდა და არც გმირები, არც დიდებული ტექსტები და არტეფაქტები, ჩვენ, თანამედროვე ნაციამ, როგორდა განვსაზღვროთ ‘რა არის ჩვენი ნამდვილი თვითი?’ განა არა ვართ ნაციადყოფნის დირსი თუ ჩვენი მისწრაფებებია უკანონო? ნაციონალისტური კანონის მიხედვით, ყოველ ნაციას აქვს ლირსეული და სასარგებლო წარსული; საქმე მხოლოდ მისი პოვნაა. ამიტომაც გასაპირი არაა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ხალხებში ვაწყდებით ერთსა და იმავე კულტურულ მიზნებსა და ქმედებებს იქნება ეს ისტორიული და ლიტერატურული საზოგადოებების ჩამოყალიბება, მატერიალური ნაშთების და დოკუმენტების ძიება, ვერნაკულური ენების შესწავლა და გაგრცელება, ადგილობრივი მოსახლეობის თავისებურებათა ფიქსირება,

ძველი ფოლკლორული ტრადიციების თუ წეს-ჩვევეულებებისა და რიტუალების ხელახალი აღმოჩენა. ჩვენ ამ თვითიგივური მოქმედებებისა და მიზნების პოვნა შეგვიძლია აფრიკაში, საპარის სამხრეთით და აზიაში კოლონიური მმართველობის დროს, ისევე როგორც ევროპაში. შედეგი იყო ე.წ. ‘უისტორიო ნაციების’ ისტორიულ ნაციებად გადაქცევა, მათვის გმირების, კულტურების აღდგენა და შემოჩენილი ღოკუმენტებიდან და არტევაქტებიდან ცნობების საგულდაგულო ამოკრეფით ოქროს ხანების მიღებაც კი. ელიას ლონროტის მიერ კარელიური ბალადების ხელახალმა აღმოჩენამ და ეპიკურ კალუფალაში გაერთიანებამ ფინელების ყურადღება სიბრძნისა და გმირობის ხანას მიაპყრო; სლოვაკები სვატოპლუკისა და სხვა მეფეების დროინდელ ადრემორავიულ სამეფოს მიუბრუნდნენ; უკრაინელები ასევე ეძიებდნენ თავიანთ ფესვებსა და დიდებას კაზაკთა ტრადიციებში და, კიდევ უფრო ადრე, კიევის რუსეთში; ზიმბაბველებმა საკუთარი წინაპრის დიდების ხანა იმ ცივილიზაციაში ჰპოვეს, რომელმაც დიადი ზიმბაბვეს მონუმენტები აღმართა.<sup>14</sup>

ავთენტური ეთნოსტორიის არათანაბარი განაწილება, რის შედეგადაც ზოგიერთ ნაციას ‘მდიდარი’, კარგად დოკუმენტირებული წარსულით შეუძლია იამაყოს, ხოლო სხვები წარსულზე ბუნდოვანი წარმოდგენით უნდა დაკმაყოფილდნენ, გაუთავებელ შედარებასა და კონკურენციას უწყობს ხელს. მთელს მსოფლიოში ნაციონალიზმების მამოძრავებელი არა მარტო ფარდობითი ეკონომიკური სიდარიბეა, არამედ კულტურული და ეთნოსიმბოლისტური რესურსების შედარებითი ნაკლოვანებაც. ეს ეხება არა მხოლოდ ‘უტყუარ ცნობებს’, არამედ ავთენტურობის პერცეფციასაც თავად ნაციის წევრების ნაწილში და უცხოებშიც, ანუ ნაციის კულტურის ავთენტური ხასიათის აღიარებას შინაურთა და გარეშეთა მიერ. იმ ეთნიკთა რაოდენობა, რომლებიც ნაციადყოფნისა და სახელმწიფოდ ყოფნის პოტენციური კანდიდატები არიან და მათ მიერ იმის გაცნობიერება, რომ თავადაც და გარეშენიც უნდა დარწმუნდნენ მათი პრეტენზიების საფუძვლიანობაში, ეთნისტორიასა და ეთნიკურ კულტურას გადამწყვეტ როლს ანიჭებს ნაციადყოფნის დასაბუთებასა და დაკანონებაში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ეთნონაციონალიზმების ძალა მოიმატებს და მათი გავრცელების არეალიც გაფართოვდება.

აღნიშნული დასკვნა ჩემს ადრინდელ მტკიცებას უკავშირდება იმის თაობაზე, რომ ნაციონალიზმს უნდა შევხედოთ არა როგორც ზუსტად პოლიტიკურ იდეოლოგიას, არამედ როგორც საჯარო და სახალხო და ‘ავთენტური’ კულტურის პოლიტიზებულ ფორმას. ვერნაპულური ეთნიკური კულტურების პოლიტიკურ სახალხო საჯარო კულტურებად გადაკეთების ფართო გავრცელება ნაციონალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულებაა. მთელს მსოფლიოში ეთნიკური რაოდენობა XXI საუკუნის დასაწყისში ნაციონალიზმის შენარჩუნება-გაფართოების მიზეზს გასაგებს ხდის.

## საკრალური საფუძვლები

რაც ზემოთ ვთქვი, ამბის მხოლოდ ნაწილია. ის, რისი მეშვეობითაც შეგვიძლია ნაციონალური იდენტობის განგრძობადობასა და ნაციოთ გამძლეობას ჩავწერეთ, უფრო მეტად ნაციების საკრალური საფუძვლების შესწავლაშია.

ეს თოთქოს პარადოქსია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ სექულარულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში, სადაც მატერიალურმა ფასეულობებმა და პრეფერენციებმა საკრალურის განცდა დაამსო, ტრანსცედენტური ღირებულებების ძველი რწმენა კი გააქრო. იდენტობანი, რომელთა შექმნასაც ვცდილობთ, არსით პრაგმატულია; ისინი კონომიკურ საფუძველზეა დამყარებული და პოლიტიკურ გამოხატულებას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა სურს მოიცვას და განავითაროს მატერიალური ინტერესები. ჩვენ კულტურასასაც, რომელიც, ყოველ შემთხვევაში ხალხურ დონეზე, კომერციული მიდგომების ძლიერ გავლენას განიცდის, აკლია საკრალური, ტრანსცენდენტური განზომილება, რწმენა იმისა, რაც უშუალოდ აწმეოსა და მის უფერულ გამოხატულებათა მიღმაა. პოლიტიკური იდეალების მიმართ ფართოდ გავრცელებული აპათიის და ცინიკური დამოკიდებულების პირობებში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ნაციონალური იდეალი არათუ ლოიალობას გვინერგავდა, არამედ საკმაო ინდეფერენტულობას იწვევდა.

ეს პრობლემა მარტო დასავლეთში როდი დგას. ნაციონალიზმისადმი გაორგულების ნიშნები სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევასთან ერთად ნაციონალისტური წნებებიც დაცხრა, რადგანაც ცხადი შეიქნა, რომ ნაციონალიზმი ეკონომიკის სწრაფი განვითარების

არავითარ რეცეპტს არ ფლობს, და რომ ნაკლებად განვითარებული საზოგადოებების ექონომიკური და კულტურული დაქვემდებარებულობის მდგომარებიდან გამოსაყვანად სხვა იდეოლოგიებია საჭირო, ისევე როგორც მნიშვნელოვანი რესურსები და ტექნოლოგიები.<sup>15</sup>

ამის გაცნობიერებას სულაც არ შეუშლია ხელი მრავალ პოსტკოლონიურ სახელმწიფოში (დაწყებული ინდოეთიდან და ინდონეზიიდან და პალესტინითა და ისრაელით, ეთიოპიითა და ანგოლით დამთავრებული) ეთნიკურობასა და რელიგიაზე დაფუძნებული ნაციონალისტური ვნებების ამოცრქვევისათვის. მას არც ის ნაციონალისტური მგზებარება დაუცხრია, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე მრავალ მნიშვნელოვან ტერიტორიულ დავას ახლდა – ქაშმირში, შრი-ლანკაში, კავკასიაში, ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის რქაზე. მარკ იურგენსმაიერი ‘რელიგიური ნაციონალიზმების’ განხილვისას ყურადღებას ამახვილებს სეკულარული სახელმწიფო ნაციონალიზმის მარცხზე (რაც ბევრის აზრით ფაქტია) და უფრო რადიკალური, რელიგიური ძირების მქონე ნაციონალიზმის მიმზიდველობაზე, რომელიც ცდილობს სოციალური გარდაქმნები ძველი რელიგიური ტექსტებისა და პრაქტიკის მკაცრი ინტერპეტაციების მიხედვით განახორციელოს (Juergensmeyer 1993). თუმცა რეალურად ‘ახალ ცივ ომზე’ ლაპარაკი არ შეიძლება, უდავოა, რომ რელიგიური ნაციონალიზმების სხვადასხვა ტიპთა შორის ერთიანობის არარსებობა, მათი მაგალითები, სერიოზული სასულიერო და პოლიტიკური გამოწვევა სშირად არაეფექტური არადასავლური სახელმწიფო ნაციონალიზმებისათვის.

თვით დასავლეთშიც არ გამქრალა ნაციის საკრალური საფუძვლები. მათ, უდავოდ, მიიღეს სეკულარული რაციონალიზმის გამოწვევა და იძულებულნი გახდნენ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მორგებოდნენ. მაგრამ სეკულარული ნაციონალიზმის ‘პოლიტიკური რელიგიას’ კვლავ იზიდავს ძველი რელიგიური მოტივები თავისი ლიტურგიით, სიმბოლიზმითა და მითების შექმნით, ვინაიდან იგი საკუთარ თავს რაციონალისტურ ეპოქაში სხინის ერთადერთ სიცოცხლისუნარიან დრამად წარმოსახავს. ბოლოს და ბოლოს, კოლექტიურ დონეზე რაციონალიზმის გამოვლინება, გარკვეულწილად უშვებს კოოპერირებასა და პოლიტიკურ სოლიდარობას, ეს კი კარგად განსაზღვრულ

ჩარჩოსა და პოლიტიკურ არენას საჭიროებს. ახლო მომავალში ნაცია – თავისი ტერიტორიის მფლობელი ერთობა, განსხვავდეული საკუთარი ისტორიათა და ბედისწერით, უქმედია, ყველაზე მეტად სახალხო და მოსახერხებელ ჩარჩოს უქმნის პოლიტიკური სოლიდარობას.

ნაციის ეს ოთხი ბაზისური კატეგორია – ერთობა, ტერიტორია, ისტორია და ბედისწერა – წარსულში, და მე ვიტევდი, აწმყოშიც განიხილება, როგორც ‘საკრალური’, იმ აზრით, რომ წევრების უმეტესობა მათ პატივისცემისა და თაყვანისცემის თვითკმარ ობიექტებად მიიჩნევს. ვერ ვიტევთ, რომ რომელიმე მათგანის ასპექტები სადაცო არ გამხდარიყოს. ზოგიერთმა ერთობა, როგორც ასეთი, გლობალურ კოსმოპოლიტიზმში გაცვალა. უამრავი კითხვა წამოიჭრა სამშობლოს ცნების ბუნებისა და განფენილობის, მიღებული ეთნოსტორიების ჰქემარიტი შინაარსისა და მორალის და ერთობის ბედისწერის სხვადასხვა ხედვის ვითომცდა დირსებებთან და ნაკლოვანებებთან დაკავშირებით. უკვე ის, რომ მსოფლიო ერთობებად და ნაციებად იყოფა, რომლებიც თავიანთ ტერიტორიებს ანუ სამშობლო მიწებს ფლობენ, რომელთაც საკუთარი ისტორიები და ბედისწერები აქვთ, იმგვარ რწმენას ნერგავს, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა იშვიათად თუ უდალატებს. ეს ფორმა, რასაც ‘საკრალური თვისებები’ ან, უფრო ზუსტად, ნაციის ბაზისური თვისებები შეიძლება ეწოდოს, მისი წევრების საკრალურ თანაზიარებად გაიაზრება.<sup>16</sup>

აი, ეს საქარალური თვისებები, რომლებიც მე მეორე თავში განვიხილავ:

- (1) ეთნიკური რჩეულობის რწმენა, ნაციის, როგორც რჩეული ხალხის იდეა, მასზედ დაკისრებული საგანგებო მისით ან ექსკლუზიური დათავისუფლივი;
- (2) მიჯაჭვულობა საკრალურ ტერიტორიასთან, წმინდანთა, გმირთა და ბრძენთა, წინაპართა საფლავებითა და ძეგლებით კურობეფუდ წინაპართა სამშობლო მიწასთან;
- (3) ‘ოქროს ხანათა’ საზიარო მახსოვრობანი, როგორც ნაციის ეთნისტორიის მწვერვალები, მატერიალური და/ან სულიერი და მხატვრული სიმდიდრის ეპოქები;
- (4) ‘სახელოვან მიცვალებულთა’ და ნაციისა და მისი ხელისათვის გმირული თავდადების კულტი.

ეთნიკური ქალაქ-სახელმწიფოებსა და იმპერიებში ამ რწმენების, მასსოვრობებისა და მიჯაჭვულობების მაგალითებს პრემოდერნულ ეპოქებშიც შეხვდებით. თვით სახელოფან მიცვალებულთა კულტსაც კი ჰყავს წინამორბედი დაკრძალვის ცერემონიებისა და წინაპართა კულტის სახით. როგორც გეორგ მოსმა გერმანიის მაგალითზე დაგვანახა, აღრეულმა გერმანელმა ნაციონალისტებმა თავიანთი დემონსტრაციებისა და ზეიმებისათვის ქრისტიანული ლიტურგიკული და რიტუალური ელემენტები გამოიყენეს. ზოგადად, ნაციონალისტები ამ ტრადიციულ რელიგიურ საფუძვლებს ეყრდნობიან, საკუთარი მიზნებისათვის არჩევენ და აახლებენ ძველ მოტივებს, სიმბოლოებსა და მითებს. ნებისმიერ (უფრო მეტად ბაზისურ) დონეზე ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკური რელიგია და როგორც ‘სალხის რელიგია’, მოდერნული ნაციონალური იდენტობების რეკონსტრუქცია-შენარჩუნებისათვის ამ თოს საკრალურ თვისებას უცილობლად მიმართავს (Mosse 1975 და 1994).

ცხადია, ყველა ნაციას თანაბრად არა აქვს ეს საკრალური თვისებები. ჩვენ ვნახეთ, თუ რამდენად არათანაბრადაა განაწილებული მსოფლიოში კარგად დოქტორებული მოვლენებით აღსავსე ეთნოსტორიები. ეს უთანაბრობა სხვა საკრალურ თვისებებსაც შეეხება. ზოგ შემთხვევაში დაკავებული ტერიტორიებისადმი საკრალურად აღქმული მიჯაჭვულობა ნაციის არსებობის ამოსავალი წერტილი, მისთვის თავისებურებისა და ინტენსივობის მიმნიჭებულია, როგორც ეს გაჭიანურებული ტერიტორიულ დავების დროს ხდებოდა. სხვა შემთხვევებში წინ ოქროს ხანების საზიარო მასსოვრობანი წამოიწევენ, რათა კოლექტიურ ქმედებას მიმართულება დაუსახონ. ზოგჯერ ეთნიკური რჩეულობის რწმენა, ერთობის, ვითარცა რჩეული ხალხის, საყოველთაო იდეა, ნაციას ენერგიით აღავსებდა, მის მოქალაქეებს კი მკვეთრად მიჯნავდა უცხოთაგან. ყველაზე უფრო ზოგადად, ალბათ, ომში დაცემულ გმირთა კულტი და მათი მონუმენტები, და ‘სახელოვან მიცვალებულთა’ ხსოვნის ცერემონიები განმარტავენ მოქალაქეთა კოლექტიური კაგშირებისა და ბედისწერის ბუნებას.

ამ კონცეფციის საფუძველზე გავტედავ ზოგადი პიპოთეზის წამოყენებას ნაციონალური იდენტობის გამდლეობის თაობაზე. იქ, სადაც ოთხივე ეს საკრალური თვისება ფართოდ წარმოდგენილი იყო და არის კიდევ ეთნონაციონალურ

მოსახლეობაში, შედეგად მიღებული ნაციონალური იდენტობაც განსაკუთრებით მძლავრი და მოქნილია და ასეთად დარჩება. ის მკეთრად გამიჯნავს ერთობის წევრებს უცხოთაგან და ა.შ., უხალისოდ მოეკიდება ახალმოსულების ნაციონალური კულტურული ერთობის სრულუფლებიან წევრებად მიჩნევას. და პირიქით, იქ, სადაც ამ საქრალურ თვისებათაგან ერთზე მეტი სუსტია ან საერთოდ არ არის, ნაციონალური იდენტობის ძალაც, შესაბამისად, შემცირებული იყო და არის და მას მიმზიდველობაც დაპარგული აქვს სხვა კულტურული იდენტობების წინაშე მდგარი მოსახლეობისათვის. ამიტომ თავს იჩენს ნაციის სოციალური და კულტურული საზღვრების სიმკეთრის შემდგომი შესუსტება და უცხოთა არა მხოლოდ მოქალაქეებად, არამედ ნაციონალური ერთობის სრულფასოვან წევრებად მიღებისთვის მზადყოფნის ზრდა.

## დასკვნა

ამგვარად, ამ ბაზისურ დონეზე ნაცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მოქალაქეთა საკრალური თანაზიარება, ხოლო ნაციონალიზმი, როგორც ‘პოლიტიკური რელიგიის’ ფორმა საკუთარი წმინდა წერილებით, ლიტურგიებით, წმინდანებითა და რიტუალებით. ნაციებთან ან ნაციონალიზმებთან დაკავშირებით მოხოლითური და სტატიკური არაფერია. იმავე მიზეზით, რის გამოც ტრადიციული რელიგიები ახალ პირობებთან შესაგუებლად პერიოდულად განიცდიდა ცვლილებებს, წვეულებრივ, მოდერნული ნაციონალური იდენტობებიც ახლებურად მოიაზრებოდა მომდევნო თაობების მიერ; და ზუსტად ისევე, როგორც რელიგია შეიცავს ვარიანტულ ფორმებს, ნაციონალიზმებშიც ვპოულობთ ნაციონალური წარმომავლობისა და განვითარების კონკურენტულ მითებს. დურკამის სიტყვები, რომლებითაც იგი აბოლოებს რელიგიის მისეულ ანალიზს, ნაციებსა და ნაციონალიზმსაც კარგად ესადაგება:

ამრიგად, არის რაღაც მარადიული რელიგიაში, რომელსაც ბედისწერამ არგუნა ყველა სპეციფიკური სიმბოლო შემოინახოს, რომელთა გარსშიც რელიგიურმა აზრმა საკუთარი თავი მოხერხებულად მოაქცია. არ არსებობს ისეთი საზოგადოება, რომელიც

არ საჭიროებდეს ერთიანობისა და თვითმყოფადობის შემადგენელი კოლექტიური სენტიმენტებისა და კოლექტიური იდენტის დაცვასა და პერიოდულ გადააზრებას (Durkheim 1915: 427).

მაშასადამე, სანამ ნაციის საკრალური საფუძვლები არსებობს და სეკულარულ მატერიალიზმსა და ინდივიდუალიზმს ჯერ არ გამოუცლია საფუძველი ისტორიისა და ბედისწერაზე დამყარებული ერთობის უმთავრესი რწმენებისათვის, მანამდე ნაციონალიზმს, როგორც პოლიტიკურ იდეოლოგიას, საჯარო კულტურასა და პოლიტიკურ რელიგიას, დაჭინობა არ უწერია, ხოლო ნაციონალური იდენტობა დარჩება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ქაკუთხედად.

## შენიშვნები

---

### თავი 1 ცნებები

- 1 ამ საკვანძო ცნებების უფრო სრული განხილვა იხ. ზერნატოსთან (Zernatto 1944), სნაიდერთან (Snyder 1954) და კემილაინენთან (Kemiliainen 1964).
- 2 ნაციონალიზმის ნაციონალურ სენტრიზმთან გამაიგივებელი განმარტებების შესახებ იხ. მიჩელატი და ორმასი (Michelat and Thomas 1966), კონი (Kohn 1967a: თავი 1) და სეტონ-უოტსონი (Seton-Watson 1977: თავი 1).
- 3 ნაციონალისტური მოძრაობების სტრატეგია და ტაქტიკა იხ. ბრილისთან (Breuilly 1993) და ესმანთან (Esman 1994). დასავლეთში უსახლმწიფო ნაციების ნაციონალისტური მიზნები და ტაქტიკა გაანალიზებული აქვს გიბერნაუს (Guibernau 1999).
- 4 ნაციონალიზმის, როგორც უპირატესად დისკურსიული წარმონაქმნის ანალიზის მაგალითი იხ. კალპუნთან (Calhoun 1997); იხ. აგრეთვე ბრუტეიკერი (Brubaker 1996).
- 5 ვინაიდან არ მოგვეპოვება ნაციონალური სიმბოლიზმის განმაზოგადებული გამოკვლევები, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პობსბაუმისა და რეინჯერის რედაქციით გამოცემულ კრებულში (Hobsbawm and Ranger 1893) მოთავსებული სტატიები და მოსის შრომა (Mosse 1975 და 1990). იხ., აგრეთვე, ჰედეტოფტი (Hedetoff 1995: ნაწილი I, თავი 4) და სტატიები შესანიშნავი ოპუსიდან ფრანგი ხალხის 'ხსოვნის აღილთა' შესახებ ნორას რედაქციით (Nora 1997–1998, განსაკუთრებით, ტომი III).
- 6 'ანტიკოლონიური ნაციონალიზმების' უმეტესობა ეთნიკურად პომოგენურ მოსახლეობათა შიგნით კოლონიური აღმინისტრაციის ხელშეწყობით ურთიერთწაკიდებულ უმცირესობათა იდეოლოგიურ მოძრაობებს წარმოადგენდა, როგორც ამას ნიგერიასა

- და ინდოეთში პქონდა ადგილი. ევროპული მოდელის ნაციონალური ბაზისის უქონლობის გამო, ამ ქვეწების ელიტას განზრახული პქონდა მისი შექმნა. ისინი ‘განზრახვის ნაციები’ იყვნენ (Rotberg 1967). ის., აგრეთვე, ჩატერჯი (Chatterjee 1986).
- 7 აქ უპრიანი იქნება გაფიხსენოთ უოლკერ კონორის მიერ შენიშნული განსხვავება ისტორიულ და განცდილ რეალობას შორის (Connor 1994: 202); მნიშვნელობა აქტს არა იმას, რაც არის, არამედ იმას, რაც განიცდება.
- 8 მოსაზრება, რომ ნაცია და ნაციონალური ხასიათი ნაციონალიზმის იდეოლოგიას, სულ ცოტა, საუკუნიო მაინც, უსწრებს წინ ის. კემილაინენისა (Kemilainen 1964) და გრინფელდის (Greenfeld 1992: თავები 1–2) დაწვრილებით გამოკვლევებში.
- 9 ნაციის ცნების განმარტების პრობლემების თაობაზე საყურადღებო დისკუსია ის. დოიხთან (Deutsch 1966: თავი 1), რასტოუსთან (Rustow 1967) და კონორთან (Connor 1994: თავი 4).
- 10 დიასპორების თაობაზე ის. კოენი (Cohen 1997). ეთნიკური უმეტესობა, ფაქტობრივად საკუთარ ტერიტორიებზე სახლობს, მაგრამ პრემოდერნულ წარსულში მათ ხშირად არ პქონდათ საზღვრები. სხვა ეთნიკურს შეეძლოთ წინაპართა მიწაზეც ეცხოვრათ და გაფანტულნიც ყოფილიყვნენ, როგორც მოხდა ზოგიერთი ოტომანური მილეთის შემთხვევაში; ის. არმსტრონგთან (Armstrong 1982: თავი 7).
- 11 ეს განსაზღვრებები ის. ე.დ.სმითთან (A.D.Smith 1986: თავი 2; 1991: თავი 1). ის., აგრეთვე, მოტილთან (Motyl 1999: თავები 4–5).
- 12 ნაციები უბრალოდ ეთნიკური დელოკალიზებულ და პოლიტიზებულ ფორმებს არ წარმოადგენენ, როგორც ამას აქზინი (Akzin 1964) ამტკიცებდა; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეთნიკ ისევე შეიძლება იყოს დიდიც ხალხმრავალიც და პოლიტიკურად ორგანიზებულიც, როგორც ეთნიკური სახელმწიფო. ხოლო რაც ნაციას ეთნიკაგან განასხვავებს, (საჯარო) კულტურის ტიპია, (ერთიანი ტერიტორიული) ეკონომიკა და სამართლებრივი წესრიგი (ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი). ამ თვალსაზრისთა დამუშავების

- მაგალითი იხ. ედ.სმითთან (A.D.Smith 2000a: თავი 3), და ქვემოთ, მეცნუე თავში.
- 13 საერთაშორისო პოლიტიკაში მოდერნული დიასაპორა-  
ერთობების როლის შესახებ იხ. შეფერი (Sheffer 1986);  
ხოლო მოდერნული მულტილოკალური სომხური  
დიასპორას თაობაზე იხ. პანოსიანი (Panossian 2000).
- 14 აქ ჩვენ ორი სახის წარუმატებელი' ნაციონალიზმი  
შეგვიძლია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან: ეთნიკური  
კატეგორიის ანუ ეთნიკს წარუმატებლობა მძლავრი  
ნაციონალისტური მოძრაობის განვითარებაში; და ამ  
ნაციონალიზმის წარუმატებლობა პოლიტიკური  
მიზნების მიღწევაში. პირველი სახის წარუმატებლობის  
მაგალითებად ოქსიტანები ან კოპტები შეიძლება  
მივიჩნიოთ, მაშინ როცა ქურთები და თამილები  
(დღემდე) შეიძლება მეორე სახის წარუმატებლობის'  
მაგალითად მოგვეხმო. იხ. ედ.სმითთან (A.D.Smith 1983:  
თავი 9).
- 15 ტერმინ 'ნაცია-სახელმწიფოს' თაობაზე იხ. ზარტმანი  
(Zartmann 1964). ეთნიკური ჯგუფებისათვის კოლონიური  
ხელისუფლებების მიერ შექმნილი ახალ ტერიტორიული  
საზღვრების ეფექტს აღწერს პოროვიცი (Horowitz 1985:  
თავი 2).
- 16 აღმოსავლეთ ეკროპაში ეთნიკურობისა და ენას შორის  
არსებული სიღრმისეული ბმების საკითხის  
ორიგინალური ანალიზისას ამგვარია ფიშმანის  
მიდგომა (Fishman 1980), რომელთა გაბუნდოვნებაც, მისი  
შეხედულებით, მოდერნისტულ მიდგომებს ჩვევად აქვთ  
გადაქცეული. კრიტიკა იხ. ედ.სმითთან (A.D.Smith 1998:  
159–161).
- 17 ამ სახის ინტერგენერაციული ანალიზის საჭიროების  
შესახებ თვალსაზრისი ცენტრალურია არმსტრონგისა  
(Armstrong 1982: თავი 1) და, საზოგადოდ, ისტორიული  
ეთნოსიმბოლიზმის მიმდევართათვის.

## თავი 2 იდეოლოგიები

- 1 ნაციონალისტური იდეოლოგიის ინტელექტუალური და  
მორალური კრიტიკისათვის იხ. მინოგუ (Minogue 1967),  
დანი (Dunn 1978: თავი 3) და პარექი (Parekh 1995).

- 2 ადრეული ნაციონალისტი მოაზროვნების ერთგვარი არასრული შეფასების მცდელობა იხ. ბარონთან (Baron 1960), კონთან (Kohn 1965, 1967a და 1967b) და ვიროლისთან (Viroli 1995); შდრ., აგრეთვე, სლუგა (Sluga 1998).
- 3 რასაკვირველია, ეს ნაციების სასრული ბუნებიდან გამომდინარეობს; როგორც ანდერსონი (Anderson 1991) შეგვახსენებს, ყოველთვის მოიძებნებიან ნაციის გარეთ მყოფი ადამიანები.
- 4 ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ: მაინც რას წარმოადგენდნენ ‘ნაციონალური კომუნიზმები’, ნაციონალური მიმართულების კომუნიზმებს, თუ კომუნისტური მიმართულების ნაციონალიზმებს? ამის შესახებ იხ. კაუცკი (Kautsky 1962): შესავალი და ლოუენტალის სტატია.
- 5 კამათი სახელმწიფოებრიობას მოქლებული ნაციების, როგორც პოლიტიკური აქტორების, მნიშვნელობის ზრდასთან დაკავშირებით, იხ. გიბერნაუსთან (Guibernau 1999).
- 6 ევროპულ ისტორიაში ირიდენტიზმის როლის შესახებ იხ. სეტონ-უოტსონი (Seton-Watson 1977: თავი 3) და ალტერი (Alter 1989); აფრიკაში არსებული ირიდენტიზმისა და საზღვრების თაობაზე იხ. ასივაჯუ (Asiwaju 1985); ხოლო კავკასიური ირიდენტიზმებისა და სეპარატიზმებისათვის იხ. რაიტი, გოლდენბერგი და შროვილდი (Wright, Goldenberg and Schofield 1996). ირიდენტიზმსა და სეპარატიზმს შორის არსებული განსხვავებების შესახებ იხ. ჰოროვიცთან (Horowitz 1992).
- 7 ფიტექს, იანისა და მიულერის იდეების შესახებ იხ. კედური (Kedourie 1960) და კონი (Kohn 1965). რასაკვირველია, აატრიოტებისათვის ფრანგულ რევოლუციაში პირველხარისხოვანი მმური სიკვარულისა და ერთიანობის იდეები იყო; იხ. შამა (Schama 1989: თავი 12).
- 8 პერდერის შესახებ იხ. ბარნარდის (Barnard 1965) და ბერლინის (Berlin 1976) ბრწყინვალე გამოკვლევები. ‘ნაციონალური გამოდვიძების’ მეტაფორების თაობაზე იხ. პირსონი (Pearson 1993); ნაციონალიზმის მიერ

- სამეცნიერო დისკიპლინების გამოყენება ე.დ.სმითმა გამოიკვლია (A.D.Smith 1986: თავი 7).
- 9 წარმოშობისა და შთამომავლობის ნაციონალისტური მითების ანალიზი იხ. სტატიებში პოსკინგისა და შოპფლინის რედაქციით გამოცემული კრებულიდან (Hosking and Schöpflin 1997) და ე.დ.სმითთან (A.D.Smith 1999a: თავი 2). იხ., აგრეთვე, თამას პოფერის საინტერესო მოხსენება ('გლეხური კულტურების ეთნიკური მოდელი') 'ავოენტური' გლეხური კულტურის უნგრული მოდელის შესახებ (Suger 1980).
- 10 არქეოლოგიაზე ნაციონალიზმის გავლენის შესახებ იხ. დიაზ-ენდრიუ და ჩემპიონი (Diaz-Andreu and Champion 1996), და ჯოუნსი (Jones 1997). ისრაელის ნაციონალური ტრადიციის შესაქმნელად ისტორიისა და არქეოლოგიის გამოყენების აღწერა მოცემული აქვს ზერუბაველს (Zerubavel 1995).
- 11 ჯგუფის ღირსების ცნება პოროვიცმა გამოიკვლია (Horowitz 1985: თავები 4–5). ზოგიერთი აზიური მაგალითისათვის იხ. სტატიები ტონესონისა და ანტლოვის (Tonnesson and Antlov 1996), და ლეიფერის (Leifer 2000) რედაქციით გამოსულ კრებულებში.
- 12 ეს გარემოება წამოჭრის საინტერესო კითხვას იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ათენის, სპარსას, ფლორენციისა და ვენეციის მსგავსი ქალაქ-სახელმწიფოების მიწნევა მცირე მასშტაბის ნაციებად, არის თუ არა მათი 'პატრიოტიზმი' ნაციონალიზმის ჰეშმარიტად მოქალაქეობრივი ტიპი ან მისი პროტოტიპი (იხ. Cohen 2000). რესპუბლიკურ პატრიოტიზმსა და (გერმანულ ეთნოკულტურულ) ნაციონალიზმს შორის განსხვავებების აღწერის არცოუ სავსებით წარმატებული მცდელობა იხ. ვიროლისთან (Viroli 1995); ძველი ბერძნული პოლიტიკის შემთხვევაში არსებული ზოგიერთი კონტექსტუალურ სხვაობისათვის შდრ. (Fondation Hardt 1962) და ფაინლი (Finley 1986: თავი 7).
- 13 იხ. მათოსიანის კლასიკური ანალიზი (Matossian 1962). დანიურ შემთხვევისათვის იხ. ულფ ოსტერგარდის 'გლეხები და დანიკლები: დანიური ნაციონალური იდენტობა და პოლიტიკური კულტურა' ელისა და სუნის რედაქციით გამოსულ კრებულში (Eley and Suny 1996).

- 14 յև დარგი XX საუკუნის 90-იან წლებამდე შედარებით უგულებელყოფილი იყო. თუ არ ჩავთვდით, პუსენის (Hoosen 1994), და ჰერბისა და კაპლანის (Herb and Kaplan 1999) მიერ შედგენილ სასარგებლო კრებულებს. გარდა ამისა, კანადური და შვეიცარული ეთნიკური ბირთვის შესანიშნავი ანალიზი მოცემულია კაუცმანისა და ციმერის მიერ (Kaufman and Zimmer 1998).
- 15 ამბგარი რომატიკული, პოპულისტური ელემენტების პოვნა თვით მოქალაქეობრივ და ტერიტორიალურ ნაციონალიზმებშიც შეიძლება, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში; იხ. ტუვესონი (Tuveson 1968) და ადესი (Ades 1989) და მექსიკური ეთნიკური კულტურების შესანიშნავი გადმოცემა გუტიერესის მიერ (Gutierrez 1999).
- 16 დურკამისა და ნაციონალიზმის შესახებ იხ. მიტჩელი (Mitchell 1931). ბრძოლის ველზე დაცემულთა მოსახსენებელი ცერემონიების როლის შესახებ, განსაკუთრებით, გერმანიაში იხ. მოსი (Mosse 1975, 1990 და 1994).
- 17 ნაციონალიზმის ტიპოლოგიის ანალიზი იხ. ე.დ.სმითთან (A.D.Smith 1983: თავები 8–9); შდრ., აგრეთვე, პლამენაცს (Plamenatz 1976).
- 18 გერმანის იდეალის თაობაზე იხ. ლობერა (Llobera 1994: ნაწილი I); ხოლო ვებერის ნაციონალიზმის შესახებ იხ. ბითემი (Beetham 1974). ლინგვისტურიდან უფრო რასობრივ გერმანულ ნაციონალიზმზე გადასვლა კონს (Kohn 1965) და ბრეჩერს (Bracher 1973) აქვთ გაანალიზებული.
- 19 კონის დიქოტომიის კრიტიკისათვის იხ. ჰათჩინსონი (Hutchinson 1987: თავი 1); და, აგრეთვე, იხ. ე.დ.სმითი (A.D. Smith 1983: თავი 8).
- 20 იხ. ჰეისი (Hayes 1931) და სნაიდერი (Snyder 1976); შდრ. ტილი (Tilly 1975: შესავალი და დასკვნა) და სეტონ-უოტსონი (Seton-Watson 1977: თავი 1).

### თავი 3 პარადიგმები

- 1 რევოლუციური fêtes შესახებ იხ. ჰერბერტი (Herbert 1972); იხ., აგრეთვე, კროუ (Crow 1985: თავი 7)

- რევოლუციამდე და რევოლუციის პერიოდში დაგითისა და სხვათა ხელოვნების და ამ უკანასკნელის პოლიტიკასთან კავშირის თაობაზე.
- 2 განმანათლებლური საფუძველი და მისი გავლენა რევოლუციაზე ბეიკერს აქვს გამოკვლეული (Baker 1988). ფრანგული რევოლუციისა და ნაციონალიზმის შესახებ იხ. კობენი (Cobban 1963), კონი (Kohn 1967b) და ო'ბრაიენი (O'Brien 1988b).
  - 3 საფრანგეთში რევოლუციის შემდგომი მოქალაქეობის შესახებ იხ. ბრუბეიკერი (Brubaker 1992). ნაციებისა და ნაციონალიზმის გენდერიზირება რევოლუციისა და რომანტიციზმის დროიდან მოყოლებული კარგად დოკუმენტირებული და გაანალიზებულია სლუგასთან (Sluga 1998).
  - 4 რუსოსა და ნაციონალიზმის შესახებ იხ. კობენი (Cobban 1964) და კოლერი (Cohler 1970). საფრანგეთში კლასიკური მოდელებისადმი დაბრუნების თაობაზე იხ. კობენი (Cobban 1963: 162–169) და კენედი (Kennedy 1989: თავი 4).
  - 5 რეალურად, სოციოლოგიურ მოდერნიზმს ის პოზიცია უკავია, რომ (ა) ნაციონალიზმი ახალიც არის და სიახლეც, (ბ) ნაციები და ნაციონალური სახელმწიფოებიც ასევე ახალი და სიახლეა და (გ) ეველი ეს ნაციონალური ფენომენი მოდერნული ეპოქის და/ან მოდერნიზაციის შედეგებს წარმოადგენს. ბევრად უფრო ვრცლად იხ. ედ.სმითთან (A.D.Smith 1998: ნაწილი I).
  - 6 ნაირნის ბოლოდროინდელი შრომა (Nairn 1997) მეტ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ ფსიქოლოგიასა და კულტურულ ანთროპოლოგიას, განსაკუთრებით კი ნაციონალობის კულტურულ და სოციალურ ძალას. მაშინ როცა, ჰერთერი ნაციონალიზმის უფრო პოლიტიკური, რაციონალური არჩევანის, მოდელისაკენ იხრება (Hetcher 1992 და 2000).
  - 7 იმ სხვა მკვლევრებს, რომდებიც ნაციონალისტური იდეოლოგიის განსაკუთრებულ როლსა და ძალას უსვამენ ხაზს, განეკუთვნებიან კაპფერერი (Kapferer 1988), ო'ბრაიენი (O'Brien 1988a), იურგენსმაიერი (Juergensmeyer 1993) და ვან დერ ვეერი (Van der Veer 1994).

- 8 ნაციონალიზმისა და არქეოლოგიის  
ურთიერთდამოკიდებულებისადმი ინტერესის  
ბოლოდრონიდელი ზრდა და არქეოლოგიის  
პოლიტიკური კონტექსტი შეინიშნება კოლონი და  
ფოსტიან (Kohl and Fawcett 1995), დიაზ-ანდრეუსა და  
ჩემპიონთან (Diaz-Andreu and Champion 1996), და დიაზ-  
ანდრეუსა და ე.დ.სმითთან (Diaz-Andreu and A.D.Smith  
2001).
- 9 მიუხედავად იმისა, რომ განგრძობადი და პერიოდულად  
განმეორებადი პერენიალიზმები ანალიტიკურად  
განცალკევებადია ერთმანეთისაგან, პრაქტიკულად მათი  
გამყოფი ხაზი მტკიცედ და მყარად დაფიქსირებული  
არაა. ზოგი ისეთი მკვლევრის შრომაში, როგორიც ჯონ  
არმსტრონგია (Armstrong 1982), ორივე ტიპს შეიძლება  
გადავაწყდეთ: კონტრეტული ნაციების (სპარსელების,  
სომხების) წარმოშობის კვლევა შეხამებულია შუა  
საუკუნეების ახლო აღმოსავლეთსა და უკროპაში  
მუდმივად განახლებად ნაციადყიფნის ფენომენის და  
ნაციების კვლევასთან; გვაქს, ერთის მხრივ,  
მოდერნული ნაციონალური იდენტობების ნელი  
ამოზრდა შუასაუკუნეებრივი ფესვებიდან, ხოლო,  
მეორეს მხრივ, ეთნიკურ და ნაციონალური იდენტობათა  
*la longue durée* უწყვეტი ფორმირება და რეფორმირება.
- 10 ნაციონალისტური ნატურალიზმისა და ესენციალიზმის  
კრიტიკისათვის იხ. პენროუზი (Penrose 1995); შდრ.,  
აგრეთვე, ბრუბეიკერი (Brubaker 1996: თავი 1), ხოლო  
ნაციონალიზმის კონსტრუქციონისტული და  
ფემინისტური კრიტიკის კონტექსტში იხ. იუვალ-დევისი  
(Yuval-Davis 1977).
- 11 პრიმორდიალიზმში შესავლისათვის იხ. სტეკი (Stack  
1986: შესავალი). ტერიტორიის, როგორც სიცოცხლის  
გამავრცობელი ძალის იდეა, გროსბის მიერაა  
შემოთავაზებული (Grosby 1995); შდრ.  
პრიმორდიალიზმის ელერისა და კუგლანისეულ  
კრიტიკასა (Eller and Coughlan 1993) და გროსბის პასუხს  
(Grosby 1994), აგრეთვე ე.დ.სმითის მიერ გადმოცემულ  
დისკუსიას (A.D.Smith 1998: თავი7).
- 12 ამერიკის შეერთებულ შტატებში ეთნიკურობისა და  
ინსტრუმენტალიზმის შესახებ მრავალრიცხოვანი  
ლიტერატურა მოიპოვება. კერძოდ, იხ. პერბერგი

- (Herberg 1960); გლეიზიერი და მოინაიპენი (Glazer and Moynihan 1963; შესავალი); ბელი (Bell 1975); განსი (Gans 1979); ოკამურა (Okamura 1981); და სკოტი (Scott 1990).
- 13 ძირითადად ამას შეეხება ჯონ არმსტრონგის მიერ პრემოდერნულ ისლამურ და ქრისტიანულ ცივილიზაციებში ეთნიკური იდენტობების პიონერული გამოკვლევა (Armstrong 1982).
- 14 კოლონიური ნიგერიის დეტალური გამოკვლევის გზით, ეთნიკურობის და ნაციადყოფნის ასეთი ხასიათის ადრეული კლასიკური ანალიზი იხ. კოულმენთან (Coleman 1958, განსაძუთრებით, დანართი).
- 15 მიუხედავად ამისა, არ უნდა გავაზვიადოთ სუბიექტური ელემენტების როლი. ეთნოსიმბოლისტების მიერ ეთნიკები ისეთ სოციო-ულტურულ ფორმაციებად მოიაზრება, რომლებიც სოციოლოგიურ ახსნას საჭიროებს; ისინი, პირველ რიგში, განცდილ და ნამოქმედარ რეალობებს მოიცავს და არა დისკურსულ ფორმაციებს. ნაციონალიზმის, როგორც ქცევის ფორმის, თაობაზე იხ. ბესინჯერი (Beissinger 1998).

#### **თავი 4 თეორიები**

- 1 მაიკლ ჰეჩტერმა სულ ახლახან წამოაყენა ნაციონალიზმის თეორია არაპირდაპირიდან პირდაპირ მმართველობზე გადასვლის აზრით (Hechter 2000), რისთვისაც რაციონალური არჩევანი სავსებით მოდერნისტული პარადიგმის შიგნით არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურულ მიღებობას შეუხამა. სხვა ბოლოდროინდელი მიღებობი ქვემოთ, მეექვსე თავშია განხილული. თითოეული მათგანი იმავე მოდერნისტული პარადიგმის ფარგლებში მოქმედებს, რომლის აღმატებასაც ისინი განსხვავებული გზებით ესწრავებიან.
- 2 კედურისათვის, როგორც კანტის, ისე ჰერდერის დოქტრინები, განმანათლებლობის მიერ გარკვეულობისა და სრულყოფილების ძიების პროდუქტია. მაგრამ, ფაქტობრივად, კულტურული მრავალფეროვნებისა და ავთენტურობის ჰერდერისეული იდეები, რუსოს ნატურალიზმთან ერთად, განმანათლებლობის რაციონალიზმისა და უნივერსალიზმის კრიტიკას

- წარმოადგენს; იხ. ბარნარდი (Barnard 1969) და ბერლინი (Berlin 1999: თავი 3).
- 3 უფრო სრული კრიტიკა იხ. ჰატჩინსონთან (Hutchinson 1987: თავი 1) და ე.დ.სმითთან (A.D.Smith 1998: თავი 2). გელნერის თეორია ისევე, როგორც მისი ადრინდელი შეხედულებები, ამ ბოლო დროს მწვავედ გააკრიტიკა თ'ლირიმ (O'Leary 1998). გელნერის თეორიის სხვა, მოდერნისტული შეფასებები იხ. ჰოლთან (Hall 1998).
- 4 იხ. ნაირნის გვიანდელი, უფრო სოციალურ-ფსიქოლოგიური და ანთროპოლოგიური ანალიზი (Nairn 1997, განსაკუთრებით, შესავალი და თავი 5).
- 5 ევროპაში ბოლოდროინდელი, 1989 წლის შემდგომი ნაციონალიზმების, გელნერის თეორიით დიდად დაგალებული, გადმოცემა იხ. დიქტოფთან (Dieckhoff 2000).
- 6 უმართებულოდ მეჩვენება კედურის მცდელობა, რომ მოდერნული ნაციონალიზმი ანტინომური შუასაუკუნეებრივი მიღენიანური ქრისტიანობიდან გამოიყვანოს; იხ. ე.დ.სმითი (A.D.Smith 1979: თავი 2). თუმცა, ნაციონალიზმის დაკავშირებით რელიგიასთან, სწორედ კედურიმ გზა გაუხსნა ნაციონალზმთა მრავალფეროვნებისა და მათ მიერ გამოწვეული ვნებების უფრო სრულ აღწერას.
- 7 პერიოდს მაგალითად ბოშების საინტერესო შემთხვევა მოაქვს. ისინი შედარებით დახურულ ერთობას ქმნიან, სულერთია იქნება ეს არჩევანის თუ აუცილებლობის მიზეზით (Hechter 1988: 275–276). ბოშების შესახებ იხ. კერნიკი და პაქსონი (Kernick and Puxon 1972).
- 8 მაგრამ საპირისპირო შემთხვევებზეც შეიძლება დაფიქრება როგორებიცაა, მაგალითად, პალესტინური ინტიფადა ისრაელის ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ანდა ირლანდიური ნაციონალისტური რეაქცია მძლავრ ბრიტანულ რეპრესიებზე, რომელიც 1916 წლის საალდგომო აჯანყებას მოჰყვა. მეტიც, იუგოსლავიაში 1980 წელს ტიტოს გარდაცვალების შემდეგ გადასვლა მოხდა მმართველობის უფრო სუსტ, ნაკლებად ცენტრალიზებულ და კოლეგიალურ სისტემაზე, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა ეთნონაციონალისტურ ძალადობას; იხ. რამეტი (Ramat 1996, განსაკუთრებით, I და IV ნაწილები).

- 9 აქ კვლავ ოუგოსლაგიის მაგალითი გვაგონდება: განა შეეძლებოდა ვინმეს აეხსნა ნაციონალიზმების ინტენსივობა და ძალადობა მეორე მსოფლიო ომის საერთო მახსოვრობის მხედველობაში მიუღებლად (უსტაშების მიერ სერბთა ხოცვა-ულეტის ხსოვნის ჩათვლით)? ირლანდიაში მახსოვრობის როლის თაობაზე იხ. ლაიონსი (Lyons 1979) და ჰათჩინსონი (Hutchinson 1987: თავები 2-4).
- 10 ეს მყარი თვალსაზრისიც ჯოშუა ფიშმანმა შეიძლებავა (Fishman 1980). მოდერნისტებისგან განსხვავებით, ფიშმანი ხაზს უსვამს ‘არამობილიზებული ეთნიკურობის’ ყველგანმყოფობასა და ხანგრძლივ ხასიათს. იხ. აგრეთვე ნეში (Nash 1989).
- 11 აქ კონორის არგუმენტი იუჯინ ვებერის იმ თეზის ექრდნობა (Weber 1979), რომლის მიხედვითაც მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულისათვის, მესამე რესპუბლიკის მიერ გატარებული მოდერნიზაციის პოლიტიკის შედეგად იქცა საფრანგეთში ხალხის დიდი მასა – გლეხები – ნამდვილ ფრანგებად თავისი კულტურითა და მსოფლისებრით. მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ფრანგ ნაციაზე ლაპარაკი XIX საუკუნის დასასრულამდე არ შეიძლება. ინსტიტუციურად, კულტურულად და პოლიტიკურად ფრანგი ‘ნაცია’ ამ თარიღზე ბევრად უფრო აღრე მოევლინა სამყაროს და განათლებული კლასების ცნობიერებასა და ქცევაში, სულ მცირე, XVI საუკუნიდან მაინც ცოცხლობდა და მოქმედებდა. მაგალითისათვის იხ. პეისტინგსი (Hastings 1997: თავი 4); ხოლო უფრო ადრეული პერიოდისათვის – ბიუნი (Beaune 1985).
- 12 ბელი (Bell 1975) და ბრასი (Brass 1991) საკუთარი, ერთმანეთისგან განსხვავებული გზებით ცდილობენ ინსტრუმენტალისტურ ჩარჩოში მოაქციონ ემოცია და სიმბოლიზმი, აწონასწორებენ რა ‘ინტერესსა’ და ‘აფექტს’.
- 13 სახელმწიფოზე კონცენტრირებული სხვა მოდერნისტული მიდგომისათვის იხ. ტილი (Tilly 1975: შესავალი და დასკვნა) უფრო გეოპოლიტიკური მიდგომებისათვის იხ. ორიჯი (Orridge 1982) და მეიოლი (Mayall 1990). მაკრონი გაწონასწორებულად

- გადმოსცემს ‘სახელმწიფოსა და ნაციის’ თაობაზე  
მიმდინარე დებატებს (McCrone 1998: თავი 5).
- 14 ირლანდიური და უელსური ‘ნაციების’ ადრეული  
შემთხვევებიც არსებობს, რომლებსაც, თუმცა არასოდეს  
პქონიათ ერთიანი სახელმწიფო, მაინც განსაკუთრებულ  
ლინგვისტური კულტურები, ტერიტორიები და ბევრი  
წევრისათვის საერთო ზოგიერთი სამართლებრივი  
უფლება პქონდათ, ისევე როგორც გარეშეს  
გამოკვეთილი გრძნობა; იხ. პეისტინგსი (Hastings 1997:  
თავი 3). საინტერესოა შვეიცარიის შემთხვევაც,  
რომელიც, სულ მცირე, XV საუკუნის შემდეგ თითქოს  
ძველ კონფედერაციაში (*Eidgenossenschaft*) შედიოდა და,  
რომელმაც 1291 წელს რუტლის ფიცი დადო და მას  
ჰაბსბურგი მმართველების მხრიდან თავისი ადრინდელი  
თავისუფლებების ხელყოფისადმი წინააღმდეგობის  
იარაღად იყენებდა. ამასთან დაკავშირებით იხ.  
სტეინბერგი (Steinberg 1976) და იმ ჰოფი (Im Hof 1991).  
აგრეთვე, შვეიცარულ ნაციონალურ იდენტობაში  
'ეთნიკური' და 'მოქალაქეობრივი' კომპონენტების  
ციმერისეული დამაფიქრებელი ანალიზი (Zimmer 1999).
- 15 ჩანასახვან მდგომარობაში მყოფი გერმანული  
ნაციონალური სენტიმენტის რენესანსის პუმანისტების  
მიერ შედგენილი აღწერილობა იხ. კონთან (Kohn 1967a:  
თავი 4), ხოლო 'გერმანიის' შეასაუგუნეობრივი  
სამფლობელოს ფორმირების ანალიზი – ლობერასთან  
(Llobera 1994: ნაწილი I).
- 16 გერმანული და აფრიკანული ნაციონალიზმების  
ძალიან განსხვავებული გადმოცემებისა და მათი  
მითების შესახებ იხ. კონი (Kohn 1965) და კაუთენი  
(Cauthen 1997 და 2000). შეერთებული შტატებისა და  
მისი მითის პროვიდენციალური მისის შესახებ  
(‘განცხადებული ბედისწერა’) იხ. ტუვესონი (Tuveson  
1968), ო’ბრაიენი (O’Brien 1988a) და გრინფელდი  
(Greenfeld 1992: თავი 5).
- 17 ამის მსგავსად, ჰათჩინსონი მიიჩნევს (Hutchinson 1987:  
თავი 1), რომ კულტურული და პოლიტიკური  
ნაციონალიზმები არ უნდა გავაერთიანოთ; სწორედ  
ესაა მის მიერ კედურის კრიტიკისას არსებითი მომენტი.

- 18 სახელმწიფოებისა და ეთნიკურის ფარდობითი წონის თაობაზე გამართული შემდგომი კამათი იხ. ე.დ.სმითთან (A.D.Smith 1998: თავები 4, 8).
- 19 პობსბაუმისაგან განსხვავებით, ანდერსონი ფიქრობს, რომ ნაციებსა და ნაციონალიზმს ბედით არ უწერიათ არსებობის შეწყვეტა პოსტმოდერნულ ეპოქაში. მაგრამ ამგარი მტკიცებულება იოლად სულაც არ გამომდინარეობს მისეული თეორიის მოდერნისტული ელემენტებიდან. აუცილებელია მიგმართოთ სხვა ელემენტებს ანდა მის მიღებისაში აღნიშნულ ‘ფატალურობებს’ – დავიწყების შიშსა და გლობალური ლინგვისტური ბაბილონის გოდოლს – რომ მისმა წინასწარმეტყველებამ აზრი შეიძინოს. იხ. ანდერსონი (Anderson 1999).
- 20 ანდერსონი ხაზს უსვამს ნაციონალიზმის კოგნიტურ ასპექტს და მოგვიწოდებს ნაციონალიზმში, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული პოლიტიკური პრაქტიკისა და კატეგორიზაციებისაკენ მიმართული ‘დისკურსიული წარმონაქმნი’ დავინახოთ; კერძოდ, იხ. ბრუბერი (Brubaker 1996) და კალპუნი (Calhoun 1997). ანდერსონის ნააზრევის უფრო ისტორიული და სტრუქტურული გამოყენებისათვის იხ. კიტრომილიდისი (Kitromilides 1989).
- 21 პობსბაუმის გადმოცემამ ძალზე ძლიერი გავლენა მოახდინა; მაგალითისათვის იხ. ისრაელის ნაციონალიზმის რამისეული გადმოცემა (Ram 1995) და XIX საუკუნის დასასრულის შვეიცარული ნაციონალიზმის გადმოცემა კრეისის მიერ (Kreis 1991). შემდგომი ანალიზი იხ. ქვემოთ, მეხუთე თავში.
- 22 ბერძნული განგრძობადობის ელემენტების შესახებ, ბიზანტიური ეპოქიდან მაინც, იხ. კემპბელი და შერერდი (Campbell and Sherrerd 1968: თავი 1), და არმსტრონგი (Armstrong 1982: 174–181). იხ., აგრეთვე, რუდომეტოვი (Roudometov 1998).
- 23 ‘ოქროს ხანის’ მთების ანალიზისათვის იხ. პოსკინგი და შოპფლინი (Hosking and Schöpflin 1997). ჩემი ეთნოსიმბოლისტური მიღების უფრო სრული გადმოცემისათვის იხ. ე.დ.სმითი (A.D.Smith 1999a: შესავალი; 2000a: თავი 3).

24 ეთნიკურობის ცნებასთან, უმეტესად მის მოუხელთებლობასთან, დაკავშირებით, რასაკვირველია, არსებობს პრობლემები. ზოგიერთი (განსაკუთრებით, ანთროპოლოგები) ამას თავს აარიდებდა. სხვა ნაციებისა და ნაციონალიზმების ახსნისათვის ამ ფაქტს ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევდა; იხ., მაგალითად, პული (Poole 1999: 34–43). ამგვარ თავის არიდებას ან იგნორირებას შეიძლება რაღაც საერთო ჰქონდეს ეთნიკური სენტიმენტების დამღუპველ პოლიტიკურ გამოყენებებთან, რამდენადაც ინტელექტუალთა სერიოზული ეჭვით, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა ქმედება და ვნება განსაზღვრულია, ეს არარეალისტური და გამოუვალი მდგომარეობით ნაკარნახევ რჩევად მოჩანს. რამდენადაც საკუთრივ ეთნიკურობას ნაციებისა და ნაციონალიზმის სათავეებისა და მიმზიდველობის ‘ახსნა’ არ ძალუდს, მითები საერთო წარმოშობაზე და ეთნიკური მიჯაჭვულობები მკაფიოდ უნდა გამოიხატოს ნაციებისა და ნაციონალიზმის პრობლემებისადმი ისტორიულ მიდგომაში. ეთნიკურობისადმი განსხვავებული ანთროპოლოგიური მიდგომების დაწვრილებითი განხილვა იხ. ერიკსენთან (Eriksen 1993).

## თავი 5 ისტორიანი

- 1 ეფროპული ნაციონალიზმების მეორე ტალღის შესახებ იხ. ტრევორ-როპერი (Trevor-Roper 1961). ნაციონალიზმის იდეოლოგიური ვარიაციები განხილულია ჰიესისა (Hayes 1931) და კონის (Kohn 1967a) მიერ.
- 2 უფრო ადრინდელი ვერსიისათვის იხ. სნაიდერი (Snyder 1954) და კონი (Kohn 1955); ხოლო უფრო გვიანდელისათვის იხ. სნაიდერი (Snyder 1976), ალტერი (Alter 1989) და შულცი (Schulze 1996).
- 3 გელნერი ნაციების ზომისა და მასშტაბის ორიგინალურ სოციოლოგიურ ახსნას გვთავაზობს (Gellner 1973); იხ., აგრეთვე, ჰაბსბურგთა იმპერიაში გამოვლენილი, არგაილის მიერ მოხმობილი მაგალითები (Argyle 1976).
- 4 სოციალური ეფოლუციის ამ მთავარი ტენდენციის თაობაზე იხ. პარსონსი (Parsons 1966). ‘ნაციათმშენებლობისა’ და მოქალაქეობის მოდელი

- აღწერილია დოიჩთან და ფოლცთან (Deutsch and Foltz 1963), და ბენდიქსთან (Bendix 1996).
- 5 პობსბაუმის მიღომაშ ბევრ მეცნიერზე იქონია გავლენა (იხ. ზემოთ, თავი 4, შენიშვნა 21). ადრე აღნიშნულ მაგალითებს შეიძლება დაემატოს კიტრომილიდისის მოსაზრება, რომ ბერძენი ისტორიკოსების მიერ საბერძნეთის ბიზანტიასთან იდენტიფიცირება შედარებით ბოლოდროინდელი მოვლენაა (Kitromilides 1998), და იმ აზრის ზერუბაველის ანალიზი, რაც ისრაელებმა მიანიჭეს ბარ-კოხბას ამბოხებასა და მასადას მითს (Zerubavel 1995).
- 6 ნაციონალიზმთა ამ ნაირსახეობების შესახებ იხ. კონი (Kohn 1967a), სნაიდერი (Snyder 1976) და გილბერტი (Gilbert 1998).
- 7 აქ ნაჩვენებია გრინფელდისეული შუასაუკუნეობრივი გამოყენებების შეზღუდულობის (იხ. Greenfeld 1992: შესავალი) იმპლიციტური კრიტიკა. უფრო დიდი მნიშვნელობა მსოფლიო კრებებზე წაცილენი დაუოფებს ენიჭებოდა, რაც შუასაუკუნეებში ფართო გამოყენებას ასახავდა.
- 8 ესაა ბრილის მიერ მოდერნიზმის სასარგებლოდ წამოყენებული მთავარი ორგუმენტი (Breuilly 1993), რომელსაც ხაზი გაუსვეს ბენდიქსმა (Bendix 1996) და, იმპლიციტურად, კონორმა (Connor 1994: თავი 9).
- 9 ტელეოლოგიური ელემენტი სეტონ-უოტსონის მიღომაში სიუზან რეინოლდსმა გააკრიტიკა (Reynolds 1984: თავი 8). მისი შეხედულებით, შუასაუკუნეობრივი ერთობების კლასიფიცირება რეტროსპექტულად, საკუთარი საზღვრებისა და სენტიმენტების (როგორც მოდერნულ ნაციებად წინასწარ ნავარაუდები გარდაქმნის პრველი ნიშნების) მქონე ემბრიონულ ნაციებად კი არ უნდა მოხდეს, არამედ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ერთობები საკუთარი წეს-ჩვეულებებით, კანონმდებლობით, მემკვიდრეობით და მმართველობით, ანუ როგორც *regna* თავიანთი სახალხო სენტიმენტებით, რის გამოც სახელდებულნი როგორც სამეფო<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, პარალელი, ერთის მხრივ, ამ აღრეულ შუასაუკუნეობრივ ერთობებსა და სამეფოებს, ხოლო, მეორეს მხრივ, მოდერნულ ნაციებსა და ნაციონალურ სენტიმენტებს შორის, აშკარაა; ჩვენ

- აღარ გვაცვიფრებს მათ შორის ურთიერთკავშირის შესაძლებლობა. იხ. დობერას კომენტარი: ‘მოდერნული ნაციონალიზმები შუასაუკუნეოებრივი რეალობების რეკრეაციებს წარმოადგენს; ფაქტობრივად, მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას, როდესაც შუასაუკუნეობრივ წარსულში აქვთ ფესვი გადგმული, თუნდაც მასთან კავშირი არასწორხაზოვანი იყოს’ (Llobera 1994: 86).
- 10 იხ. პეისტინგსი (Hastings 1997): ‘ნაციებისა და ნაციონალიზმის გაგება მხოლოდ მაშინ წაიწევს წინ, როცა უძუგდებულ იქნება მათი განუხრელი კავშირი საზოგადოების მოდერნიზაცისთან.’
- 11 შუასაუკუნეობრივი ‘ნაციების’ სხვა საინტერესო შემთხვევებისათვის იხ. ნოლი – XV საუკუნის პოლონური ნაციონალური ცნობიერების შესახებ (Knoll 1993), იმ პოვი – XVI და XVI საუკუნეების შვეიცარული კონფედერაციის ქრონიკებში დაფიქსირებული აღრეული ბაზისური მითების როლის შესახებ (Im Hof 1991) და უებსტერი – დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომების შემდეგ შოტლანდიური ნაციონალური სენტიმენტების ზრდის შესახებ (Webster 1997). იხ., აგრეთვე, თანამედროვე შოტლანდიულების მიერ პრემოდერნული შოტლანდიური იდენტობის გამოყენებების იზიჯოუსეული ანალიზი (Ichijo 1998), რომელიც შემდგომი კვლევის სურვილს აღძრავს.
- 12 სხვა გამოკვლევები აქცენტს ამ პერიოდზე აკეთებენ, რომელმაც ინგლისური ნაციონალიზმი ჩამოაყალიბა. იხ. კონი (Kohn 1940), და კორიგანი და სეიერი (Corrigan and Sayer 1985). ამ პერიოდში ბრიტანეთის კუნძულებზე არსებული პოლიტიკის, რელიგიისა და ეთნიკურობის ურთიერთდამოკიდებულებს კომპლექსურობას უფრო ფრთხილად ეკიდება კიდი (Kidd 1999). ბრიტანული ნაციონალიზმის შემდგომდროინდელი ზრდის თაობაზე იხ. კოლი (Colley 1992).
- 13 გელერის მსგავსად, პეისტინგსიც ამბკიცებს, რომ ისლამისათვის ნაციონალიზმი მიუღებელია, რადგანაც ყველაფრის მომცველი უმას მისეული კონცეფციით ნაციი მოკვეთილია, ხოლო ყურანზე დაფუძნებული არაბულის საკრალური სტატუსის შესახებ მისი დაჟინებული მტკიცება გამორიცხავს ვერნაკულური

ენგბის საქრალიზებას რაიმე ფორმით. ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ შეგვიძლია მივუთოთ იმ ხერხები, რომლითაც კათოლიკურმა ეკლესიამ და საქრისტიანომ აღკვეთა და ხელი შეუშალა ნაციების წარმოშობას, და იმაზე, თუ როგორ ეპავა გულგატას ლათინურს არაბულის მსგავსი აღგილი რეფორმაციამდე. XI საუკუნიდან მოყოლებული, არც არაბების პირველობა უშლიდა ხელს სპარსული ეთნიკურობისა და ენის აღორძინებას ან თურქულისა და სხვა ეთნიკურობების შენარჩუნებას ისლამის ფარგლებში. გარდა ამისა, ულგები ეხმარებოდა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ისლამურ დინასტიურ სახელმწიფოებს, რომლებიც ხშირად პრემოდერნული ეთნიკური სენტრისტებით საზრდოობდნენ და ძლიერდებოდნენ. იხ. არმსტრონგი (Armstrong 1982: თავი 3) და ფრე (Frye 1975).

- |    |   |
|----|---|
| 14 | კრისტინგ სის კრისტერიუმების მიხედვით, გვიანი ანტიკურობის 'ნაციათა' სიაში შეგვეძლო შეგვეყვანა მარონიტები, კოპტები და სამარიტიანელებიც, რის შესახებაც იხ. ატია (Atiayah 1968), პურვისი (Purvis 1968) და ედ. სმითი (A.D.Smith 1986: თავი 5).   |
| 15 | ბუდიზმის, როგორც განსხვავებული პოლიტიკური რელიგიის, ხედვის თაობაზე იხ. სარქისიანცი (Sarkisyanz 1964) და დ.ე.სმითი (D.E.Smith 1974), ხოლო შეასაუკუნეობრივი შრი-ლანკის ეთნიკურობისა და რელიგიის და მისი მოდერნულ ნაციონალიზმთან კავშირის თაობაზე იხ. რობერტსი (Roberts 1993) და სუბარატ्हამი (Subaratnam 1997). |
| 16 | 'ეთნიკურობის' პოლლეგმატური ბუნების შესახებ იხ. ხემოთ, მეოთხე თავი, შენიშვნა 24. სხვაგვარი კრიტიკისათვის იხ. სტატიები უილსმენისა და მაკალისტერის (Wilsmen and McAllester 1996), და კალჰუნის (Calhoun 1997) რედაქციით გამოცემულ კრებულებში.   |
| 17 | თვალსაზრისები უელსელებისა და ირლანდიელების ჩამოყალიბების შესახებ იხ. უილიამსთან (Williams 1985) და დე პაორთან (de Paor 1986).   |
| 18 | უფრო ზუსტი იმის თქმა იქნებოდა, რომ, ამ შემთხვევებში, სახელმწიფო და ნაცია ვთარდებიან <i>pari passu</i> და ერთმანეთს აძლიერებენ. მოდერნიზმისა და  |

- ეთნოცენტრიზმის მენტალური ‘ბლოკოსტების’ შესახებ იხ. ფიშმანი (Fishman 1980).
